# ხელისუფლების არაქალადობრივი დამხობის 198 ხერხი

## გიგა ბოკერიას საწვრთნელი სახელმძღვანელოდან

**რა ასწავლა პროფესორმა 16-17 შარაშა «კმარასა» და «ოტპორს»?**


საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.net

№38

18 – 24 ნოემბერი, 2009

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

გამოდის ორშაბათობით

info@geworld.net




**სააკაშვილი:**
— სერ, გაისად მაინც ხომ წამიყვანთ ნატოში?

**ბაიდენი:**
— შენი დრო ამოიწურა, მაიკლ, „ზემოთ“ ასე მოილაპარაკეს...

# შავი და თეთრი სინგაპურში გამოჩნდა

2

## რას ავალდებულებს მეუღლეებს ქრისტიანული ქორწინება 18



## პოლონიუსის გაკვეთილი, რომელიც პან მიშას ველარ გამოადგება 21

# ამერიკული დემოკრატია ქრისტიანობის წინააღმდეგ 20

### ექსპერტის ტრიბუნა //

ჯიმი ჯალიაშვილი:

**რაც უფრო ვუახლოვდებით ნატოს, მით უფრო ვკარგავთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს** 4

### SOS //

ანზორ საკანდელიძე:

**6-ბალიანი მიწისძვრის შემთხვევაში თბილისი ნანგრევების ქალაქად იქცევა** 11

### მწარე სიმართლე //

ნიკო ორველაშვილი:

**დემეტრაშვილის ხელით სააკაშვილს კონსტიტუციაში ქვეყნის დაშლის მექანიზმი შეაქვს** 12

### ვაი ჩვენს პატრონს //

თემურ მურღულია:

**მოსახლეობას კრიზისის კი არა, ხელისუფლების უნდა ეშინოდეს!** 12

### აჩიკოს სია //

**მე-4 კლინიკური საავადმყოფო ფაშისტურ ბანაკს დაემსგავსა** 14

18 - 24 ნოემბერი, 2009 წელი. №38
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## გაჟღერებული



**გიგლა გოგეჩია,**
ჟურნალისტი,
„ასავალ-დასავალი“:

თუ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მოწმეები: გუგუშვილი, მარგველანი და გვენცაძე ვერ ამბობენ სიმართლეს, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ ვიღაცის ან რაღაცის ეშინიათ! ალბათ, მათ მანამდე აქვთ უსაფრთხოების გარანტია, სანამ პირს მოაღებენ და სიმართლეს იტყვიან!



**თენგიზ კიტოვანი,**
საქართველოს თავდაცვის ექსმინისტრი,
„ასავალ-დასავალი“:

თამაზ ნინუა პროფესიონალურად მოკლეს... მოკლა მისმა კარგმა ნაცნობმა, თამაზი უცნობს კარს არ გაუღებდა ან, თუ გაუღებდა, ის უცნობი კარებთანვე მოკლავდა მას. სავარაუდოდ, მკვლელი იყო მისი კოლეგა...



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი,
„ახალი თაობა“:

როდესაც რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადება, რომ საქართველოში გარკვეული ორგანოები ეხმარებიან ბოევიკებს იარაღით... ამას მოჰყვა პარლამენტარების ვიზიტი პანკისში... და იყო თარგამაძის განცხადება, რომ მათ იქ ვერაფერი შენიშნეს... თარგამაძე რომ იქ ბოევიკების მომზადებას შენიშნავს, მაშინ დაღუპულია საქმე.



**გიგი წერეთელი,**
პარლამენტის ვიცე-სპიკერი,
„ყველა სიახლე“:

დღემდე ვიცოდი, რომ თამარ მეფე ქართველი იყო, მისი ქმარი დავით სოსლანი კი — ოსი. თუმცა, შესაძლოა, რადგან მეუღლე იყო ოსი, სააკაშვილი, უბრალოდ, მათ ოჯახს გულისხმობდა...



**კობა ხაბაზი,**
პარლამენტარი,
„ყველა სიახლე“:

ერთ სკაში ასი ათასამდე ფუტკარია და, ასი ათასი კაცი რომ გამოვიდეს ქუჩაში, ჩამოვიტან ათ სკას, მივუშვებ მათზე და მომიტინგეებს ისე დავშლი. თან ფუტკრის ნაკბენი სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის.



**ჯონდი ბაღათურია,**
„საქართველოს დასის“ ლიდერი,
„პრაიმტაიმი“:

ენდი გარსია მართლა კარგი მსახიობია, მაგრამ მიშა მაგ საქმეში ათ ენდი გარსიას ჯობია. კაცი, რამდენი წელია, „ლაივში“ თამაშობს, ამდენი წელია, ამსიგრძე სერიალს გვაყურებინებს, თან ყოველდღე და შესვენებების გარეშე...



**სერგეი მარკოვი,**
პოლიტოლოგი,
„თბილისელები“:

თუ თბილისს უნდა აფხაზები და ოსები, კედლები არ უნდა ააშენოს. რატომ დაანგრია მიხეილ სააკაშვილმა ერგნეთის ბაზრობა?



**თამაზ წივწივაძე,**
მწერალი,
„ასავალ-დასავალი.“

თავს უფლებას ვაძლევ, უმორჩილესი თხოვნით მივმართო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს! თქვენო უწმინდესობავ!.. თუ თქვენც იზიარებთ გონიერ საქართველოს აზრს შესახებ იმისა, რომ დღეს ხელისუფლების სათავეში მოსული ამ „ბიჭბუჭების“ ხელში ჩვენი ქვეყანა მართლაც იღუპება — ეკლესიას უფლება არ აქვს განზე დგომისა!..



**კახა ბენდუქიძე,**
ყოფილი სახელმწიფო მინისტრი,
„პრაიმტაიმი“

გაიძახიან, ბენდუქიძე ყიდის ობიექტებსო. რა, რომ ვყიდი, ფულს ჯიბეში ვიდებ?.. ის ფული აკი ბიუჯეტში მიდის?..

# შავი და თეთრი



**გასულ კვირას სინგაპურში, რომლისთვისაც ასე უნდოდა დაემსგავსებინა საქართველო მიხეილ სააკაშვილს, შეერთებული შტატებისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა გაიმართა. ბუნებრივია, არავინ, რამდენიმე ნაადრევად გამელოტებული და ძლიერ ნევროტიზებული ქართველი ექსპერტის გარდა, არ ფიქრობდა, რომ იმ ორი სახელმწიფოს ლიდერი, რომელიც გლობუსზე ისედაც ძლივს ეტევა, საქართველოს საკითხს საჯილდაო ქვად გაიხდიდა, თუმცა შეხვედრის შედეგები ჩვენს მომავალზე გავლენას, სავარაუდოდ, მაინც მოახდენდა.**

საინტერესო ადგილია სინგაპური, სადაც ცხოვრობს იქაური ეკონომიკური სასწაულის მამა, წყნარი ჩინელი, პენსიონერი **ლი კუან იუ,** რომელმაც ესოდენ საინტერესოდ დაახასიათა მიხეილ სააკაშვილი აგვისტოს ომის შემდეგ CNN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში: „საქართველოში თქვენ საქმე გაქვთ უკიდურესად ავანტიურისტულ ლიდერთან, რომელიც ძალზე არაგონივრულად მოიქცა. ეს ენით აუწერელი სისულელე იყო. რა აზრი ჰქონდა ამას? რის მიღწევა სურდა?“

**მოკლედ მიმოვიხილოთ დისპოზიცია მოლაპარაკების წინ, რა ნაყოფი გამოიღო ე. წ. „გადატვირთვამ“ დღემდე.**

**ვაშინგტონმა უარი თქვა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის მესამე პოზიციური რაიონის განლაგების პირვანდელ გეგმებზე; აგრეთვე, მოხსნა რუსული გაზსადენების მშენებლობის (ჩრდილოეთისა და სამხრეთის „ნაკადები“) პრობლემები, რომელთაც მისი მოკავშირეები ქმნიდნენ. მოსკოვმა უარი თქვა მოქმედებებზე, რაც ხელს შეუწყობდა დოლარის შემდგომ დასუსტებას, გაყინა „ევრაზიული რეგიონული ვალუტის პროექტი“, არ განალაგა „ისკანდერები“ კალინინგრადის ოლქში, არ მიაწოდა ირანს საზენიტო კომპლექსები შეთანხმებულ ვადებში, უზრუნველყო ამერიკული ტრანზიტი ავღანეთში. მიმომხილველთა ნაწილი ეჭვობს, რომ ნავთობის ფასის დაფიქსირება 70 დოლ/ბარ. ნიშნულთან ახლოს, აგრეთვე, მხარეთა კონსენსუსის შედეგია.**

უშუალოდ სინგაპურის შეხვედრაზე მოხდა პოზიციების დაახლოება სტრატეგიული შეიარაღების განახლებული ხელშეკრულების დეტალებზე; ამასთანავე, რუსეთის პრეზიდენტმა გაახმაურა ვაშინგტონისთვის სასურველი მიდგომა ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. **საპასუხო ჟესტმა არ დააყოვნა. მოგვიანებით მედვედევისა და იაპონიის პრემიერის — იუკიო ჰატოიამას შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ შეუდგებიან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების საკითხის გადაწყვეტაზე მუშაობას, ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე, რაც, პრაქტიკულად, ნიშნავს, რომ იაპონია არ ამბობს უარს კურილიის კუნძულების დაბრუნებაზე, მაგრამ ამ საკითხს რუსეთთან ნებისმიერ მოლაპარაკებასა და შეთანხმებას აღარ მიაბამს, როგორც ეს დღემდე იყო.**

ვაშინგტონისა და მოსკოვის ურთიერთობა იდილიურ სიამტკბილობას სულაც არ წარმოადგენს, მაგრამ საკმაოდ შედეგიანი პრაგმატული თანამშრომლობა სახეზეა. რას შეიძლება მოასწავებდეს ეს საქართველოსთვის?

**ოდნავ მოვშორდეთ გლობალურ მასშტაბებს. ბოლოსდაბოლოს, ჩვენ არც რაკეტები გვაქვს, არც — ნავთობი, არც — ფული; მოკლედ, — არაფერი, დინების საწინააღმდეგოდ ცურვის საეჭვო გამოცდილების გარდა. საქართველოს საკითხმა აშშ-რუსეთის მოლაპარაკებებში ნელ-ნელა უკანა პლანზე გადაინაცვლა — მასზე აღარ საუბრობენ პრეზიდენტები, დიპლომატები კი ამ საკითხს იშვიათად ეხებიან. ვაშინგტონი სულ უფრო ნაკლებად აკრიტიკებს რუსეთის მოქმედებებს პოსტსაბჭოთა სივრცეში; ეს ეხება როგორც საქართველოს, ისე — უკრაინას, სადაც საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორიოდე თვით ადრე პრაქტიკულად ცხადი გახდა, რომ ვიქტორ იუშჩენკო ხელისუფლებას დაემშვიდობება. მისი რეიტინგი 5%-ს არ აღემატება.**

ამ კონტექსტში ვაშინგტონისთვის სასურველი, ალბათ, საქართველოს ხელისუფლების სათავეში ისეთი პოლიტიკოსის მოსვლა იქნება, რომელიც რუსეთთან ურთიერთობების ახალ სქემაში ლოგიკურად ჩაჯდება და, როგორც მინიმუმ, საპასუხისმგებლო მომენტში ქვების სროლას არ დაიწყებს.

**უკრაინაში საპრეზიდენტო, საქართველოში კი ადგილობრივი არჩევნები გაიმართება, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ხელისუფლების შეცვლა სტუდენტური თვითმართველობის არჩევნებსაც კი შეიძლება დაუკავშირო.**

## ისეთი ჩინმედლებიანი პრეზიდენტები და გენერლები ჩამოუგდიათ ხელისუფლების მწვერვალიდან, რომ შედარებაც კი უხერხულია. სიტყვამ მოიტანა და სააკაშვილისთვის მინიჭებული ორდენებისა და მედლების ნუსხა ძლიერ შთამბეჭდავად გამოიყურება: სომხეთის ღირსების ორდენი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოქროს მედალი და ყაზახური საიუბილეო მედალი „ასტანა 10 წლისაა“; „ЗА ОТВАГУ НА ПОЖАРЕ“-ღა აკლია, რა!

თუმცა დავუბრუნდეთ არჩევნებს, რამდენიმე დღის წინათ თითქმის საბოლოოდ დამტკიცდა გადაწყვეტილება, მერობის კანდიდატებისთვის 30%-იანი ბარიერის დაწესების შესახებ. ის, ვინც გულარხეინად ფიქრობს, რომ ხელისუფლება თბილისში 30 პროცენტს კი არა, 30 ვერცხლსაც ვერ მოაგროვებს, ვითარებას ერთობ ოპტიმისტურად აფასებს. მართალია, ხელისუფლების მომხრეთა რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში თბილისში ისეთივე კატასტროფული სისწრაფით მცირდებოდა, როგორც ორანგუტანგების პოპულაცია სუმატრასა და კალიმანტანზე (სულ 5000-მდე პრიმატი დარჩა), მიზანმიმართული მოქმედების შემთხვევაში, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეიძლება საწადელს მიაღწიოს.

ამისთვის მერობის კანდიდატის ეფექტიანი წინასაარჩევნო კამპანიით უზრუნველყოფის გარდა, საჭირო გახდება საპროტესტო ელექტორატის ხმების დაფანტვა სხვადასხვა ოპოზიციურ კანდიდატს შორის; ამასთანავე, სასურველი ამოცანის მიღწევას იდეაში ხელს შეუწყობს ამომრჩეველთა დაბალი აქტიურობა, ზოგადი ნიჰილიზმის გაღვივება და ჩვეული ფოკუსები ბიულეტენებითა და ურნებით. ხელისუფლება ამ არჩევნებისთვის ძალზე საფუძვლიანად ემზადება. თუმცა ირაკლი ალასანია, რომელიც დიდი ალბათობით ოპოზიციის მთავარი კანდიდატი გახდება, კვლავინდებურად ისეთივე აუღელვებელი რჩება, როგორც ფინური წარმოების მაცივარი „როზენლევი“. იგი საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს.

**სცენარი „ხალხის არჩეული მერი „არასპრავედლივი“ პრეზიდენტის წინააღმდეგ“ არაერთგზის აპრობირებულია ვნებიანი ტროპიკული მზისა და პალმების ქვეშ; სულ ახლახან — მადაგასკარში, როდესაც (ახლა ენის გასატეხი იქნება) ანტანანარივუს მერმა, ანდრი რაძოელინამ პრეზიდენტი მარკ რავალომანანა ხელისუფლებას ჩამოაშორა.**

შესაძლოა, ვაშინგტონი საქართველოში მოვლენათა წარმართვის ამ სცენარსაც განიხილავს.

გასულ კვირაში ერთ-ერთი „ოპოზიციონერი“ დაუცხრომლად განაგრძობდა საკუთარი (?) ინიციატივის გახმოვანებას „ლუსტრაციის კანონის” და „პატრიოტული აქტის” სასწრაფო მიღების აუცილებლობის შესახებ. ვინაიდან ნებისმიერ, მონოტონურად განმეორებად ქმედებას, დაბამბულ კედელზე თავის რტყმევის გარდა, რაღაც აზრი უნდა ჰქონდეს, შევეცადოთ, დავადგინოთ, თუ რა მოტივი ამოძრავებს ამ კანონისა და აქტის „ინიციატორებს“ და რა შეიძლება მოჰყვეს ამ იდეების ხორცშესხმას, რომელიც სწრაფად გვიახლოვდება.

**აგენტების გამოვლენის ასპექტში, ძალიან საინტერესო სიტუაცია გვაქვს, რადგან „სუკ“-ის შესაბამისი არქივები ნაწილობრივ გატანილია რუსეთში, ნაწილობრივ განადგურდა თბილისის ომის დროს ან დაზიანებულია არეულობის წლებში არასათანადოდ შენახვის გამო. ზედმიწევნით ზუსტი ინფორმაცია იმაზე, თუ რა სახისა და რა ოდენობის საბუთები გადარჩა, არ არსებობს. შესაბამისად, მანიპულირებისათვის მეტად ფართო asპარეზი იხსნება.**

თუ ხელისუფლების წარმომადგენლებს შეეძლოთ, გაე-

# სინგაპურში გამოჩნდა

ყალბებინათ საარჩევნო კომისიების ოქმები და „მიემონტაჟებინათ“ აუდიო და ვიდეო „მამხილებელი მტკიცებულებები“, გაუჭირდებათ თუ არა აგენტების ყალბი ბარათებისა და ოპერატიული საქმეების შექმნა? (ტექნიკური თვალსაზრისით, ეს დიდ სირთულეს არ წარმოადგენს). ამასთანავე, ნებისმიერ პროვოკატორს შესაძლებლობა ექნება, განუცხადოს კომისიას, რომლის შექმნას ითვალისწინებს კანონპროექტი „ლუსტრაციის შესახებ“, რომ უშიშროებასთან თანამშრომლობის პროცეში კონტაქტი ამა თუ იმ პიროვნებასთან ჰქონდა.

**საბუთების ნაკლებობის გამო, რომელიც ერთმნიშვნელოვნად დაადასტურებდა დასახელებული პიროვნების თანამშრომლობას „სუკ“-თან (ან სხვა მსგავს უწყებასთან) ასეთი განცხადება ხანგრძლივი გამოძიების დაწყებას გამოიწვევს. საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამას, სავარაუდოდ, შედეგად მოჰყვება გაუთავებელი დაკითხვები და მუქარები ინფორმაციის გაჟონვის თაობაზე, რომელიც ფიგურანტის რეპუტაციის შელახვას გამოიწვევს. მართალია, ბრალეულობის დამტკიცება, პრაქტიკულად, გამორიცხული იქნება, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, საბუთები (თუ საგანგებოდ ყალბს არ დაამზადებენ) ძალიან ცოტაა, თუმცა დამატებითი შესაძლებლობები ოპონენტების რეპუტაციის შელახვისთვის ხელისუფლებას ნამდვილად მიეცემა.**

ნდობა შსს-ს მიერ გამოქვეყნებული მამხილებელი მასალების მიმართ ბოლო ორი წლის განმავლობაში პლინტუსზე დაბლა დაეცა, თუმცა, ამ შემთხვევაში, წინა პლანზე ახალი, საგანგებოდ შექმნილი კომისია გამოვა, რომელსაც, სავარაუდოდ, კანონპროექტის „ინიციატორი“ თავადვე უხელმძღვანელებს. შედეგად, ძალიან დიდი ალბათობით, სენატორ ჯოზეფ მაკარტისა და მისი კომისიის ადგილობრივ ანალოგს მივიღებთ. თუ მის მუშაობას სათანადო საინფორმაციო შეფუთვა გაუკეთდება, ხელისუფლებას საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენის ახალი ბერკეტი გაუჩნდება.

**ამერიკელი მიმომხილველები ხშირად აღწერენ მაკარტიზმს, როგორც ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის ხანას და ძალზე იშვიათად, — როგორც საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების ეფექტიან მექანიზმს. მაკარტისა და მისი კომისიის „გამოძიებები“, რომელსაც იგი კომუნისტებისა და ჯაშუშების გამოსავლენად აწარმოებდა, სხვას არაფერს წარმოადგენდა, თუ არა ჟონგლირებას დამახინჯებული ფაქტებით, სიცრუითა და ინსინუაციებით, მაგრამ ეს (ძალზე მნიშვნელოვანია!) შემდგომში გაირკვა, იქამდე კი, „გელაპის“ გამოკითხვების თანახმად, მის საქმიანობას ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი იწონებდა. ანალიტიკოსთა შეფასებით, სწორედ მაკარტის გავლენამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა მისი თანაპარტიელის დუაიტ ეიზენჰაუერის გამარჯვება 1952 წლის არჩევნებში.**



ბუნებრივია, შემდეგ იყო გამოფხიზლება, ზიზღნარევი უარის თქმა მაკარტიზმის პრაქტიკაზე, თავად სენატორის ფაქტობრივი მოკვეთა საზოგადოებისგან, მაგრამ მისია ბრწყინვალედ შესრულდა. მაკარტიმ (უპირველეს ყოვლისა, მასმედიის გამოყენებით) მოახერხა საზოგადოების ნაწილი კამპანიის დამკვეთებისთვის სასურველი მიმართულებით წაეყვანა.

**რა ამოცანების გადაწყვეტას შეიძლება ემსახურებოდეს „ქართული მაკარტიზმის“ პროექტი? სავარაუდოდ, საზოგადოების ყურადღების გადატანას ფუნდამენტური პრობლემებისაგან, მის გაფანტვას მხილებებსა და კონტრმხილებებს შორის, ხელისუფლების ოპონენტების დისკრედიტაციას, მეტიც, ანგარიშსწორებას მათთან, „პატრიოტული აქტის“ დახმარებით, რომელიც ძალოვნებს „სახელმწიფოს მტრებთან“ ბრძოლის გაძლიერების ვალდებულებას დააკისრებს. როგორც ჩანს, საქმე პოლიტიკური და საინფორმაციო ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტის სწორედ ასეთ მცდელობასთან გვაქვს.**

**ბუნებრივია, ლუსტრაცია საჭიროა და აგენტების გამოვლენა — აუცილებელი, მაგრამ, რამდენად უსაფრთხო იქნება „ლუსტრაციის კანონისა“ და „პატრიოტის აქტის“ მიღება ამ პოლიტიკურ ვითარებაში? გვსურს თუ არა, ვიხილოთ ამ აქტისა და კანონის „ინიციატორი“ ჯოზეფ მაკარტის როლში?**

სხვათა შორის, რაც შეეხება როლებს, ენდი გარსიას რომ ჩავაცივდით, რენი ჰარლინის ფილმში აგვისტოს ომზე საქმე სხვა არანაკლებ საინტერესო სამსახიობო ნამუშევართან გვექნება; imdb.com-ის თანახმად, ალან მაკენა ალექსანდრე ლომაიას როლს შეასრულებს, ხოლო სტივენ რობერტსონი კეზერაშვილს განასახიერებს.

**მაკენას შემთხვევაში ყველაფერი რიგზეა, ჯერ კიდევ 1997-ში მან შეასრულა ლიკანტროპის როლი ფილმში „ამერიკელი მაქცია პარიზში“. თითქოს ჩვეულებრივი ადამიანი რომ მიდის ქუჩაში და, ჰოპ, — მონსტრად გადაიქცევა, რომელიც ცდილობს, გამვლელებს ყელი გამოღრღნას. არა, ლომაიას როლის შესრულება ალანს არ გაუჭირდება. პრინციპში იგივეა, მიდის ქუჩაში ჩვეულებრივი სანტექნიკოსი, „ალე ჰოპ“ და...**

აი რობერტსონთან დაკავშირებით, გარკვეული ეჭვები არსებობს. მართალია, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება განასახიერო ლიკანტროპი და პიტეკანტროპიც კი, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ კეზერაშვილი?! ეს ამოცანა სტანისლავსკის სისტემის ჩარჩოებს აშკარად სცილდება. ვუსურვოთ წარმატება ახალგაზრდა მსახიობს და დაველოდოთ პრემიერას, რადგან ხსენებული ფილმის მეშვეობით თუ დავადგენთ, სად იმყოფებოდა და რას აკეთებდა 2008 წლის აგვისტოში საქართველოს იმჟამინდელი თავდაცვის მინისტრი.

**დიმიტრი მონიავა**

---

## საგარეო ამბები

# ფედერალური გამოძიების ბიუროს ამერიკელი ტყვე ალაპარაკდა

**აშშ-ის მოქალაქე ამირ მეშალი ბრალს სდებს ფედერალური გამოძიების ბიუროს აგენტებს, რომლებმაც 2007 წელს ის კენიის, სომალისა და ეთიოპიის ტერიტორიებზე მდებარე ციხეებში გამოამწყვდიეს.**




მისივე თქმით, ამის თაობაზე ქვეყნის ხელისუფლებისთვისაც ცნობილი იყო.

მეშალის ადვოკატები მის მიერ გადატანილს წამების კვალიფიკაციას აძლევენ, გამოძიების ფედერალური ბიურო კი, რა თქმა, უნდა, ყოველგვარ კომენტარზე უარს აცხადებს.

მეშალის თქმით, 2005 წელს ის ჯერ ეგვიპტეში გაემგზავრა, შემდეგ კი — სომალში, 2006 წლის დეკემბერში კი უკვე კენიაში გახლდათ.

სწორედ კენიაში შეიპყრეს ადგილობრივმა ჯარისკაცებმა, რის შემდეგაც მის დაკითხვებს ვილაც ამერიკელები, მისი ვარაუდით, ფედერალური გამოძიების ბიუროს აგენტები აწარმოებდნენ და მეშალს „ალ-ქაიდასთან“ კავშირში დებდნენ ბრალს.

ორი თვის შემდეგ ტუსაღი სომალში გადაიყვანეს, შემდეგ კი — ეთიოპიაში. აშშ-ში მეშალი მხოლოდ 2007 წლის მაისში ჩამოიყვანეს.

---



# რუსეთის ფლოტს ახალ საბრძოლო გემებს მისცემენ

**რუსეთი მსოფლიო ოკეანეში საკუთარი სამხედრო-საზღვაო ძალების გაზრდას გეგმავს და, როგორც ქვეყნის პრეზიდენტმა — დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, ფლოტი ახალ საბრძოლო გემებს მიიღებს.**

ამჟამად სინგაპურის სამხედრო-საზღვაო ბაზა „ჩანგში“ მეგობრული ვიზიტით მყოფი სარაკეტო კრეისერ „ვარიაგის“ მეზღვაურებთან საუბრისას პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ „რუსეთი სრულფასოვან საზღვაო ზესახელმწიფოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, თუ მას ნამდვილი სამხედრო-საზღვაო ფლოტი ჰყავს“. მისი თქმით, ბოლო დროს სხვადასხვა საკითხების მოსაგვარებლად რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მნიშვნელოვნად გახშირებული მიმოსვლა, ერთი მხრივ, რუსეთში საამისო ფინანსური საშუალებების გაჩენას, მეორე მხრივ კი, სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ნებას უკავშირდება.

„ეს მხოლოდ ჩვენი ქვეყნის კი არა, სხვა ქვეყნებისა და მთლიანად მსოფლიოს ინტერესებშიცაა“, — ბრძანა მედვედევმა და ერთ-ერთი მაგალითის სახით მეკობრეობასთან ბრძოლის საკითხი დაასახელა, შემდეგ კი აღნიშნა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში რუსული ფლოტის ყოფნისათვის საჭიროა, რომ რუსეთს ბრძოლისუნარიანი ფლოტი ჰყავდეს.

ქვეყნის პირველი პირის განცხადებით, 90-იან წლებში რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა და მათ შორის ფლოტმაც გარკვეული დეგრადაცია განიცადა. „ამიტომ ახლა ჩვენი ამოცანაა, ფლოტის მიმართვის გარდა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი თანხებით მოვახდინოთ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ინვესტირება. ამგვარი გადაწყვეტილებები მიღებულია, არის შეიარაღების სახელმწიფო პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში მოხდება სამხედრო-საზღვაო გემების შეძენა, მომავალ წელს ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგმება“.

პრეზიდენტმა აღიარა, რომ კრიზისის გამო რუსეთში, ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ფინანსური შესაძლებლობები შემცირდა, მაგრამ რუსეთის ჯარსა და მის შეიარაღებას კრიზისი არ დაეტყობა. „ფინანსური კრიზისის გავლენა სამხედრო შემადგენლობაზე, შეიარაღებაზე მინიმალური იქნება. შეიარაღების შესყიდვის სახელმწიფო პროგრამის ყველა ძირითადი პოზიცია სტრატეგიული თუ სხვა შემადგენლობის მხრივ შენარჩუნებულია“, — განაცხადა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ შეიარაღებული ძალების ძირითადი გადაიარაღება 2011-2020 წლებზე მოდის. ძირითად პოზიციებზე გადაიარაღება 30-50%-ს შეადგენს, ზოგიერთი მიმართულებით კი — 85-90%-ს.



---

# შეიქმნება თუ არა კიდევ ერთი საგამოძიებო კომისია?

**საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატები“ ბოლო წლებში მომხდარი, გახმაურებული მკვლელობების დეტალების შესასწავლად სპეციალური საგამოძიებო კომისიის შექმნას მოითხოვს.**



როგორც პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ფრაქციის თავმჯდომარემ, გიორგი ახვლედიანმა განაცხადა, ასეთი კომისია იმიტომ უნდა შეიქმნას, რომ პასუხი გაეცეს საზოგადოებაში არსებულ კითხვებს, აღდგეს სამართლიანობა და დამნაშავეები დაისაჯონ.

მისივე თქმით, შესაბამისი თხოვნით ფრაქციას არასამთავრობო ორგანიზაციების საინიციატივო ჯგუფმა მიმართა. პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით ბაქრაძემ „ქრისტიან-დემოკრატებს“ აღნიშნული ინიციატივის გაფორმება კანონმდებლობით დადგენილი წესით ურჩია.

შეგახსენებთ, რომ ლაპარაკია სანდრო გირგვლიანის, ამირან რობაქიძის, ზურაბ ვაზაგაშვილისა და ვარდების რევოლუციიდან დღემდე მომხდარ სხვა გახმაურებულ მკვლელობებზე.

---

# სააკაშვილმა ცესკო ბოშათა ბანაკს დაამსგავსა

**პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი ხელისუფლებას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გაყალბების სამზადისში ადანაშაულებს.**

როგორც დეპუტატმა ბრიფინგზე განაცხადა, გასულ წლებში გამართულ არჩევნებში ცენტრალური საარჩევნო კომისია სხვადასხვა შენობაში იყო განთავსებული. დამდეგი არჩევნებისთვის კი ცესკო დიღმის ტერიტორიაზე საპატრულო პოლიციის კუთვნილ შენობაში არის გადატანილი.

„მიხეილ სააკაშვილმა ცესკო ბოშათა ბანაკს დაამსგავსა. თუ ხელისუფლებას ამ ტემპით სიარულს ვაცდით, ორ წელიწადში ის ხაშურსაც გასცდება, რიკოთის გვირაბს გაივლის და ცესკოს დასავლეთ საქართველოში გადაიტანს. ხელისუფლებას ვაფრთხილებ, რომ ცესკოს არა დიდ დიღომში, არამედ სააკაშვილის მშობლიურ ცხრუკვეთში გადატანის შემთხვევაშიც კი, აღშფოთებული ხალხი არჩევნების გაყალბებისთვის ხელისუფლებას პასუხს ყველგან მოსთხოვს. გეოგრაფიული სიშორე მას იმ პასუხისმგებლობას ვერ აარიდებს, რაც არჩევნების გაყალბებისთვის დაეკისრება“, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

საშინაო ამბები

# ქაბულის სამხედრო აეროპორტი დაცხრილეს

**ქაბულის სამხედრო აეროპორტი რაკეტებით დაცხრილეს. ამის შესახებ ინფორმაციას ავღანეთში მომსახურე ნატოს წარმომადგენლები ავრცელებენ.**

სამხედროების განცხადებით, ქაბულის საქალაქო აეროპორტის სამხედრო ნაწილში ორი რაკეტა ჩამოვარდა. ინციდენტის შედეგად არავინ დაზარალებულა. შეტევაზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არავის დაკისრებია.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლის აგვისტოში, ავღანეთის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში აეროპორტის ტერიტორიაზე რვა რაკეტა ჩამოაგდეს.

მაშინ ტერაქტზე პასუხისმგებლობა თალიბებმა აიღეს.



# ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში გაემგზავრნენ

**საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონის 173 სამხედრო მოსამსახურე ავღანეთში გაემგზავრა, სადაც ISAF-ის ოპერაციაში მიიღებს მონაწილეობას.**

ჯარისკაცთა გაცილების ცერემონია ვაზიანის სამხედრო ბაზაზე გაიმართა, რომელსაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელები დაესწრნენ.

ქართველი ჯარისკაცები ქაბულთან ახლოს განლაგდებიან და ფრანგულ სარდლობას დაემორჩილებიან. 700 ქართველი სამხედრო მოსამსახურე კი, რომლებიც ავღანეთში 2010 წლის თებერვალში გაემგზავრებიან, ამერიკული ძალების შემადგენლობაში იმოქმედებენ.



# ხელისუფლებამ ღირსეულ ადამიანებს პენსია შეუმცირა

**გავრცელებული აზრის მიუხედავად, საქართველოში პენსია კი არ გაიზარდა, არამედ შემცირდა. როგორც დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა — კახაბერ ძაგანიამ განაცხადა, ღირსეული ადამიანების პენსიის 10 ლარით შემცირების შესახებ გადაწყვეტილება პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა მიიღეს.**

მისივე თქმით, დამსახურებულ ადამიანებს პენსია კი არ უნდა შეუმცირდეს, უნდა მოემატოს. მთავრობამ კი პენსიების შემცირება, პენსიების მომატებად გააფორმა (10 ლარით შეუმცირეს პენსია და ხუთი ლარით მოუმატეს).

„მეორე მსოფლიო ომში მონაწილეებისთვის, მათი შვილებისა და ოჯახებისთვის განსაზღვრული იყო შესაბამისი პენსია.

მათ დანამატად 44 ლარი ეკუთვნოდათ. ჩერნობილის კატასტროფის მონაწილეებს, მათ ოჯახებს, აგრეთვე, ეკუთვნოდათ შესაბამისი დანამატები, მაგრამ ამ ადამიანებს 10 ლარით შეუმცირეს პენსია.

ლეიბორისტული პარტია ბოლომდე იბრძოლებს იმისთვის, რომ ამ ადამიანებს პირველ ეტაპზე აღუდგინონ ეს პენსიები, შემდგომ ეტაპზე — გაუზარდონ“, — განაცხადა კახაბერ ძაგანიამ.

ჯიმი ჯალიაშვილი:

# რაც უფრო ვუახლოვდებით ნატოს, მით უფრო ვკარგავთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს



**ნატო-საქართველოს საკითხზე გვესაუბრება პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯიმი ჯალიაშვილი.**

**— ბატონო ჯიმი, ის, რომ საქართველოს ნატოში გაწევრება ახლო მომავლის პერსპექტივა არ არის, ყველასთვის ცხადია და, მათ შორის, ხელისუფლების მესვეურთათვისაც, მაგრამ ბოლო დროს საქმეს ისეთი პირი უჩანს, ადრე თუ გვიან, ალბათ, მაინც არ აგვცდება ალიანსის წევრობა. თქვენი აზრით, რა პოლიტიკურ ფასად შეიძლება დაუჯდეს საქართველოს ამ სანუკვარი მიზნის მიღწევა, ანუ ხომ არ მოგვიწევს აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე საბოლოოდ უარის თქმა?**

— ადამიანთა და პოლიტიკოსთა ის წრე, რომელიც ნატოს არსობრივ საკითხს დეკლარაციულ დონეზეც კი არ აყენებს, დარწმუნებულია, რომ, რადგან ეს ამერიკის ინტერესებში შედის, ჩვენი ალიანსში გაწევრება უსათუოდ მოხდება. გასაგებია, რომ ამით მართლა დაინტერესებულია შეერთებული შტატები, მაგრამ გადამწყვეტი ის კი არ არის, გვაქვს თუ არა მხარდაჭერა, მთავარი და საკვანძო საკითხია, — კიდევაც რომ მიგვიღონ ალიანსში, ეს რას მოგვიტანს? რას შეცვლის კულტურული, ეკონომიკური, ფუნქციური თვალსაზრისით? ანუ იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, უფუნქციო ვიქნებით და ერთადერთი დანიშნულება, რაც შეიძლება გვქონდეს, პლაცდარმის დანიშნულებაა. თუ ჩვენ ამისთვის მზად ვართ, თუ ხელს ვიღებთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე, რა თქმა უნდა, ნატოს წევრობასთან უფრო ახლოს ვართ, მაგრამ მეორე საკითხია, რამდენად აიღებს ალიანსი თავის თავზე ჩვენი უსაფრთხოების დაცვას. ამერიკისა და ევროპის იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მხარს გვიჭერენ, ნათლად აქვთ გაცნობიერებული, რომ თუ ისინი „ნატოს“ გაფართოების პროცესს დააჩქარებენ, რუსეთთან კონფრონტაციას ვერ ასცდებიან. თავის მხრივ, რუსეთი ის სახელმწიფო აღარ არის, რაც იყო ათითხუთმეტი წლის წინათ, რაც, ასევე, კარგად ესმით დასავლეთში.

აქედან გამომდინარე, რაც უფრო ვუახლოვდებით ნატოს, მით უფრო ვკარგავთ ჩვენს ადგილს, ფუნქციას კავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეში, ვკარგავთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს და ეს პროცესი საბოლოოდ აუცილებლად მიგვიყვანს იმ მდგომარეობამდე, რომ რუსეთმა უარიც რომ თქვას ამ ორი კონფლიქტური რეგიონის მფარველობაზე, მათ თვითონ აღარ მოუნდებათ ჩვენთან დაბრუნება...

**— თუ ნატო არ იქნება ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის გარანტი, ქართული საზოგადოებისთვის სხვა რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს ალიანსის წევრობას? ხელისუფლების ინტერესი ისედაც გასაგებია — თუნდაც მთელი საქართველო რომ დაიკარგოს, სააკაშვილი ავლაბრის პრეზიდენტობაზეც თანახმა იქნება...**

— საქმეც ესაა. ჩვენმა ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, რომ ნატო ვერ იქნება ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის გარანტი, მაგრამ მათ, ასევე, ძალიან კარგად ესმით, რომ თუ ალიანსში მიგვიღებენ, მათი მდგომარეობა გაუმჯობესდება. ამიტომაც გვარწმუნებენ ასე დაჟინებით, საკმარისია ნატოში შევაბიჯოთ, ყველა პრობლემა მოგვეხსნებაო...

სინამდვილეში ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. ამით არათუ პრობლემებს ავიცილებთ, კიდევ უფრო სერიოზულ დაბრკოლებებს წავაწყდებით და, შესაბამისად, კიდევ რამდენიმე მიმართულებით წავაგებთ.

სამწუხაროა, რომ ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილი ამ ყველაფერს მიამიტურად უყურებს, ბევრს ჰგონია, რომ ნატო ეს არის რაღაც ჰუმანურ იდეებზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელიც თავს გაწირავს ჩვენს საკეთილდღეოდ; ყველაფერს გააკეთებს, რათა დაგვიბრუნოს „ძველი დიდება“ და აღადგინოს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა... ეს არ მოხდება, უპირველესად, იმიტომ, რომ ნატო ჩვენთვის არ არის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა...

**— ნატოს წესდების თანახმად, სანამ ესა თუ ის ქვეყანა ალიანსის წევრი გახდება, ტარდება გამოკითხვა — გსურთ თუ არა ნატოში შესვლა? თქვენი აზრით, დღეს რომ ასეთი გამოკითხვა ჩატარდეს, საქართველოს მოსახლეობის რა ნაწილი იქნება თანახმა?**

— ყოველ შემთხვევაში, საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს სწორად აფასებს, არ იქნება თანახმა, რომ ქვეყანა, რომელმაც ერთი წლის წინათ ომი გადაიტანა და დაკარგა ტერიტორიები, კიდევ ახალი საფრთხის წინაშე დადგეს. ეს საფრთხე ნატოა, რაზეც ზემოთ ვისაუბრე, მაგრამ, თუ ამერიკა და ევროპის წამყვანი სახელმწიფოები რუსეთთან შეთანხმებულად გადაწყვეტენ, რომ საქართველო ალიანსის წევრი გახდეს, ვფიქრობ, ჩვენი საზოგადოების პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება.

სხვა საკითხია, შეთანხმდებიან თუ არა ნატო და რუსეთი ამ საკითხზე, მაგრამ, თუ შეთანხმდებიან, მერე გინდა თანახმა იყავი და გინდა — წინააღმდეგი...

**— ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს, როცა ნატოში გაწევრების საკითხი დადგა დღის წესრიგში, ბატონი ალექსანდრე ჭაჭია, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ალიანსში შესვლას...**

— მაშინ ეს საკითხი ისეთი აქტუალური არ იყო, როგორც — დღეს, მაგრამ იყვნენ ადამიანები, იგივე ალექსანდრე ჭაჭია, ვისაც ნათლად ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რას ნიშნავდა და რა შედეგებამდე მიგვიყვანდა ალიანსში შესვლა.

**ბატონი ალექსანდრე მაშინაც აცხადებდა, რომ ალიანსში გაწევრების შემთხვევაში ჩვენი ტერიტორია გახდება ნატო-რუსეთის დაპირისპირების უშუალო არეალი, საცეცხლე წერტილი, სადაც ერთადერთი დაზარალებული ჩვენ ვიქნებით. ეს ნატოსთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, საქართველო მას სწორედ ამისთვის სჭირდება, მაგრამ ჩვენთვის ეს იქნება ტრაგედია, დასასრული, რომელთანაც დღესდღეობით ძალიან ახლოს ვართ...**

დღევანდელი ოპოზიცია კი არის უფერული, უსუსური რაღაც მასა, რომელსაც არ შესწევს ძალა და უნარი, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე რამე გავლენა მოახდინოს. უფრო მეტიც, ოპოზიციად წოდებული ძალები და ხელისუფლება აბსოლუტურად ერთი და იგი პარტიაა, განსხვავება მხოლოდ სახელწოდებებშია. ამდენად, სავსებით ბუნებრივია, რომ მათი პოზიცია ამ ერთ კონკრეტულ საკითხზე (ნატოს ვგულისხმობ) ერთმანეთს ემთხვევა.

როცა საქმე დაპირისპირებამდე მიდის, ანუ როცა ეწყობა აქციები, ხალხმრავალი მიტინგები, არც ხელისუფლების და არც ოპოზიციის გეგმის ნაწილია. ეს ამ ორი მხარის (განსაკუთრებით ოპოზიციის) პიროვნული ინტერესებით განპირობებული ქმედება უფროა.

**— ჩვენი ხელისუფლების მესვეურები ხშირად აცხადებენ, რომ ნატოში შესვლის უმთავრესი მიზანი საქართველოს სუვერენიტეტის ხელშეუხებლობაა. რამდენად შეიძლება სუვერენულად ჩაითვალოს ის სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც უცხო ქვეყნის ჯარები დგას? ამ შემთხვევაში ნატოს ჯარებს ვგულისხმობ, რომლის მასპინძლობაც აუცილებლად მოგვიწევს, თუ ალიანსში შევალთ.**

— ნატო არის სამხედრო კავშირი, სადაც ქვეყნები ერთიანდებიან იმისთვის, რომ მათი უსაფრთხოება დაცული იყოს. სახელმწიფო, რომელსაც საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა თავისი ძალებით, გონიერი პოლიტიკითა თუ რამე სხვა საშუალებებით არ შეუძლია, ვერ იქნება სუვერენული, მით უმეტეს თუ ეს სახელმწიფო ტერიტორიების ერთ მესამედს ვერ აკონტროლებს. საქართველო, როგორც სუვერენული ქვეყანა, ფაქტობრივად არ არსებობს. ამდენად, ნატოში შესვლა-არშესვლით ამ მხრივ ბევრი არაფერი იცვლება. აქ ლაპარაკია უფრო მნიშვნელოვან საკითხზე — საფრთხეზე, რაც, ალიანსში გაწევრების შემთხვევაში, შეიძლება დაგვემუქროს რუსეთისგან და არა მხოლოდ რუსეთისგან...

**— რა შემთხვევაში შეიძლება რუსეთმა ხელი არ შეუშალოს საქართველოს შესვლას ნატოში? იქნება თუ არა ამისთვის საკმარისი კონფლიქტურ რეგიონებზე ჩვენი მხრიდან უარის თქმა, რისი ალბათობაც საკმაოდ დიდია?**

— ვაღიარებთ თუ არა ჩვენ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, ეს რუსეთისთვის აბსოლუტურად უმნიშვნელო საკითხია, ამიტომ ეს არ გამოდგება იმ ბერკეტად, რითაც კრემლი შეიძლება მოლბეს და ხელი არ შეუშალოს ნატოს შემოსვლას კავკასიაში. პირიქით, რაც უფრო დამთმობი და ლოიალური იქნება დასავლეთი, მით უფრო პრინციპული იქნება რუსეთი ამ სივრცეში, ვინაიდან ეს მისი გეპოლიტიკური არეალია და აქ რამე დათმობაზე წასვლა მისთვის დამარცხების ტოლფასია.

„თეთრი სახლის“ წარმომადგენელთა განცხადებები, რომ საქართველო მაინც შევა ნატოში, ფუჭი სიტყვებია, მათ ძალიან კარგად იციან, რომ ეს არ მოხდება. ყველაზე სამწუხარო და ცუდი კი ის არის, რომ ჩვენი ხელისუფლების მესვეურთათვის ეს განცხადებებიც საკმარისია რუსეთის მიმართ აგრესიული რიტორიკის გასაგრძელებლად, რითაც, არც მეტი არც ნაკლები, ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს პირდაპირ ომში ვიწვევთ...

ესაუბრა **ჟაბა ჟვანია**

# ხელისუფლება უკვე გარდაცვლილი ადამიანების ჯიბეებში აფათურებს ხელს

## კახა ბახტაძე: მამას დაუმარხავს ხომ არ დავტოვებდი?!

**ოპოზიციის განცხადებით, ხელისუფლება მიცვალებულების ხარჯზე გამდიდრებაზეც არ ამბობს უარს. მსგავსი განცხადებები ამას წინათ სასაფლაოების დაბეგვრის თაობაზე თბილისის მერიის ინიციატივამ გამოიწვია. მაშინ შპს „ჰერმესის“ წარმომადგენლებმა ამას „ლეიბორისტული ფანტაზიის“ ნაყოფი უწოდეს. „საქართველო და მსოფლიო“ ერთ ისეთ ფაქტს გადააწყდა, რომელიც ცხადყოფს, რომ ამ სფეროში ბევრი რამ მოუწესრიგებელია. თბილისელმა კახა ბახტაძემ ჩვენთან საუბრისას დაადასტურა, რომ 1995 წელს კუკიის სასაფლაოზე ნაყიდი ოთხადგილიანი სამარხი, 2009 წელს ხელახლა შეისყიდა.**

**კახა ბახტაძე:**
„1995 წელს 2 წლის შვილი დამეღუპა. კუკიის სასაფლაოზე, სადაც ჩემი პაპა და ბებია არიან დაკრძალული, იმ ადგილის წინ ოთხადგილიანი სასაფლაო ყველა წესის დაცვით შევიძინეთ, მაგრამ მოძღვარმა გვირჩია, რომ ბავშვი ახალ ადგილას კი არა, დიდი ბებიის გულზე დაგვესაფლავებინა. ასეც მოვიქეცით. ფაქტობრივად, ის ოთხადგილიანი საფლავი არ გამოგვიყენებია, თუმცა შემოვღობეთ, გავაკეთეთ მაგიდა. ის ჩვენი ოჯახის საკუთრება იყო და ამის დამადასტურებელი დოკუმენტიც მქონდა.

2009 წლის 9 ოქტომბერს გარდამეცვალა მამა. ავედი სასაფლაოზე, რომ მომეგვარებინა ტექნიკური საკითხები, სამარხის გაჭრა და ა.შ. და უცნაურ სიტუაციაში აღმოვჩნდი. კუკიის სასაფლაოს დირექტორის — ბადრი ღამბაშიძის განცხადებით, ეს ადგილი ჩვენს ოჯახს თურმე „ეკუთვნოდა, მაგრამ არც ეკუთვნოდა“ **(2008 წელს მიღებული საკრებულოს დადგენილებით, სასაფლაოები, სადაც არ იყო მიცვალებული დაკრძალული, მერიის საკუთრებაში გადავიდა. სწორედ ამ მიზეზით, კახა ბახტაძე იძულებული გახდა ტერიტორია ხელახლა შეესყიდა).**

„ისედაც განერვიულებული ვიყავი მამის გარდაცვალებით და ამ ამბავმა საშინლად გამაღიზიანა. სასაფლაოს დირექტორს ვუთხარი: „არ მინდა თქვენი მომსახურე პერსონალი, ჩემს მეგობრებს მოვიყვან საფლავის გასათხრელად“. პასუხად მივიღე, რომ, თუ მსგავსი რამ მოხდებოდა, პატრულს გამოიძახებდა.

„ჰერმესის“ დირექტორს გიორგი საგინაშვილს ვთხოვე, იქნებ რამე შეღავათი გაეწია. შეღავათის ნაცვლად ასეთი რჩევა მივიღე — თუ მოვარღვევდი „ცოკოლს“ და ორადგილიან სასაფლაოს დავტოვებდი, **მხოლოდ 107 ლარი მექნებოდა გადასახდელი; რადგან, საკრებულოს დებულებით, ორადგილიანი სამარხი უფასოდ ეკუთვნის მოქალაქეებს, ხოლო თითოეულ დამატებით ადგილზე ხუთასი ლარის გადახდა უწევთ, ამიტომ მე** იძულებული გავხდი, **ათასი ლარი გადამეხადა.**

**ნანა ლაღაძიშვილი**

**P.S.** „აღსანიშნავია, რომ კახა ბახტაძის მამა ერთი წლის წინათ (ვიდრე ახალი დადგენილებას მიიღებდნენ) რომ გარდაცვლილიყო, მსგავსი პრობლემის წინაშე არ აღმოჩნდებოდნენ. ეს შპს „ჰერმესშიც“ დაუდასტურეს. ბატონმა კახამ 1995 წელს აღებული საკუთრების მოწმობაც წარმოგვიდგინა, რომელზეც „ჰერმესში“ განუცხადეს, რომ შესაძლოა, ეს დოკუმენტი ყალბი იყოსო. არადა, ეს ოფიციალური დოკუმენტია თავისი ნომრით.

**„ეს არის მოქალაქეების რეკეტი სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან. სხვა რა უნდა ვუწოდო იმას, როდესაც ადამიანი თავის საკუთრებას ხელახლა ყიდულობს“.**

აღნიშნული ფაქტით დაინტერესდა პოლიტიკური ორგანიზაცია „სამართლიანი საქართველოსთვის“.

როგორც თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ირაკლი გელაშვილმა „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბრისას აღნიშნა, მათ მოამზადეს სარჩელი და უახლოეს ხანში სასამართლოს მიმართავენ.

# გურჯაანში პატრულმა სტუდენტი ცემა

**დღემდე ხელისუფლების მთავარ წარმატებად პროექტი „პატრული“ ითვლება. არავინ უარყოფს, რომ მას შემდეგ, პატრულის „წყალობით“ მნიშვნელოვნად იკლო ყაჩაღობისა თუ ქურდობის ფაქტებმა, თუმცა, ისიც ცხადია, რომ არცთუ იშვიათად კრიმინალების ფუნქციას სამართალდამცავები ითავსებენ. ქვეყნის უახლეს ისტორიაში გვაქვს ფაქტები, როდესაც სამართალდამცავთა უფლებამოსილების გადაჭარბებას მოქალაქეთა სიცოცხლე შეეწირა, რაც მათთვის გადამეტებული უფლებების მინიჭების ბრალია.**




## «ჯერ წიხლები ურტყეს, შემდეგ კი «ნივის» მარკის მანქანაში შეაგდეს და სადღაც წაიყვანეს»

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი სააკაშვილი პარლამენტში სიტყვით გამოვიდა და სამართალდამცავებს ნულოვანი ტოლერანტობისკენ მოუწოდა, პატრული ქვეყნის მეთაურის „დარიგებისამებრ“ ამოქმედდა. ყველას ახსოვს, როგორ მოკლა ქუთაისში პატრულის ორმა თანამშრომელმა ახალგაზრდა ბიჭი, შემდეგ კი 2 ათასი ლარის სანაცვლოდ როგორ გაათავისუფლეს დამნაშავე „სიმართლის დამცველები“. ვაზაგაშვილის, რობაქიძისა და გირგვლიანის საქმეებს აღარ გავიხსენებ.

მოქალაქეთა მიმართ სამართალდამცავთა არაადამიანური მოპყრობის ფაქტები მრავლადაა ინტერნეტსაიტ facebook-ზე. რამდენიმე დღის წინ თავისუფლების ინსტიტუტის „ლედიმ“, თეა თუთბერიძემ ატვირთა ვიდეო, სადაც ნათლად ჩანს, როგორ ურტყამს წიხლებს პატრულის რამდენიმე თანამშრომელი მეტროში მოწყალების მთხოვნელს — ჯერ ქუდი გადაუგდეს, რომელშიც ფულს აგროვებდა მოხუცი მამაკაცი, შემდეგ კი წიხლებით ცდილობდნენ მის გარეთ გაგდებას. ხელის მოკიდებაც კი არ იკადრეს. თეა თუთბერიძემ ვიდეოს ავტორს facebook-ის საშუალებით განუცხადა, რომ მან ეს ვიდეომასალა ვანო მერაბიშვილს გადაუგზავნა და დაელოდებოდა რეაგირებას. მაგრამ ჩატარდა თუ არ ამ ფაქტთან დაკავშირებით თუნდაც ფორმალური გამოძიება, უცნობია.

ახლახან კი შს გურჯაანის სამმართველოსა და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა გურჯაანში, ქართულ-უკრაინული უნივერსიტეტის ადგილობრივი ფილიალის შენობის ეზოში ახალგაზრდა, ცემეს.

**თვითმხილველები აცხადებენ, რომ ქუჩაში მომავალ ახალგაზრდას სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი სამართალდამცავები ცემდნენ. თვითმხილველები ამბობენ, რომ ისინი აიძულებდნენ სტუდენტს, მათ გაჰყოლოდა. ახალგაზრდამ მათ ახსნა-განმარტება მოსთხოვა, თუ რას ერჩოდნენ. პოლიციის თანამშრომლებმა კი იგი სამმართველოს კუთვნილ ნივაში შეაგდეს და წავიდნენ. ბიჭი სულ დასისხლიანებული იყო“.**

**საქართველოს კანონში პოლიციის შესახებ, პირველი თავის მეორე პუნქტში შავით თეთრზე წერია, რომ პოლიცია თავის ფუნქციების განხორციელებისას წარმოადგენს სახელმწიფოს.**

სამართალდამცავთა ასეთ ქმედებებს თუ კანონის ამ პუნქტს დავუმატებთ, უსათუოდ შეგაშინებთ იმის გააზრება, თუ როგორ სახელმწიფოში ვცხოვრობთ. დაზარალებული სტუდენტის ვინაობას ამ დრომდე არ ასახელებენ.

„ნივის“ მარკის მანქანა კი, რომელშიც ახალგაზრდა შეაგდეს და წაიყვანეს, გურჯაანის პოლიციის შენობის ეზოშია გაჩერებული.

მომხდართან დაკავშირებით შს გურჯაანის სამმართველოში კომენტარს არ აკეთებენ. შეგახსენებთ, „საქართველო და მსოფლიოს“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა მასალა, რომელშიც მხილებული იყო გურჯაანის მთავარი პროკურორი — **გიორგი ქოქიაშვილი**, რომელმაც ავტოავარიის შედეგად 50 წლის ქალბატონის სიცოცხლე იმსხვერპლა. ეს პიროვნება, სავარაუდოდ, ჩვენი პუბლიკაციის შედეგად დაკავებული თანამდებობებიდან გაუშვეს. ჩინოვნიკი კანონის შესაბამისად ვალდებულია, თავისი საქმიანობის შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. მაგრამ არათუ აწვდიან ინფორმაციას, კომენტარსაც კი არ აკეთებენ. თუმცა კომენტარი აღარ არის საჭირო. ფაქტია, რომ სამართალდამცავთა არაკანონიერი ქმედებები გახშირდა. ეს ქმედებები ხშირად მსხვერპლითაც სრულდება, მაგრამ პასუხი კანონდარღვევაზე მათთვის, ვინც პირველი უნდა იცავდეს კანონს, არავის მოუთხოვია.

**შორენა გოგოლაძე**

# იაპონია რუსეთთან ახალ ურთიერთობებს ამყარებს

**იაპონიის პრემიერ-მინისტრი იუკიო ჰატოიამა სინგაპურში რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს შეხვდა და განუცხადა, რომ მოსკოვთან ურთიერთობებს ტოკიოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. მან მადლობა გადაუხადა რუსეთის პრეზიდენტს ამ შეხვედრისათვის და აღნიშნა, რომ რუსეთთან ახალი ურთიერთობების დამყარებისათვის, შესაძლებლობების ფარგლებში, ყველაფერს გააკეთებს.**

თავის მხრივ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა აღნიშნა: „საუბარმა დაამტკიცა, რომ იაპონიის ახალი ხელმძღვანელობა რუსეთთან სტრატეგიული ურთიერთობების განვითარებისკენაა მომართული“.

რუსეთის პრეზიდენტი და იაპონიის პრემიერი მშვიდობიანი ხელშეკრულების დადებაზე შეთანხმდნენ.

განიხილებოდა ეგრეთ წოდებული ტერიტორიული პრობლემაც, მაგრამ იაპონიის პრემიერმა ყველა მიმართულებით პარალელური სვლის იდეა წამოაყენა და რუსეთის მხარემ ეს იდეა მოიწონა. ლავროვმა საზოგადოებას შეახსენა, რომ ამგვარი პოზიცია მოწონებულ იქნა 2003 წელსაც, როდესაც რუსეთ-იაპონიის მოქმედების გეგმა მტკიცდებოდა. იაპონია 1855 წლის ვაჭრობისა და საზღვრების თაობაზე ორმხრივი ტრაქტატის შესაბამისად სამხრეთ კურილიის ოთხ კუნძულზე აცხადებს პრეტენზიას. რუსეთის პოზიციის მიხედვით კი აღნიშნული კუნძულები საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა, მისი სამართალმემკვიდრე კი რუსეთია.

# იტალიაში „კოზა ნოსტრას“ ერთ-ერთი ლიდერი დააკავეს

**იტალიის პოლიციამ მაფიოზური დაჯგუფების „კოზა ნოსტრა“ ერთ-ერთი ლიდერი დომენიკო რაკულია დააკავა.**



დაკავების მომენტში დამნაშავე აივნიდან გაქცევას აპირებდა, მაგრამ არ გამოუვიდა. იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრ რობერტო მარონის განცხადებით, დაკავებული, მეტსახელად „ვეტერინარი“, სიცილიურ მაფიაში მეორე ადამიანი იყო და დაუსწრებლად სამჯერ მიესაჯა სამუდამო პატიმრობა, მათ შორის ერთხელ 13 წლის ჯუზეპე დი მატეოს გატაცებისა და მკვლელობისთვის. ამავე დროს ის ითვლებოდა პალერმოში მაფიის მეთაურობის მთავარ კანდიდატად.

რაკულია 15 წლის მანძილზე გაურბოდა პოლიციას. მთელი ამ დროის განმავლობაში სახლს, რომელშიც მისი ოჯახი ცხოვრობს, განუწყვეტლივ უთვალთვალებდნენ. მიუხედავად ამისა, მაფიოზმა მოახერხა, ახლახან მეორე შვილი შესძენოდა. ვარაუდობენ, მისი დაკავების შემდეგ მაფიის რიგებში რეორგანიზაციაა მოსალოდნელი. ნოემბერში იტალიის პოლიციამ მაფიის 3600-ზე მეტი წევრი დააკავა, მათგან 15 ყველაზე საშიშ კატეგორიას განეკუთვნებიან.

# დეკემბერში პირველ Superjet 100-ს გამოცდიან

**2009 წლის დეკემბრის ბოლოსთვის პირველი სერიული თვითმფრინავის Sukhoi Superjet 100-ის გამოცდა იგეგმება. სამგზავრო ლაინერი 98 მგზავრის 4,4 ათას კილომეტრზე გადაყვანისთვისაა გათვლილი და ამჟამად ამ პროექტის რეალიზაციაში 30-ზე მეტი საერთაშორისო კომპანია მონაწილეობს.**

Superjet 100-თვის ძრავი ერთობლივად შექმნეს რუსეთის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „სატურნმა“ და ფრანგულმა კომპანია „Snecma“-მ. მათი წარმოებაც „სატურნში“ განხორციელდება.

Superjet 100-ის პირველი თვითმფრინავი ფართო საზოგადოებას 2007 წლის 26 სექტემბერს წარუდგინეს. მისი პრეზენტაციის შემდეგ მწარმოებლებმა 122 შეკვეთა მიიღეს.



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# პასუხი, პასუხი,

## ჩაითვლება თუ არა საქართველო სუვერენულ სახელმწიფოდ, თუკი მის ტერიტორიაზე ნატოს ან ნებისმიერი ქვეყნის ჯარები განთავსდება?



**დავით პაიჭაძე, ჟურნალისტი:**
— ნატოს ჯარებზე ჩავთვლი, რომ სუვერენიტეტი არ შეილახება, ნებისმიერ სხვა ქვეყანას რაც შეეხება, რუსეთის ჯარები არის განლაგებული ჩვენს ტერიტორიაზე და ქვეყნის სუვერენიტეტი შელახულია.



**ხათუნა ოჩიაური, პარლამენტარი:**
— იმ ქვეყნებს, სადაც ნატოს ჯარები დგანან, არ მგონია, რომ სუვერენიტეტი ელახებოდეთ. ბევრია ასეთი ქვეყანა, რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, თუ ამქვეყნებში რუსეთის ჯარი მოიაზრება, არც ერთი ის ქვეყანა, სადაც დღეს რუსეთის ჯარი დგას, სუვერენული არ არის. ნატოს ჯარები არც ერთი ქვეყნის სუვერენიტეტს არ უქმნის საფრთხეს.

**ირაკლი მელიქიძე, მოქალაქე:**
— სუვერენულია ქვეყანა, როდესაც მის პოლიტიკურ საქმიანობაში ვერავინ ერევა და სხვისი ჯარების შემოყვანა ქვეყნის ტერიტორიაზე, უკვე ნიშნავს, რომ პრობლემები გაქვს სუვერენიტეტთან დაკავშირებით.

## ვინ უნდა ჩაანაცვლოს მიხეილ სააკაშვილი, რომ ქვეყანა ჩიხიდან გამოვიდეს?



**ნესტან კირთაძე, ლეიბორისტული პარტიის საერთაშორისო მდივანი:**
— მე საკითხს ასე არ დავაყენებდი. პრობლემა პიროვნებაში არ არის. ახლა XXI საუკუნის 10-იანი წლებია, მსოფლიოში გეოპოლიტიკა სრულიად შეიცვალა. საუბარი არაა პერსონების ჩანაცვლებაზე, უნდა მოხდეს საგარეო, საშინაო ალტერნატიული პოლიტიკის ჩანაცვლება, ალნეტრნატიული პოლიტიკა გვჭირდება სეპარატისტულ რეგიონებთანაც.



**რამაზ საყვარელიძე, პოლიტოლოგი:**
— ბევრ სხვა ქვეყნის ლიდერს აგრესია სააკაშვილის პერსონის მიმართ აქვს და, თუ ამ ასპექტში შევხედავთ ჩიხიდან გამოსავალს, ვინც არ უნდა მოვიდეს, ეს პრობლემა, ამ მხრივ, მოიხსნება.

**ნიკა გირკელიძე, მოქალაქე:**
— ჯერჯერობით ვერ ვხედავ მასეთ კადრს, ოპტიმალური მაინც, ჩემი აზრით, ოლიგარქი იქნება, ორიენტირებული არ იქნება ფულის კეთებაზე და იმიტომ.

## დაგარწმუნათ გიორგი თარგამაძის პანკისში ვიზიტმა, რომ იქ ტერორისტები აღარ არიან?



**გია გაჩეჩილაძე, „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი:**
— გიორგი თარგამაძე ვინაა, რომ მის საქმიანობაზე კომენტარები ვაკეთო?



**გიორგი გუგავა, ლეიბორისტული პარტიის წევრი:**
— მე ისეც მჯერა, რომ იქ ტერორისტები არ არიან. როდესაც ჩადიხარ, ჟურნალისტებთან და დიპკორპუსთან ერთად პანკიში, იქ „ბირჟაზე“ შაჰიდი ქალები, ავტომატგადაკიდებულები, რასაკვირველია, არავის დახვდებოდნენ. ასე არ ხდება ამ ინფორმაციების გადამოწმება.

**თეა დოლიძე, მოქალაქე:**
— ეგ გიორგი თარგამაძე ოპოზიცია სულაც არ არის და მან სწორედ ხელისუფლებია პოზიცია გაახმოვანა, ასე რომ, რასაც ლაპარაკობს, სულაც არ მჯერა.

## უნდა მოეთხოვა თუ არა პარლამენტში შესვლის სანაცვლოდ კოკო გამსახურდიას გირგვლიანის საქმის ობიექტური გამოძიების კომისიის შექმნა?



**ბაჩუკი ქარდავა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი:**
— პოლიტიკაში ყველაფერი თანმიმდევრულად უნდა გააკეთო. არ ვიცი, რა უნდა მოეთხოვა გამსახურდიას და რა — არა. ყველაფერი გონივრულად და ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გაკეთდეს, თუნდაც ეს გირგვლიანის მკვლელობის გამოძიება იყოს.



**აკაკი ასათიანი, ტრადიციონალისტთა პარტიის ლიდერი:**
— ეს, ალბათ, თავად გამსახურდიას უნდა ჰკითხოთ, თუმცა ამ საკითხის მოგვარება მასზეც არ იყო დამოკიდებული.

**როლანდ მინდაძე, მოქლაქე:**
— აუცილებლად. მაგას ყვიროდა პალამენტში შესვლამდე და, ეგ თუ არ უნდა მოეთხოვა, აბა, რაღა უნდა მოეთხოვა.

## გაამართლა თუ არა 2008 წლის აგვისტოში ქართული ჯარის მოქმედებამ თავდაცვის სამინისტროზე მოქალაქეთა გადასახადებიდან გაწეული ხარჯები?



**მამუკა არეშიძე, ექსპერტი კავკასიის საკითხებში:**
— რა თქმა უნდა, არ გაამართლა. თანხის ხარჯვა, ყოველთვის შედეგზეა ორიენტირებული ჩვენ კი მივიღეთ დაკარგული ტერიოტორიები, მსხვერპლი და მარცხი. მარცხს, შეიძლება ჰქონოდა საპატიო მარცხის სახე, თუმცა ჯარისკაცები აქ არაფერ შუაში არიან.



**დავით ზურაბიშვილი, რესპუბლიკური პარტიის წევრი:**
— ამ კითხვას არც უნდა სვამდეთ. არ გაამართლა, რასაკვირველია. უზარმაზარი თანხები დაიხარჯა თავდაცვაზე, გასაიდუმლოებულიც კი იყო ბიუჯეტი, მაგრამ შედეგი გამოჩნდა ომში.

**დავით ქურდაძე, მოქალაქე:**
— თავისთავად ვერ გაამართლა, ომი წავაგეთ. მსხვერპლი რომ არ ყოფილიყო, კიდევ ვიტყოდი, რომ გაამართლა-მეთქი.

## ვინ მართავს რეალურად საქართველოს — მიხეილ სააკაშვილი თუ ვანო მერაბიშვილი?



**ეკა ბესელია, პარტია „ერთიანი საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი:**
— ვანო მერაბიშვილი, რომელსაც აქვს მთავარი ბერკეტები მართვის, თუმცა მარტო ისიც ვერ იღებს გადაწყვეტილებებს, მიხეილ სააკაშვილთან ერთად, პლიუს ადეიშვილი და ბოკერია კიდევ — ესენი მართავენ საქართველოს. ასეა თუ ისე, ცხადია, რომ სააკაშვილი დამოუკიდებლად არათუ ქვეყანას, საკუთარ ქცევასაც ველარ მართავს.



**ლუბა ელიაშვილი, ჟურნალისტი:**
— ორივე ერთად მართავს.

**მაშო გელაშვილი, მოქალაქე:**
— ჩემი აზრით, ვანო მერაბიშვილი. მას რუხ მგელსაც ვუწოდებდი, მთელი ძალაუფლება მის ხელშია, ნაკლებადაც ჩანს, ჭკვიანია და იმიტომ. ეგ რომ არ ყოფილიყო, სააკაშვილი 2007 წლის ნოემბერსაც ვერ გადაიტანდა.

## უკომენტაროდ

**სოლომონ დოდაშვილი:**
**ადამიანს ისე არაფერი ამძიმებს, როგორც ცარიელი თავი.**

**მიხეილ სააკაშვილი:**
**ჩვენ სტაფილოების პოლიტიკიდან სერიოზულ პოლიტიკაზე გადავდივართ.**

**ოტია იოსელიანი:**
**დედისთვის ყვავის ბახალაც შვილია და არწივის მართვეც, მაგრამ ქვეყნისთვისაა სხვადასხვა.**

**მიხეილ სააკაშვილი:**
**ვამაყობ იმით, რომ ბაკურ კვეზერელი ყველაზე ახალგაზრდა მინისტრია.**

**სტალინი:**
**ადამიანი თავის ძალაუფლებას ავრცელებს იმ რადიუსით, სადამდეც მისი ჯარი გაწვდება.**

**მიხეილ სააკაშვილი:**
**თითქმის 200 ათასი ქართული ცხვარი გასულია სპარსეთის ყურის ქვეყნებში.**

---

საშინაო ამბები

# ქართულ პოლიტიკას ტელევიზია მართავს

**ცნობილი თურქულენოვანი გამოცემა Hurriyet-ის ცნობით, ქართულ მედიას კავკასიაში ყველაზე მეტად ენდობიან. ამის დასამტკიცებლად გაზეთს საერთაშორისო დამკვირვებლების მოსაზრება მოჰყავს, რომლებიც ამბობენ, რომ საქართველოს კავკასიაში სიტყვის თავისუფლების დაცვასთან დაკავშირებით ყველაზე კარგი კანონმდებლობა აქვს. „მიუხედავად ეკონომიკური სირთულეებისა, პრესა თავისუფალია, მაგრამ, დამკვირვებლების აზრით, მედიის პოლარიზაცია დიდი შეშფოთების საბაბს იძლევა, რაც უნდა გადაიხედოს“, – იუწყება Hurriyet-ი.**

გაზეთის ცნობით, ქართულ მედიას უფრო ენდობიან, ვიდრე კავკასიის მეზობელი ქვეყნებისას. ქართველების 47 პროცენტი ნაწილობრივ ან მთლიანად ენდობა მედიას, მაშინ, როდესაც აზერბაიჯანში მედიას ენდობა მხოლოდ გამოკითხულთა 43 პროცენტი, ხოლო სომხეთში – 39 პროცენტი.

გაზეთი გასულ კვირას ევროკავშირის დაფინანსებით თბილისში ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევასაც ეხმაურება და ამბობს, რომ ქართულ პოლიტიკას ტელევიზია მართავს.

# პოლონელი მაღალჩინოსანი საქართველოში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით პროკურატურაში დაიბარეს

**პოლონეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი პეტრ კოვნაცკი საქართველოში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით პროკურატურაში დაიბარეს. ადგილობრივი წყაროების ცნობით, პროკურატურა მიიჩნევს, რომ სწორედ კოვნაცკიმ გაავრცელა საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც 2008 წლის 23 ნოემბერს ახალგორის რაიონში საქართველოსა და პოლონეთის პრეზიდენტების კორტეჟის დაცხრილვას ეხებოდა.**



ახალგორის ინციდენტში ქართულმა მხარემ რუსეთი დაადანაშაულა.

მოგვიანებით, გაზეთ „Zenik“-მა გამოაქვეყნა პოლონეთის შიდა უსაფრთხოების სააგენტოს რაპორტი, რომლის მიხედვითაც, ინციდენტი ქართული მხარის პროვოკაცია იყო.

ამას ის ადასტურებდა, რომ სროლის მომენტში საქართველოს პრეზიდენტის დაცვას რეაგირება არ მოუხდენია, მიხეილ სააკაშვილი კი იღიმებოდა.

# რეგიონული მედიის ასოციაცია ჟურნალისტთა უფლებების დარღვევის მონაცემთა ბაზას ქმნის

**საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია ჟურნალისტთა უფლებების დარღვევის მონაცემთა ბაზას ქმნის. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრის ასოციაციის თავმჯდომარემ ია მამალაძემ განაცხადა, მონაცემთა ბაზაში საქართველოს მასშტაბით 2006 წლიდან დღემდე ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული ზეწოლის, მუქარის, შეურაცხყოფისა და პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტები შევა.**

შესაბამისი ინფორმაციების მისაწოდებლად რეგიონული მედიის ასოციაციამ დახმარებისთვის საქართველოს რეგიონებში მომუშავე უფლებადაცვით ორგანიზაციებსაც მიმართა. ასოციაცია აღნიშნული ფაქტების შესახებ ინფორმაციას კონკრეტული თარიღის, მედიასაშუალების, ჟურნალისტის, ასევე ზემოქმედებაში ბრალეული ან ეჭვმიტანილი მხარის მითითებით ითხოვს.

„ჩვენ გვაინტერესებს, ასევე, თუ რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვა თითოეულ შემთხვევას“, — აღნიშნავს მამალაძე.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პასუხი ჩქარა...

### არის თუ არა „ნატოში“ შესვლა საქართველოს ხსნის ერთადერთი გამოსავალი, როგორც ამას ხელისუფლება ამტკიცებს?



**სვიმონ მასხარაშვილი, ისტორიკოსი:**
— ნატოსთან და ამერიკასთან პარტნიორობა — ეს არის საქართველოს ხსნის ერთადერთი გზა. ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ამერიკასთან პარტნიორობა უალტერნატივოა.



**შალვა ოგბაიძე, „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ წევრი:**
— ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი. ნატო პანაცეა არ არის. მის გარეშე ძალიან კარგად ყოფილა საქართველო საუკუნეების განმავლობაში. ნატოს წევრ ქვეყნებს თავად აქვთ ახლა პრობლემები.

**ია მაისურაძე, მოქალაქე:**
— არ მგონია, იმიტომ რომ, საქართველოში თუკი სხვა ქვეყნის ჯარები შემოვლენ, უფრო მეტი პრობლემები შეგვექმნება. თანაც, ჯერჯერობით, ნატოსთან დაახლოების გამო პრობლემები უფრო მეტი გვაქვს, ვიდრე — ხეირი.

### ეთანხმებით თუ არა ნატოში შესვლის სანაცვლოდ, აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე უარის თქმას და ალიანსის წევრობისთვის ამ პოლიტიკური ფასის გადახდას?



**გურანდა გაბუნია, მსახიობი:**
— არაფერში მჭირდება „ნატო“, თუკი აფხაზეთსა და ოსეთს დავკარგავთ, საერთოდ არაფერში. მაშინ მჭირდება ნატო, თუ ის აფხაზეთსა და ოსეთს დამიბრუნებს.



**დავით ბერძენიშვილი, „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი:**
— არ არსებობს ასეთი ალტერნატივა. ჩვენ არავინ დაგვიბრუნებს აფხაზეთსა და ოსეთს, თუ ვიტყვით „ნატოზე“ უარს. ეს არ არის რელევანტური კითხვა.

**ზურაბ იაგანაშვილი, მოქალაქე:**
— რაღად მინდა „ნატოში“ ყოფნა, თუ აფხაზეთი და ოსეთი დავკარგე. იმიტომ მინდა მანდ შესვლა, რომ დაკარგული ტერიტორიები დაიბრუნოს ქვეყანამ. ახლა კი, ყველაფერი პირიქითაა — ნატოს რომ არ ვეთამაშებოდეთ, შარშანდელი აგვისტო არ მოხდებოდა.

### საქართველო დემოკრატიის შუქურაა თუ ავტორიტარული სახელმწიფო?



**ირინა სარიშვილი, პოლიტიკური მოძრაობა „იმედი“:**
— საქართველო, დიდი ხანია, არაფრის შუქურა არ არის, საქართველო სახელმწიფოც არ არის. გამომდინარე აქედან, ის არც ავტორიტარულია და არც — დემოკრატიული.



**ირაკლი ბათიაშვილი, რესპუბლიკური პარტიის წევრი:**
— არავისთვისაა საიდუმლო, რომ საქართველო ამჟამად ავტორიტარული სახელმწიფოა. სამწუხაროდ, ეს ყველამ უნდა ვაღიაროთ.

**მეგი მაისურაძე, მოქალაქე:**
— დემოკრატია რომ არ არის ქვეყანაში, ფაქტია, სიტყვის თავისუფლება არაა და ერთი კაცის პრეტენზიებზე წყდება ქვეყნის ბედი. ამ ერთ კაცს შეეწირნენ არა მარტო ის ადამიანები, ვინც ქუჩაში დახვრიტეს და შარშან დაიღუპნენ, არამედ ის ტერიტორიებიც, რომლებიც ამ ერთი კაცის ხუშტურმა დაგვაკარგვინა.

### როგორ შეაფასებთ ეროსი კიწმარიშვილის „მაესტროს“ ხელმძღვანელად დანიშვნას?



**ბიძინა ბარათაშვილი, „იმედის“ ყოფილი გენერალური დირექტორი:**
— მე ვფიქრობ, რომ ეროსი კიწმარიშვილი არის კარგი პროფესიონალი, მან იცის როგორ გააკეთოს კარგი ტელევიზია, შესაბამისად, ვფიქრობ, რომ საქართველოში შეიქმნება კიდევ ერთი ძლიერი ტელეარხი.



**ნანა ინწკირველი, ჟურნალისტი:**
— არ გამკვირვებია ეროსისგან ეს საქციელი. კარგ ტელევიზიაზე რა გითხრათ, მაგრამ ტელევიზიას გააკეთებს.

**თამუნა ზედგინიძე, მოქალაქე:**
— უარყოფითად, „მაესტროს“ არ უნდა მიეღო კიწმარიშვილი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის ხელისუფლება, რომლის თითქოსდა მოსაშორებლადაც ახლა კიწმარიშვილი „მაესტროში“ მივიდა, თავის დროზე სწორედ მან და მისმა „რუსთავი-2“-მა მოიყვანა. ეს კაცი „მაესტროს“ კარგს არაფერს მოუტანს.

### საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები სად უნდა ვეძებოთ — მოსკოვში თუ ვაშინგტონში?



**ნოდარ ნათაძე, „სახალხო ფრონტის“ ლიდერი:**
— ჯერ უნდა ვეძებოთ თბილისში, შემდეგ — ვაშინგტონში; მოსკოვი, და საერთოდ, რუსეთი, ჩვენი მტერია; სანამ რუსეთი არ დამარცხდება, მანამდე ჩვენ იქ არაფერი გვესაქმება.



**ჯუმბერ პატიაშვილი:**
— პირველ რიგში, ჩვენივე თავში უნდა ვეძებოთ აფხაზებთან და ოსებთან კონფლიქტის მოგვარების გზა, შემდეგ კი, რა თქმა უნდა, მოსკოვში.

**დავით კაკაბაძე, მოქალაქე:**
— ერთ გასაღებს ვეძებთ? იქნებ, ორივეგან უნდა ვეძებოთ — მოსკოვშიც და ვაშინგტონშიც? თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ შარშან ვაშინგტონმა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მოსკოვს ვერაფერი დაუპირისპირა, მგონია, რომ რუსეთთან საერთო ენის გამონახვა აუცილებელია.

### უკავშირდება თუ არა თამაზ ნინუას ლიკვიდაცია ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საგამოძიებო კომისიის შექმნას?



**ჯემალ გახოკიძე, უშიშროების ყოფილი მინისტრი:**
— ჩემი აზრით, არა, არ უკავშირდება, ასეთ კავშირს კატეგორიულად გამოვრიცხავ.



**ნიკო ლეკიშვილი, პარლამენტის ყოფილი წევრი:**
— ეს ისეთი რამაა, რომ ვერაფერს გეტყვით. სანამ გამოძიება თავის სიტყვას არ იტყვის, ჩემთვის ეს მკვლელობა საიდუმლოებითაა მოცული.

**ეთერ აბესაძე, მოქალაქე:**
— ნამდვილად საეჭვოდ დაემთხვა ამ კაცის მკვლელობა ზვიადის საგამოძიებო კომისიის შეკრებას. ვიღაცამ მოიცილა, ეს აშკარად შეკვეთილი მკვლელობაა.

მოამზადა **მაგდა კლდიაშვილმა**

## უკომენტაროდ

**ჟან დე ლა ბრუიერი:**
**საცოდაობაა, როცა ადამიანს არც იმდენი ჭკუა აქვს, კარგად ილაპარაკოს და არც იმდენი გონება, რომ ენას კბილი დააჭიროს.**

**მიხეილ სააკაშვილი:**
**ბატონო სანდრო, ეს ბატები უფრო საინტერესოა, ვიდრე ჩემი ყურება და მოსმენა? სხდომა დროულად უნდა დავასრულო, თორემ ბატები უფრო მეტ ყურადღებას იქცევენ.**

**კარდინალი რიშელიე:**
**ქვეყნის სამართავად აუცილებელია, ცოტა ისაუბრო და მეტი მოისმინო.**

**მიხეილ სააკაშვილი:**
**ჩვენი წარმოდგენები ჩვენს წარმატებებზე იზომება იმით, თუ რამდენი კარგი მეზობელი გვყავს და რამდენი რამ გავუკეთეთ ჩვენს მოქალაქეებს.**

## საგარეო ამბები




# 2010 წელს BMW მე-5 სერიის წარმოებას იწყებს

**2010 წელს BMW თავისი ბესტსელერის ახალი სერიის — მეხუთე სერიის გამოშვებას იწყებს. მოდელის პირველი ოფიციალური გამოსახულება 23 ნოემბერს გამოქვეყნდება, მაგრამ ბრენდის გერმანულ საიტზე უკვე შეიძლება მომავალი მოდელის მონახაზის ნახვა.**

თუმცა, ეს მონახაზი გასაბერი ბურთების გირლიანდებისაგანაა აწყობილი და ახალი მოდელის ვიზუალურ მშვენიერებას ნაკლებად ასახავს.

უკვე ცნობილია, რომ „ხუთიანი“ 2 სანტიმეტრით გრძელი (486 სანტიმეტრი) და თავის წინამორბედებზე ოდნავ დაბალი იქნება. ცხვირი უფრო დაწვრილდება, წინა ფასადზე კი V-ს მსგავსი ნიშანი გამოისახება.

ავტომანქანა გათვლილია საწვავის ეკონომიურად მოხმარებაზე — 4,1 ლიტრი დიზელი 100-კილომეტრიანი მანძილის გასავლელად, მისი ტურბინირებული V ტიპის მოტორის სიმძლავრე კი 306 ცხენის ძალას გაუტოლდება.




# რუსეთმა და ამერიკამ ირანს ორი გზა შესთავაზეს



**რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ, თუ ირანი თავის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით პასუხს არ გასცემს, რუსეთმა და ამერიკამ შესაძლოა მოლაპარაკებების გარდა „სხვა საშუალებებსაც“ მიმართონ.**



„თუ მოლაპარაკება არ გამოდის, მაშინ რჩება სხვა საშუალებები, რათა პროცესი სხვაგვარად წარიმართოს“, — ნათქვამია რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტების ერთობლივ განცხადებაში, რომელიც სინგაპურში გამართული მოლაპარაკებების შემდეგ პრესისთვის გაკეთდა.

ირანთან მოლაპარაკებების პროცესის მიზანია თეირანისაგან იმ ბირთვული პროგრამის გამჭვირვალობის მკვეთრი გარანტიების მიღება, რომელიც მსოფლიო საზოგადოებას შეშფოთების საფუძველს არ დაუტოვებს. მედვედევის თქმით, ბოლო პერიოდში რუსეთმა და აშშ-მა ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციების მთელი სერია გაიარეს, მათ შორის, უმაღლეს დონეზეც. „რაღაცის გაკეთება მოხერხდა. ამ სამუშაოების წყალობით პროცესი არ შეჩერებულა, მაგრამ ჩვენ ბოლომდე ვერ გვაკმაყოფილებს ტემპი, რომლის ფარგლებშიც ვითარდება ეს პროცესი“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

თავის მხრივ, ბარაკ ობამამ ხაზი გაუსვა, რომ მედვედევთან პირველი შეხვედრიდან მოყოლებული, ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული საკითხის დასარეგულირებლად „კონსტრუქციული გზის“ ძებნის მხრივ. მისივე თქმით, რუსეთი და აშშ ირანს ორ გზას სთავაზობენ. პირველი გზა ირანის ინტეგრაციაა, მის მიერ ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი გამოყენება და ბირთვული იარაღის წარმოებაზე უარის თქმა. მეორე გზა კი თეირანზე ზეწოლაა იმის მისაღწევად, რომ ამ უკანასკნელმა საკუთარი ვალდებულებები შეასრულოს. „სამწუხაროდ, ირანმა ვერ მოძებნა პასუხი კონკრეტულ წინადადებებზე“, — განაცხადა ობამამ და დასძინა, რომ, სამწუხაროდ, პასუხისათვის დრო ირანს უკვე ეწურება. ამერიკის პრეზიდენტის თქმით, „რუსეთი და აშშ ირანს თავისი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისთვის გზის არჩევას შესთავაზებენ; სხვა მხრივ კი, ალტერნატიულ გზებს განიხილავენ“.

ახლახან ირანის ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელმა — ალაიდინ ბორუჯერდიმ განაცხადა, რომ, თუ რუსეთი მის ქვეყანას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემას არ დაუყენებს, ისლამურ რესპუბლიკას უახლოეს მომავალში ანტისარაკეტო თავდაცვის მოწინავე სისტემის შექმნას თავად შეძლებს. „ირანი ის ქვეყანა არაა, რომელსაც სხვა ქვეყნებისაგან თანამშრომლობაზე უარის მიღება შეაჩერებს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რას ფლობს ისლამური სახელმწიფო, ჩვენ შეგვიძლია არცთუ შორეულ მომავალში მოვაგვაროთ ამგვარი სარაკეტო სისტემის მასობრივად წარმოების საკითხი“, — განაცხადა მან.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ნაცების საგოდებელი — ქვეყნის საგოდებელი

**ნეტარხსენებული კომუნისტების დროს იყო ასეთი ლოზუნგი: „ვამბობთ პარტიას, ვგულისხმობთ ლენინს — ვამბობთ ლენინს და ვგულისხმობთ პარტიას“. ჰოდა, ეს სათაურიც ასე წავიკითხეთ — ნაცების ბოდვაზე, მიშა ვიგულისხმეთ, მიშას ბოდვაზე — ნაცები.**



**„მეფე რომ „პიი პუუს“ დაიწყებს, მისი ხალხი „ვაი, ვაის“ იძახებსო“, — თავის დროზე წერდა დიდი აკაკი და ჩვენს იმ მეფეებს გულისხმობდა, რომლებიც, ერის მსახურებასთან ერთად, პოეზიის მუზის მსახურებასაც ცდილობდნენ.**

თეიმურაზ პირველმა, არჩილმა და ვახტანგ მეექვსემ, რუსთაველიდან მოყოლებული, თუნდაც აკაკიმდე, ბევრი ვერაფერი შეჰმატეს დიდ ქართულ პოეზიას და, როგორც თავად მოეცარათ ხელი პოეზიის ასპარეზზე, საქართველოც ხელმოცარული და იავარქმნილი აღმოჩნდა მათი მეფობის ჟამს.

**მართალია, ჯერჯერობით მიშას ლექსების წერა არ დაუწყია, მაგრამ ჩვენს ქვეყანას იავარქმნა, ხალხს კი გოდება არ მოკლებია, რადგანაც მიშას და მისი ნაზირ-ვეზირების სიტყვა და საქმე ერთი გაბმული ბოდვა, „პიიპუუა“.**

რომელი ერთი ჩამოვთვალო, მიშას ბებოს სკანდალური ვიზიტი კუვეიტის შეიხთან თუ მიშას „ნადირობა“ იხვებზე „გედების ტბაში“; შარშანდელ აგვისტოს ომში გამარჯვება თუ ჰალსტუხის ღეჭვა და გორში ცხვირით მიწის ჩიჩქნა; გიგა ბოკერიას ცოტახნისწინანდელი უშედეგო ვიზიტი ჟენევაში თუ გიორგი კანდელაკის „შედეგიანი“ ვიზიტი ედინბურგში; იმ გიორგი კანდელაკისა, რომელიც კოკა გუნცაძემ პირდაპირ ეთერში გაასილაქა, რომელმაც ედინბურგში გამგზავრების წინ აეროპორტში განაცხადა, რომ იქიდან კიდევ ერთ დასტურს ჩამოგვიტანდა საიმისოდ, რომ „როდინობის კვირაში“ ნატოში მიგვიღებენ?!

**ერთი სიტყვით, ჩემო მკითხველო, წინამდებარე წერილში, რომელიც ყოველკვირეულ რუბრიკად არის ჩაფიქრებული ზემოთ ნახსენებ და მის მსგავს თემებზე ვაპირებდი ლაითად გოდებას; სერიოზულად კი მომავალში, მაგრამ ამათმა გასულ შაბათს „იმედის“ ეთერში ისე მაგრად გააპიიპუეს, რომ ვაივუი და მეგრული ვავა დღესვე უნდა ვიყვირო.**

გიორგი არველაძის მიერ „რეფორმირებულ“ ტელევიზიაში გავიდა დოკუმენტური ფილმი რუსეთის პატრიარქის, კირილის შესახებ. გადაცემა, სამწუხაროდ, თავიდან ვერ ვნახე, მხოლოდ ამ ფილმის ისტორიულ-ფსიქოლოგიური ანალიზის მიმდინარეობას მივადევნე თვალი. მიფილმი რუსეთის პატრიარქის კგბ-ს აგენტობას ამტკიცებს.

**„დოკუმენტური ფილმი“ რომ, სულ ცოტა, ჩვენი პატრიარქის, ილია მეორის წინააღმდეგ აგორებული ბინძური კამპანიის კონტექსტში ჯდება, აშკარაა და უეჭველი, ანუ, რუსეთის პატრიარქის „მხილებით“, ირიბად ჩვენს პატრიარქს ურტყამენ; აქაოდა, აი, ვის შეხვდა ილია II ბაქოში და ვისზე ამბობს, ჩემი მეგობარიაო; ანუ, არქიფო სეთურისა და ასინეთასი არ იყოს, „იმედის“ მიერ კირილისა და ბუდარიხა თუთბერიძის მიერ ილია მეორის განქიქება ერთი და იგივეა, მაგრამ „პირიქითაა ასინეთა, რა ვერ გაიგე, უკუღმა, უკუღმა!“**

ჩემი აზრით, 13 ნოემბერს, ანუ, ილია მეორის ბაქოდან დაბრუნებისთანავე, 100 ათასი წმინდანის ხსენების დღეს, არანაკლები რაოდენობის მრევლის ქუჩაში გამოსვლას, წმინდა რელიგიურის გარდა, ის დატვირთვაც ჰქონდა, რომ ის გრანდიოზული აქცია, ერთგვარი პასუხიც იყო ჩვენი პატრიარქისა და, ზოგადად, ჩვენი ეკლესიის მიმართ მიტანილ იერიშზე, რასაც შეუძლებელია, ჩვენი ხელისუფლება არ შეეშფოთებინა, რადგან პირველად მოხდა 100-ათასი წმინდანის ხსენების ასე მასობრივი აღნიშვნა, რაც გაფრთხილებაც არის მათთვის!

ახლა იმაზედაც ვთქვათ, რა შეიძლება მოჰყვეს ამ ფილმს.

**ნაცების ამ ბოლო, გაპიიპუებას, რბილად რომ ვთქვათ, დაუკრეფავში გადასვლა ჰქვია. — თქვე უპატრონოებო! მართალიც რომ იყოს იმ ფილმში ყველაფერი, რა ჩვენი საქმეა, ვინ გვეკითხება?**

რუსეთის, მისი პრეზიდენტის ლანძღვისთვის, ხომ გვადინეს ქართველებს ცხვირიდან ძმარი, ხომ არ წყდება მას შემდეგ ქართველების მოთქმა-გოდება? ახლა, რა გვინდა, რას ვეძებთ, რატომ ვუჩიჩხინებთ კვლავ რუს დათვს? ნაცების პროპაგანდა თან გაიძახის, რომ რუსეთის სახელმწიფო და ეკლესია ორივე ერთი, იმპერიული მიზნებისთვის იბრძვიანო და თან რუსების პატრიარქს, მათ ეკლესიას, სულიერებას აყენებს შეურაცხყოფას! ვინ გვაპატიებს ამას?

**უფრო შორს მიმავალი დასკვნების გაკეთებაც შეიძლება — ხომ არ არის ეს ყველაფერი საერთოდ მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მსოფლიო ხლისტების მიერ წამოწყებული ტოტალური იერიშის დასაწყისი, რაც ჩვენმა „მეგობარმა“ დასავლეთმა ისევ ქართველების ხელით დაიწყო, როგორც მაშინ, როცა ჩვენი სისხლის, ნგრევის ფასად ჩამოხადეს ნიღაბი რუსეთს?**

ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია — ეს გამოხდომა რუსეთის პატრიარქის წინააღმდეგ საქართველოს კარგს არაფერს უქადის. მიშას და მის ნაზირ-ვეზირებს რა ენაღვლებათ? **ხვალ თუ რომელიმე ბორისოვი შემოჯლიგინდება ტანკზე ამხედრებული, ეს გამპიიპუებელი ნაცები, ზოგი შოფრებად დაუდგება და ზოგიც დანა-ჩანგლებით საომრად მოგვიწოდებს. თავად კი თავს უშველიან და ნაძარცვი ქონებით გატენილ ჩემოდნებსაც თან წაიღებენ.**

ა, საქართველოს გოდება და ცრემლი მერე ნახეთ!..

**დათო გოდებაშვილი**

# ზოგი ასე უბერავს!

## ანუ მიშას ბატები გედების ტბაზე

**ჩვენი ბავშვობის ქართული ანიმაციური სერიალი „ხელმარჯვე ოსტატი“ ხომ გახსოვთ? ხელმარჯვე ოსტატი ცაში, ხელმარჯვე ოსტატი მთაში, ხელმარჯვე ოსტატი ბარში, წყალში და, თქვენ წარმოიდგინეთ, წყალქვეშაც იყო. მეც ეს სერიები გამახსენდა, როდესაც ჩვენი მთავრობის მორიგი გასვლითი სხდომის კადრებს ვუცქერდი პირდაპირ ეთერში — პრეზიდენტი და მთავრობა ბათუმის „კრიშაზე“, იზიდავს ინვესტიციებს, მერე იგივე აღმშენებლობის, სტაბილურობის სურათს აჩვენებს ბეტონის ზელვის ფონზე სიღნაღში, სულ ახლახან კუვეიტში წაიყვანა მზია ბებია, საიდანაც ყატარში ამოჰყო თავი — სანამ ვარ, იყიდეთ შეიხ-ფაშებო, თუ რამე დამრჩა გასაყიდიო. და აგერ ახლა, თელავის მახლობლად მდებარე ტბის პირას, რესტორანში დღგ-ის დაბრუნებას შეჰპირდა ათასჯერ გატყავებულ ბიზნესმენებს.**



ამ ლაილაიში იყო (სანამ რესტორანში სუფრას გაუშლიდნენ), როცა მიშას მახვილმა თვალმა შენიშნა, ერთი მინისტრი (კერძოდ, — ალექსანდრე კვიტაშვილი) არ უსმენდა, პრეზიდენტის ლაყბობით თავგაბეზრებული ტბაში გედების ცქერით ტკბებოდა.

მიშა გაცხარდა. „შენ რა, ბატების ყურება გირჩევნია ჩემს მოსმენას?! — დაუცაცხანა მინისტრს, მერე კი თვალები მოიჩრდილა, ფრინველებს გახედა და დასძინა, — არა ბატები კი არა, მგონი იხვები არიან“.

არა, ბატონებო, მიშა კი არ უბერავს, მგონი, „გვეკაიფება“. აბა, ის ხომ კარგად მოეხსენება, რომ, შინ თუ გარეთ, ბევრი ჩასაფრებული მტერი ჰყავს და რატომ იძლევა ყოველდღიურად ამდენ „საღადაო პრიჩინას?“

არადა, არც სასაცილოდ გვაქვს საქმე. უფრო მეტიც, სატირალია, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი ისეთ სიბრიყვეებს აფრქვევს, რომ მინისტრისთვის გედების ყურება უფრო საინტერესოა, ვიდრე პრეზიდენტის აზრის მოსმენა. ისიც სატირალია, რომ ისტორიის ყირაზე დაყენების, თამარ მეფის ოსად მონათვლისა და სხვა არაერთი სისულელის შემდეგ, მიშა ზოოლოგიაში ახდენს გადატრიალებას, რადგან გედი ბატისგან ვერ გაურჩევია.

ისე, თუ ბაგრატიონების სომეხ-ოსობის ლოგიკიდან ამოვალთ, ზოოლოგიაში ყველაფერი უფრო მარტივად გამოვა. თვით ე. წ. საჯარო სკოლის ოროსან მოსწავლესაც ეცოდინება, რომ ყველა ცხოველსა თუ ფრინველს ერთი საერთო წინაპარი ჰყავთ და გედ-ბატ-იხვების წინაპარი რომ ერთ-ერთი მათგანი იქნება და, ვთქვათ, არა სირაქლემა, ესეც ცხადია. ასე რომ, გვირგვინოსნების ოსურ-სომხურ წარმოშობასთან შედარებით, გედზე ამტკიცო, ბატი ან იხვიაო, ან — პირიქით, დიდი არაფერი დანაშაულია; ყოველ შემთხვევაში, ტერიტორიების დაკარგვის ფონზე ეს დანაშაული მოზარდის ანცობის ტოლფასია...

როგორც გითხარით, მთავარი სხვა რამეა — ჩვენი პრეზიდენტის ზოოლოგიაში მოულოდნელი შეჭრა, მის მიმართ ერთ-ერთი მინისტრის უყურადღებობამ გამოიწვია, რომელმაც, ალბათ, ჩათვალა, ორ ბატს რომ ვერ ენდობა კაცი, მაგისთანა პრეზიდენტის მოსმენას, გრაციოზული გედების ცქერა სჯობდა და თვალი გაექცა. ცხადია, რომ საწყალ კვიტაშვილს ამის გამო მალე „წითელი აენთება“, მაგრამ მის სასარგებლოდ უნდა ითქვას — აფერუმ, დანარჩენი მინისტრებივით ბატი არ ყოფილა!

თუმცა რაღა ბევრი ვიმარჩიელოთ, რადგანაც ვანოს ღერძის გარშემო მბრუნავი მორიგი სამთავრობო კარუსელი, ალბათ, მალე დატრიალდება და ვნახავთ მიშას ბატებიდან ვის რაზე დააჯენენ და ვის გაპუტავენ.

როგორც ბოროტი ენები ამბობენ, ანეგდოტი, რომელსაც ახლა გიამბობთ, ზურა ადეიშვილს მოუგონია —

### მიშას ისე უყვარს ყველაფერში პირველობა და ყურადღების ცენტრში ყოფნა, რომ ქორწილში სიძეობა უნდა და გასვენებაში — მიცვალებულის მაგივრად კუბოში წოლაო.

2013 წლამდე დიდი დროა, ჰოდა, მოუკვდა პატრონი ყველა არჩევნებს და მით უმეტეს მიტინგებს — ჩვენი მიშა თავის ბატებთან ერთად თვალყურის სასეირო რამე-რუმეებს არ მოგვაკლებს.

თუმცა კვიტაშვილთან დაკავშირებულ ინსინუაციებში ერთი სიმბოლური მინიშნებაც იკითხება... შესაძლოა, სააკაშვილმა იცოდა კიდეც, რომ ტბაში გედი დაცურავდა და არა ბატი, მაგრამ ეს „შეცდომა“ შეგნებულად დაუშვა... მას, მართალია, ყველაფერში პირველობა უნდა, მაგრამ არ სურს, ცოცხალი თავით არ უნდა, „გედის უკანასკნელი სიმღერა“ იმღეროს... მონამორჩილი მინისტრების ბატებთან შედარებითა და ბრიყვული დემაგოგიით კი, მისი ჭკუით, ხელისუფლებაში ყოფნას იხანგრძლივებს; არადა, „გედის უკანასკნელი სიმღერა“ მან 2008 წლის 8 აგვისტოს იმღერა და ქართული მიწებიც ზედ დაამღერა... აწი ისღა დარჩენია, ხან საკუთარ ხალხს, ხანაც მინისტრებს „ეკაიფოს“ თავისივე შეთხზული ზღაპრებისა დაიჯეროს; და გედისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ბურვაკივით ელოდოს წმინდა მარტინის დღეს...

**დავით მხეიძე**

# სოფლის შენებას რა უნდა?

**ქვეყნის დარდუბალა პრეზიდენტის მიერ ახალი საწარმოების, სავაჭრო ცენტრების, ფაბრიკა-ქარხნების გახსნაზე წითელი ლენტების გაჭრა ქართველ ტელემაყურებელს, ყელში ამოუვიდა. „საქართველო, ბიზნესის კეთების თვალსაზრისით, მსოფლიოში წამყვან პოზიციებს იკავებს, შემოდის მილიონობით ინვესტიცია, წინ მივდივართ, ვშენდებით“, — ამ სიტყვებს ხშირად მოისმენთ ქვეყნის პირველი პირისგან, თუმცა რეალურად ეს წინსვლა მხოლოდ პარლამენტარების ჯიბეზე, მათ ჯიპებსა და პრეზიდენტის რეზიდენციაზე აისახება. მკითხველს ვთავაზობთ იმ ეკონომიკური „აღმავლობების“ სიას, რომლითაც ასე ამაყობს ხელისუფლება. ხოლო მისი ბრმად მიმდევრები ფორუმზე ტრაბახობენ კიდევაც ქვემოთ ჩამოთვლილი იმ „მიღწევებით“, რაც სინამდვილეში არა წინსვლის დასტურს, არამედ ცრუკეისრის საგმირო საქმეთა პაროდიას უფრო ჰგავს:**
**რამდენიმე დღის წინ, თბილისის ფორუმზე, forum.ge —ზე ახალი თემა გაჩნდა — „არ ვინგრევით, არ ვიშლებით, ყველაფერი კარგად არის“. ის რაც ამ თემის შესავალში წერია, არ გეგონოთ, რომ რომელიმე კონკრეტული ადამიანის ფანტაზიის ნაყოფია, იმით, რაც აქ წერია, საქართველოს ხელისუფლება ამაყობს, რომ მცირე დროში, ქვეყნის ეკონიმიკური აყვავება შეძლეს.**
**სამწუხარო კი, ის არის, რომ ამის თავადაც ჯერათ და მათ ბევრ მიმდევარსაც.**



— ქუთაისის ინდუსტრიულ ზონაში განვლილ 6 თვეში 115 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩაიდო. წლის ბოლომდე კი 450 მილიონის ინვესტიცია განხორციელდება;

— წლის ბოლომდე ბელორუსში 2 ათას ტონამდე ქართული ღვინო გავა;

— მალე თბილისში „იოლის“ ახალი სუპერმარკეტი გაიხსნება;

— სარეკლამო ბაზარი გამოცოცხლდა;

— „თხილის ასოციაციის“ ინფორმაციით, ქართული პროდუქცია ევროპაში, ერთი თვეა, გაიტანეს. მასზე მოთხოვნა ამ დრომდე დიდია;

— ყვარელში, რძის ახალ საწარმოში 26 ადამიანი დასაქმდა;

— კომპანიის „ვიმ ბილ დან საქართველო“ პროდუქციის პრეზენტაცია გამართა;

— კახეთში რძის საწარმო გაიხსნება;

— მინერალური წყლების კომპანია „ფლატე“ საექსპორტო გეოგრაფიას აფართოებს; კომპანიის ინფორმაციით, ახლო მომავალში, მისი პროდუქცია ერაყსა და უკრაინაშიც გამოჩნდება;

— საიუველირო ბიზნესი ფასების ზრდას ელის;

— გაიხსნა მაღაზია „ორგანკა“, სადაც მხოლოდ ორგანული, ბიოლოგიურად სუფთა ქართული პროდუქცია გაიყიდება;

— „ბეზეკმა“ თეთრი პურის წარმოება დაიწყო;

— სპირტისა და არყის მწარმოებელი კომპანია „გომი“ მალე ბაზარზე „გომი ორიგინალის“ 200-გრამიან ბრტყელ ბოთლს გამოუშვებს. ახალი პროდუქტის გამოშვება მუდმივ სახეს მიიღებს;

— მალე „მითანა“ კიდევ ერთ ახალ პროდუქტს გამოუშვებს;

— მალე სასტუმრო „საქართველოში“ ახალი კაზინო „გრანდ საქართველო“ გაიხსნება.

ფაქტია, რომ ეს სიახლეები, ნიშნად იმისა, რომ ავყვავდებით, ფორუმზე „მიშმაკების“ რომელიღაც თაყვანისმცემელმა დადო და სიხარულით დაგვპირდა, რომ მსგავსი „ნიუსებით“ მომავალშიც მოგვამარაგებს.

ვიდრე სააკაშვილის ხელში აღორძინებული ეკონომიკის უფრო მეტად აყვავება დაიწყება, გავარკვიოთ, რა არის ჩვენი ხელისუფლების სიხარულის მიზეზი.

ქუთაისის ინდუსტრიულ ზონას რაც შეეხება, ეტყობა დაავიწყდა, ამ კარგი ამბის დამწერს, რომ სააკაშვილისავე მტკიცებით, აპრილ-მაისის აქციების დროს, კერძოდ კი 26 მაისს, ეროვნულ სტადიონზე შეკრებილმა ათასობით ადამიანმა ეს ინვესტორები დააფრთხო, რის გამოც ბევრი მათგანი საქართველოდან წავიდა (მეც დავზარალდი ამ ამბის გამო, ვინაიდან ის გაზეთი (სადაც მაშინ ვმუშაობდი), რომელიც ინვესტიციებს უკავშირდებოდა, ხელფასებს ვეღარ გასცემდა და დროებით დაიხურა;

ღვინოს რაც შეეხება, რუსული ბაზრის დახურვის შემდეგ, მაინცდამაინც დიდი წარმატებები არ ჰქონიათ ქართველ მეღვინეებს; ლაპარაკით, იცოცხლე, საუბრობდნენ, რომ ქართულ ღვინოს ანალოგი არ ჰქონდა, რომ დაიპყრობდნენ მსოფლიოს წამყვან ბაზრებს, მაგრამ შედეგი? — ქართული ღვინის უმეტესი ნაწილი ისევ საქართველოში რჩება.

**ფორუმზე, რამდენიმე user-ი „გომის“ მიერ ახალ „გომი ორიგინალის“ 200-გრამიანი ბრტყელი ბოთლის გამოშვებასა და „ბეზეკის“ მიერ თეთრი პურის ცხობას ეხმიანება; ამბობენ, ეს ყველაზე მთავარიაო, თუმცა ხშირად „მილანის“ მოგება უფრო ავსებს ათეულობით ქართული ოჯახის ბიუჯეტს, ვიდრე — აღნიშნული ბიზნესების გაფართოება.**

საიუველირო ბიზნესი ფასების ზრდას ელისო; ზრდას ელის, მაგრამ კლიენტებს — ნაკლებად, ამის დასამტკიცებლად ბოლო ერთი თვის განმავლობაში ტელევიზიების ეთერში გასული სიუჟეტებიც რომ ავიღოთ, სადაც ოქროს ბირჟაზე მოვაჭრენი კლიენტების სიმცირეზე საუბრობენ, ესეც იკმარებს.

**ყოველდღე თუ არა, კვირაში სამჯერ მაინც, ბატონი პრეზიდენტი ფაბრიკა-ქარხნებს „გვიხსნის“, აქტიურად აშუქებენ ამას ტელევიზიები, იმაზე კი კრინტს აღარ ძრავენ, ეს ფაბრიკა-ქარხნები სამ-ოთხ დღეში რომ იხურება ან ძველს რომ არავინ მოუარა. გვარწმუნებენ, რომ ყვარელში რძის საწარმოში დასაქმებული 26 ადამიანი გადაარჩენს ქართულ ეკონომიკას, ჰა ბურთი, ჰა მოედანი!**

„აღმშენებლობის“ სრული სურათის შესაქმნელად, პრეზიდენტის მეხოტბეს, რომლებმაც ზემოთ ჩამოთვლილი მიღწევებით „იტრაბახა“, გამორჩა, რომ:

— **მიხეილის ბებიამ ამასწინათ ყატარი მოინახულა;**

— **„ვიმ ბელ დანი“ მორიგი რუსული კომპანიაა ქართულ სივრცეში;**

— **ერაყში მინერალური წყლების გატანა უდიდესი მოვლენაა, ის ხომ ყველაზე სწრაფად განვითარებადი და პერსპექტიური ბაზარია;**

— **„ყაზბეგმა“ ლიმონათის ჩამოსხმა ყაზახეთში დაიწყო;**

— **ჩემმა მეზობლებმა რემონტი წამოიწყეს.**

როგორც ამბობენ, მალე 2010 წელი დადგება, ეს კი, დაახლოებით, 100 წლით მეტია 1910 წელთან შედარებით და აქაც აშკარაა სააკაშვილის მონდომებითა და მისი უშრეტი გენიის შედეგად მიღწეული ქართული სახელმწიფოს წინსვლა და ჩვენი გარღვევა.

გამოდის, „ვშენდებით“!..

**მაგდა კლდიაშვილი**

# თენგოს ათასმეერთე ღამე

**საქართველო, დიდი ხანია, იქცა პიარის ქვეყნად. ყველაფერი, რასაც ხელისუფლება აკეთებს; ყველაფერი, რასაც ქვეყნის თავკაცი გეგმავს და ხმამაღლა აცხადებს, არის მხოლოდ პიარზე გათვლილი სიცრუე,**
**რომელსაც ძალიან მოკლე ფეხები აქვს.**
**ჩვენც გადავწყვიტეთ, ავყვეთ „სააკაშვილის 1001 ღამეს“ და გთავაზობთ ერთობ საინტერესო სიტუაციას... წარმოიდგინეთ, რომ უტიფარი ცრუპენტელობისთვის დაწინაურებული და ნატოს საინფორმაციო ცენტრის შეფად დანიშნული აგიტატორი თენგიზ გოგოტიშვილი კიდევ უფრო დააწინაურეს და სააკაშვილისთვის „საპიარო“ ზღაპრების ახალ-ახალი, ყოველკვირეული ნაკრების მომზადება დაავალეს. როგორც პირადი შაჰირაზადა, თენგოიე, ბუნებრივია, თავს არ შეირცხვენს და ასე მიმართავს სამგზის მამობილ მიშას:**

დილამშვიდობისა და სამგზის ავე, ავე, ავე, უძლევამოსილესო და სამგზის დიადო ბატონო პრეზიდენტო!

ცუდი ამბების უქონლობის გამო დღევანდელ პრესრელიზსაც კარგი ამბით დავიწყებ.

**მეოთხე ქართული ბრიგადა ქაბულში შეიჭრა, ჩვენი ჯარები უკვე ავლანეთის ტერიტორიის 76 პროცენტს აკონტროლებენ. სპეციალური დანიშნულების 60-კაციანმა ჯგუფმა კი რეზინის ტყვიებითა და „დუბინკებით“ თორა-ბორას მთებიდან პირწმინდად განდევნეს თალიბები. ქართველთა ჯარს სათავეში გამოცდილი მთავარსარდალი კობა ხაბაზი უდგას. მისი წარმატებისა და გმირობის ამბებს მთელ სამხრეთატლანტიკურ ალიანსში ყვებიან.**

ავლანეთის სპეცოპერაციის დროს დიდმა სარდალმა ხაბაზმა პირადად შეიპყრო, ჯერ დაასაჭურისა და მერე მაკკეინს რანჩოზე მიჰგვარა ამერიკელების დაუძინებელი მტერი — ოსამა ბინ ლადენი. ამერიკა, ბინ ლადენის სანაცვლოდ, ქართულ მხარეს ირაკლი ოქრუაშვილსა და ლევან პირველს გადმოსცემს.

ო, უდიადესო, როგორც იქნა, აღსრულდება სამართალი და, ქართველი ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილებით, ოქრუაშვილსა და ლევან პირველს ბურჯანაძის ყოფილი აგარაკის ეზოში მოჭრილი კარალიოკის ხეებისგან დამზადებული შეშით დანთებულ კოცონზე დაწვავენ.

**დავით კირკიტაძემ, როგორც იქნა, გუბერნატორის პოსტი დატოვა, მას ევროპის ილლიაში უშვებენ დიპლომატიური მისიით, რასაკვირველია, მუდმივ წარმომადგენლად; თუმცა მანამდე კიდევ სამი მსაჯის ცემა მოასწრო და, როგორც იქნა, „ოლიმპი“ ჩემპიონი გახადა. რუსთაველი გულშემატკივარი მუდამ ილოცებს კირკიტაძის კულონზე.**

**წელს კომპანია „PSP“-ის მიერ დაარსებულმა პირველმა ქართულმა ფარმაცევტულმა საწარმომ — „GMP“-მა ბუპრენორფინის შემცვლელი პრეპარატის — სუბოტექსის ადგილობრივად წარმოების ლიცენზია მოიპოვა. როგორც საწარმოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერი, თემურ თათარაშვილი აცხადებს, ქართულ ბაზარზე პრეპარატი შეცვლილი სახელით გამოვა და მას „ჯიგოტექსი“ ერქმევა. ეს პრეპარატი ძალიან ბევრ ადამიანს ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან განკურნებაში დაეხმარება.**




ო, უდიადესო და სამგზის ძლევამოსილო, უმორჩილესად გთხოვ და ყატარმოვლილ ბებიასაც გაფიცებ, ნუ შემომწყრები, ევროკავშირი მოგვიწოდებს ოფიციალურ თბილისს, სასწრაფოდ დატოვონ ჩვენმა ჯარებმა მოსკოვი და ალყაშემორტყმული პეტერბურგი, აღვადგინოთ სტატუს ქვო და დავიხიოთ ტულაფსკოვის ხაზზე. ამასთან, უზრუნველვყოთ ტყვე ჯარისკაცების ერთჯერადი კვება და შევწყვიტოთ მოსკოვისა და პეტერბურგის იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანილი ძეგლების დაბომბვა.

**ო, უძლევამოსილესო და სამგზის დიადო, ევროკავშირი, აგრეთვე, გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ ყველა საკითხი შეიძლება გადაიჭრას დიალოგისა და კონსენსუსის გზით, მოლაპარაკების მაგიდასთან. ამასთან, საქართველოს მთავრობა უწინდებურ პოზიციაზე რჩება და კვლავ აფიქსირებს მის უცვლელ პოზიციას ურალის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მოსახლეობის თვითგამორკვევის ხელშეწყობის თაობაზე. უკვე გადაწყდა, რომ ამურისპირეთის რესპუბლიკების მოსახლეობის თხოვნით, საქართველო საზღვაო ბაზას ნახოდკაში განალაგებს, ხოლო ორ სახმელეთო ბაზას — სახალინისა და უსურიის რაიონებში“.**

გრანდიოზული სასტუმროს მშენებლობა დაიწყო სამშენებლო კომპანია „ბოკერიარსმა“, მათ უკვე ააშენეს და გადააშენეს ვაკის რაიონი. ახლა ისინი გლდანის მე-17 მიკრორაიონში აშენებენ ამ სასტუმროს დაშლილი კრემლის ქვებით (შეიძინეთ ერთი აგური და მიიღეთ საჩუქრად მეორე. — ეს მათი სლოგანია).

დაბოლოს, ბატონო უძლევამოსილესო, ქურუმთა ქურუმ ლელა კაკულიას ხილვა ჰქონია — 2012 წელს მოხდება აპოკალიფსი, განადგურდება დედამიწა; თუმცა, თქვენი ბრძნული პოლიტიკის წყალობით, საქართველო ისევ თავის ადგილზე დარჩება, თქვენ ისევ ქვეყნის პრეზიდენტი იქნებით, მე კი — სააქციო საზოგადოება „საქართველოს გაერთიანებული ტელევიზიების“ გენერალური დირექტორი...

**მაგდა კლდიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

საგარეო ამბები

# ევროკავშირს ერთიანი ჯარი ეყოლება

**იტალია ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ერთობლივი ევროპული ჯარის შექმნას სთავაზობს. სწორედ ამ შინაარსის განცხადებით გამოვა 19 ნოემბრისათვის ბრიუსელში დაგეგმილ ევროკავშირის სამიტზე საგარეო საქმეთა მინისტრის, ფრანკო ფრატინის ხელმძღვანელობით ჩასული იტალიის დელეგაცია.**



ვიზიტის წინ მინისტრმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ევროკავშირის წარმომადგენელთა სამხედრო შეიარაღებული ძალების გაერთიანება საბაჟო ბარიერებთან და ერთობლივ სავალუტო ზონასთან დაკავშირებული აქამდე განხორციელებული ცვლილებების ლოგიკური გაგრძელება იქნება.

მისი თქმით, დაწყება ყველაზე უპრიანი იქნება ერთიანი სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და სამხედრო-საჰაერო ძალების შექმნით. ამგვარი გადაწყვეტილება ევროკავშირს საშუალებას მისცემს „დიდი ორეულის" — ჩინეთისა და აშშ-ის შექმნის წინაპერიოდში მნიშვნელოვან პოზიციებზე დარჩეს. მინისტრმა აღნიშნა, რომ ერთიანი ჯერის შექმნის აუცილებლობა ავღანეთის ომმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, ასეთი ჯარის არსებობის შემთხვევაში ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის სამხედრო ძალის გამოყოფის ვალდებულება თანაბრად გადანაწილდებოდა.

გარდა ამისა, ერთიანი შეიარაღებული ძალების შექმნა აშშ-ს ბევრად გაუადვილებს საბრძოლო მოქმედებების ზონებში კოალიციური ჯარების რაოდენობის საკითხების მოგვარებას. ობამას ადმინისტრაციას საქმე ექნება ერთ უწყებასთან და არა ევროკავშირის თითოეულ წევრ ქვეყანასთან ცალ-ცალკე.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისა და უშიშროების საკითხებზე სამხედრო კომიტეტი მუშაობს. ის 27 ქვეყნის თავდაცვის მინისტრებისგან შედგება, ხოლო თითოეულ ამ ქვეყანას ბრიუსელში მუდმივი წარმომადგენლები ჰყავს. 6 ნოემბერს ორგანიზაციას სათავეში შვედი გენერალი ჰაკან სირენი ჩაუდგა.

წლის დასაწყისში კი ევროპარლამენტმა მოიწონა სწრაფი რეაგირების ერთობლივი ორგანიზაციის შექმნის იდეა. გაერთიანება სპეციალურად შემუშავებული წესდების მიხედვით იმოქმედებს და მისი მართვის უფლება მხოლოდ ევროკავშირს ექნება. თუმცა ზოგიერთმა მაშინდელი გადაწყვეტილება ნატოსგან დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობად აღიქვა, რადგან ბოლო დროს ამ ორგანიზაციაში აშშ-ის გავლენა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

# ლუარსაბ თათქარიძეების პარლამენტი



კადრი ფილმიდან „მიმინო"

**„თქვენ გაქვთ დუმილის უფლება. გახსოვდეთ, თქვენ მიერ ნათქვამი ყოველი სიტყვა შეიძლება თქვენს წინააღმდეგ იყოს გამოყენებული!" — ეს უმთავრესი წესია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სიით არჩეული დეპუტატების იმ ნაწილისთვის, რომელთა ერთადერთ მოვალეობასა და ფუნქციას ხელისუფლების გადაწყვეტილებების ლეგალიზება წარმოადგენს.**



თევდორაძე გოჩა

დეპუტატების ეს კატეგორია იყენებს კიდეც დუმილის უფლებას და ამას ისეთი გულმოდგინებით აკეთებს, რომ, მართალია, ვარდების რევოლუციის შემდეგ ზოგიერთი მათგანი უკვე მეორე ვადითაა არჩეული საკანონმდებლო ორგანოში, მაგრამ მის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადება ან კომენტარი დღემდე არავის მოუსმენია.

ან კი რა საჭიროა ზედმეტად თავის გამოდება, გოკა გაბაშვილთან ან პეტრე ცისკარიშვილთან გატოლება, როცა დებატებში გამოუცდელობამ, შეიძლება, თავისი ქნას და ისეთი რამ წამოსცდეს, რაც არ აპატიონ რევოლუციის ბელადებმა.

ცოტა ხომ არ არის, მეორე ვადით აგირჩიონ პარლამენტში, როცა ისეთი „მარადმწვანე" დეპუტატები, როგორიც ელენე თევდორაძე, მაია ნადირაძე და ვასიკო მაღლაფერიძე არიან, აღარ ამშვენებენ ჩვენს ფრიად ღირსეულ საკანონმდებლო ორგანოს. პარლამენტში ყოფნა კი თუნდაც იმისთვის ღირს, რომ შეგიძლია სხვა ქვეყნების პარლამენტებთან მეგობრობის ჯგუფში ჩაეწერო. სახელმწიფოს ხარჯზე ამერიკას თუ ვერ ნახავ, ევროპის ან ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მივლინებით წახვიდე და სპეციალურად დეპუტატებისთვის გახსნილ უფასო ინგლისური ენის კურსებზე მიღებული ცოდნა გამოსცადო. ეს ტრადიცია ვარდების რევოლუციის შემდეგ დამკვიდრდა. აბა, რა ფასი აქვს იმ ქართველ პარლამენტარს, რომელიც შექსპირის სონეტებს დედანში ვერ კითხულობს.

სამწუხაროა, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს არ შეიცავს ოფიციალურ საიტზე პარლამენტის წევრობასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ინფორმაცია და მკითხველს ვერ შეგვატყობინებთ წარჩინებული დეპუტატების სიას.

სამაგიეროდ, შეგვიძლია კიდევ ერთი უცნობი პარლამენტარი წარმოგიდგინოთ. ჩვენს ინტერესთა სფეროში ამჯერად წარმოშობით ქუთაისელი 46 წლის თევდორაძე გოჩა მოხვდა.

თევდორაძე გოჩა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სიით არჩეული დეპუტატია. უკვე მეორედ გახლავთ პარლამენტისა და განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის წევრი. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

განათლება მან ჯერ ქუთაისში მიიღო. დაამთავრა ქუთაისის მრავალპროფილიანი ინსტიტუტი მექანიკის სპეციალობითა და მექანიკოსის კვალიფიკაციით. სწავლა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის სპეციალობით განაგრძო.

საფუძვლიანი სწავლა-განათლების დასრულების შემდეგ შრომითი საქმიანობა მშობლიურ ქალაქში, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის სამმართველოში ინჟინერ-კონსტრუქტორად დაიწყო.

1987-1989 წლებში ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში თეორიული მექანიკის კათედრის ასისტენტი გახლდათ. 1987-1989 წლებში 30-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე იყო სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, 1994-95 წლებში — ჰუმანიტარულ-პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი, 1995-2004 წლებში კი ქუთაისის იოსებ ოცხელის სახელობის გიმნაზიის რექტორია.

2004 წლიდან ის უკვე პარლამენტის ღირსებას იცავს. როგორც გამოცდილი პედაგოგი და განათლების სფეროში კარგად ჩახედული კაცი, განათლების კომიტეტის წევრი ხდება. მოწოდებით პედაგოგი ამჟამად ნაკლებადაა ჩაბმული კანონშემოქმედებით საქმიანობაში. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის სხდომების ოქმებში ვერ ვნახეთ იმის დამადასტურებელი თუნდაც ერთი ფაქტი, რომ ის რომელიმე კანონპროექტის შექმნის უშუალო მონაწილე იყოს. იქნება ეს ზოგადი განათლების კანონში შესატანი ცვლილებები, თუ უმაღლესი განათლების შესახებ კანონში. გოჩა თევდორაძე არც ერთი საპარლამენტო კომისიის წევრი არ გახლავთ. საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების არც ძირითად და არც სათადარიგო შემადგენლობაში არ არის. სამაგიეროდ, გერმანიის, იტალიის და კორეის პარლამენტებთან მეგობრობის ჯგუფის წევრია.

სხვათაშორის, ამ საკითხით დავინტერესდით და აღმოვაჩინეთ, რომ ყველაზე მეტი დეპუტატი აშშ პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფშია ჩაწერილი — 26 კაცი და მათ შორის უცნობ სახელებს ვერ ნახავთ.

ბატონ გოჩას „შატალოებიც" უყვარს და ხშირად აცდენს კომიტეტის სხდომებს და სესიებს. თუმცა არასაპატიოდ მას სულ რამდენიმე გაცდენა ჩაუთვალეს.

რაკიღა საინტერესო მის შესახებ ბევრი ვერაფერი მოვიძიეთ (რიგით პარლამენტარებს მეტად მშრალი და მწირი ინფორმაცია უდევთ საიტზე), შევეცადეთ, საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანებისგან შეგვეტყო, რას წარმოადგენს ეს პარლამენტარი.

**ვახტანგ დავითაია**, არქიტექტორი;

**— იცით თუ არა, ვინ არის გოჩა თევდორაძე?**

— არა, არ ვიცი. რა სპეციალობისაა?

**— ის საქართველოს პარლამენტის წევრია. თქვენი აზრით, საზოგადოება უნდა ცნობდეს თუ არა დეპუტატებს?**

— რა თქმა უნდა, პარლამენტის წევრებს უნდა ცნობდნენ. რაკიღა არ იციან ვინაა, ე.ი. ის ან პასიურია, ან ზედმეტად დისტანცირებული პრესასთან. საერთოდ, პარლამენტარი გონიერი და აქტიური უნდა იყოს.

**თეა გოგოტიშვილი**, ფსიქოლოგი;

**— იცით თუ არა, ვინ არის გოჩა თევდორაძე?**

— არა.

**— ის საქართველოს პარლამენტის წევრია. როგორ ფიქრობთ, უნდა ცნობდეს თუ არა მას საზოგადოება?**

# «სამხრეთ ნაკადი» საბოლოოდ შეთანხმებულია

**რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის განცხადებით, გაზსადენის „სამხრეთ ნაკადი" შექმნასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებით შეთანხმებას რუსეთის ყველა პარტნიორმა მოაწერა ხელი. ამ განცხადებამდე კი სწორედ აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერისთვის პუტინი თავის სლოვენიელ კოლეგას — ბორუტ პახორომს შეხვდა.**

„ჩვენ დავასრულეთ ორივე მხრიდან საკმაოდ დიდი სამუშაო და ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას პროექტში „სამხრეთი ნაკადი" სლოვენიის მონაწილეობის თაობაზე. „სამხრეთი ნაკადი" მართლაც საერთო ევროპული, დიდი ენერგეტიკული პროექტი ხდება. ჩვენ დღეს ხელი მოვაწერეთ საბოლოო შეთანხმებას ამ პროექტის განხორციელებისათვის ჩვენთვის აუცილებელ ყველა ევროპელ პარტნიორთან", — განაცხადა პუტინმა.

შეგახსენებთ, რომ „სამხრეთი ნაკადი" მოიცავს სახმელეთო ნაწილს, რომელიც გაივლის რუსეთის ტერიტორიას, მთელ რიგ ევროპის ქვეყნებსა და წყალქვეშა გაზსადენებს, რომლებიც შავი და ადრიატიკის ზღვების აკვატორიაში განთავსდება.

შავი ზღვის ფსკერზე გაზსადენი ნოვოსიბირსკიდან ბულგარეთის პორტ ვარნამდე გაივლის, იქიდან კი ორი განშტოებით წავა ბალკანეთის ნახევარკუნძულის გავლით იტალიასა და ავსტრიაში. გაზსადენმა გეგმის თანახმად, წელიწადში 63 მილიარდი კუბური მეტრი გაზი უნდა გაატაროს. მისი ექსპლუატაციის დაწყების თარიღად 2015 წელია დათქმული.




# ბრიტანეთის ციხეებში ტერორისტებს ვერ უმკლავდებიან

**ბრიტანეთის ციხეების ბინადარი ისლამისტი ტერორისტები მუდმივ კავშირში არიან თავიანთ ორგანიზაციებთან და ციხეებს ახალი მიმდევრების გადასაბირებლად იყენებენ. ამის თაობაზე ბრიტანეთის ანტიექსტრემისტული ისლამური ორგანიზაცია „კუილიამი" თავის მოხსენებაში აღნიშნავს.**

აღნიშნული ორგანიზაციის მონაცემთა მიხედვით, ოსამა ბენ ლადენის „მარჯვენა ხელი" აბუ კატადა ციხიდან თავისი მიმართვების ჩანაწერებს აგზავნის. ეს მიმართვები კი შემდეგ ინტერნეტით ვრცელდება და ისლამური ტელეარხებით გადაიცემა.

ორგანიზაცია „კუილიამის" განცხადებით, ბრიტანულ ციხეებში პრაქტიკულად თავისუფლად ვრცელდება რადიკალი იმამების მიერ შედგენილი ტექსტები, ციხის ტელეფონებს კი ტერორისტები ისლამური ტელე და რადიოარხებით გამოსვლებისათვის იყენებენ. ორგანიზაციის რეკომენდაციით, პრობლემის მოსაგვარებლად ციხეებში რადიკალი ისლამისტების „აღზრდის ცენტრები" უნდა შეიქმნას. ასეთი ცენტრები უკვე მუშაობენ ეგვიპტეში, ალჟირსა და ლიბანში და მათი მთავარი მიზანი იმის დამტკიცებაა, რომ რადიკალური ისლამის იდეოლოგია მუსლიმანთათვის მიუღებელია.

# პენტაგონმა ტყვეთა წამების ამსახველი ფოტოების გამოქვეყნება აკრძალა

**აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა ამერიკელი მოქალაქეების მიერ უცხოელი ტყვეების წამების ამსახველი ფოტომასალის გამოქვეყნება აკრძალა.**

„ამ ფოტოების გამოქვეყნება აშშ-ის შეიარაღებულ ძალებსა და ხელისუფლებაში საზღვარგარეთ დასაქმებულ მოქალაქეთა უსაფრთხოებას ემუქრება", — ნათქვამია პენტაგონის მეთაურის ბრძანებაში.

დოკუმენტში ჩამოთვლილია 21 ფოტო, რომლის გამოქვეყნებისთვისაც იბრძვის სამოქალაქო თავისუფლებების ამერიკული კავშირი და კიდევ 23 ფოტო, რომლებიც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაშია მითითებული. მიუხედავად ამ კონკრეტული ჩამონათვალისა, როგორც პენტაგონის მეთაურმა განმარტა, აკრძალვა ეხება ყველა ფოტოს, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრიდან 2009 წლის 22 იანვრამდე მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებისას დაკავებული პირების წამებას ასახავს. საუბარია იმ ფოტოებზე, რომლებიც ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურეებმა ერაყსა და ავღანეთში გადაიღეს. წამების ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს, ორ შემთხვევაში განაჩენი უკვე გამოტანილია.

— დეპუტატს, რომელიც წარმოადგენს კონკრეტულ რეგიონს, უბანს ან გარკვეულ სოციალურ ჯგუფს, უნდა იცნობდნენ. მე ვიცი რას წარმოადგენს არჩილ გეგენავა, რადგან ის ჩემი რაიონის დეპუტატია. თუმცა იმდენი დეპუტატი გვყავს, რომ ყველა მათგანი ვერ ეცოდინება მოქალაქეს.

**— ...მაგალითად, ნუგზარ წიკლაური პროპორციული სიითაა არჩეული, მაგრამ ცნობადი სახეა...**

— იცით, რაშია საქმე? ცივილიზებულ ქვეყნებში პარლამენტარი კი არა, პრემიერ-მინისტრი ვინ არის, ისიც არ იციან, რადგან საზოგადოება არ არის პოლიტიზირებული. მე სულაც არ მინდა ჩემი მეხსიერება 150 დეპუტატით დავიტვირთო. გაცილებით მნიშვნელოვანი საქმეები მაქვს, ვიდრე მათი ვინაობის ცოდნაა.

**ნიკო ორველაშვილი, ეკონომისტი;**

**— იცით თუ არა, ვინ არის გოჩა თევდორაძე?**

— გვარი და სახელი გამიგია. ოღონდ, სიმართლე გითხრათ, ვინაა არ მახსენდება.

**— ის საქართველოს პარლამენტის წევრია. თქვენი აზრით, უნდა ცნობდეს თუ არა მას საზოგადოება?**

— უნდა ცნობდეს და არა უბრალოდ ცნობდეს, არამედ საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაცია იმის შესახებ, ვინ რაზე აგებს პასუხს, რომელი სფერო აქვს მინდობილი და ა.შ. პულტზე ხელის დაჭერა საბავშვო ბაღის ბავშვსაც შეუძლია, და ამაში არ უნდა იღებდნენ პარლამენტის წევრები იმხელა სიკეთეს, რაც აქვთ. არა მარტო ხელფასებს და პრემიებს ვგულისხმობ, არამედ კაბინეტებს, მანქანებს, ათასნაირი სახის კომპენსაციას და ა.შ.

**— ოფიციალურ ინფორმაციას თუ დავეყრდნობით, გოჩა თევდორაძე საკმაოდ პასიურია. რა ახსნა შეიძლება მოეძებნოს დეპუტატების უმრავლესობის ნაკლებ ჩართულობას კანონშემოქმედებით საქმიანობაში?**

— გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“-ის შესავალი, ლუარსაბი რომ ეჩხუბება, რაღა მე ამომირჩიეო. ამ პარლამენტში გოჩა თევდორაძის მეტი უქნარა ვერავინ ნახეთ? თქვენ ათ პარლამენტარს ვერ დამისახელებთ, რომელიც რამეს წარმოადგენდეს. ლუარსაბი ბევრად უწყინარი და სადღაც საყვარელი ტიპიც იყო. შეიძლება თევდორაძეც ასეთი ადამიანი აღმოჩნდეს, თუმცა დღეს ეს აქტუალური თემაა, რადგან ეს ადამიანები ჯოგივით შერეკეს პარლამენტში. კარგი მწყემსი ყველა პირუტყვს ცნობს, ასე ვთქვათ, თავისი ზნე-ხასიათით, მაგრამ ჩვენი საზოგადოება ვერ გამოდგა კარგი მწყემსი. მეც კი, რომელსაც, წესით, ინფორმაცია არ უნდა მაკლდეს, როგორც ხედავთ, გამიჭირდა გამეხსენებინა, ვინაა გოჩა თევდორაძე — პროპორციული წესითაა არჩეული თუ მაჟორიტარია?

**— „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიით უკვე მეორედ არის პარლამენტის წევრი...**

— სტაჟიანია. შეხედე, ჩვენ ჭურში ვსხედვართ, კაცი უკვე მეორე მოწვევის პარლამენტარი ყოფილა?! ეტყობა, პირველი ვადით არჩევისას ქვეყანა „ააშენა“.

**ნათია ქადაგიშვილი**

**ანზორ საკანდელიძე:**

# 6-ბალიანი მიწისძვრის შემთხვევაში თბილისი ნანგრევების ქალაქად იქცევა

## 8-ბალიანი მიწისძვრის შედეგად კი ის ქალაქი-სასაფლაო გახდება

**„სამშენებლო მასალები და მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ – ეს პიარ-ტექნოლოგიების მიერ „ფალსიფიცირებულად“ დამზადებული სახელისუფლებო სლოგანი არ გახლავთ, ეს ასოციაციის სახელწოდებაა. ასოციაციის ხელმძღვანელის, ბატონ ანზორ საკანდელიძის დასკვნები და პროგნოზები კი, ბევრად სავალალოა, ვიდრე ხელისუფლების „ფასადური დემოკრატია“. ფაქტია – ფასადური, ანუ ფალსიფიცირებული მშენებლობების უკან სიკვდილის რეალური საფრთხე დგას.**



**— მშენებლობის ბუმის ფონზე, დედაქალაქში გაჩნდა უამრავი პრობლემაც, რომელიც არქიტექტურის, გემოვნების, კომფორტისა და ესთეტიკის სფეროს კარგა ხანია გასცდა. ეს მშენებლობის პროცესისთვის დამახასიათებელია, თუ მორიგ თბილისურ „ანომალიასთან” გვაქვს საქმე?**

— **უკანასკნელი ათი წლის მანძილზე აშენებული სახლების 90 პროცენტი ფალსიფიცირებული ბეტონით შენდება და დასანგრევია.** ფალსიფიცირებული ბეტონის დამზადების ტექნოლოგიას ვერავინ მასწავლის, არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მაქვს ამ თემაზე დამუშავებული და თავად გახლდით ოცი წლის მანძილზე ბეტონის ქარხნის დირექტორი. **გარკვეული ცდომილებებისაგან არავინაა დაზღვეული, მაგრამ როცა ბეტონის სიმტკიცე 300 ერთეულის ნაცვლად 100-ზეა დასული, ამას ცდომილება კი არა, დანაშაული ჰქვია!** ევროპულ ქვეყნებზე აღარ ვლაპარაკობ, აქვე ჩვენს მეზობელ აზარბაიჯანშიც კი, ამას წინათ, თურქების მიერ აშენებული ხუთი საცხოვრებელი კორპუსი ექსპლუატაციაში არ გაუშვეს და უპირობოდ დაანგრიეს. ჩვენთან მსგავსი სახელმწიფო პოლიტიკა არ არსებობს.

**— ეს კერძო სექტორია და სახელმწიფოც ნაკლებად უნდა ერეოდეს კერძო ბიზნესში...**

— **კერძო ბიზნესი არ ნიშნავს ერთი ადამიანის გამდიდრების ხარჯზე მეორე ადამიანის გაუბედურებას!** ნორმალურ ქვეყანაში სახელმწიფო უნდა არეგულირებდეს ყველა სეგმენტს და რაც მთავარია, უნდა ზრუნავდეს ყველაზე უმთავრესზე – საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე!.. ქვეყანაში არსებული ანარქიისა და აბსოლუტური განუკითხაობის ფონზე მშენებლობის ბიზნესში მოვიდა ხალხი, რომელსაც არც საკმარისი პროფესიული ცოდნა და გამოცდილება აქვს და არც ადამიანობისათვის აუცილებელი სინდის-ნამუსი. პრაქტიკულად, მათი ბიზნესი სხვების გაუბედურების ხარჯზე კეთდება.

**— როგორ უნდა მოიქცეს იმ შემთხვევაში ადამიანი, თუკი მას ახალი საცხოვრებლის შეძენა სურს? ექსპერტების თანხლებით უნდა ეწვიოს სამშენებლო კომპანიას?**

— ჯერ ერთი, იმდენად დიდ თანხას იხდიან მშენებარე საცხოვრებელში, რომ პრევენციის მიზნით ექსპერტს თუ დაიხმარენ, ურიგო ნამდვილად არ იქნება და, მეორეც – ყველას არ მოეთხოვება მთელი რიგი სამშენებლო ნიუანსების ცოდნა, მაგრამ **როცა სახლს დაჟანგული არმატურით გიშენებენ და ამას საკუთარი თვალით ხედავ, კაცი იმდენს კი უნდა მიხვდე, რომ რამდენიმე წელიწადში ეს სახლი შენთვის და შენი ოჯახისათვის “ციხესიმაგრედ” კი არა, სარკოფაგად შეიძლება იქცეს!**

## «ხრუშოვკაში» ცხოვრება ბევრად უფრო უსაფრთხოა, ვიდრე ახალაშენებულ კორპუსში

**— მოქალაქეები დახმარებისა და კონსულტაციისათვის ხშირად მოგმართავენ?**

— თუ რამე უბედურება მოხდა, ატყდება პანიკა, არიქა გვიშველეთო... მაგრამ მერე, საფრთხის დროებით შეჩერებასთან ერთად, საზოგადოების აქტივობაც ნელდება და ბოლოს დავიწყებას მიეცემა ხოლმე. სიმართლე გითხრათ,

### პირადად მე თბილისში ცხოვრების მეშინია

**და გამუდმებით იმაზე ვფიქრობ, ეს ხალხი როგორ ახერხებს ამ ქალაქში მშვიდად დაძინებასა და გაღვიძებას, როცა ყოველ წუთას და ყოველ ნაბიჯზე არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ ამორტიზებული, ან ფალსიფიცირებული მშენებლობის მსხვერპლი გახდე.**

**— ვინ არის ასეთ უბედურ შემთხვევაზე პასუხისმგებელი – სახელმწიფო, რომელიც არასწორ სამშენებლო პოლიტიკას ატარებს, თაღლითი სამშენებლო ფირმა, დაუდევარი მოქალაქე – თუ სამივე ერთად?**

— უბედურებაც ეგაა, რომ რეალურად პასუხს არავინ აგებს და უბედურ შემთხვევას მხოლოდ ერთი მხარე ჰყავს — დაზარალებული. **ჩვენ ვცხოვრობთ ქალაქში, სადაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არც ერთი შენობა არ შემოწმებულა სეისმოლოგიაზე. საბჭოთა პერიოდში აშენებული ბინები შვიდბალიან მიწისძვრაზეა გათვლილი. ბოლო ოცი წლის მანძილზე მომხდარი მიწისძვრების ფონზე, ეს მაჩვენებელი რვა ბალზე ავიდა, ანუ, სავალდებულოა, რომ თბილისში რვაბალიან მიწისძვრაზე გათვლილი საცხოვრებელი სახლები აშენდეს.** მე კი, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ

### თბილისში არც ერთი ახალაშენებული სახლი არ არის რვაბალიანი მიწისძვრისთვის მზად!

**— ანუ, ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ თუკი თბილისში მაღალბალიანი მიწისძვრა მოხდება?**

— 6-ბალიანი მიწისძვრის შემთხვევაში თბილისი ნანგრევების ქალაქად იქცევა, რასაკვირველია, მსხვერპლთან ერთად; **ხოლო 8-ბალიანი მიწისძვრის შედეგად თბილისი აღარ იქნება, ანუ ის იქნება ქალაქი-სასაფლაო!**

**— ასეთი კატასტროფული პროგნოზი რით შეიძლება შეიცვალოს?**

— სერიოზული დამოკიდებულებით. ანუ, ერთი მხრივ, სახელმწიფომ, მეორე მხრივ კი მოსახლეობამ, უნდა აიძულონ სამშენებლო კომპანიები, რომ მშენებლობა აწარმოონ კვალიფიციურმა კადრებმა, არაფალსიფიცირებული საშენი მასალებით, ჩაატარონ ლაბორატორიული და გეოლოგიური კვლევები, მოახდინონ პროექტების ექსპერტიზა და, რაც მთავარია, შენობამ უნდა დააკმაყოფილოს სეისმოლოგიური მოთხოვნილებები.

**მთელი ეს პროცედურა სამშენებლო ფირმებს გაცილებით ძვირი დაუჯდებათ. მაგალითად, იმისათვის, რომ სეისმოლოგიური მდგრადობა 7-ბალიანიდან 8- ბალიანამდე გაიზარდოს, სამშენებლო კომპანიამ 50-60%-ით მეტი თანხა უნდა გაიღოს მშენებლობის პროცესში. როგორც უკვე გითხარით, დღეს ამ თანხის გაღება არავის უნდა, არც არავინ გაიღებს და ამიტომაცაა, რომ ასეთი საცხოვრებლის არც ერთი მობინადრე დაცული არაა.**

**— როგორც კი თბილისში სამშენებლო ბუმი დაიწყო, გავრცელდა ხმები, რომ ე. წ. „ხრუშოვკები“ უკვე ამორტიზებულები არიან, რადგან მათი საცხოვრებლად ვარგისიანობის ვადა მხოლოდ 50 წელზე იყო გათვლილი. ეს სინამდვილეს შეესაბამება, თუ კონკურენციის გამო ხელოვნურად შექმნილი პანიკაა?**

— მე შორს ვდგავარ იმ აზრისგან, რომ „ხრუშოვკების“ საცხოვრებლად ვარგისიანობის ვადა 50 წელია. რკინა-ბეტონის კონსტრუქციები მინიმუმ 100 წელს გაუძლებენ. 50 წლით მათი მზიდუნარიანობა კი არა, ქალაქის იერსახეში მათი არქიტექტურული და დიზაინის ფორმების ვარგისიანობა და ინტეგრირება იყო განსაზღვრული. “ხრუშოვკები” სეისმურად იმთავითვე 7-ბალიან მიწისძვრაზე იყვნენ გათვლილი. რასაკვირველია, მათ მდგრადობასაც არაფერი მომატებია მას შემდეგ, თუ არ დაჰკლებია არასწორი ექსპლუატაციის გამო, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ დღესაც **„ხრუშოვკაში“ ცხოვრება ბევრად უფრო უსაფრთხოა, ვიდრე ბევრ ახალაშენებულ კორპუსში.**

**—შეგიძლიათ კონკრეტულად დაასახელოთ ასეთი სახლები?**

— რად უნდა ამას კონკრეტიკა, ასეთ ფარღალალა სახლებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით. განსაკუთრებით ე.წ. „ელიტარულ უბნებში”. „მზიურში” აშენებული სახლების უმრავლესობა დამჯდარი და გადახრილია. იგივე შემიძლია გითხრათ ვაკე-საბურთალოს ტერიტორიაზე აშენებულ სხვა კორპუსებზეც. როდესაც კორპუსის ფუნდამენტი იმთავითვე 6 სართულზეა გათვლილი და მშენებლობის დასრულებისას აღმოჩნდება, რომ ექვსსართულიანის ნაცვლად, თოთხმეტსართულიანი სახლი შედის ექსპლუატაციაში, ნათელია, რომ ამ სახლში ცხოვრება სახიფათოა. აღარაფერს ვამბობ თავად მოსახლეობის თვითნებობაზე, მზიდი კედლების ნგრევაზე, თვითნებურ მიშენებებზე და იაფფასიანი მუშების, ანუ ე.წ „შაბაშნიკების” ნახელავზე. ფაქტია, ჩვენთან არც სამშენებლო, არც თანაცხოვრების და არც უსაფრთხოების კულტურა არ არსებობს...

გულწრფელად რომ გითხრათ, საშუალება რომ მქონდეს, დიდი სიამოვნებით წავიდოდი თბილისიდან ჩემს ოჯახთან ერთად და ყველა კეთილისმყოფელსაც თან გავიყოლებდი...

**P.S.** ასეთი მძიმე პროგნოზის მოსმენის შემდეგ, ბუნებრივია, ვისარგებლე შემთხვევით და ბატონ ანზორს ვკითხე – თუკი კედლებზე ან ჭერზე ბზარს შევამჩნევთ „კუსტარულ პირობებში” საკუთარი ძალებით როგორ უნდა მოვიქცეთ? „ბზარს ქაღალდის ზონარი გადააკრით, თუკი გარკვეული დროის შემდეგ გაიხა, ხელახლა სცადეთ. მეოთხედ და მეხუთედ კი თავს ნუღარ შეიწუხებთ, ცხადია, რომ სახლს სერიოზული პრობლემა აქვს, ამას ექსპერტიც დაგიდასტურებთ”. ბატონი ანზორის პასუხი აქ ამოიწურა, თუმცა პრობლემა ამით არ იწურება, პირიქით, უფრო იზრდება და ღრმავდება... რა უნდა მოვიმოქმედოთ ამის შემდეგ, ან ვის უნდა მივმართოთ დახმარებისათვის, უცნობია... ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ ჟღალი ფერებით შეღებილი კედლების, ანუ ნათელი ფასადის მიღმა, სიკვდილის საფრთხე დგას.

**ელგა ფოლადიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# დემეტრაშვილის ხელით სააკაშვილს კონსტიტუციაში ქვეყნის დაშლის მექანიზმი შეაქვს

## ნიკო ორველაშვილი: მიშა დავთესეთ, მიშა!

**ეკონომიკის ექსპერტთან და „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთ ლიდერთან, ნიკო ორველაშვილთან, საუბარი, ბუნებრივია, ეკონომიკური კრიზისის თემით დავიწყეთ; თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართული ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირს მაშინაც ვერ „ჩავუვლით“ გულგრილად, როცა ეკონომიკური კრიზისი მსოფლიოს მასშტაბით „მოძრაობს“...**

### წელს უფრო მეტ ადამიანს მოშივდება

**— საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს, რომ საქართველოში ეკონომიკური კრიზისი არაა. ეთანხმებით?**

— ნაწილობრივ კი. დიახ, ის, რაც საქართველოში ხდება, კრიზისს, კარგა ხანია, გასცდა. შედეგებით ეს უკვე კატასტროფაა.

**— ანუ პრეზიდენტი საკუთარ ხალხს ატყუებს?**

— რბილად რომ ვთქვათ, პრეზიდენტი არაადექვატურია; ხოლო თუ იმის პრეტენზია აქვს, რომ მოვლენების ადექვატურია, მაშინ იგი უსინდისოდ ტყუის და ბოდავს.

**— ფაქტია, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ჯერა პრეზიდენტის და, შესაძლოა, სწორედ ეს ნაწილი, პირადი თანხების ხარჯვისა და დაზოგვის თვალსაზრისით, შეცდომაში შევიდეს. რას ურჩევთ მათ?**

— ამ თვალსაზრისით შეგვიძლია, მშვიდად ვიყოთ. ვისაც მიხეილ სააკაშვილისა ჯერა, ანუ პენსიონერებსა და სტუდენტებს, დანაზოგი არ აქვთ და, შესაბამისად, ვერც შეცდომაში შევლენ.

რაც შეეხება საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ეკონომიკურად ქმედითუნარიანია, პროდუქციას ქმნის და, შესაბამისად, დანაზოგიც აქვს — **როგორც მკვდარს ვერ მოკლავ მეორედ, ისე ეს ხალხი აღარ მოტყუვდება მეათასედ. ისინი სააკაშვილის ერთ სიტყვასაც არ დაიჯერებენ.**

**— სხვათაშორის, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი საქართველოში თვალში საცემად, მართლაც, არ იგრძნობა. წლევანდელი შემოდგომა ბევრად არ განსხვავდება შარშანდელისგან...**

— ეს იმათთვის, ვინც შარშანაც სიდუხჭირეში იყო და წელსაც სიდუხჭირეშია. მიბრძანდით საგადასახადო ორგანიზაციებში და საკუთარი თვალით ნახეთ – განცხადება განცხადებაზე შედის ბიზმესმენებისაგან. ჯერ რა რაოდენობის ბიზმესმენები ჩვენ გვყავს, მაგრამ რაც გვყავს, ისინიც საქმიანობის შეჩერებაზე წერენ განცხადებებს. მეგონა, ახალ წლამდე მაინც „მიგორდებოდნენ“ ინერციით, მაგრამ ესეც უჭირთ. დახურავენ საფინანსო, სამეურნეო წელს და, ახალ წელს რა რაოდენობა „გადააგორებს“, ეგ მართლაც თითებზე იქნება ჩამოსათვლელი. უკვე ყველა ხვდება, რომ, რაც უფრო შორს წავა, მით უფრო დიდ ვალებში ჩაეფლობა. ეს კი, ბუნებრივია, არავის უნდა.

**— როგორ ზამთარს უნდა ველოდოთ არსებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე?**

— სამწუხაროდ, სანუგეშოს ვერაფერს გეტყვით. ალბათ, ისეთი ზამთარი გვექნება, როგორიც დავიწყებული გვაქვს და წლების წინ გვქონდა...

**— ვაიმე შუქი, ვაიმე გაზი, ვაიმე წყალი?...**

— კი. გაჭირდება ლარის კურსის შენარჩუნებაც. ქვეყანაში ინფლაციის კი არა, ჰიპერინფლაციის საშიშროებაა. მოკლედ, რაც დავთესეთ, იმას მოვიმკით...

**— რა „დავთესეთ“, ლარის ინფლაცია, უშუქობა და უგაზობა?**

— მიშა დავთესეთ, მიშააა!.. ახლა სააკაშვილი გამალებით ცდილობს, განტევების ვაცი მოძებნოს თავის გარემოცვაში, ვისაც ცოდვებს ჩამოჰკიდებს ან ხიმინჯივით გვერდით მოისვას რომელიმე ფსევდოოპოზიციური პოლიტიკური პარტია, ვისთანაც პასუხისმგებლობას გადაინაწილებს.



### თუ უნინდებურად ერთ ტომარა ფქვილზე გავიყიდებით, ვაღიაროთ რომ საქონლები ვართ და მიშაც ისე გვექცევა, როგორც საქონელს

ისეთი დიდი პასუხისმგებლობის ზიდვა, როგორის სააკაშვილს აქვს დაკისრებული, მარტოს თვით მიშასნაირ „გოლიათსაც“ კი არ ძალუძს.

**— პასუხისმგებლობისაგან შეწუხებულისას რას ატყობთ პრეზიდენტს?**

— ყველაფერზე პასუხისგება მოუწევს, თან ძალიან მალე. სხვათაშორის, როდესაც რაიონის ხელმძღვანელებს ვხვდებით, ყველა თავს იმართლებს — **„რამე რომ მოხდეს, ჩვენგან რა გინდათ, ჩვენ ხომ არ დაგვიქცევია ეს ქვეყანა, ჩვენ ხომ არ ჩაგვიხოცია ის ბიჭები, ჩვენ ხომ არ გაგვიფლანგია მილიონებიო?!“... მოკლედ, ამ „რამე რომ მოხდეში“ მიშას წასვლა იგულისხმება და ყველა შეგუებულია იმ აზრს, რომ ხვალ-ზეგ მიშა გაიქცევა, გაქრება, აორთქლდება ან ... ნებისმიერ შემთხვევაში, მიშა აღარ იქნება! ეს პერიოდი მიშასთვის „გედის სიმღერაა“.**

**— „მიშას გედის სიმღერაა“ ოპოზიციის ბაქიბუქისა და ხალხის ლანძღვა-გინების „აკომპანემენტით“? რა მდგომარეობაში იქნება საქართველოს ეკონომიკა 2013 წელს, ანუ სააკაშვილის მმართველობის კონსტიტუციური ვადის ამოწურვის შემდგომ?**

— ეკონომიკისაგან აღარაფერი დარჩება, თუმცა საკითხი ასე არ დგას. მერწმუნეთ, ოპოზიციამ სულ რომ არაფერი გააკეთოს, სააკაშვილი თვითონ ვერ მიაღწევს ამ ვადამდე. **მისი ბოლო გამოსვლები ექიმთა საზოგადოებაში ვნახე. თითქმის ყველამ ერთხმად აღიარა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ნამდვილად არ გახლდათ საღ გონებაზე და იგი პრეპარატების ზემოქმედების ქვეშ იყო. გარდა ამისა, მე ძალიან კარგად ვიცნობ მიშას, ვიცი მისი ხასიათი და დარწმუნებული ვარ, თითიც რომ არავინ გაანძრიოს მის საწინააღმდეგოდ, ის თავისით მოიწევს რამეს.**

ვაღიაროთ ისიც, რომ მთელი ოპოზიციური სპექტრის კოლექტიური შეცდომა იყო გაზაფხულის აქციების დროს საპროტესტო მუხტი, სწორად წარმართვის ნაცვლად, ჰაერში რომ გაუშვეს. იმედი ვიქონიოთ, რომ მსგავსი შეცდომა აღარ გამეორდება. რაც შეეხება ხალხს, ვფიქრობ, აღელვებული და აგრესიული ხალხის პირისპირ მიშას მარტო დატოვება არ შეიძლება.

გავიხსენოთ ყირგიზეთის უახლესი ისტორია. ყირგიზეთში ოპოზიცია საერთოდ არ ჰყავდათ, ვინც ჰყავდათ, ისიც ციხეში იყო გამომწყვდეული, მაგრამ ქვებით და ხელკეტებით შეიარაღებული, დამშეული და განრისხებული ხალხი ქუჩაში რომ გამოვიდა, პრეზიდენტიდან დაწყებული, მთელი მთავრობა თავქუდმოგლეჯილი გარბოდა...

**— ასეთი აპოკალიფსური სურათის ფონზე სოციალური აფეთქება ჩვენთანაცაა მოსალოდნელი?**

— ძნელი სათქმელია. საქართველო, მგონი, ერთადერთი ქვეყანაა მთელ მსოფლიოში, სადაც სოციალური პრობლემატიკა პოლიტიკური კატაკლიზმებს არ იწვევს. ქართველებს, ზოგადად, გვიყვარს „კოხტაპრუწობა“. რეალურად, ამ ორი წლის მანძილზე, აქციებზე მშიერი ხალხიც იდგა, მაგრამ ამ ლოზუნგით იქ არავინ მოსულა. თუმცა შარშან ერთ-ერთ ტელეშოუში ახალგაზრდების ჯგუფი სწორედ ანალოგიური ლოზუნგით წარდგა საზოგადოების წინაშე. ისინი მართლები იყვნენ, მათ მართლაც შიოდათ.

**წელს უფრო მეტ ადამიანს მოშივდება. შესაძლოა, ისევ ქართული კუდაბზიკობის გამო ეს ლოზუნგი ხელში არც ამჯერად დაიჭირონ, მაგრამ ხვალინდელი დღის იმედი რომ აღარ ექნებათ, სწორედ ეგ აიძულებთ გარეთ გამოსვლას.**

**— შესაძლოა, ესეც ქართული პარადოქსია, მაგრამ ფაქტია – სოციალურად დაუცველი ფენა, ანუ ის, ვინც სოციალური აფეთქება უნდა მოაწყოს, არის სწორედ პრეზიდენტის ერთგული მხარდამჭერი (?).**

— რასაკვირველია, მშიერი

# საქართველოს ტრაგიკული ზამთარი ელოდება

## თემურ მურღულია: მოსახლეობას კრიზისის კი არა, ხელისუფლების უნდა ეშინოდეს!

**მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის საწყის ეტაპზე ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ საქართველოში მძიმე შემოდგომა იყო მოსალოდნელი. კრიზისის კულმინაციას კი დეკემბერ-იანვარში ელიან. ხელისუფლება უკვე იკვეხნის, რომ ოქტომბრის ბიუჯეტი კრიზისის ფონზე გადაჭარბებით შესრულდა და ხელფასებისა და პენსიების გაცემის პრობლემა არ შეიქმნება. თუმცა, როგორც ექსპერტები ამბობენ, „ობივატელის“ თვალისთვის შეუმჩნეველია არსებული მძიმე ვითარება, რადგან ხელისუფლება საფრთხეს კარგად ფუთავს, რეალურად კი ერთობ არასახარბიელო მდგომარეობაშია.**

**თემურ მურღულია (ეკონომიკის ექსპერტი):** ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრას ხელისუფლება, ერთი მხრივ, ბიზნესის რეკეტებითა და თანხების წინასწარი მობილიზაციით ცდილობს. სწორედ ამას ემსახურება ბოლოხანს სხვადასხვა ორგანიზაციაში, თუნდაც, „ჯეოსელში“ დაწყებული საგადასახადო შემოწმებები. **ამით ცდილობენ, რაღაცნაირად შეაკოწიწონ ბიუჯეტი.** 2009 წლის დასაწყისში, როდესაც, ასევე, წინასწარი გადახდით მოხდა თანხების მობილიზაცია, ამგვარივე მძიმე სურათი გვქონდა. იანვარსა და თებერვალში, წინა წელთან შედარებით, დაახლოებით 30 პროცენტით ნაკლები იყო შემოსავლები, მაგრამ მარტში საგადასახადომ ისეთი ფანტასტიკური შედეგები უჩვენა, რომ გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ადვილი მისახვედრია, რომ ამ პერიოდში წინასწარი გადახდები ამოქმედდა. მეორე ფაქტორი, რომლითაც ხელისუფლება არსებულ სირთულეებს ფარავს, კაპიტალური აქტივების გაყიდვაა, იქნება ეს მიწა, ტყე თუ ქარხანა. თუ ბიუჯეტს გულდასმით გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ხელისუფლება ბიუჯეტის დეფიციტს სწორედ ამ აქტივების გაყიდვით აბალანსებდა.

მოსახლეობამ უნდა იცოდეს, როგორ ხარჯავს ხელისუფლება მის მიერ გადახდილ ფულს. მოსახლეობას ზამთრის ან კრიზისის კი არა, ხელისუფლების უნდა ეშინოდეს! დღეს ქვეყანაში, სოციალური თვალსაზრისით, ძალიან მძიმე ფონია შექმნილი. მართალია, ბოლო წლების მანძილზე შიდა პროდუქტის ზრდა ფიქსირდება, მაგრამ ეს არის ნომინალური ზრდა და რეალური მაჩვენებელი გაცილებით ნაკლებია. გარდა ამისა, შიდა პროდუქტის ზრდა სულაც არ ნიშნავს საზოგადოების კეთილდღეობის ზრდას. სოციალურად დაბალი ფენებისთვის ვითარება არ შეცვლილა.

**იმ ადამიანების უმთავრესი პრობლემა, ვისაც სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა ეხება, უმუშევრობაა.** მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა სიღატაკეა. თუ დღეს ადამიანი შეძლებულ ფენას არ მიეკუთვნება, ძალიან სერიოზული პრობლემები ექმნება ჯანდაცვის სფეროსთან მიმართებაში. სახეზეა პრობლემების მთელი კომპლექსი, რომელიც ქვეყნისთვის საჭირო დონეზე ჯერ არ გადაწყვეტილა.

**ნანა ლალაძიშვილი**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

კაცის მოსყიდვა და მოტყუება ბევრად იოლია, ვიდრე მაძღრისა და გონიერის. თუ საზოგადოების დიდი ნაწილი უწინდებურად ერთ ტომარა ფქვილზე გაიყიდება, მაშინ პრეტენზიაც ნურავისთან გვექნება. ვაღიაროთ, რომ საქონელი ვართ და სწორედ ისე გვექცევიან, როგორც საქონელს! ხოლო, თუ ამჯერად მაინც გვეყოფა ჭკუა და გამოცდილება და ხელისუფლების ანკესზე წამოგებულ ჭიაყელას გაბითურებული თევზებივით არ წავეპოტინებით, მაშინ გადარჩენის შანსი ერსაც ექნება, ბერსაც და ქვეყანასაც...

**— ხალხი დაიბნა, ოპოზიცია გამუდმებით „გადარჩენის“ თეორიულ შანსებზე ლაპარაკობს; ხელისუფლება კი, ირწმუნება — „საქმე ლაპარაკის ნაცვლადო“...**

— რომელი საქმე? დახედეთ თანამედროვე საქართველოს რუკას, რა გვაქვს უკვე დაკარგული და საერთაშორისო აქტებით გაფორმებული და რა ნაწილს ემუქრება საფრთხე. **ამ რამდენიმე დღის წინ გამოვიდა სახეგაბადრული დემეტრაშვილი (რომელსაც თავის დროზე კოლეგები და სტუდენტები დიდ პატივს ცემდნენ) და ბედნიერმა გამოგვიცხადა: ახალი კონსტიტუციის პროექტის შექმნა ვერ მოვასწარით, მაგრამ, სამაგიეროდ, მოვიფიქრეთ გენიალური რამ; კერძოდ, საქართველოს მხარეებს კონსტიტუციით უნდა მივანიჭოთ სტატუსი, რომლის მიხედვითაც ისინი აირჩევენ პარლამენტებს და ექნებათ რეფერენდუმის ჩატარების უფლებაო...**

გულწრფელად გეკითხებით, ბაღაფშის ადგილზე რომ იყოთ, თქვენ რა რეაქცია გექნებოდათ ამ კონტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით? **პირადად მე სიხარულით შემოვკრავდი ტაშს იმიტომ, რომ კონფლიქტის ამოწურვა ყველას სჭირდება, დავბრუნდებოდი საქართველოს იურისდიქციაში, მერე ამ ცვლილებების წყალობით მოვიწვევდი პარლამენტს და სრულიად მშვიდად, ყოველგვარი დაძაბულობისა და კონფლიქტის გარეშე, ლეგალური გზით, პარლამენტს მივაღებინებდი გადაწყვეტილებას საქართველოს იურისდიქციიდან გასვლის თაობაზე. პრაქტიკულად, დემეტრაშვილის ხელითა და ენით, მიხეილ სააკაშვილი საქართველოს კონსტიტუციაში დებს ქვეყნის დაშლის მექანიზმს!**

ეს ჯერ ლაპარაკია, ანუ კბილის მოსინჯვა და ნიადაგის მომზადება ქართულ საზოგადოებაში. მაგრამ, როგორც კი ეს კანონპროექტი პარლამენტში შევა და საქმედ გადაქცევის საფრთხე დაემუქრება, ქუდზე კაცი კი არ უნდა გამოვიდეს, უნდა დაწვეს ქუჩებში!..

**— რა უნდა გააკეთოს საქართველოს მოსახლეობამ საიმისოდ, რომ ზამთარი წელგამართულმა გადაიტანოს?**

— თუ დანაზოგი გააჩნიათ, ყაირათიანად გამოიყენონ. შეიქმნან, რაც შეიძლება დიდი მარაგი და, თუ შეძლებენ, დახმარების ხელი გაუწოდონ ახლობლებს, მეგობრებსა და ნათესავებს... წელს, მართლაც, საშინელი ზამთარი გველის.

ესაუბრა
**ელგა ფოლადიშვილი**

---

### ზურაბ გაგნიძე:

# ფრიდონ თოდუას ფსიქოსტრუქტურა დიდი ილიას მრწამსის ქარგაზეა აწყობილი

**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის — ფრიდონ თოდუას ფსიქოპორტრეტს წარმოგვიდგენს ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



**— ბატონო ზურაბ, რა შტრიხებითაა რეკონსტრუირებული ბატონ ფრიდონ თოდუას ფსიქოსტრუქტურა, მისი ჩვევები და ცხოვრების წესი?**

— დღეს „ფეხშიშველი“ და განუკითხავი ერი, დიოგენეს მსგავსად, სანთლით ეძებს ქართულ პოლიტიკაში — ადამიანს, ამ სიტყვის სრული გაგებით. ეს პროცესი, ძირითადად, არჩევნებით მჟღავნდება. უკვე ორი ათეული წელია, ხალხის აქტივობას უპირისპირდება სახელმწიფო მანქანის გაყალბებული არჩევითობა. საპარლამენტო არჩევნები ქვესახეებად იყოფა. მათ შორის ყველაზე პოპულარული მაჟორიტარული ფორმაა.

**ამ ნიშნით პარლამენტში მოხვედრა ნიშნავს, რომ ბატონი ფრიდონი, დიდი სწავლული მეცნიერის გარდა, დიდებული ადამიანია. მისმა მშობლიურმა ქალაქმა — ზუგდიდმა ფრიდონ თოდუას უპირობო ნდობა გამოუცხადა. ზუგდიდელებმა იციან, ათასი რეგალიების მქონე, დაფასებული დეპუტატი კვლავ დარჩება მოუსყიდველ ქადაგად, ყალბი ილუზიებით არ მოგატყუებთ, შეულამაზებლად და პატიოსნად იტყვის რანი ვართ, საიდან მოვედით და სად მივდივართ.**

ის ფლობს იშვიათი ფსიქოწყობის ჰარმონიას: დიდ ნიჭსა და ნებისყოფას, შინაგან სისუფთავეს, პასუხისმგებლობის გრძნობას, სამართლიანობასა და კეთილმოსურნეობას, რასაც ფსიქოლოგიაში სულიერ სიჯანსაღეს ვეძახით.

როგორ მოახერხა ბატონმა ფრიდონმა დიდი პიროვნულ სიმწიფის მიღწევა — ეს გახლავთ მისი ფსიქოსტრუქტურის ცენტრალური ხაზი — მიზნისკენ მიმართული ეფექტიანი ორგანიზაცია. ბატონი ფრიდონი 600-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 9 მონოგრაფიისა და 6 გამოგონების ავტორია, მიღებული აქვს 15 საპატენტო მოწმობა, დიდი ნოვატორია. მის ფრთებქვეშ დაფრთიანდა დარგის თაობები. ყოველივე ამისთვის მან ტიტანური შრომა გასწია.

ის მუდამ ინარჩუნებს წონასწორობას, რადგან თვითშეფასების მაღალი უნარი აქვს. შეუძლია „მეს“ წვდომა. ამიტომ მისი თვალსაწიერი შორს დგას ეგოიზმისგან. ამგვარ ფსიქოტიპს არასოდეს ემუქრება ნევროტული და ანომალური ტენდენციები, რომელთა სიმრავლემ პოლიტიკაში ხალხი გულაცრუებამდე მიიყვანა.

ფრიდონ თოდუას ფსიქე კონსტრუირებულია პიროვნული სიმწიფით, ასკეტური შრომისმოყვარეობით, მიზნობრივი ეფექტიანი ორგანიზაციით, შესაშური გონებრივი უნარებით, ინსაიტით და სულიერი სისუფთავით. გააჩნია სამყაროს ფრიად ეფექტური აღქმა და მასთან კომფორტული მიმართება. ის არ ეძებს აღიარებას, აღიარება თვითონ ეწვია. არის სსრკ-ის სახელმწიფო და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე; ორგზის ა.ვ. ვიშნევსკის პრემია აქვს მიღებული. ერთიანი ევროპის მშენებლობაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. მიღებული აქვს ანდრია პირველწოდებულისა და ალბერტ შვაიცერის ორდენები, ზაზა ფანასკერტელის დიდი ოქროს მედალი და მისი სახელობის პრემია; 2003 წელს აშშ-ის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა „2004 წლის საუკეთესო ადამიანად“ აღიარა. საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სამედიცინო სწავლების აღდგენისა და მედიცინის ფაკულტეტის აღორძინებისთვის დაიმსახურა ივანე ჯავახიშვილის ოქროს მედალი. საფრანგეთის მთავრობამ კი ბატონი ფრიდონი დააჯილდოვა დიდი ქველმოქმედებისა და საქმის ერთგულებისთვის „მადლიერების ჯვრით“, დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის ორდენით.

დიდმა მეცნიერმა სამშობლოში დააარსა კლინიკო-დიაგნოსტიკური ცენტრი, რომელსაც შემდგომ რადიოლოგიის ინსტიტუტის სტატუსი მიენიჭა და დღემდე მისი უცვლელი დირექტორია. იგი არის მთელი რიგი საერთაშორისო რადიოლოგიური და ქირურგიული ასოციაციის წევრი. რამდენიმე ქართული და უცხოური ჟურნალების სარედაქციო კოლეგიისა და მრავალი საბჭოსა და კომისიის წევრი. არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად. ეს მოკლე ჩამონათვალია, რათა ფართო საზოგადოებამ იცოდეს, ვინ არის ჩვენ გვერდით. მან ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე, გასული საუკუნის 90-იან წლებში დატოვა მოსკოვი, პრესტიჟული ადგილი და სამშობლოში გამოემგზავრა ერთი მიზნით — მშობელი ხალხის მსახური გამხდარიყო.

**— ბატონო ზურაბ, რა უნდა ამ დიდ მეცნიერს პარლამენტში, სადაც უმრავლესობა ნაკლოვანია, სადაც გამეფებულია პირადი ინტერესები, წვრილმანებზე ყეფაქექიაობა და ჩინების მაძიებლობა?**

— პიროვნული სიმწიფის უძირითადესი ნიშნულია მოძმისადმი თანადგომა და სამშობლოსადმი თავდადება, ხალხის მსახურების მოთხოვნილება. შეუძლებელია, საქართველოში იცხოვრო და არ შეეჯახო საზოგადოების ცხოვრების მტკივნეულ, მწვავე პრობლემებს. დალაგებულ ქვეყანაში ყველა თავის საქმეს უნდა აკეთებდეს, აწეწილ ქვეყანაში კი ქუდზე კაცი უნდა გამოდიოდეს მის დასალაგებლად. ფრიდონმა იცის, რომ სიმართლის დამკვიდრებასა და გამარჯვებას დიდი ბრძოლა სჭირდება. მას სურს, თავისი ცოდნა, გამოცდილება და ავტორიტეტი ქვეყნის წინსვლის ბერკეტად აქციოს. იძულებულია, თანამდგომნი მართალ სარკეში ჩაახედოს, კეთილი რჩევა მისცეს და ნაკლზეც მიუთითოს. ამის დასტურია, რომ ვიცე-სპიკერი ფრიდონ თოდუა ქვეყნის ჰოსპიტალიზაციის პროგრამის განხორციელებაზე ხელსუფლების არგუმენტს არ იზიარებს, რომელმაც ხელისშემშლელ ფაქტად ორი რიგგარეშე არჩევნები და აგვისტოს ომი დაასახელა. ფრიდონ თოდუა პასუხობს: „საინტერესოა, რა კეთდებოდა აგვისტოს ომამდე,“ რითაც ამჟღავნებს გონივრული განსჯისა და ანალიტიკური აზროვნების უნარს. ჩვენ გვჭირდება ასეთი პარლამენტარები, რათა უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ დიდი და ღვაწლმოსილი დეპუტატთა შემოქმედებით ხალხისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებები მიიღოს. ამ მისიის შესასრულებლად ბატონი ფრიდონი დიდ ტალანტთან ერთად ფლობს იობის მოთმინებას, მას ასკეტური წყობის ფსიქოსისტემა აქვს, არ აწუხებს ამბიციური საზრუნავი. ფრიდონის პარლამენტარობა სიყვარულიანი შეშფოთებაა.

მეორე ფსიქოშტრიხი, რამაც ის პარლამენტში მიიყვანა, არის ნიჭიერი პიროვნების უსაზღვრო ჰორიზონტები, რომელსაც ცნობილი ფსიქოლოგი მასლოუ „ოკეანურს“ უწოდებს. დღეს საზოგადოება პოლიტიზებულია და მას სურს ამ სფეროში მოღვაწეობა, მაგრამ ეს ხელს არ შეუშლის, მეცნიერად დარჩეს. მისი სამშობლო „აგონიაშია“, მისი პარლამენტში შესვლა ავადმყოფის სარეცელთან მისვლის ტოლფასია, რათა დაგროვილი ცოდნა, გამოცდილება მის გამოჯანმრთელებას მოახმაროს. დეპუტატობა კი ავადმყოფი ქვეყნის ჭირისუფლობაა, სადაც საკუთარი „მე“ წაშლილია. ხელისუფლებასთან მისვლით მას სურს, ზუსტად მონახოს ის მიზნები და საშუალებები, რაც ქვეყანას „აგონიიდან“ გამოიყვანს.

**— ბატონო ზურაბ, არსებულ მდგომარეობასა და გარემოცვაში რამდენად წარმატებული იქნება ბატონი ფრიდონის ფსიქოწყობისთვის პარლამენტარის ტრიბუნა?..**

— გეთანხმებით, ბატონმა თოდუამ უძნელეს საქმეს მოჰკიდა ხელი. ოპონენტები შეეცდებიან, გზიდან გადაახვევინონ, გული გაუტეხონ, ცილი დასწამონ. არც იმას მოერიდებიან, რომ მისი ღირსება გაათელინონ ავყია კაცთა უსაგნო ყაყანს მისი პოლიტიკური იმიჯის შესარყევად, თუმცა მეორე გზაც არსებობს — ამოეფარონ თავიანთი რენომეს გადასარჩენად დიდი მეცნიერის ავტორიტეტს, ამიტომაც დანიშნეს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ, მაგრამ გარწმუნებთ, ამგვარი ფსიქოშტრიხების მქონე ინდივიდის დისკრედიტაციის მცდელობა ამაო ცდაა. 2008 წლის აპრილში ფრიდონ თოდუა ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატი კინოთეატრ „ატრიუმში“ შეხვდა ამომრჩევლებს და დაჰპირდა, რომ „ყველაფერს გააკეთებს, რათა 4 წლის შემდეგ თავის ამომრჩეველს ისევ თამამად შეხვდეს“. ვიცი, დაპირებას შეასრულებს. იმიტომ, რომ მონოლითური რწმენის, რკინის ნებისყოფის, სწავლული და რაც მთავარია ზნეკეთილი კაცია.

**— რა მიგაჩნიათ ფრიდონ თოდუას ფსიქოსტრუქტურის ნაკლად?**

— ნაკლის მოძებნა გამიჭირდება. ევროპულ და ამერიკულ მოდას აყოლილებმა შეიძლება მისი ტრადიციებისადმი ერთგულება, თავმდაბლობა, სოციალური სოლიდარობა და ხასიათის სუპერდეკრატიული სტრუქტურა ნაკლად მიიჩნიონ, მაგრამ ყველა ეს გამომზეურებული თვისება მისი სულიერების წასაკითხი ანბანია. ასეთი „ანბანით“ კი 100-ში ერთი თუ იბადება.

**— რატომ არ ჩანს ბატონი ფრიდონი ხშირად ტრიბუნაზე, მას, როგორც მეცნიერს, ყველა იცნობს, როგორც ტრიბუნ-პარლამენტარს — ნაკლებად... ამას როგორ ახსნით?**

— მისი ინტელექტი იმის გარანტიაა, რომ კარგი ინსაიტი აქვს, ანუ უკეთ იგებს და იღებს აუდიტორიას. ამგვარი გონებრივი და სულიერი უნარების მქონენი არ იხარჯებიან ფუჭსიტყვაობაში, პოპულისტურ თავმომწონეობაში, იაფფასიან მანიპულაციებში. ამის არიდებაში ეხმარება ღირებულებითი ორიენტაციები. ღირს კი გამოსვლები უსაფუძვლოდ?.. ფრიდონმა იცის, რომ ხალხის წინაშე წარდგომა მეტად საპასუხისმგებლო, საფრთხილო და სათუთი საქმეა. დეპუტატობა, სხვებისგან განსხვავებით, მისთვის ტვირთია, უდიდესი პასუხისმგებლობა და ზრუნვა. ფრიდონ თოდუას ფსიქოსტრუქტურა დიდი ილიას მრწამსზეა აწყობილი, ამიტომ ერიდება პოლიტიკურ ტრიბუნაზე მანჭვა-გრეხას, კათედრაზე მუშტის ბრახუნს, სულიერ სიმდაბლეს თავკაცთა საამებლად და გონებრივი სიბეცის აფიშირებას კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. იცის საკუთარი თავის ფასიც და სიმაღლეც. ის მძიმედ და ძვირად იტყვის სიტყვას, ოღონდ — წონადსა და წმინდას, სხვანაირად არ შეუძლია.

უზნაძის თეორიით დროს ულმობლად შეაქვს თავისი კორექტივები მიზანთა რეალიზებაში. ჩვენ გვიჭირდება არა მხოლოდ არსებობა, არამედ — გადარჩენა. რაც უფრო მეტი მაღალმხედი, ფართო თვალსაწიერისა და დიდი გონებრივი დიაპაზონის, სულიერი წრთობისა და ტიტანური ტალანტის მქონე პიროვნება შეეცდება ქვეყნისა და ხალხის ჭირ-ვარამის ზიდვას, მათი ტკივილის საკუთარ გულსა და გონებაში გატარებას, როგორც ეს ფრიდონ თოდუამ იკისრა, მხოლოდ ასეთი კაცნი შეძლებენ, ჩაწვდნენ ჩვენი დროის რებუსულ არჩევანს და გზის გაკვალვას აღმასვლისაკენ.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# მე-4 კლინიკური საავადმყოფო ფაშისტურ ბანაკს დაემსგავსა

**როგორც „საქართველო და მსოფლიოსთვის“ სანდო წყაროდან გახდა ცნობილი, შპს „ბლოკ-ჯორჯიამ“ ბავშვთა მე-3 საავადმყოფოს მედპერსონალს ისე გაუფორმა ხელშეკრულებები, რომ სახელშეკრულებო პირობების გაცნობის დრო არ მისცა. იმ ექიმებს, რომლებმაც ხელშეკრულების დეტალურად შესასწავლად რამდენიმე დღე ითხოვეს, ხელის მოწერაზე უარი უთხრეს. ამის გამო საავადმყოფოს რამდენიმე თანამშრომელი უმუშევარი დარჩა.**



შპს „ბლოკ-ჯორჯია“ ხელშეკრულებების გაფორმებას მე-4 კლინიკური საავადმყოფოს მედპერსონალთანაც გეგმავს. აღნიშნული კლინიკის ისედაც რეპრესირებული თანამშრომლები შიშით მოელიან ამ დღეს და ვარაუდობენ, რომ ბევრი მათგანი უმუშევარი დარჩება. მათი აზრით, ჰოსპიტალის დირექტორს — აჩიკო ფოჩხუას არასასურველი მედიკოსების სია აქვს შედგენილი. ამ სიაში კი, ძირითადად, იმ პიროვნებების ვინაობაა მითითებული, რომლებიც მათ გარკვეულ წინააღმდეგობას უწევენ და ხელს უშლიან რეორგანიზაციის მოტივით საავადმყოფოს დაშლა-განადგურებას.

მთავარი ექიმის „სია“, უპირველესად „შინდლერის სიის“ ასოციაციას იწვევს, იმ განსხვავებით, რომ გერმანელმა ბიზნესმენმა ეს სია ფაშისტების კლანჭებისაგან ადამიანების სიცოცხლის გამოსახსნელად შეადგინა, ბატონი ფოჩხუას სიის მიზანი კი ჩვენი თანამოქალაქეები ულუკმაპუროდ დატოვება გახლავთ.

მედიკოსები იმდენად შეშინებული არიან, რომ ამა თუ იმ პრობლემურ საკითხზე საკუთარი აზრის დაფიქსირებისგან თავს იკავებენ. მაგალითად, ერთ-ერთ კრებაზე, რომელზეც ხელმძღვანელი თანამშრომლებს შიდაგანაწესს აცნობდა, ერთმა ექიმმა განაცხადა: **„საავადმყოფო ტერორშია და ეს ტერორი ამოგვივიდა ყელში. თუ გვიშვებთ, გაგვიშვით, თუ არადა, დაგვაცადეთ მუშაობა?!“** ამ ექიმს უკანა რიგებიდან კოლეგები ხელით ანიშნებდნენ და აჩუმებდნენ. ყველა მათგანს შიში ეწერა სახეზე.

უფრო მეტიც, **მედპერსონალი ერთმანეთისგან მალულად, საკუთარ კაბინეტებში შეკეტილი კითხულობდა „საქართველო და მსოფლიოს“ მორიგ ნომერს, რომელშიც „ბლოკ-ჯორჯიას“ დანაშაულებრივ ქმედებებზე იყო საუბარი, ვინმეს არ დაგვინახოს და უფროსობასთან არ დაგვასმინოსო.**

მე-4 კლინიკურ საავადმყოფოში ავადსახსენებელი 1937 წელი დაბრუნდა. აქ ექიმების დევნა-შევიწროება, უმიზეზოდ თანამდებობიდან ჩამოქვეითება ან სულაც სამსახურიდან გაგდება ჩვეულებრივი მოვლენაა. **კლინიკის დირექცია ექიმებს მიმართულების ხელმძღვანელებს კი არწმუნებს, რომ ხელქვეითები ძირს უთხრიან. ამ მდგომარეობით შეწუხებულმა მედიკოსების ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა, ინტერნეტით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასა და ყველა წამყვან კლინიკას დაუგზავნოს შეტყობინება: „SOS! „გვიშველეთ!“, რადგან ის, რაც ამ კლინიკაში ხდება, პირველ რიგში, პაციენტსა და მის ჯანმრთელობაზე აისახება.**

პაციენტების ჯანმრთელობა კი ამ სამშენებლო კომპანიას (ბოდიშს ვიხდი ამ გამოთქმაზე) ფეხზე ჰკიდია. ამას ადასტურებს მე-4 კლინიკური საავადმყოფოს ლაბორატორიაში ბოლო რამდენიმე თვეში განვითარებული მოვლენები.

მას შემდეგ, რაც ჯანაშვილები აღნიშნულ საავადმყოფოში მართვის უფლებით შევიდნენ, ლაბორატორიის მედპერსონალს დაჰპირდნენ, რომ სრულყოფილი ანალიზების ჩასატარებლად — ყველა საჭირო აპარატით, ხოლო კლინიკას უახლესი ტექნიკით აღჭურვავდნენ. ეს იქნებოდა ბიოქიმიური და იმუნოფერმენტული აპარატურა; კუაგულატორი და საერთო ანალიზატორი. ფინანსების არქონის მოტივით დაპირება დაპირებად დარჩა. უახლოეს მომავალში ლაბორატორიის განთავსებას პირველ სართულზე გეგმავენ. **ამისთვის გამოყვეს 18 კვ.მ ფართის უფანჯრო ოთახი, რომლის გასანიავებლად დერეფანში გამავალი კარის გაღების შემთხვევაში, შესაძლოა, ლაბორატორიაში ვირთხა შევარდეს, რადგან ოთახი სარდაფის ჩასასვლელთან მდებარეობს. სარდაფი კი ვირთხებითაა სავსე. ყველა სიკეთესთან ერთად ოთახი ბნელია და სასტერილიზაციოს მოწყობის საშუალებას არ იძლევა. ეს პრობლემა მეტად ორიგინალურად გადაწყვიტა პედიატრების დინასტიამ (ლია ჯანაშვილი და აჩიკო ფოჩხუა პედიატრები არიან) — პირველ სართულზე მდებარე საპირფარეშოს გადატიხრავენ, ერთ მხარეს სინჯარების სამრეცხაოს მოაწყობენ, მეორე მხარეს კი შარდის ანალიზების ლაბორატორიას. სტერილიზაციისთვის სინჯარებს ზედა სართულზე მდებარე ცენტრალიზებულ სასტერილიზაციოში წაიღებენ. სანიტრებს თასებით მოუწევთ სინჯარების ზევით-ქვევით ტარება.**

რაკიღა 18 კვ.მ ოთახში ლაბორატორიაში დასაქმებული მედპერსონალი სრულად ვერ დაეტევა, მორიგეობის ახალი გრაფიკი შეადგინეს. ოთხ-ოთხი ექიმი დილის 9 საათიდან მეორე დღის 9 საათამდე იმორიგევებს არადა, დღის განმავლობაში ოთხი ექიმი ვერ შეძლებს სრულყოფილად მოემსახუროს მთელ კლინიკას. განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა ანალიზების ჩატარება ძველი მეთოდებით წარმოებს და აღნიშნული ლაბორატორია მიყრუებული სოფლის ამბულატორიას ჰგავს.

**ლაბორატორიის მინიმუმამდე დაყვანა მეტად ხელსაყრელია შპს „ბლოკ-ჯორჯიასთვის“. ისინი ზაფხულში დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანენ, ანუ სისხლის ანალიზებს, ძირითადად, ჰემატოლოგიის ინსტიტუტში გააკეთებენ.**

არადა, საკმაოდ დიდი განსხვავებაა მე-4 კლინიკური საავადმყოფოს ლაბორატორიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ფასებს შორის. მაგალითისთვის, **სისხლში შარდოვანას განსაზღვრა მე-4 კლინიკაში 7 ლარი ღირს, ჰემატოლოგიის ინსტიტუტში ანალოგიური ანალიზი 12 ლარი ჯდება. ასეთივე სხვაობაა ქოლესტერინისა და კრეატინინის ანალიზების ფასებს შორის. ლიპიდური ცვლა მე-4 კლინიკაში 26 ლარი ღირს, ჰემატოლოგიის ინსტიტუტში 40 ლარი ჯდება და ა.შ.**

**ცნობისათვის, ჰემატოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე გელა გოგიშვილის დედა მზია ჯანაშვილია და ის გახლავთ ამ ახალი ინიციატივის ერთ-ერთი ავტორი.**

მე-4 კლინიკური საავადმყოფოდან ჰემატოლოგიის ინსტიტუტში როგორი სქემით მიჰქონდათ სისხლი ანალიზის გასაკეთებლად და რა პირობებში ინახავდნენ პაპანაქება ზაფხულში, ამაზე წინა წერილში უკვე ვისაუბრეთ. ამჯერად გვინდა „ბლოკ-ჯორჯიას“ ამ უცნაური წამოწყების მოტივები ავხსნათ.

**როგორც გავარკვიეთ, მათ ჰემატოლოგიის ინსტიტუტისთვის ჩამოიტანეს ბიოქიმიური აპარატურა, რომელიც დიდ რეგიონალურ საავადმყოფოებზეა გათვლილი და მისი სრული დატვირთვით ასამუშავებლად ჰემატოლოგიის ინსტიტუტში შესული სისხლის რაოდენობა არ კმარა. რაკიღა აპარატი სრული დატვირთვით ვერ მუშაობს და რეაქტივები იხარჯება, ანალიზების თვითღირებულება საკმაოდ იზრდება, რაც კომპანიისთვის წამგებიანია.**

**მზია ჯანაშვილმა ერთი გასროლით ორი კურდღლის დაჭერა გადაწყვიტა. პირველი — მე-4 კლინიკური საავადმყოფოდან სისხლის წაღებით ამ აპარატს სრული დატვირთვით აამუშავებდა და მეორე — ნაღდ ფულს ჰემატოლოგიის ინსტიტუტში გადაქაჩავდა.**

ამის მისაღწევად მთელი ზაფხული ავადმყოფის გვერდის ავლით სისხლი ანალიზისთვის ჰემატოლოგიის ინსტიტუტში მიჰქონდათ. **პაციენტს არ უტოვებდნენ არჩევანის უფლებას, რომ ესა თუ ის ანალიზი იაფად გაეკეთებინა ან მე-4 კლინიკაში, სადაც სისხლის შენახვის პირობები სრულად იყო დაცული, ან ჰემატოლოგიის ინსტიტუტში, სადაც მომსახურება თითქმის ორმაგი ღირს და სისხლის ტრანსპორტირება შენახვის წესების დაცვის გარეშე ხდებოდა. თუმცა, როგორც დავადგინეთ, მხოლოდ იმ პაციენტების სისხლი მიჰქონდათ ჰემატოლოგიის ინსტიტუტში, რომლებიც ნაღდ ფულს იხდიდნენ. ადგილზე კეთდებოდა სადაზღვევო პოლისის მქონე ავადმყოფების და ღამე „სასწრაფო დახმარების“ მიერ მოყვანილი პაციენტების ანალიზები. როგორც ჩანს, „ბლოკ-ჯორჯიას“ უფულო და სოციალურად დაუცველი პაციენტების ბედი არ აინტერესებს.**

თუ ასე გაგრძელდა, უახლოეს მომავალში მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი ექიმები სანთლით საძებარი გახდება. „ბლოკ-ჯორჯიას“ დაქვემდებარებაში არსებულ საავადმყოფოებიდან კი ცარიელი კარკასები დარჩება.

**ნათია ქადაგიშვილი**

---

შორია გზურხისტანამდე

# როგორ იხსნა ემიგრანტმა ქალმა თანამემამულეები პატიმრობიდან

**მსოფლიო მეგაპოლისებში გაფანტული ქართველები, ურბანიზაციით დამტვერილები და ცხოვრების ქარტეხილებს აყოლილნი, მაინც ინარჩუნებენ სულიერ სიძლიერესა და შეუვალობას. ახალი ეპოქის უღელს არ ემორჩილებიან, სულიერ მხნეობას ინარჩუნებენ, ერთმანეთს ეხმარებიან გაძლება-გამაგრებაში, დარდის გაქარვებაში და ამგვარად ინარჩუნებენ უცხოობაში ცხოველმყოფელობას.**
**ამჟამად, რუბრიკის სტუმარია ახლახან კვიპროსიდან დაბრუნებული ქალბატონი ნაირა ლაღიაშვილი.**



**— ქალბატონო ნაირა, მითხრეს, რომ 9 წელი გაატარეთ კუნძულ კვიპროსზე, სადაც უამრავი ქართველია. რამ გადაგაწყვეტინათ იქ გამგზავრება?**

— ემიგრაცია განვითარებადი ქვეყნების შვილთა სახადია, ხოლო სუპერსახელმწიფოთა დივერსია — მიზანმიმართულად გვაქციონ სხვათა მსახურებად. მეც ამ პრობლემამ წამიყვანა კვიპროსში, ქალაქ პაფოსში, სადაც 3000 ქართველი ემიგრანტია. 9 წლის განმავლობაში მძიმე, აუტანელი შრომის გარდა, არაფერი მინახავს. ემიგრაცია „ფსიქოლოგიური ომის“ ერთ-ერთი სახეობაა — ერის ეკონომიკურ გაჩანაგების შემდეგ, მისი სულიერი განადგურებისაკენ მიმართული.

კვიპროსის ერთი ნაწილი დასახლებულია მართლმადიდებელი ბერძნებით, მეორე ნაწილი კი — თურქი მუსლიმანი სუნიტებით. იქაურები აქტიურნი და შრომისმოყვარენი არიან და ამიტომ სხვის შრომასაც პატივს სცემენ. კვიპროსის დამოუკიდებელი რესპუბლიკა საბერძნეთზეა დამოკიდებული, როგორც საბჭოური წყობისას ჩვენ — რუსებზე. გამაოცა კვიპროსის მევენახეობამ, ვაზს დაბალ ბუჩქებად ზრდიან, ამიტომ ვაზი უხვადმსხმოიარე და მსხვილნაყოფიანია. ბევრჯერ მსმენია, რომ ჩვენს ჩურჩხელას მსოფლიოში ანალოგი არა აქვს. კვიპროსელები ჩურჩხელებს ავლებენ, ოღონდ დაახლოებით 60-70 სმ-ის სიგრძისას, რომელთაც მსხვილი ძეხვის ფორმა აქვს და სუპერმარკეტებში წონით იყიდება.

პაფოსი დიდი ტურიზმის ცენტრია. დედამიწის ყველა კუთხიდან ჩამოდიან ტურისტები. მათ იზიდავთ ზღვა, მზე და საუცხოოდ მოწყობილი დასასვენებელი ინფრასტრუქტურა. 4-ვარსკვლავიან სასტუმროში დამლაგებლად ვმუშაობდი, დღეში 20 ნომერს ვალაგებდი. ორ დღეში ერთხელ იცვლებოდა თეთრეული და პირსაწმენდები. თეთრეულს ვცვლიდი, საწოლის თავები კედელში იყო დამაგრებული, რის გამოც მძიმე „პასტელები“ უნდა გამომეწია, გასწორებულ თეთრეულს კი პატარა ნაოჭიც არ უნდა ჰქონოდა. მიჭირდა მძიმე „პასტელების“ მიწევ-მოწევა, ხელ-ფეხი სულ ჩალურჯებული მქონდა. 20 ნომრის სველ წერტილებს ყოველდღიურად ვხეხავდი, იქ მტვრის ნაწილაკიც არ უნდა ყოფილიყო.

კვიპროსზე სულ ზაფხულია. შეუძლებელია ამდენი ოთახი ალაგო იმ სიცხეში და ტანზე წყალი არ გადაივლო. დამლაგებლებს გვქონდა ჩვენი ოთახი საშხაპეებით. სხვანაირად, ოფლის სუნის გამო, საზოგადოებრივ ტრანსპორტში ვერ ავიდოდით. ტრანსპორტი, გადასახადები ძალიან ძვირია, მაგრამ ხელფასები სოლიდურია. ძირითადად, კვიპროსელები ბანკებზე არიან დამოკიდებულნი. შენაძენის ფულს წლობით მცირე პროცენტით იხდიან, რაც მათ ხელფასს ვერაფერს აკლებს.

შაბათ-კვირას ვისვენებდი. ვცდილობდი ამ დღეებში „ბობოლათა“ სახლები მელაგებინა, რადგან საქართველოში ჩემი ორი ქალიშვილის ოჯახი, მოხუცი დედ-მამა და ახლობლები ჩემი გაგზავნილი ფულით ინახავდნენ თავს. ორი შემთხვევა მახსოვს ძაღლის ნაკბენივით. პირველად, როდესაც სადილობისას ოჯახმა საჭმელი თეფშზე დამიდო და მთხოვა, სამზარეულოში მეჭამა. ასე დათრგუნვილი არასოდეს ვყოფილვარ, ადამიანები ჩემ გვერდით პურის ჭამას უკადრისობდნენ. არ ვიცი რატომ, მაგრამ „იმერული ესკიზებიდან“ ოლია მათხოვარი გამახსენდა. საჭმელს პირი ვერ დავაკარე, მიუხედავად იმისა, რომ მგელივით მშიოდა.

რამდენიმე ქალმა ერთ ოჯახს გენერალური დალაგება ჩავუტარეთ. ბატონი კი ფულის გადახდას აგვიანებდა. ფოიეში ვისხედით, ჩვენ შორის იყო კვიპროსული ენის მცოდნე რუსი ქალბატონი. გვითხრა: — „ბატონს ფულის მოცემა არ უნდა, ამბობს, სახლიდან ფული დაიკარგაო“. გავცეცხლდი, ისეთი ჩაბინძურებული სახლი დავალაგეთ, იქ თავმოყვარე ღორიც არ იცხოვრებდა. სახლის მეპატრონემ მალე დიასახლისი გამოიძახა. მოვიდა გალაქული, გაკრიალებული, მოდურად გამოწყობილი ქალბატონი. სათითაოდ შეგვიყვანა ოთახში და მოპარული ფულის აღმოსაჩენად გაგვაშიშვლა. ასე შეურაცხყოფილად, დამცირებულად და უსასოოდ თავი არასოდეს მიგრძნია.

**— ქალბატონო ნაირა, სად იკრიბებოდით ქართველები და რას გაიხსენებდით ემიგრაციულ ყოფიდან?**

— ყოველ კვირა საღამოს პაფოსში მყოფი ქარ-

# რა ჯდება მშობიარობა და რატომ არ სურს ხელისუფლებას ერის გამრავლება

**საქართველოს დემოგრაფიული ფონის არცთუ სახარბიელო მდგომარეობის მიუხედავად, ბოლო ორი წლის მონაცემებით, შობადობის მატება შეინიშნება. ცხადია, მცირერიცხოვან ერს გამრავლება სჭირდება, თუმცა, როგორც ვიცით, მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯები საქართველოში არსებულ მძიმე სოციალურ ფონზე ბევრი ოჯახისთვის ნაკლებ ხელმისაწვდომია. აქედან გამომდინარე, ბავშვის გაჩენისათვის მარტო სურვილი საკმარისი არაა. მომავალი დედების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან მეტი ყურადღება და ხელშეწყობაა საჭირო. განსაკუთრებით გულგრილი დამოკიდებულება იგრძნობა დეკრეტულ შვებულებასთან დაკავშირებით. სახელმწიფო, რომელიც დასაქმებული პირისაგან გადასახადის სახით ხელფასიდან 20-%-ს იღებს, დეკრეტში გასულებს მინიმალურ სახელფასო ანაზღაურებას სთავაზობს. პროფკავშირების წარმომადგენლები თვლიან, რომ ხელისუფლება მიზანმიმართულად ახდენს ფეხმძიმეთა დისკრიმინაციას. ის არაკომპეტენტურია აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ან შეგნებულად ცდილობს, გამრავლებას ხელი შეუშალოს. რაც შეეხება დედაქალაქში არსებულ სამშობიარო ცენტრებს, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ორსულებს სხვადასხვა პაკეტით ემსახურებიან. მშობიარობის საწყისი ფასი, ზოგადად, 349 ლარიდან 1200 ლარამდე მერყეობს.**



თითოეული სამშობიარო ცენტრი პაციენტებს ინდივიდუალურ სერვისს სთავაზობს. „საქართველო და მსოფლიო" დაუკავშირდა რამდენიმე სამშობიარო ცენტრს.

**ვეფხვია ოდიშარია, საპატრიარქოს წმიდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლის დირექტორატის წარმომადგენელი:** „ბოლო ხანებში ჩვენთან მშობიარეთა რაოდენობის ზრდა შეინიშნება. თუ დღემდე ყოველწლიურად 400-მდე მშობიარეს ვიღებდით, ამჟამად მაჩვენებელი რეალურად შეიცვალა.

2007 წელს 2000-მდე მშობიარე გვყავდა. დღევანდელი მონაცემებით, ეს რიცხვი, სავარაუდოდ, 3000-მდე გაიზრდება. ვთანამშრომლობთ ყველა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციასთან. მათი ხელშეწყობით გაიხსნა მშობიარეთა სკოლა. აქ აღრიცხვაზე მყოფთ დედობისთვის ვამზადებთ. **სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებულთათვის ჩვენთან მშობიარობა უფასოა.** პაციენტთათვის გვაქვს კომფორტული და ნაკლებკომფორტული განყოფილება. ფიზიოლოგიური მშობიარობის საწყისი თანხა 365 ლარია. ამას ემატება პაციენტის სურვილი გაუტკივარებაზე, ცალკე პალატაში ყოფნაზე, კვებით უზრუნველყოფაზე. ამ სერვისის ღირებულება ინდივიდუალურია და ნებისმიერ ექიმთან პაციენტს მოლაპარაკების საშუალება თავად აქვს.

ბოლო დროს დამკვიდრდა ტენდენცია, რომ, რაკი საპატრიარქოს სამშობიარო ჰქვია, ჰგონიათ, მომსახურება უფასოა. ეკლესია დამფუძნებელია და, შესაბამისად, კურთხევა გვაქვს უწმინდესისგან, დავეხმაროთ ყველას, ვინც ჩვენთან მოვა. პრობლემას ხშირად თავად პაციენტებიც გვიქმნიან. ბევრი მოუწესრიგებელია, არ აქვთ პირადობის მოწმობა ან ვადაგასულია. სამშობიაროდ მოდიან გამოუკვლეველი ორსულები და ა.შ. ასეთ სიტუაციებში ძალიან რთულია მუშაობა, მაგრამ გამოსავალს მაინც ვპოულობთ. წელს ამ კატეგორიის 200-მდე მშობიარე გვყავდა. ყველა მათგანს აღმოვუჩინეთ დახმარება სახელმწიფოს ხელშეწყობით. ჯანდაცვის სამინისტრო ამ მხრივ დიდ ყურადღებას გვაქცევს. ამგვარ პაციენტთა საკითხს თუ წერილებს სპეციალური კომისია განიხილავს და შესაბამისად აფინანსებს".

**თბილისის №2 სამშობიარო სახლში**, როგორც მიმღებში განაცხადეს, მშობიარობა შედარებით ხელმისაწვდომია. ფიზიოლოგიური მშობიარობა 349 ლარი ღირს. ამ თანხაში შედის კლინიკაში ოთხი დღე ყოფნა სამჯერადი კვებით. ფუნქციონირებს კომერციული განყოფილებაც, სადაც ფიზიოლოგიური მშობიარობა 499 ლარი ჯდება. რაც შეეხება საკეისრო კვეთას, მისი ღირებულება 899 ლარია. მოქმედებს სოციალური დაზღვევის პაკეტი. თანამშრომლობენ მხოლოდ რამდენიმე სადაზღვევო კომპანიასთან. რაც შეეხება პოლისს, პაციენტს უხდება მხოლოდ დანაკლისი თანხის გადახდა.

**ექსპერიმენტულ სამშობიარო სახლში** მშობიარობის ღირებულება 495 ლარია. ამ თანხაში შედის ყოველგვარი მომსახურება კვების გარდა. „კვება 40 ლარია და პაციენტებმა ეს ცალკე უნდა გადაიხადონ. რაც შეეხება საკეისრო კვეთას, იგი 695 ლარი ჯდება. კვება ამ შემთხვევაშიც ფასიანია. პაციენტს ექვს დღეს ვემსახურებით. გვყავს გამოცდილი სპეციალისტები. პალატები კომფორტულია", — განაცხადა სამშობიაროს თანამშრომელმა ნანა ქეცბაიამ.

მომუშავე მომავალი დედები სახელმწიფოსაგან მწირ დეკრეტულ ანაზღაურებას იღებენ. საქართველოში დეკრეტული შვებულების ანაზღაურების კულტურა არ არსებობს. ხელისუფალნი ამ თვალსაზრისით თავს არ იწუხებენ.

როგორც პროფკავშირების წარმომადგენელმა **გოჩა ალექსანდრიამ** განაცხადა, „საქართველოში ორი წლის წინათ დამტკიცდა დეკრეტული შვებულების თანხა — 600 ლარი. საქართველოში ორსულთა მცირე რაოდენობას თუ აქვს ხელფასი 500-დან 1000-ლარამდე. **წარმოიდგინეთ დიდი ანაზღაურების მქონე ფეხმძიმე ქალი, რომელსაც მეუღლე უმუშევარი ჰყავს და დეკრეტში უნდა გავიდეს. როგორ მოიქცეს — 600 ლარად როგორ იარსებოს ოთხი თვე და როგორ აანაზღაუროს ფეხმძიმობისა და მშობიარობის ხარჯები?** ჩვენთან დეკრეტულის ანაზღაურება თვეში 150 ლარი გამოდის. ამდენად, ფეხმძიმეთა მიმართ დისკრიმინაცია ხორციელდება. თუ 2007 წლამდე საშემოსავლო გადასახადი ხელფასის 12-%-ს შეადგენდა, მერე 25%-მდე ავიდა, დღეს კი 20%-ია. ფეხმძიმეთა კომპენსაცია მაინც 600 ლარია. ეს კი მომსახურე პერსონალის აბუჩად აგდებაა".

პროფკავშირებში აცხადებენ, რომ დეკრეტულ შვებულებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურებენ. მომუშავეები ბიუჯეტს ბოლო ორი წლის მანძილზე ორჯერ მეტს უხდიან, მაშ, სახელმწიფო რატომ ანაზღაურებს დეკრეტულ შვებულებას ძველი ტარიფით?

პროფკავშირები ამ კითხვას ასე პასუხობენ: „ხელისუფლება ამ გზით ვერ გააუმჯობესებს დემოგრაფიულ ფონს. ეს აბსურდია. ბენდუქიძეს ცოლი არ ჰყავს, არ იცის, ოჯახი რა არის და ასეთი საკითხები ნაკლებად აწუხებს. ნებისმიერ მომუშავეს ეკუთვნის დეკრეტული შვებულების ანაზღაურება, რომელიც დამსაქმებლის კი არა, სახელმწიფო ხარჯია. მუშაობის ხანგრძლივობას მნიშვნელობა არ აქვს. დასაქმებული იღებს დეკრეტულ შვებულებას. ის გადასახადებს იხდის. ამით ფინანსდება პენსიები თუ სხვადასხვა სახის სოციალური დახმარება. თუ ფეხმძიმე ქალი მუშაობს და საშემოსავლო გადასახადებით სხვებს ეხმარება, მას არ უნდა დავეხმაროთ? განა 600 ლარი დახმარებაა? ეს მხოლოდ მშობიარობას არ ეყოფა...

ამდენად, ეს ხელისუფლება ან არაკომპეტენტურია, ან ქართველი ერის გამრავლების წინააღმდეგი. **სხვათა შორის, დეკრეტული შვებულების თანხის აღება მამაკაცსაც შეუძლია.** შესაძლოა მისი გადანაწილებაც — მშობიარობამდე აიღოს დედამ, შემდეგ კი — მამამ. ბავშვის მოვლა ქალსაც შეუძლია და კაცსაც. საჭიროა, ცვლილება განხორციელდეს და სახელმწიფომ ფეხმძიმე ქალი დააფასოს", — განაცხადა ალექსანდრიამ.

**ირმა ჩიტაია**

**P.S. საქართველოში მოქმედებს ორსულთა პატრონაჟის უფასო პროგრამა. ორსულობის პატრონაჟი ორსულობიდან მშობიარობამდე, სპეციალისტთან ვიზიტებითა (4 ვიზიტი) და გამოკვლევებით, ყველასთვის უფასოა.**

**საკითხავია, რამდენად სარგებლობენ ამ უფასო კონსულტაციით მომავალი დედები?..**

---

◀ თველი ემიგრანტები იქ მდებარე ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში ვიკრიბებოდით, სადაც ქართველი მღვდელი, მამაო ზაქარია წირავდა. დიდი სოლიდარობაა კვიპროსის ქართველ ემიგრანტებში. შეიძლება იმიტომ, რომ ეკლესია გვაერთიანებდა.

ვცხოვრობდი ნაქირავებ ბინაში ხუთ ქალთან ერთად. ერთ დღეს იქაურმა ქართველებმა, რომლებიც პატრონისავე ბინაში ცხოვრობდნენ, კარზე სიფრიფანა გოგო მომაყენეს, იმდენად ნორჩი, რომ „ტუჩებზე რძე არ შეშრობოდა". ლელა ერქვა, დუხჭირ ცხოვრებასა და მორფინისტ ქმარყოფილს ცხრა მთას იქით გამოქცეოდა. თურქეთის გავლით უნდოდა საბერძნეთში წამოსვლა. თურქებს მისთვის საბუთები ჩამოურთმევიათ, მას კი საზღვარი დიდი რისკის ფასად უკანონოდ გადმოულახავს და კვიპროსამდე მოუღწევია. მისი თანატოლი ქალიშვილები მყავდა. დედობრივი სითბოთი გავუყავი ლუკმა და ჭერი. ვუთხარი, გასამგზავრებელ ფულს გასესხებ, თორემ შენი აღნაგობის გოგო აქ ვერ იმუშავებსმეთქი. იუარა, — ვიმუშავებ და გასამგზავრებელ ფულს მოვაგროვებ, სესხი რომ მომცეთ, როგორ გადაგიხდითო. თან ხედავდა, ქანცი გვქონდა მუშაობით გამწყდარი. დასვენების დღეებში ლელა სახლების დასალაგებლად თან მიმყავდა, შედარებით მსუბუქ სამუშაოს ვაძლევდი. ჩემი შვილების სითბო და მონატრება მასზე გადავიტანე. რამდენიმე ხანში გასამგზავრებელი თანხა დააგროვა, მაგრამ საბუთები არ ჰქონდა. ტელეფონით დავუკავშირდი ჩვენს საკონსულოს დედაქალაქში. ვესაუბრე კონსულ პეტრე კანკავას და გოგონას მდგომარეობა ავუხსენი. მან მითხრა, რადგან ბილეთის ფული აქვს, შეძენილი ბილეთით პოლიციაში გამოცხადდეს და განცხადება დაწეროსო. რამდენჯერმე ვკითხე დაბეჯითებით, ეს ნაბიჯი ლელას პრობლემებს ხომ არ შეუქმნიდა. მან კი დამარწმუნა — არაო! მე და ლელა პოლიციაში მივედით. ადგილზევე დააპატიმრეს, როგორც არალეგალი, და მოკლე ხანში ნიქოზიას ციხეში გადაიყვანეს. დარდისგან გადავირიე, ძალიან განვიცდიდი, მაგრამ მომხდარს ვერაფრით ვშველოდი. ნიქოზია იმდენად შორს იყო, მის სანახავადაც ვერ წავიდოდი. ციხიდან ერთმა ბერძენმა „ქსივი" მოგვიტანა: — „ლელას ციხეში კრუნჩხვები დასწყებია. ავად არის, დროზე მიხედეთ, თორემ დაილუპებაო". ამ ამბით თავზარდაცემული მამა ზაქარიასთან გავვარდი, ცრემლისღვრით ვთხოვე ლელას დახმარება. მითხრა — „მე ღვთის საქმეს ვაკეთებ, საერო და ისიც პოლიციის საქმეში ვერ ჩავერევიო". გავცოფდი, დავრეკე ისევ პეტრე კანკავასთან. ვყვიროდი, ვტიროდი, ვემუქრებოდი, ვანამუსებდი, ვევედრებოდი. დამპირდა — საქმის ვითარებას გაარკვევდა. სიტყვა შეასრულა. ავადმყოფი ლელა საპყრობილედან გამოიყვანა და საქართველოში გაამგზავრა ისე, რომ ვერც ვნახე. იქაური ციხე საშინელებაა, ჩვენგან განსხვავებით, იქ მხოლოდ რეციდივისტებსა და კრიმინალებს აპატიმრებენ და ლელა იმ გარემოში მართლა დაიღუპებოდა. თბილისის აეროპორტში ჩასვლისთანავე ლელამ დამირეკა, დედამისმა მადლობა გადამიხადა. საუბარი ემოციური და ცრემლიანი იყო. იმ დღეს ბედნიერი და ამაყი ვიყავი, რომ ლელას გადარჩენა შევძელი.

პონტიკები, ასე ეძახიან ქართველ ბერძნებს კვიპროსელები, და დედით ბერძნები ხელშეუხებლები არიან. იქ ოჯახის ბატონ-პატრონი ქალია. ზრდასრულ ასაკში ბიჭები ოჯახიდან მიდიან, ქალებს კი ქმრები სახლში მოჰყავთ. ერთმა ქართველმა ემიგრანტმა, დედით ბერძენმა ბიჭმა პაფოსის სანაპიროზე რესტორანი „კავკასია" გახსნა, სულ ქართველები დაასაქმა. რომ იტყვიან, რესტორანმა ფურორი მოახდინა. დღე და ღამე არ წყდება ადგილობრივებისა და ტურისტების ნაკადი. ქართული სამზარეულოთი აღტაცებული არიან. ნათლობასა თუ დაბადების დღეს ქართველებიც იქ იხდიან.

ვერც წარმოიდგენთ ემიგრანტთა ყოფის სიძნელეს. აუტანელ ჯაფასა და ნოსტალგიასთან ერთად, გამუდმებით სდევთ არალეგალურობის შიში. არალეგალები უცხო მიწაზე თოფიანი მონადირეების მიერ გადევნებულ ცხოველებს ვემსგავსებით, რომლებიც სულ თავდასხმის მოლოდინში არიან. ხშირად გვეჩვენება, რომ გვითვალთვალებენ. ტრანსპორტში თუ ვინმე შემოგვხედავს, გულის ბაგაბუგით შუა გზაზე ჩავდივართ დაღლილები და განაწამები. თავაუღებლად დავდივართ, ყურადღება რომ არ მივიქციოთ. ეს კი მთლიანად ანგრევს ადამიანის ნერვულ სისტემას. ამიტომ ვეძახი ემიგრაციას „ფსიქოლოგიურ ომს." უცხოელები ემიგრანტებს ეჭვით და უნდობლობად ეკიდებიან. იმ ადამიანებად მიაჩნიათ, თავიანთ ქვეყანაში ცუდი რეპუტაციის გამო რომ აღარ ედგომებათ. ერთმა ბერძენმა მითხრა: **„თქვენი პრეზიდენტი გაიძახის, ჩვენ არაფერი გვჭირს ისეთი, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები ემიგრაციაში წავიდნენ. გთხოვთ დააბრუნეთ ისინიო"**. ამიტომ უცერემონიოდ პანღურნაკრავი ემიგრანტი ხშირია. ასეთი განაჩენი ჩვენმა საკუთარმა სახელმწიფომ გამოგვიტანა.

კვიპროსში იყო ჩვენი ეკლესიის მრევლი ქართველი ცოლქმარი, დღე და ღამეს შრომაში ასწორებდნენ. მთელი სათვისტომო პატივს სცემდა. ერთ ღამეს კარზე პოლიციამ მიუკაკუნა და არალეგალობისთვის დააპატიმრა. ლელას ამბის შემდეგ ქართველები ჩემზე დიდ იმედს ამყარებდნენ და ეს ამბავი მაცნობეს. პოლიციაში მოხვედრილ ემიგრანტს თუ გასამგზავრებელი ფული აქვს, რამდენიმე დღეში ბილეთს უღებენ და ისტუმრებენ, თუ არადა, სანამ სახელმწიფო მისი დეპორტაციის ფულს გამოჰყოფს, ციხეში აყურყუტებენ, რაც ხშირად თვეობით გრძელდება. დავიწყე მათი გასამგზავრებელი 800 ევროს შეგროვება. ფული დროულად შეიკრიბა, მაგრამ საკითხავი გახლდათ, ვინ მიიტანდა პოლიციაში. ჯერი ისევ ჩემზე შეჩერდა. პოლიციაში მივედი და განვაცხადე, რომ ცქვიტინიძეების ბილეთების ფული მოვიტანე. საბუთები მომთხოვეს, რომლებსაც ყავლი უკვე გასვლოდა. სახეზე ზაფრანისფერი დამედო და წავბარბაცდი. პოლიციელმა მითხრა: — „ნუ გეშინიათ, ქალბატონო, კაციჭამია არ ვარ, შეგიძლიათ ინკოგნიტოდ დარჩეთ, მაგრამ მათ ხომ უნდა იცოდნენ, ფული ვინ გადაუხადა". ჯერ ვიფიქრე, პოლიციელი ცრუობს, რათა ხაფანგში გამაბას. თვალებში ჯიქურ შევხედე, ისეთი შეწუხებული მზერა ჰქონდა, მივხვდი, მტრულ ბანაკში ხშირად დიდსულოვანი ადამიანებიც არიან. ჩემი ყავლგასული პასპორტი გავუწოდე. გაცემის თარიღისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ამან დამარწმუნა: როდესაც ვიღაცის გადასარჩენად, სხვისი ცხოვრების გასაიოლებლად ირჯები, ღმერთი განსაცდელში არ მიგატოვებს. **საქართველო მანამ იარსებებს, სანამ ქართველი კაცი თვისტომის სიყვარულსა და თანადგომის უნარს შეინარჩუნებს.**

მძიმე შრომამ სულით ვერ გამტეხა, მაგრამ ჯანმრთელობა შემირყია. განწყობას ისიც მიმძიმებს, რომ ვერ ვხედავ ჩვენს ქვეყანაში განახლების სურვილს, სახელმწიფოს გონივრულად მოწყობის მოთხოვნილებას, დროის შესაბამისი გარდაქმნების დასაწყისს...

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

18 - 24 ნოემბერი, 2009 წელი. №38
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რა უნდა იცოდეს ოპოზიციამ სააკაშვილის ხელისუფლების შესაცვლელად

**„საქართველო და მსოფლიო“ საჯაროს ხდის სახელმძღვანელოს, რომლითაც თავის დროზე „ოტპორი“ და „კმარა“ მოამზადეს.
პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის იდეოლოგიური აპარატი და უშიშროების საბჭო ცოტა უფრო მოქნილი რომ ყოფილიყო და მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება გამოეყენებინათ, „ვარდების რევოლუციის“ გამარჯვება ასეთი უპირობო და მყისიერი არ იქნებოდა.
ჩვენს პირობებში, შესაბამისი ინფორმაცია და სპეციალური გამოკვლევები ხელმისაწვდომი გახდა, თანდათან გამოიკვეთა „რევოლუციონერთა“ ჭეშმარიტი სახე, მათი მიზნები და მისწრაფებანი და, რაც მთავარია, ის იდეოლოგიური და ორგანიზაციული სასუქი, რომელმაც ვარდის ეს სახეობა ბარაქიანად აღმოაცენა, გაფურჩქნა და ააყვავა.**



ჯინ შარპი



## ხელისუფლების არაძალადობრივი დამხობის 198 ხერხი

„ვარდების რევოლუცია“



## სუპერსახელმძღვანელო არაფსევდოოპოზიციური ძალებისთვის

„საქართველო და მსოფლიო“ დღეს იწყებს ფერადი რევოლუციების თეორეტიკოსის, 82 წლის ჯინ (ჯენ) შარპის პიროვნებისა და ხელისუფლების არაძალადობრივი დამხობის მისეული 198 ხერხის შესახებ წერილების ციკლის გამოქვეყნებას, რომელიც შარპის წიგნს — „დიქტატურიდან დემოკრატიამდე. გათავისუფლების კონცეფტუალურ საფუძვლები“ ეყრდნობა.

ცნობილია, რომ 2003 წლის მოვლენები კარგა ხნის განმავლობაში მზადდებოდა საქართველოს საზღვრებს გარეთ ინტენსიური საორგანიზაციო ღონისძიებების განსახორციელებელი მეთოდების სწავლებითა და ათვისების საგანგებო პროგრამების დახმარებით.

ეს იყო თავისებური **„მაპი“** — ნატოში შესვლის აუცილებელი პროგრამა, რომლის შესწავლა-გათავისება რევოლუციის მოსახდენად მზადყოფნის სერთიფიკატად თუ ლიცენზიად მოიაზრებოდა.

**ჩვენმა ამბიციურმა „ახალგაზრდა რეფორმატორებმა“ კარგად აითვისეს „ახალი მოძღვრების“ ანი და ბანი... დავაზუსტოთ — აათვისებინეს. ამ „მოძღვრების“ შექმნაზე ვისაუბრებთ დღეს, ჰარვარდელი დოქტორ ჯინ (ჯენ) შარპზე, რომლის სახელი „საქართველოსა და მსოფლიოს“ ფურცლებზე ერთი-ორჯერ გაკრთა.**

დოქტორი შარპი აშშ-ში, ბოსტონში, ერთ უბრალო სახლში ცხოვრობს. არავის თვალში არ ეჩხირება და, საეჭვოა, ამერიკის ფართო საზოგადოებას წარმოდგენა ჰქონდეს, ვინაა ეს კარჩაკეტილი, წყნარი მოხუცი.

**სამაგიეროდ, მისი სახელი საზღვარგარეთაა ცნობილი, თანაც — ძალიან კარგად: იგი მთავარი გმირია ირანული ფილმისა, რომელიც ამ ქვეყანაში არშემდგარ „ხავერდოვან“ რევოლუციაზეა გადაღებული. მას მიუძღვნა არაერთი მრისხანე გამოსვლა ვენესუელის ლიდერმა, უგო ჩავესმა. ვიეტნამის ხელისუფლებამ რამდენიმე ოპოზიციონერი დააპატიმრა მისი წიგნების გავრცელების ბრალდებით.**

დოქტორი შარპი წამყვანი ამერიკელი სპეციალისტია არაძალადობრივი მეთოდებით ხელისუფლების დამხობის საკითხებში. 30 წლის მანძილზე ჰარვარდის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ცენტრში მოღვაწეობისას, მან ამ სფეროს არაერთი პრობლემა ძირფესვიანად დაამუშავა და ამჟამად სათავეში უდგას ალბერტ აინშტაინის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო არც ერთ ზუსტ მეცნიერებასთან.

**მისი წიგნები მსოფლიოს 27 ენაზეა თარგმნილი, ისეთ ეკზოტიკურ ენებზეც კი, როგორიცაა ტიბეტური, ტაიტური ან ქხმერების ენა. ყველგან, სადაც ამერიკელი სტრატეგოსების თვალი არასასურველ რეჟიმს შენიშნავს, „ასპარეზზე გამოდის“ შარპის წიგნები და მათთან ერთად — მის ინსტიტუტში დამუშავებულ სახელმძღვანელოებზე „აღზრდილი“ სპეციალისტები, ისე და იმგვარად, როგორც ეს თავის დროზე მოხდა სერბეთში, საქართველოში, უკრაინაში, ყირგიზეთში.**

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის აღნიშვნაც, რომ დოქტორ შარპსა და მის თანამშრომლებს სისტემატურად მიავლენდნენ ისეთ რეგიონებში, რომლებშიც აშშ-ს სახელმწიფო გადატრიალება ჰქონდა დაგეგმილი. შარპის მტკიცებით, სწორედ ასეთი გეგმა, ანუ „სუპერგეგმა“ არის საჭირო ნებისმიერი ხელისუფლების დასამხობად, რომლის განკარგულებაშია არმია, პოლიცია და ადმინისტრაციული რესურსი.

საოცარია, ამ კაფანდარა ადამიანში როგორ ეტევა ისეთი უსაზღვრო შინაგანი ენერგია და მისწრაფება მსოფლიოს მის მიერ გამოჭრილ თარგზე შეცვლისა, რომელსაც უმრავლესი ქვეყნის ოპოზიციური ძალები უკრიტიკოდ ითავისებენ.

მისი ნაწერები ერთგვარი ნაჯვარია ტროცკის მსოფლიო რევოლუციის თეორიისა და ჩე გევარას რევოლუციის ექსპორტის პრაქტიკისა, რომელიც უხვადაა შეზავებული ინდური „სატიაგრახის“ პრინციპებით, ანუ იმ არაძალადობრივი წინააღმდეგობის ფილოსოფიით, რომელსაც მაჰათმა განდი იზიარებდა და ქადაგებდა.

დოქტორი შარპი, რომელიც თავის დროზე აღფრთოვანდა აქტუალური პოლიტიკური საკითხების მშვიდობიანი გადაჭრის მაჰათმა განდისეული იმ მიდგომით, რომელმაც ძირფესვიანად შეარყია დიდი ბრიტანეთის კოლონიური სისტემა ინდოეთში, შეუდგა არასასურველი რეჟიმების არაძალადობრივი გზით დამხობის აქტუალური კონცეფციების ანალიზსა და დამუშავებას.

**აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, თუ მაჰათმა განდი თავისი სამშობლოდან ანგლოსაქსი დამპყრობლების განსადევნად იღვწოდა, შარპის ძალისხმევა მიმართულია „ხავერდოვანი“ რევოლუციების გზით მმართველი რეჟიმების დასამხობად სხვადასხვა ქვეყანაში და იქ აშშ-ის მკვიდრი ანგლოსაქსების „დემოკრატიული დიქტატურის“ დასამყარებლად. ასეთია ექსპერტების შეუვალი დასკვნა.**

ისიც სათქმელია, რომ, განდის გარდა, შარპმა შეისწავლა აშშ-ის შავკანიანი მოსახლეობის უფლებათა დამცველის, **მარტინ ლუთერ კინგის** მოღვაწეობა ამერიკელი ლიბერტარიანელის, **ჰენრი ტოროსა** და რუსი კლასიკოსის, **ლევ ტოლსტოის** შემოქმედება. თითოეულმა მათგანმა, შარპის აზრით, თავისი წვლილი შეიტანა არაძალადობრივი მოქმედების ფილოსოფიაში.

**შარპის მიერ შექმნილი ინსტიტუტი ალბერტ აინშტაინის სახელობისაა. უკვე ეს სახელი კეთილად განაწყობს ადამიანს: დიდი მეცნიერი ალბერტ აინშტაინი ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგი იყო. მაგრამ არც შარპს, არც მისი ინსტიტუტის მცირერიცხოვან თანამშრომლებს არასოდეს არავითარი ურთიერთობა არ ჰქონიათ აინშტაინთან. ეს არის საქვეყნოდ განთქმული პიროვნების სახელის ექსპლუატაციის კლასიკური შემთხვევა.**

ამ კეთილხმოვანი და კეთილშობილური სახელის მიღმა იმალება აშშ-ის გლობალური ინტერესების განხორციელების ხელშემწყობი ორგანიზაცია, რომელიც უხვად არის დაფინანსებული ამერიკის მთავრობისა და მილიარდერ ჯორჯ სოროსის მრავალრიცხოვანი საქველმოქმედო ფონდების მიერ.

ვინ არის სოროსი, საქართველოში ყველამ იცის.

სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ **აინშტაინის ინსტიტუტი წამყვან როლს თამაშობდა უახლესი პერიოდის სახელმწიფო გადატრიალებებში, სათავეში ედგა და ქუჩაში გამოჰყავდა მრავალრიცხოვანი ახალგაზრდული ორგანიზაციები.**

დოქტორ შარპის თეორიული ეგზერსისები განსაკუთრებით წარმოჩნდა და პრაქტიკულად ამოქმედდა მას შემდეგ, რაც მხარში ამოუდგა ამერიკის სამხედრო ძალების ვეტერანი — **რობერტ ჰელგი.**

### პენტაგონის სამხედრო დაზვერვის ვეტერანი

რობერტ ჰელვი, რომელიც დოქტორ შარპთან ერთად აინშტაინის ინსტიტუტის სათავეში დგას, პენტაგონის დაზვერვის სამმართველოს გადამდგარი პოლკოვნიკია. „დემოკრატიის საკეთილდღეოდ“ საქმიანობა მან არმიიდან წამოსვლამდე დაიწყო. დაზვერვაში 30 წელიწადზე მეტხანს მუშაობის პერიოდში მან ძირგამომთხრელი საქმიანობის უდიდესი გამოცდილება დააგროვა ჯერ კიდევ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მუშაობისას, შემდეგ — ამერიკის რეზიდენტურის თანამშრომლად ყოფნისას სერბეთში გადატრიალების დროს. „ნარინჯისფერი რევოლუციის“ პერიოდში იგი უკრაინაში იმყოფებოდა. სწორედ ამ დროს აინშტაინის ინსტიტუტი გამოსცემს დოქტორ შარპის ძირითადი ნაშრომის „დიქტატურიდან დემოკრატიამდე“ უკრაინულ ენაზე თარგმანს.

ინსტიტუტის ანგარიშში, რომელსაც აქ სკრუპულოზურად ადგენენ, ნათქვამია, რომ **2000-2004 წლებში „მოწინავე მეთოდის“ გასაზიარებლად მას მიმართეს ოპოზიციონერებმა ალბანეთიდან, კოსოვოდან, მოლდოვადან, სერბეთიდან, სლოვაკეთიდან, საქართველოდან, კვიპროსიდან, უკრაინიდან, ბელორუსიდან, აზერბაიჯანიდან, ირანიდან, ავღანეთიდან, არაბთა გაერთიანებული ემირატებიდან, ერაყიდან, ლიბანიდან, პალესტინიდან, ვიეტნამიდან, ჩინეთიდან, ტიბეტიდან, შრი ლანკადან, ბოლივიიდან, კუბიდან და ა.შ. პოლკოვნიკ ჰელვის დებულებაა: „სტრატეგიული არაძალადობრივი ბრძოლა აღიარებული უნდა იქნას, როგორც ყველა მსურველისათვის გამოსადეგი საშუალება სახელმწიფო ჩაგვრის უღლის გადასაგდებად“.**

აქ თავისთავად იბადება ერთი კითხვა, რომლითაც ჩვენს ოპოზიციონერებს უნდა მივმართოთ: ბატონებო, თქვენ, ალბათ, მიაქციეთ ყურადღება მიხეილ სააკაშვილის არცთუ დიდი ხნის წინანდელ განცხადებას: მე რომ მოვინდომო (ოპოზიციაში რომ ვიყოო), ორ თვეში დავამხობდი ამ ხელისუფლებას (თავისი ხელისუფლება იგულისხმა).

გადატრიალების რა განსაკუთრებული ნიჭითაა დაჯილდოებული, ან რა საიდუმლოებას ფლობს ასეთს? თუ გააანალიზეთ, რატომ იყო (ალბათ, არის კიდეც) ასეთი თავდაჯერებული ბატონი მიხეილი?

## როგორ ინერთობოდა სააკაშვილის რეჟიმი

არაო, მიპასუხებთ.

ეგაა საწუხარი.

**კარგად რომ მოგექექათ ლიტერატურა, უთუოდ დაადგენდით, რომ ბატონი მიხეილის თავდაჯერება შარპი-ჰელვის თეორიისა და პრაქტიკის ცოდნიდან მოდის.**

სხვა სხვის ომში კი არის ბრძენი, მაგრამ, ამ შემთხვევაში, იმ სხვათა მეთოდებით რომ გაგემდიდრებიათ საკუთარი პატრიოტული მისწრაფებანი, საქმეს წაადგებოდა, მგონი.

**ან, იქნებ, არც ფიქრობთ იმ უღლის გადაგდებაზე, რომელზეც პოლკოვნიკი ჰელვი მიგვითითებს და ლაბა ხარივით მზადა ხართ, წიოთ ჭაპანი მუდმივად ხელმოცარული პოლიტიკოსების?**

ნება თქვენია.

ჩვენი დღევანდელი ხელისუფალი კი ძალიან მარტივი მეთოდებით განიმტკიცებს მდგომარეობას: აკეთებს პრაქტიკულ საქმეს, რომელიც ყველას თვალში ხვდება (გზები, ფასადები), ყოველდღიურად ტელევიზიით გამოდის და საგანგებოდ მოწყობილ მიკროსიტუაციაში მდგარი ლაპარაკობს ქვეყნის კეთილდღეობაზე და კიდევ უფრო მეტ კეთილდღეობაზე, რომელიც წინა გვაქვს.

არცთუ უშედეგოდ: სულ უფრო ხშირად ისმის ასეთი შეფასება — რაც გინდა, თქვი, მიშა მაგარია.

პარალელურად ოპოზიციის ისეთ კრიტიკას გაიგონებთ, რომელიც მხოლოდ იმედგადაწურულ საზოგადოებაში შეიძლება გაჩნდეს.

დავუბრუნდეთ პოლკოვნიკ ჰელვის, ვისთან ახლო ურთიერთობაში „ვარდების რევოლუციის“ ლიდერები არიან შემჩნეული.

**1990-იან წლებში იუგოსლაველი ოპოზიციონერები იკრიბებოდნენ უნგრეთში, სადაც ჰელვი შარპის არაძალისმიერი მოქმედების მეთოდიკის არსში ათვითცნობიერებდა. შარპის სკოლა გაიარეს ლიტვისა და ლატვიის ნაციონალისტური მოძრაობების ლიდერებმა, ერაყელმა ოპოზიციონერებმა (აშშ ჯარების შეჭრამდე დიდი ხნით ადრე).**

**შარპის ნაშრომებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სსრ კავშირის ყოფილ რესპუბლიკელებს. რუსეთში ნაკლებად ცნობილი ოპოზიციონერი ო. კოზლოვსკი, ასევე, ნაკლებად ცნობილი მოძრაობა „ობორონას“ ლიდერი, ტრაბახობს, რომ შარპის 198 არაძალადობრივი მეთოდიდან 30-ს იყენებს პრაქტიკაში.**

„ვარდების რევოლუციის“ იდეოლოგი **გიგა ბოკერია**, უკრაინული „ნარინჯისფერი“ მოძრაობა **„პორას“** ლიდერი ვლადისლავ **კასკივი** ასევე ხელმძღვანელობდნენ აინშტაინის ინსტიტუტის ნაშრომებით. ბელორუსელი ოპოზიციონერი **ანატოლი ლებედკო**, რომელიც პერიოდულად ხვდება ბოკერიას და კასკივს, იმედოვნებს, რომ შარპის მეთოდები ლუკაშენკოს დამხობასა და ხელისუფლების სათავეში მოსვლაში დაეხმარება.

ქართველი მკითხველისთვის ბევრის მიმანიშნებელი იქნება ასეთი ფაქტი: **ალბერტ აინშტაინის სახელობის ინსტიტუტი მოქმედებს სენატორ მაკკეინის საერთაშორისო რესპუბლიკური უნივერსიტეტის ქოლგის ქვეშ**. ეს არის მძლავრი სტრუქტურა, რომელსაც აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი პატრონობს და რომელსაც მსოფლიოს 30 ქვეყანაში აქვს გაშლილი თავისი ძლიერი ქსელი.

მიკერძოება არავინ რომ არ დაგვწამოს, განვიხილოთ ამ სტრუქტურის მუშაობა რომელიმე მეზობელ ქვეყანაში, მაგალითად, — უკრაინაში.

**საერთაშორისო რესპუბლიკური უნივერსიტეტის პროგრამები უკრაინაში 10 წელიწადია ხორციელდება. ინსტიტუტის თანამშრომლები ამზადებენ პროდასავლური ახალგაზრდული ორგანიზაციების ლიდერებს მეზობელ ქვეყნებში მათი შემდგომი გამოყენების მიზნით; გარკვეულად, არცთუ მოსაბეზრებლად მუშაობენ რადას პარტიულ ლიდერებთან და ტერიტორიული ადმინისტრაციების ხელმძღვანელებთან. მათ არაერთხელ განუცხადებიათ, რომ პრიორიტეტულ პარტნიორად მიიჩნევენ იუშჩენკოს პარტიას.**

## „ყველა ერთისთვის, ერთი ყველასთვის“ იმ ერთის სასარგებლოდ

ჩვენს მკითხველს რომ გავუფართოოთ თვალსაწიერი, კიდევ რამდენიმე ორგანიზაციას დავასახელებ, რომელთა საქმიანობა, ერთპოლარული მსოფლიოს შექმნის გლობალურ მიზანს ემსახურება.

Freedom Hous-ი მაკკეინის საერთაშორისო რესპუბლიკური უნივერსიტეტის პარტნიორია, ასევე აინშტაინის სახელობის ინსტიტუტის. თეთრი სახლი მას განსაკუთრებული გულუხვობით აფინანსებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი არასამთავრობო ორგანიზაციაა. Freedom Hous-ის საბჭოს მთავარი ექსპერტია დოქტორი **პეტერ აკერმანი**, დოქტორ შარპის ძველი კოლეგა და მისი ინსტიტუტის სპონსორი. დოქტორი აკერმანი ამავე დროს **საფტის უნივერსიტეტის**, აშშ **სადაზვერვო სამსახურების ერთგვარი სამჭედლოს, სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია.**

ცენტრს მასთან ერთად ხელმძღვანელობს **ჯეკ დიუვალი** — აშშ სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილი ოფიცერი. ცენტრს უკავია მოწინავე პოზიცია ბოლო წლების სახელმწიფო გადატრიალებათა საქმეში.

ჯეკ დიუვალი კიდევ ერთი ინსტიტუტის — არლინგტონის ინსტიტუტის სათავეში დგას **ჯეიმს ვულსთან** ერთად, რომელიც კლინტონის გუნდში **ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელობდა.**

აკერმანს დაარსებული აქვს თავისი **არაძალადობრივი კონფლიქტური სიტუაციების საერთაშორისო ცენტრი.**

**მშვიდობის აღდგენის ამერიკული ინსტიტუტი** უმთავრესად მედიაპროექტებითაა დაკავებული; **ფლეტჩერის ინსტიტუტი** (ქალაქი მედფორდი, მასაჩუსეტსის შტატი); **ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი,** რომელსაც მეთავეობს აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი და სხვა ფონდები და ინსტიტუტები.

ალბერტ აინშტაინის ინსტიტუტი არის იდეების გენერატორი, რომელიც ჩართულია ანალიტიკური და კვლევითი არასამთავრობო სტრუქტურების ქსელში; რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, მათი გონებრივი შტაბია.

შარპის წიგნი „დიქტატურიდან დემოკრატიამდე“ პირველად ბანკოკში 1993 წელს გამოაქვეყნა ბირმაში (ამჟამად მიანმა) დემოკრატიის აღდგენის კომიტეტმა. ხელახლა და რამდენჯერმე გამოიცა სერბეთში, ინდონეზიაში, ტაილანდსა და უკრაინაში. აშშ-ში ორჯერ გამოიცა და, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ძირგამომთხრელი საქმიანობის ნამდვილ ბიბლიად იქცა. „მასში ეძებდნენ პრაქტიკულ შთაგონებას იუგოსლავიის, ბელორუსის, საქართველოს, უკრაინისა და მრავალი სხვა ქვეყნის ოპოზიციური მოძრაობები.

ეს ინსტიტუტები, რომლებიც ასობით მილიონი დოლარით არიან დაფინანსებული და რომელთა სათავეში ჭკვიანი ადამიანები დგანან, ემსახურებიან ერთ მიზანს — „სამართლიანობის აღდგენას ამერიკულად“.

გამოსდით კიდეც.

კონცეპტუალური დედააზრი ამ მიმართულებისა, მისი კვინტესენცია შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს.

**არაძალადობრივი კონცეფციის ავტორი შეეცადა, საფუძვლიანად გაეაზრებინა დიქტატურების დამხობის ყველაზე უფრო ეფექტიანი საშუალება მინიმალური დანაკარგით. საამისოდ გამოიყენა დიქტატურების, წინააღმდეგობის მოძრაობათა, რევოლუციების, პოლიტიკური აზრის, მთავრობათა სისტემების, განსაკუთრებით, არაძალადობრივი ბრძოლის მრავალწლიანი შესწავლის შედეგი.**

**არ ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ დიქტატურასთან ბრძოლა იოლი და უმსხვერპლოდ მოსაგვარებელი საქმეა.**

**„მოცემული ანალიზი, — წერს ავტორი, — არ უნდა გავიგოთ ისე, რომ კონკრეტული დიქტატურის დამხობისთანავე ყველა დანარჩენი პრობლემა გაქრება. რეჟიმის დამხობას უტოპია არ მოჰყვება. პირიქით, ჩნდება მიზანმიმართული მუშაობისა და ხანგრძლივი ძალისხმევის შესაძლებლობა უფრო სამართლიანი, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების დასამყარებლად და უსამართლობისა და დათრგუნვის ყველა სხვა ფორმის მოსაცილებლად“.**

ასეთი შესავლის შემდეგ, ალბათ, შესაძლებელია ჯინ შარპის წიგნის ადაპტირებული თარგმანი შევთავაზოთ „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს და იმ არაფსევდოოპოზიციურ ძალებს, რომლებსაც რეალურად სურთ რეჟიმის შეცვლა.

**არმაზ სანებლიძე**

ჯინ შარპი

# გიგა ბოკერიას საწვრთნელი სახელმძღვანელო




## თავი I. დიქტატურის რეალისტური წარმოდგენა

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ხალხთა ორგანიზებული წინააღმდეგობის შედეგად დაემხო ან შეირყა ბევრი როგორც შიდა, ასევე, საგარეო წარმოშობის დიქტატორული რეჟიმი.

დიქტატურებმა, რომლებიც ხშირად ღრმად ფესვგამდგარი და ურყევი გვეჩვენებოდა, წინააღმდეგობა ვერ გაუწია ადამიანების შეთანხმებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ დაუმორჩილებლობას.

1980-იან წლებში, ძირითადად, ადამიანების არაძალადობრივი დაუმორჩილებლობის წყალობით, დაემხო დიქტატორული რეჟიმები ესტონეთში, ლატვიასა და ლიტვაში, პოლონეთში, აღმოსავლეთ გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიასა და სლოვენიაში, მადაგასკარში, მალიში, ბოლივიასა და ფილიპინებში. არაძალადობრივმა წინააღმდეგობამ დემოკრატიზაცია მოაახლოვა ნეპალში, ზამბიაში, სამხრეთ კორეაში, ჩილეში, არგენტინაში, ჰაიტიში, ბრაზილიაში, ურუგვაიში, მალავიაში, ტაილანდში, ბულგარეთში, უნგრეთში, ზაირში, ნიგერიასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში...

ამას გარდა, უკანასკნელ წლებში მასობრივი პოლიტიკური დაუმორჩილებლობა შეინიშნება ჩილეში, ბირმასა და ტიბეტში. მართალია, ასეთმა ბრძოლამ ბოლო არ მოუღო მმართველ დიქტატურას ან ოკუპაციას, მაგრამ მან მსოფლიო თანამეგობრობას დაანახა ამ რეპრესიული რეჟიმების ცხოველური ბუნება და მოსახლეობა ბრძოლის ამნაირსახეობის მნიშვნელოვანი გამოცდილებით გაამდიდრა.

**ტერმინი „პოლიტიკური დაუმორჩილებლობა“ მოცემულ კონტექსტში რობერტ ჰელვიმ შემოიღო. „პოლიტიკური დაუმორჩილებლობა არის არაძალადობრივი ბრძოლა (პროტესტი, უარის თქმა თანამშრომლობაზე, საქმიანობაში ჩარევა), რომელიც მტკიცედ და აქტიურად გამოიყენება პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ტერმინი წარმოიქმნა იმ აღრევისა და დამახინჯების საპასუხოდ, რაც არაძალადობრივი ბრძოლის პაციფიზმთან და მორალურ ან რელიგიურ „ძალის გამოუყენებლობასთან“ გაიგივებით იყო გამოწვეული. „დაუმორჩილებლობა“ ნიშნავს ხელისუფლებასთან წინასწარ გამიზნულ დაპირისპირებას დაუმორჩილებლობის გზით, უარის თქმას დამორჩილებაზე. „პოლიტიკური დაუმორჩილებლობა“ აღწერს ვითარებას, რომელშიც გამოიყენება აღნიშნული ქმედება (პოლიტიკური), აგრეთვე, — მისი მიზანი (პოლიტიკური ძალაუფლება).**

ეს ტერმინი გამოიყენება სამთავრობო დაწესებულებების დიქტატურის კონტროლიდან გამოსაყვანად მოსახლეობის მოქმედების აღსანიშნავად, მისი (დიქტატურის) ძლიერების წყაროებზე თანმიმდევრული შეტევის გზითა და საამისოდ სტრატეგიული დაგეგმვისა და აქციების გამართვის საშუალებით.

მოცემულ ნაშრომში **ტერმინები პოლიტიკური დაუმორჩილებლობა, არაძალადობრივი წინააღმდეგობა და არაძალადობრივი ბრძოლა ერთი და იგივე მნიშვნელობითაა გამოყენებული,** თუმცა ბოლო ორი ტერმინი განეკუთვნება უფრო ფართო მიზნებიან (სოციალურ, ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და ა.შ.) ბრძოლას.

ზემოთ დასახელებულ ქვეყნებში დიქტატურის დამხობამ ვერ გადაწყვიტა ყველა სხვა პრობლემა: სიღარიბე, დანაშაული, ბიუროკრატიული გაჯანჯლება და გარემოს დაბინძურება, რაც ხშირად მკაცრი რეჟიმების შედეგია. მაგრამ ასეთი დიქტატურის დამხობამ მინიმუმამდე შეამცირა კირთების მსხვერპლთა ტანჯვა და გზა გაუხსნა საზოგადოებას ფართო პოლიტიკური დემოკრატიის, პირად თავისუფლებათა და სოციალური სამართლიანობის საფუძველზე საზოგადოების გარდაქმნისაკენ.

## მუდმივი პრობლემა

**ბოლო წლებში მსოფლიოში აშკარად გამოისახა დემოკრატიზაციისა და თავისუფლების გაფართოების ტენდენცია. ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის“ მონაცემებით, რომელიც ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშს პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებათა შესახებ, „თავისუფალი“ ქვეყნების სიაში შეტანილი სახელმწიფოების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა:**

| წლები | თავისუფალი | თავისუფალი ნაწილობრივ | არათავისუფალი |
|---|---|---|---|
| 1983 | 55 | 76 | 64 |
| 1993 | 75 | 73 | 38 |
| 2003 | 89 | 55 | 48 |

მაგრამ ამ ტენდენციას აწონასწორებს ხალხების დიდი რაოდენობა, რომლებიც ჯერ კიდევ ტირანიის პირობებში ცხოვრობენ.

**1993 წლის იანვრისათვის 5,45 მილიარდი მოსახლეობის 31 პროცენტი ცხოვრობდა იმ ქვეყნებსა და იმ ტერიტორიებზე, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც „არათავისუფალი“, ანუ იქ, სადაც პოლიტიკური უფლებები და სამოქალაქო თავისუფლება უაღრესად შეზღუდულია. 38 ქვეყანასა და 12 ტერიტორიას, რომლებიც „არათავისუფალთა“ კატეგორიაშია შეტანილი, მართავს სამხედრო დიქტატურები (როგორც ბირმასა და სუდანში), ტრადიციული რეპრესიული მონარქიები (როგორც საუდის არაბეთსა და ბუთანში), დომინირებული პოლიტიკური პარტიები (როგორც ჩინეთში, ერაყსა და ჩრდილოეთ კორეაში) ან უცხოელი ოკუპანტები მართავენ (მაგალითად, ტიბეტსა და აღმოსავლეთ თიმორში), ან გარდამავალ პერიოდში იმყოფება.**




მრავალ ქვეყანაში ამჟამად სწრაფი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ცვლილებები შეინიშნება. მართალია, ბოლო ათწლეულში „თავისუფალი“ ქვეყნების რაოდენობა გაიზარდა, არაა გამორიცხული, რომ მრავალი ქვეყანა, ასეთი ფუნდამენტური ცვლილების გამო, საწინააღმდეგო მიმართულებით წავა და დიქტატურის ახალი ფორმის გავლენის ქვეშ მოექცევა...

სახელმწიფო გადატრიალება ჩვეულებრივ ამბად იქცევა. ადამიანის ძირითადი უფლებები და პოლიტიკური თავისუფლება ხალხთა უდიდესი ნაწილისთვის მიუწვდომელი დარჩება.

სამწუხაროდ, წარსული ჩვენთან რჩება. დიქტატურის პრობლემა ღრმა პრობლემაა...

**(დიქტატურის პირობებში) მოსახლეობა სუსტდება, კარგავს რწმენას, წინააღმდეგობის გაწევის ძალა ეცლება.**

**ადამიანები ხშირად უაღრესად დაშინებულები არიან და ვერ უზიარებენ ერთმანეთს, ოჯახშიც კი, თავიანთ პოზიციას დიქტატურის მიუღებლობისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვის თაობაზე. ისინი უმიზნოდ იტანჯებიან და მომავლის იმედი გადაწურული აქვთ.**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რას ავალდებულებს მეუღლეებს ქრისტიანული ქორწინება

დასასრული. დასაწყისი იხ. №37

**სახლი და ოჯახი ქრისტიანისთვის მეორე ეკლესია უნდა იყოს, იქაც სიწმინდითა და ღვთისმოსაობით უნდა ვიცხოვროთ, რათა ვცხონდეთ. უდიდესია დედ-მამის როლი შვილების აღზრდაში. ბავშვები ჩვენგან სწავლობენ ლაპარაკს, ქცევას, წარუშლელ კვალს ვტოვებთ მათზე. კარგები ვართ თუ ცუდები, ოჯახურ ურთიერთდამოკიდებულებაში ვლინდება, როცა საკუთარ თავს ბოლომდე ვამჟღავნებთ, არ ძალგვიძს, მივჩქმალოთ ნაკლი, დიდხანს ვითვალთმაქცოთ. ოჯახური ცხოვრება სარკეა, რომელიც თითოეული ჩვენგანის ხასიათს აირეკლავს. დღეს სწორედ ამ თემაზე გვესაუბრება თბილისის სიონის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის მოძღვარი, დეკანოზი ამირან ამირანაშვილი.**





**— მამა ამირან, ქორწინება ერისკაცი ქრისტიანისთვის აუცილებელია?**

— ქორწინება ღვთისგან არის დადგენილი. „თქვა უფალმა ღმერთმა: არ ვარგა ადამიანის მარტო ყოფნა. გავუჩენ შემწეს, მის შესაფერს. ნეკნისაგან, ადამს რომ გამოუღო, დედაკაცი შექმნა უფალმა და ადამს მიუყვანა". სიძვის თავიდან ასაცილებლად ქორწინება დაკანონებულია ყველა ქრისტიანისთვის. ნებისმიერ მამაკაცს თავისი ცოლი უნდა ჰყავდეს, ქალს — ქმარი. მეუღლეები ერთმანეთს ჯეროვან პატივს უნდა მიაგებდნენ. „ქორწინება ღირსეული და სარეცელი უმწიკვლო იყოს ყველასი, ხოლო მემრუშეთა და მეძავთ ღმერთი განსჯის". დაქორწინებულთა მოვალეობაა, უყვარდეთ ერთმანეთი.

**— ბოლო ხანებში ძალიან ხშირად ინგრევა ოჯახები. რა აზრისაა ეკლესია განქორწინებაზე?**

— ქრისტიანული სწავლების თანახმად, ქორწინება ურყევია მეუღლეთაგან რომელიმეს გარდაცვალებამდე. „ვინც ღმერთმა შეაუღლა, დაე, ნუ განაშორებს კაცი".

**— თუ ქალს ქმარი ცოცხალი ჰყავს, მაგრამ სხვას მისთხოვდა?**

— გათხოვილი ქალი მეუღლის სიცოცხლეში შეკრულია ცოლქმრული რჯულით, როცა უკვდება, მხოლოდ მაშინ თავისუფლდება, ასე რომ, თუ ქმრის სიცოცხლეში გაჰყვება სხვას, მეძავად იწოდება.

**— როგორ უნდა მოიქცეს ქალი, თუ ქმარს გაეყარა?**

— ცოლი ქმარს არ უნდა გაეყაროს, მაგრამ თუ გაეყრება, აღარ უნდა გათხოვდეს ან ქმარს შეურიგდეს; არც ქმარმა უნდა მიატოვოს ცოლი.

**— კი მაგრამ, განქორწინება ხომ დაშვებულია?**

— განქორწინება მოსეს სჯულით დაშვებულია: თუ კაცი ცოლს მოიყვანს, მერე კი რაღაც სასირცხოს აღმოაჩენს მასში და აითვალწუნებს, გაყრის წერილი უნდა დაუწეროს და გაუშვას. როცა ქალი წავა მისი სახლიდან, სხვას გაჰყვება ცოლად. თუ მას მეორე ქმარიც მოიძულებს, გაყრის წერილს დაუწერს და გაუშვებს ან მოკვდება, პირველ ქმარს უფლება არ აქვს, ისევ შეირთოს, რადგანაც ქალი გაუწმინდურებულია.

**— რა უნდა ქნას ქვრივმა, აქვს გათხოვების უფლება?**

— წმიდა წერილის თანახმად, უქორწინებლები და ქვრივები „თუ თავს ვერ შეიკავებენ, დაე, იქორწინონ, ვინაიდან ქორწინება სჯობს გახელებას, ამიტომ ახალგაზრდა ქვრივები უნდა დათხოვდნენ, შვილები გააჩინონ, დიასახლისები გახდნენ და ლანძღვა-გინების საბაბი არ მისცენ მტერს".

**— შეიძლება თუ არა მორწმუნის ქორწინება ურწმუნოსთან?**

— მორწმუნის ქორწინება ურწმუნოსთან დაუშვებელია. წმიდა წერილი გვასწავლის: „არ დაუმოყვრდე წარმართს, არ გაათხოვო შენი ქალიშვილი მის ვაჟზე, არ მოაყვანინო შენს ვაჟს მისი ქალიშვილი ცოლად, რადგან ჩემი გზიდან ააცდენ, უცხო ღმერთების თაყვანისცემას დაიწყებენ, უფლის რისხვა დაატყდებათ თავს და დაუყოვნებლივ განადგურდებით".

**— ქორწინების აკრძალვაზე რა აზრისაა ეკლესია?**

— ქორწინების აკრძალვა, ქრისტიანული სწავლების თანახმად, ურწმუნოების ერთ-ერთი ნიშანია. „უკანასკნელ ჟამს რწმენისაგან განდგებიან და შეუდგებიან მაცდურ სულთა და დემონთა მოძღვრებას. ცრუმეტყველთა თვალთმაქცობისამებრ, რომელთაც დაფერფლეს თავიანთი სინდისი და რომელნიც კრძალავენ ქორწინებას".

**— როგორი უნდა იყოს ქრისტიან მეუღლეთა ურთიერთობა?**

— ქრისტიანმა ცოლ-ქმარმა ერთად უნდა იარონ ეკლესიაში და ილოცონ. რელიგიური საკითხები ოჯახურ წრეში გაარჩიონ. თუ მატერიალურად უჭირთ, ხშირად უნდა გაიხსენონ პეტრე მოციქულის ცხოვრება, რომელიც არაჩვეულებრივი მეუღლე იყო. მან სიღარიბესა და გაჭირვებაში განვლო მთელი ცხოვრება, არც შიმშილი დაჰკლებია, მაგრამ არასოდეს დასცდენია ცხოვრებაში ღვთისმგმობელობა და ღმერთის შეურაცხყოფა. მეუღლეების გონებიდან უნდა ამოიძირკვოს სიტყვები: „ჩემი, შენი". უთხარით ცოლს, რომ არაფერი გაგაჩნიათ საკუთარი, ყველაფერი მას ეკუთვნის.

**— ქრისტიანობაში მეუღლეებიდან მამაკაცს ენიჭება უპირატესობა, ქალი უკანა პლანზე დგას. ამის შესახებ რას გვეტყვით?**

— პავლე მოციქული განმარტავს: „ქმარი ჯეროვან პატივს მიაგებდეს ცოლს და ასევე, ცოლი — ქმარს". წმიდა იოანე ოქროპირის აზრით, „ცოლ-ქმარს შორის არც ერთი არ არის მთავარი, არამედ ერთი მეორის მონაა. ამიტომ, თუ დაინახავ მეძავს, რომელიც ცოდვისკენ გიბიძგებს, უთხარ: სხეული ჩემი ჩემი როდია, არამედ ჩემს ცოლს ეკუთვნის. ეტყვის ცოლიც მისი სიწმიდის შემბღალავთ: ჩემი სხეული ჩემი როდია, არამედ ჩემი ქმრის". ძველი და ახალი აღთქმაც ქმარს ანიჭებს უპირატესობას: „ქმრისაკენ გექნება ლტოლვა, ის კი იბატონებს შენზე". წმიდა პავლე მოციქული წერს: „ქმრებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, ხოლო ცოლს ეშინოდეს თავისი ქმრისა".

**— რას გულისხმობს პავლე მოციქული?**

— სხვას არაფერს, ერთმართველობის გარდა. რატომ? იგი საუბრობს ცოლის სიწმიდეზე, მაგრამ არც ქმარი ფლობს საკუთარ სხეულს, ის მისი მეუღლისაა. ორივეს თანაბარი უფლებები აქვთ, არავითარი — უპირატესობა. თვითნებობიდან მომდინარეობს უდიდესი უბედურება, ვნებათაღელვანი, სიმრუშენი, ოჯახების ნგრევა. მეუღლეთაგან ერთ-ერთის შეუთანხმებლობა გამოიწვევს დაშორებას, რაც გამორიცხული იქნებოდა ურთიერთგაგების შემთხვევაში. იესო ქრისტე პავლე მოციქულის პირით გვეუბნება, რომ ცოლები ქმრებს არ უნდა მოშორდნენ, რათა ოჯახი შეინარჩუნონ.

**— რას ავალდებულებს ქრისტიანული ქორწინება მეუღლეებს?**

— მეუღლეები მოვალენი არიან, ცოლქმრული ერთგულება სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე შეინარჩუნონ და უბიწოდ დაიცვან. წმიდა იოანე ოქროპირი დანაშაულად მიიჩნევს ცოლქმრულ ღალატს და ამბობს: „რითი გაიმართლებ თავს? ნუ იტყვი, რომ ადამიანურ ბუნებას მიუძღვის ბრალი. ქორწინებაც ხომ იმიტომ არის დაწესებული, რომ ვნებათაღელვა დაიოკო და ზღვარს არ გადასცდე? რამეთუ ღმერთი სიმშვიდისა და პატიოსნების დასაცავად ცოლს გიბოძებს, რათა ხორციელი ლტოლვა დააცხრო. შენ კი, უმადურო, უნდობლობას უცხადებ უფალს? რად შეურაცხყოფ შენსავე სხეულს, ტაძარს ღვთისას. შენმა ცოლმა შენი გულისთვის მიატოვა საკუთარი დედ-მამა, ახლობლები, შენ მოგეკედლა; მზადაა, აიტანოს ყოველგვარი ტანჯვა, გასაჭირი, იზრუნოს შვილებზე, არ გაკლებთ სითბოს, ალერსს, მზრუნველობას. შენ კი, ცხოვრების მეგზურს, ღვთისგან ბოძებულ ჯილდოს ჯეროვან პატივს ვერ მიაგებ, შეურაცხყოფ სიწმიდეს, უმანკოებას, პატიოსნებას".

**— სამწუხაროდ, ქართველ მამაკაცებს სხვა ქალებთან დროსტარება ცოლის ღალატად და მის შეურაცხყოფად არ მიაჩნიათ. ამის შესახებ რას გვეტყვით?**

— ცოლიან კაცს სხვა ქალისკენ თვალი არ უნდა გაექცეს. იოანე ოქროპირი ამბობს: „ვინც ნდომით შეხედა ქალს, უკვე იმრუშა მასთან საკუთარ გულში". თუ უცხო მანდილოსნის სილამაზე გხიბლავს, ამით ცოლს შეურაცხყოფ, ამცირებ. მართალია, ფიზიკურად არ ეხები, მაგრამ თვალი გაცდუნებს, რაც მრუშობად არის მიჩნეული.

**— ზოგიერთ მამაკაცს მოსწონს, როცა ცოლს აეჭვიანებს...**

— ყველა ქმარი ვალდებულია, თავისი საქციელითა თუ საუბრით ეჭვი არ აღუძრას ცოლს, სულიერი სიმშვიდე არ დააკარგვინოს, რათა ოჯახში კეთილგანწყობა და ურთიერთთანხმობა შეინარჩუნოს. წმიდა იოანე ოქროპირი გვმოძღვრავს: „განაგდე სიძვის დემონი, გაჰფანტე უნდობლობა, თუ ცოლი მაინც ეჭვიანობს, ეცადე, დაამშვიდო, ზიზღი და სიძულვილი არამც და არამც არ აგრძნობინო, რადგან მისი ეჭვიანობის მიზეზი შენი უსაზღვრო სიყვარულია". ქრისტიანული სწავლების თანახმად, ქმარს უფლება არ აქვს, ეჭვიანობის საბაბი მისცეს ცოლს. წმიდა იოანე ოქროპირი მეუღლეებს ურჩევს, სინაზე, ყურადღება, პატივისცემა გამოიჩინონ ერთმანეთისადმი, არ აჰყვნენ ავყია ჭორებს, წვრილმანებს, ნუ დაიწყებენ ერთმანეთის შემოწმებას, თვალთვალს, რათა თავქარიანობითა და უგუნურებით საფრთხე არ შეუქმნან ოჯახურ ბედნიერებას, სიცოცხლე არ ჩაუშხამონ ერთმანეთს.

**— რა დანიშნულება აქვს ცოლს ქრისტიანულ ოჯახში და რა უფლება-მოვალეობანი ეკისრება?**

— წმიდა იოანე ოქროპირის აზრით, ცოლი დაწინდულია ქმრისგან, როგორც მისი ცხოვრების მეგზური, შვილების დედა, რათა გაუფრთხილდეს ოჯახს, კერას, ქმარს, დაიცვას სიწმინდე და პატიოსნება. ცოლის მოვალეობაა, მომჭირნედ გაუძღვეს ოჯახს, ქმართან ერთად გასწიოს მძიმე ჭაპანი სიცოცხლის ბოლომდე. ცოლი ვალდებულია, ქმარს დაემორჩილოს. პავლე მოციქული წერს: „ქმარი ცოლის თავია, როგორც ქრისტეა თავი ეკლესიისა, ანუ ცოლქმარი ერთად მორჩილებენ იესოს, შესაბამისად, ცოლები ქმრის მორჩილები უნდა იყვნენ, ვითარცა უფლისა". ცოლის მთავარ ღირსებად ქმრის თავდავიწყებამდე სიყვარული ითვლება. პავლე მოციქული ამბობს: „ცოლები უნდა იყვნენ მოკრძალებულნი, პატიოსნები, ოჯახზე მზრუნველები, კეთილები. მეოჯახე ქალს ქმრის რიდი და პატივისცემა აქვს, მხოლოდ ქალის სიყვარული, მისი სითბო ახშობს ყოველგვარ გაუგებრობასა და აყალმაყალს ოჯახში".

**— მოღალატე ცოლების შესახებ რას გვეტყვით?**

— ქმრისთვის მომაკვდინებელია ცოლის ღალატის მოულოდნელად გაგება. მთავარი დამნაშავე, რასაკვირველია, გახლავთ ქმარი, რომელმაც სათანადო ყურადღება არ გამოიჩინა ცოლისადმი, სხვაგან ეძებდა სითბოს, გართობას, სიამოვნებას, სიყვარულს და თანდათანობით დააეჭვა, გაალიზიანა ცოლი, ოჯახი დაანგრია.

**— რა არის ქრისტიანული ოჯახის საფუძველი?**

— ცოლქმრული ყოფა-ცხოვრების საფუძველს სამი რამ წარმოადგენს — ოჯახური საზრუნავი, ოჯახური ბედნიერება და ოჯახური სითბო.

**— რა იგულისხმება ოჯახურ საზრუნავში?**

— ნებისმიერ ადამიანს, რაც არ უნდა ბედნიერი იყოს, თავისი საფიქრალ-საზრუნავი აქვს, რაც ყველაზე მძიმე ტვირთია ცხოვრებაში და იმის მიხედვით მატულობს, რაც უფრო მეტად ილტვის კაცი ბედნიერების მოსაპოვებლად.

ოჯახური საზრუნავი გულისხმობს ფიქრს არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ ცოლზე, შვილებზე, ნათესავ-მეგობრებზე.

**— დღეს ბევრი მამაკაცი გაურბის ცოლის მოყვანას, ოჯახურ საზრუნავს თავს არიდებს უსახსრობის შიშით. ეკლესიურად გამართლებულია მათი საქციელი?**

— სამწუხაროდ, ახალგაზრდებს ოჯახის რჩენის შიში აქვთ და შემთხვევით კავშირებს ამჯობინებენ, განსაკუთრებით ქალაქელები ესწრაფვიან ამგვარ ცხოვრებას განცხრომისა და ფუფუნების სიყვარულით. ამგვარი დამოკიდებულება ახალგაზრდა კაცს უჩნდება ცხოვრებაზე მცდარი შეხედულებებისა და ჭეშმარიტი ღვთისმოსაობის უქონლობის გამო.

**— რა აზრისაა ეკლესია შინაბერებსა და ბერბიჭებზე?**

— ის, ვინც ცოლქმრულ ცხოვრებას თავს არიდებს, საშინელ ფიქრსა და დარდშია, სასოწარკვეთილებაშიც ვარდება, რასაც ჯანმრთელობის შერყევა და მარტოობა მოსდევს. იგი პირისპირ რჩება თავის პატარ-პატარა დარდებთან, სიხარულთან, არ ჰყავს მოზიარე ჭირსა თუ ლხინში. ავადმყოფობის დროს გულითად დახმარებას ვერავინ აღმოუჩენს, სიბერის უკანასკნელ წლებსაც მარტოობაში გაატარებს. საერთოდ, დაოჯახებულებს ღვთის შიში უფრო მეტი აქვთ, ვიდრე შინაბერებსა და ბერბიჭებს.

**— სახარებაში წერია: „ხვალემ იზრუნოს ხვალისა"... აგვიხსენით, რას ნიშნავს?**

— როცა იესო გვმოძღვრავს, ხვალინდელ დღეზე ნუ იზრუნებთო, უმოქმედობისა და სიზარმაცისკენ როდი მოგვიწოდებს. „ილოცე და იშრომე" — ძველთაძველი საღმრთო სჯულია. წმიდა წერილი გვასწავლის: „ოფლითა შენითა მოიმუშაკე პური შენი არსობისა".

**— რა არის ქრისტიანისთვის ოჯახური ბედნიერება?**

— ოჯახური ბედნიერება ოჯახურ საზრუნავს მოაქვს. ბედნიერებისთვის გამუდმებით უნდა ვიზრუნოთ. მარტო საკუთარი ძალების რწმენით ვერაფერს მივაღწევთ, თუ უფალი არ შეგვეწია. ასე რომ, ამაოა ყოველი შიში და ძრწოლა. ჩვენ მხოლოდ შეცდომების ჩადენას უნდა ვერიდოთ. როცა საკუთარი ნება-სურვილით ვანგრევთ ოჯახს, ადამიანური და ღვთაებრივი წესრიგის საწინააღმდეგოდ ვიქცევით.

**— ქრისტიანული სწავლების თანახმად, რა არის ოჯახური სითბოსა და სიხარულის საფუძველი?**

— ჭეშმარიტი ქრისტიანი ვალდებულია, სითბო და სიხარული არასოდეს განელდეს მის ოჯახში. სადაც ეს ცეცხლი გიზგიზებს, ადამიანები სათნოებასა და სამართლიანობას ემსახურებიან, მათზე დაკისრებულ მოვალეობებს კარგად ასრულებენ, თავად ბედნიერები სხვებსაც აბედნიერებენ. შეხმატკბილებული წყვილი ერთმანეთის სიხარულით ხარობს. ხასიათსა და ზნე-ჩვეულებებზე დიდ გავლენას ახდენს ოჯახური სითბო და სიყვარული, ანუ გარემო, სადაც ადამიანი იზრდება. ნებისმიერი პიროვნება თავის სახლში დგამს პირველ ნაბიჯებს, უყალიბდება ხასიათი, კეთილი თუ ბოროტი ჩვევები. კეთილსინდისიერ გარემოში აღზრდილი ბავშვები ზნეობრივად დახვეწილნი, კეთილნი არიან, ხოლო ბოროტ ოჯახში უწესო და უზნეოები იზრდებიან. ასე რომ, კარგი ოჯახური გარემო ჭეშმარიტი ქრისტიანული ყოფა-ცხოვრების საფუძველია. ადამიანი ყველაზე უმტკივნეულოდ ოჯახში ითვისებს ეკლესიური ცხოვრების ნორმებს, სადაც უპირველესი მცნება მოყვასის სიყვარულია და თავადაც ამჟღავნებს კეთილ თვისებებს, სათნო ხასიათს. თუ მშობლები, დები და ძმები არ გვიყვარს, გამუდმებით ვეჩხუბებით მათ და ერთმანეთს არ ვინდობთ, სხვებს როგორღა შევიყვარებთ?

ესაუბრა
**ნინო გოძიაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რა არის ცოდვა ქრისტიანული თვალსაზრისით



**ქრისტიანული ეკლესია ცოდვის საკმაოდ სრულყოფილ განმარტებას იძლევა, რაც სულიერების გარეშე მცხოვრები ადამიანისთვის შეიძლება სავსებით მოულოდნელიც აღმოჩნდეს. არაეკლესიური აზროვნება, ისევე, როგორც წარმართულ პერიოდში, ცოდვას ჩადენილ დანაშაულთან აიგივებს. მაგალითად, სოკრატეს ცოდვა ესმოდა, როგორც ცუდის არცოდნა. მისი აზრით, ადამიანი, თუ მან იცის, რომ მოვლენა ცუდია, არც შესცოდავს.**

ქრისტიანობამ ცოდვის აბსოლუტურად განსხვავებული განმარტება მოგვცა.

როცა მოციქულები ბერძნულ ენაზე წერდნენ სახარებას (მოგეხსენებათ, წმინდა წერილის ყოველი სიტყვა ღვთივსულიერია, ამიტომ ყველაფერს თავისი დატვირთვა აქვს), ცოდვის აღმნიშვნელად გამოიყენეს ძალიან უცნაური სიტყვა „ამარტია“ — აცდენა. ამით მოციქულებმა გვითხრეს: თუ ღმერთი ერთ მხარესაა, ხოლო ჩვენ სხვა მხარეს მივდივართ, ცოდვაა.

გარდა ამისა, პავლე მოციქული გვეუბნება, რომ ყველაფერს ღვთის სადიდებლად უნდა ვიქმოდეთ. როცა ღვთის დიდება არ ხდება, რაშიც ღმერთისთვის ადგილი არ არის, ცოდვაა.

რა თქმა უნდა, ცოდვა ბოროტებასაც უკავშირდება. წარმართულ სამყაროს ასეთი გაგება ჰქონდა: ცოდვა ბოროტებიდან გამომდინარეობს, ხოლო ბოროტების საწყისი მატერიააო.

მოგეხსენებათ, მეცნიერი თუ დიდია, მის ნათქვამსაც წონა აქვს და კარგა ხანს მკვიდრობს, მხოლოდ ახალ გენიოსს შეუძლია გავრცელებული აზრის შეცვლა. პლატონმა ძველ ავტორიტეტებზე დაყრდნობით განაცხადა, სხეული სულის საპყრობილეაო.

ეს შეხედულება ისე გაუჯდა წარმართულ მსოფლმხედველობას, რომ ქრისტიანობამდე მისი რევიზია არავის უცდია.

სამწუხაროდ, დღესაც ზოგიერთ ქრისტიანს ხორცი ცოდვის წყაროდ მიაჩნია. სინამდვილეში, როგორც პავლე მოციქული გვასწავლის თავის ეპისტოლეში, სხეული ღვთის ტაძარია. მასში სულიწმიდა უნდა შევიდეს.

მოციქულის თქმით, ხორცის ტაძარნი ქვის ტაძართაც აღემატება. როგორ შეიძლება, ტაძარი ცოდვის წყარო იყოს?

# სულისთვის სასარგებლო რჩევები



**● ნუ მიეპირფერები ნურავის და ნურც იმას დაუშვებ, რომ სხვამ თავი დაიმციროს შენ წინაშე ან გემლიქვნელოს. პირფერობა — ცბიერი და ვერაგი ადამიანის, ხოლო მლიქვნელობა პატივმოყვარისა და ამპარტავნის თვისებაა.**

**● უპატიოსნო ადამიანი გამუდმებით ლაპარაკობს პატიოსნებაზე. ნუ ენდობი იმას, ვინც მეტისმეტად ადიდებს კეთილშობილებასა და გულუხვობას, ნურც იმისგან ელი დაცვას, ვინც უზომოდ და ყველგან ასხამს ხოტბას სიმამაცეს.**

**● თუ ცოდვის ქმნაზე იმიტომ აიღე ხელი, რომ ასაკი მოგეძალა, შენი უძლურების შედეგი იქნება. ჩვენ მათ ვადიდებთ (ღვთის სიტყვაზე დაყრდნობით), ვინც საკუთარი ნებით არის სიკეთის მთესველი და არა მათ, ვინც ამას იძულებით სჩადის.**

**● სხეული ხანგრძლივი შრომით უნდა დავიმორჩილოთ, რათა მისით საცთურს არ ვეწიოთ.**

**● განუწყვეტლივ მღვიძარე იყავ სულით, რათა მცონარება არ დაგეუფლოს და გულმოდგინებას არ მოაკლდე.**

**● როცა გაქებენ, იფიქრე: „ისინი არ მიცნობენ, მე კი ვიცი ჩემი თავის ამბავი“, როცა ამპარტავნული ფიქრები გეწვევა, საკუთარი ცოდვები გაიხსენე.**

**● ჩვენი გამოუსწორებლობისა და დაცემის მიზეზი არა მარტო სიზარმაცე და უყურადღებობაა, არამედ თავმაღლობაც. ყოველგვარი ბოროტების მიზეზი ამპარტავნებაა, ხოლო ყოველგვარი სიკეთისა — თავმდაბლობა.**

# გინოჩამა — ხატის სამსჯავროზე დამნაშავის გადაცემა

**ყოველ გიორგობას უამრავი ხალხი მიდიოდა ილორის წმიდა გიორგის ტაძრისკენ. თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო იკრიბებოდა. ეკლესიის მსახურები — მეხატულეები, უთუოდ ზერეკიას, მალიშას, მარკელიას, ბჟანიას, მერჭულეს, ჯიგანიას, ხასიას, ხოჭას და კიტას გვარების წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც წმინდა გიორგი მათ საგვარეულო, ანუ ჯინჯ ხატად ითვლებოდა.**

ტაძარში ინახებოდა წმინდა გიორგის ნაქონი მშვილდი — შქვილი, სპილენძის ბუკი და დიდმოწამისთვის შეწირული ბორძლები — ორპირბოლოიანი ისრები. ძველად თურმე თაღიდან ოქროს სასწაულმოქმედი სასწორი ეშვებოდა, რომლის ქვეშაც მოდავენი დგებოდნენ, წმინდანისადმი ლოცვას აღავლენდნენ და სასწორის პინა მართლისკენ იხრებოდა, მაგრამ ერთხელ წმინდა გიორგის მოტყუება უცდიათ და მას სასწორი სამუდამოდ წაუღია ზეცაში. ამის მერე დამკვიდრებულა ე.წ. გინოჩამა — ხატის სამსჯავროზე დამნაშავის გადაცემა. თუ სოფელში ვინმე იქურდებდა ან ცუდ საქმეს ჩაიდენდა, დაზარალებული წინასწარ აფრთხილებდა და ნაქურდალის დაბრუნებას ითხოვდა, მაგრამ თუ დამნაშავის ვინაობა არ იცოდნენ, საქვეყნოდ აცხადებდნენ, ესა და ეს დამნაშავის ხატზე გადასაცემად მიდისო. ამის მერე რამდენიმე დღე იცდიდნენ და თუ ქურდი მოპარულს არ დააბრუნებდა, ილორის ხატს შესთხოვდნენ, ორ კვირაში მოატანინე თავისი ხელით, თუ არადა, შენი ძალა აჩვენეო. ზოგჯერ დამნაშავეს შიში იპყრობდა და ნაქურდალს ტაძრის ეზოში ტოვებდა, მაგრამ პატრონს წაღება არ შეეძლო — ეკლესიას რჩებოდა, წყევლა კი უთუოდ უნდა მოეხსნა, რადგანაც სწამდათ, თუ ასე არ მოიქცეოდნენ, ხატი მაწყევარს დაამიზეზებდა. ხანდახან ხატზე გადაცემული და გადამცემი რიგდებოდნენ კიდეც. დამნაშავე მაწყევარს სახლში იწვევდა, კარგად მასპინძლობდა, საწინდრად რაიმე ნივთს, უფრო ხშირად, იარაღს აძლევდა, მერე ილორის ტაძარში მიდიოდნენ, ხატის წინ წყევლას გამოილოცებდნენ და მაწყევარი საწინდარს აბრუნებდა.

# სულთა შეუღლება სიკვდილის შემდეგ

**ქრისტიანული სწავლების თანახმად, გარდაცვლილები „აღდგომისას არც ცოლს ირთავენ და არც თხოვდებიან, არამედ არიან როგორც ანგელოზები ცაში“, მაგრამ, ალბათ, უდროოდ დაღუპული ახალგაზრდები, რომლებმაც სიცოცხლეში ვერ მოასწრეს დაქორწინება, საიქიოში მაინც ხვდებიან ერთმანეთს. ამ კავშირს მისტიკოსები „უნიო საკრას“, ანუ სულთა შეუღლებას უწოდებენ. აი, რა გვიამბო ბატონმა ილია ბესტავაშვილმა, რომლის უმცროსი ძმა — გოგიტა 17 წლის ასაკში დაიღუპა.**



ილია ბესტავაშვილი

**— ბატონო ილია, რა ვითარებაში გარდაიცვალა გოგიტა?**

— ჩემს მშობლებს 6 შვილი ჰყავდათ. გოგიტა უმცროსი იყო, ავტოკატასტროფაში დაიღუპა 17 წლის ასაკში...

**— როდის მოხდა ეს უბედური შემთხვევა?**

1985 წლის 26 ოქტომბერს, დაახლოებით 16 საათიდან 16 საათსა და 30 წუთამდე. მაშინ კასპში ვცხოვრობდით. გოგიტა თანაკლასელის ქორწილში მიდიოდა მანქანით სამ ამხანაგთან ერთად, მაგრამ დააგვიანდათ, ნეფე-პატარძალი ჯვრის დასაწერად სვეტიცხოველში დახვდათ წასული. გადაყვიტეს, მაყრებს დაწეოდნენ და იგოეთში, ტრასამდე არმისულთ უბედურება შეემთხვათ — მანქანა ექვსჯერ ამოტრიალდა. გოგიტა გადმოვარდა და რამდენიმე მეტრში დაეცა.

**— სხვებს რა დაემართათ?**

— სამივე უვნებელი გადარჩა, ერთი ნაკაწრიც არ ჰქონიათ.

**— გოგიტა ადგილზე გარდაიცვალა?**

— არა, ჩვენმა ახლობელმა, რომელიც საპირისპირო მხრიდან მოდიოდა, მანქანა გააჩერა, გოგიტა თავისი ფეხით ჩაჯდა შიგ და კასპის საავადმყოფოში მიიყვანეს, ქირურგიულ განყოფილებაში. ექიმ გივი შარიქაშვილს სთხოვა თურმე „შოკში“ ჩავარდნილმა: გეხვეწებით, გადამარჩინეთ, ცუდი ბიჭი არ ვარო.

**— რა დაუზიანდა?**

— წინასწარი დიაგნოზით, ექიმი ვარაუდობდა, რომ ქალა-თავის ფუძე ჰქონდა მოტეხილი, რადგანაც თავი დაარტყა. გოგიტას წვეთოვანი დაუდგეს. ერთი ბოთლი რომ დაიცალა, მეორე მიაშვილეს, მაგრამ მოულოდნელად აგონიაში ჩავარდა, დაიკრუნჩხა, გაწყვიტა სადენები და სული დალია. იმ დროს ჩვენ დეიდის დედამთილის წლისთავზე ვიყავით მუხათგვერდის სასაფლაოს რიტუალების დარბაზში. სუფრას თამადობდა ცნობილი მსახიობი, აწ გარდაცვლილი ირაკლი უჩანეიშვილი. მისი სადღეგრძელოებით მოხიბლულმა მამაჩემმა უთხრა: ბატონო ირაკლი, დასაოჯახებელი ბიჭი მყავს და თქვენ უნდა ითამადოთ მის ქორწილშიო, გოგიტა ჰყავდა მხედველობაში... ეს საუბარი შედგა სწორედ იმ დროს, როცა ჩემი ძმა სულს ღაფავდა. დაკრძალვიდან 2-3 თვის თავზე დედამ სიზმარში ნახა გარდაცვლილი შვილი. გოგიტას უთქვამს: დედა, ცოლი მოვიყვანე, შენ არ იცნობ, ნათია ჰქვიაო. ამ ამბიდან 10 წლის შემდეგ თბილისში გამომგზავნეს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, პროფესიით ექიმი-ანესთეზიოლოგი ვარ.

**— რა კავშირი აქვს დედათქვენის სიზმარს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებთან?**

— ახლავე მოგახსენებთ! ბოლო ლექციაზე ჩემთან მოვიდა უცნობი ახალგაზრდა ქალი, ისიც ექიმი-ანესთეზიოლოგი და მთხოვა: ბატონო ილია, ხვალ ერთ ადგილას უნდა წამომყვეთ, ოღონდ, რა ხარჯიც იქნება გასაწევი, მე უნდა გადავიხადოო. უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი, მაგრამ უარი არ ვუთხარი.

**— სად წაგიყვანათ კოლეგამ?**

— მუხათგვერდის სასაფლაოზე. ყვავილებისა და ტაქსის ფული, მართლაც, თვითონ გადაიხადა შეთანხმებისამებრ.

**— ვის საფლავზე მიგიყვანათ?**

— თავისი დეიდაშვილის, რომელსაც ნათია ერქვა. ისიც ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მაშინვე დედაჩემის სიზმარი გამახსენდა და ვკითხე, როდის გარდაიცვალა-მეთქი. 1985 წლის 26 ოქტომბერს, დაახლოებით 16 საათიდან 16 საათსა და 30 წუთამდეო... ცხადი გახდა, რომ გოგიტა და ნათია ერთდროულად დაიღუპნენ. ალბათ, საიქიოში, მართლაც, შეხვდნენ ერთმანეთს მათი სულები.

# კითხვა-პასუხი

**ყველა ზიარების წინ აღსარების ჩაბარება აუცილებელია?**

— ზიარების წინ აღსარების თქმა სასურველია, მაგრამ ზოგიერთ მოძღვარს, რომელსაც ძალიან დიდი მრევლი ჰყავს და კვირაობით სამასზე მეტ კაცს აზიარებს, ბუნებრივია, ყოველი ზიარების წინ აღსარების მიღება გაუჭირდება, ამიტომ აუცილებელი არ არის. საერთოდ, მორწმუნემ ეს საკითხი თავის სულიერ მოძღვართან ერთად უნდა გადაწყვიტოს.

**როგორ უნდა მივეახლოთ წმიდა ძღვენს ზიარების დროს?**

— ადამიანს, რომელიც ტაძარში წმიდა ზიარების მისაღებად დგას, უპირველეს ყოვლისა, გააზრებული უნდა ჰქონდეს, თუ რას ეზიარება. ზიარების წინ მღვდელი ამბობს: „შიშითა ღმრთისათა და სარწმუნოებით მოვედი“. ამ სიტყვებით მოძღვარი ამზადებს მორწმუნეებს, რომ ისინი წმიდა ზიარებას ღვთის შიშით მიეახლონ.

**შეიძლება თუ არა დედათა წესის დროს სახლში ნაკურთხი წყლის მიღება, ხატების წინ დგომა ან ლოცვების კითხვა?**

— დედათა წესის დროს შეიძლება სახლში ხატების წინ დგომა და ლოცვების კითხვა. არ შეიძლება სიწმიდეების — ნაკურთხი წყლისა და სეფისკვერის მიღება ან შეხება.

**რატომ ითვლება ცოდვად ღვინის სმა?**

— ზომიერად ღვინის სმა ცოდვად არ ითვლება, პირიქით, დავით მეფსალმუნე ამბობდა, ღვინო კაცის გულს ახარებსო. იგი წმიდა სითხეა და პატივისცემა სჭირდება. საქართველოში ღვინოს შესაბამის პატივს მიაგებენ და უზომოდ არ მიირთმევენ. ცოდვაა სიმთვრალე, ლოთობა, ანუ ღვინის სმა განუზომლად, რადგანაც ადამიანი საკუთარ ნებას ველარ აკონტროლებს და სხვადასხვა ცოდვაში ვარდება.

**ვიცი, რომ სიცრუე ცოდვაა, მაგრამ როცა ახლობელს სიმართლეს ვუმალავ, რადგანაც შეიძლება, ცუდად გახდეს, ცოდვას ჩავდივარ?**

— თუ სიმართლე ადამიანს ავნებს, მის გამხელას უნდა მოვერიდოთ. სიმართლემ კაცს სიკეთე უნდა მოუტანოს და არა ზიანი. თუ სიმართლეს არ ეუბნებით ახლობელს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცრუობთ. თქვენი დუმილი განპირობებულია მოყვასის სიყვარულით.

რუბრიკას უძღვება **ნინო გოძიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო



# ამერიკული დემოკრატია ქრისტიანობის წინააღმდეგ

**ყველას თუ არა, უმეტეს ჩვენგანს ისეთი წარმოდგენა აქვს, რომ დემოკრატიული პრინციპებით გარდაქმნილ ერაყში მთავარი (და ერთადერთი) რელიგიათაშორისი პრობლემა სუნიტებისა და შიიტების დაპირისპირებაა. პოლიტიკური თავისუფლების ცენტრის დაკვირვებით, ამერიკელებისა და მათი მოკავშირეების მიერ ოკუპირებულ ერაყში კატასტროფულად გაუარესდა ქრისტიანული მოსახლეობის მდგომარეობა: ქრისტიანები სულ უფრო ხშირად ეწირებიან მზარდ ისლამურ რადიკალიზმს, რომელიც, სპეციალისტების მტკიცებით, დიდწილად პროვოცირებულია ოკუპანტების უცერემონიო და არაადამიანური მოქმედებით.**



ასეთი ვითარება კოალიციური ძალების სარდლობას აბსოლუტურად არ ანაღვლებს ან რატომ უნდა ანაღვლებდეს, როცა ისინი სწორედ იმ პრინციპით მოქმედებენ, რასაც მათი ხელმძღვანელობა ერთგულებს და რომელიც მთელ მსოფლიოში მართლმადიდებლური ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიხატება: აღკვეთა და ამოძირკვა ჭეშმარიტი რწმენისა, რომელიც ერის მაღალსულიერებას, რწმენას, სიკეთესა და სიყვარულს ქადაგებს.

**ყველა და ყველაფერი უნდა ემსახურებოდეს მსოფლიოს ამერიკანიზაციას, მართლმადიდებლობა კი ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და გამყარების უძლიერესი საშუალებაა, მაშასადამე, ამერიკანიზაციის ანტიპოდია.**

**ამიტომ ებრძვიან. ებრძვიან ყველა საშუალებით — მასმედიით, სახელისუფლო თუ ადამიანური რესურსების გამოყენებით.**

ადამიანური რესურსები — პირობითი ცნებაა, რადგან ის ორფეხები, ვინაც სული მერკანტილიზმის ეშმაკს მიჰყიდა, თავიანთი ბუნებით ტურა-აფთრის ჯიშს უფრო ენათესავებიან, ვიდრე ღვთის მიერ შექმნილ გონიერ არსებას — ჰომო საპიენსს; უფრო გასაგებად, — თეა თუთბერიძის, ლევან რამიშვილის, გიგა ბოკერიასა და მათ მსგავს წარწყმედილებზეა ლაპარაკი.

ეს არის ნამდვილი ღორის გრიპი, რომლის გავრცელება უფრო საშიშია კაცობრიობისთვის, ვიდრე H1N1 გრიპის პანდემია, რადგან ცივილიზებულ თაობათა ლეტალური დასასრულის საშიშროების შემცველია — არც რწმენა და სულიერება, არც ტოლერანტობა და კაცთმოყვარეობა.

**მხოლოდ სულწარწყმედილ ხელისუფლებას შეეძლო, გადაედგა ისეთი მზაკვრული ნაბიჯი, როგორიც ჯიბის ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის საჭეთმპყრობელ ალექსიზე ბინძური პასკვილის გაშვებით გადაიდგა; ეს არა მარტო დიდი ცოდვაა, არამედ, როგორც საზოგადოებრივმა აზრმა აღიარა, რუსეთის პატრიარქის გაბიაბურება და მისი სახელის ტალახში ამოსვრა საქართველოს პატრიარქზე ირიბი დარტყმის მცდელობაცაა.**

**დღეს — მინიშნებით, ხვალ — პირდაპირი შეტევით!**

რატომ?

იმიტომ, რომ იქედნეს ამ ნაშობთ მოსვენებას უკარგავს საქართველოს სულიერი მამის უდიდესი ავტორიტეტი, ხელს არ აძლევს იმის კონსტანტაცია, რომ მან რეალურად უფრო მეტის გაკეთება შეძლო რუსეთთან კონფლიქტური სიტუაციიდან გამოსასვლელად, ვიდრე დიპლომატიისა და დემოკრატიის შუქურ-მაქო საააკაშვილმა: მისი უწმინდესობის მცდელობით რუსეთის საპატრიარქომ არ აღიარა აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ეკლესიების დამოუკიდებლობა, ანუ სასწაულებრივ შემოატრიალა სხვათა მიერ ნაკარნახევი და ჩვენი ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტიკით საქართველოს სამარცხვინო დანაწევრების გაოფიციალურება.

მართლმადიდებლობის წინააღმდეგ დიდი შეტევა დაიწყო. და, ეგებ, ყველაზე სახიერად ამერიკელების მიერ ოკუპირებულ ერაყსა და აშშ-ის სატელიტ პაკისტანში გამოჩნდა.

ავღანეთზე აღარც ღირს ლაპარაკი, რადგან იქ ყველაფერი იმაზე მეტადაა არეული, ვიდრე დანიის სამეფოში იყო მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს.

**ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ იმისგან, რაც დღეს ამ ქვეყნებში ხდება, საქართველო დაცული იქნება?**

**ყოველივე ამან განაპირობა „საქართველო და მსოფლიოს“ ინტერესი ქრისტიანთა მდგომარეობის საკითხისადმი ახლო აღმოსავლეთში.**

## ქრისტიანების დევნა მასობრივ ხასიათს იძენს

ქრისტიანები ერაყიდან გარბიან. იძულებულს ხდიან.

კი არის ამის გამო ფრიად შეშფოთებული რომის პაპის წარმომადგენელი ერაყში, არქიეპისკოპოსი ფერნანდო ფილონი, მაგრამ მისი სუპერემოციული განცდები და აღშფოთება საქმეს ვერ შველის. მას შესანიშნავად აქვს გააზრებული, რომ **„ქრისტიანები გაიქცევიან ერაყიდან მანამ, სანამ ქვეყანაში წესრიგი და უსაფრთხოება არ აღდგება“.**

როდის აღდგება?

პასუხი არავის აქვს.

ამასობაში ქრისტიანმა ლტოლვილებმა სირიასა და იორდანიას შეაფარეს თავი. ქრისტიანთა რაოდენობა ერაყში ჯერჯერობით 5 პროცენტით შემცირდა. მათი საბოლოო მიზანი, როგორც ჩანს, ავსტრალია და შვედეთია, სადაც ერაყიდან დევნილთა დიდი თემები ჩამოყალიბდა.

ქრისტიანებისადმი ადგილობრივი რადიკალების დამოკიდებულების გამორჩეული და დამახასიათებელი ფაქტია მღვდლის — ამერ ესკანდერის მკვლელობა. ტერორისტებმა, რომლებმაც იგი გაიტაცეს, გამოსასყიდად 350 ათასი დოლარი მოითხოვეს. გადამხდელი არავინ აღმოჩნდა და სამი დღის შემდეგ მისი უთავო ცხედარი ქალაქ მოსულის აღმოსავლეთ რაიონში იპოვეს.

სპეციალისტების აზრით, თუ არ შეჩერდება ეს ტენდენცია, გამორიცხული არ არის, რომ მთლიანად ამოჟლიტავენ ასირიელ ქრისტიანთა თემს ერაყში, რომელიც ერთ-ერთი უძველესია ქრისტიანულ სამყაროში. ამ თემის დაარსების თარიღად მიიჩნევენ ჩვენი წელთაღრიცხვის 33-34 წლებს, როცა მესოპოტამიაში (შუამდინარეთში) პეტრე და თომა მოციქულები ქადაგებდნენ ქრისტეს მოძღვრებას. არამეულ ეკლესიაში ღვთისმსახურება ასირიულ ენაზე სრულდება, რომელიც იმ ენის ვარიანტი და დიალექტური ფორმაა, რომელზეც იესო ქრისტე და მოციქულები მეტყველებდნენ — არამეულის.

თურქეთში ქრისტიანთა მასობრივი ჟლეტის წლებში (1914-1918 წწ.) 750 ათასი ასირიელი დაიღუპა, იქ მცხოვრებ ასირიელთა ორი მესამედი. პირველი მსოფლიო ომის დროს ასირიელებს დევნიდნენ დიდ ბრიტანელებთან თანამშრომლობის გამო. მაშინ მრავალი ასირიელი იძულებული გახდა, დაეტოვებინა ერაყი, მათ შორის ასირიული ეკლესიის პატრიარქიც იყო.

სადამ ჰუსეინის მმართველობის წლებში აკრძალეს სკოლებში ასირიული ენის სწავლება. იავარქმნეს ასობით ასირიული სოფელი, ათობით ეკლესია ააფეთქეს. დარბეული სოფლების მოსახლეობა მთელ ქვეყანაში გაფანტეს და განასახლეს.

## დანაშაულის ოდენობა პოლიციელთა რაოდენობის პროპორციულად მატულობს

**1987 წლის აღწერით ერაყში 1,4 მილიონი ქრისტიანი ცხოვრობდა. ამჟამად მათი რაოდენობა თითქმის განახევრებულია. ამერიკელთა სამხედრო ოპერაციის დაწყებისა და, განსაკუთრებით, ანტიამერიკული აჯანყების შემდეგ 60 ათასმა დატოვა ერაყი.** 2004 წლიდან მოყოლებული ამბოხებული ისლამისტები მეთოდურად აფეთქებენ ქრისტიანულ ეკლესიებს, — ასე იძიებენ შურს „ერთმორწმუნე“ ოკუპანტებთან მათი „თანამშრომლობისათვის“.

**გაეროს ამასწინანდელი მოხსენების თანახმად, ერაყელი ქრისტიანები დისკრიმინაციისა და დევნის მუდმივი მსხვერპლნი არიან, მათ მიმართ ძალადობა, დამცირება, მათი დასახიჩრება და მკვლელობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.** ჟურნალისტების ცნობით, იმ ქრისტიანებს, რომლებიც არ აიძულებენ თავიანთ ცოლებსა და ქალიშვილებს, ჩაიცვან მუსლიმანური ტანსაცმელი, დევნიან. ქალებს, რომლებიც გარისკავენ და ჯინსებს ფარანჯის ნაცვლად ჩაიცვამენ, შეიძლება სახეში გოგირდმჟავა შეასხან, გააუპატიურონ ან მოკლან კიდეც.

**ბოლო 2 წლის განმავლობაში ასირიელთა 27 ეკლესია ტერაქტების სამიზნე გახდა. ტერორისტები უტევენ ისეთი უმნიშვნელოდ მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს, როგორებიც დახლებისა და პატარა საამქროების ქრისტიანი მფლობელები არიან. კლავენ ალკოჰოლიანი სასმელებით მოვაჭრე მაღაზიების პატრონებს. ასირიელი დონი ჯორჯი, ერაყის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, რომელმაც ვერ გაუძლო მუქარას და თავდასხმებს, იძულებული გახდა სირიაში გადახვეწილიყო...**

ერაყში ქალდეველთა კათოლიკური ეკლესიის დამხმარე ეპისკოპოსმა **აბუნა ანდრაოსმა** დამღუპველი უწოდა ქრისტიანული მრევლის კლების ტემპს ერაყში. **„უიმედობა და მუდმივი შიში აიძულებს სულ უფრო და უფრო მეტ ქრისტიანს, დატოვოს ერაყი... მათ სიტუაცია აიძულებს“,** — განაცხადა მან.

**დამკვირვებელთა აზრით, ამერიკელების შესვლამ ერაყში სერიოზულად გააუარესა ქრისტიანთა მდგომარეობა ამ მუსლიმანურ ქვეყანაში. მათი უფლებების დაცვაზე პრაქტიკულად არავინ ზრუნავს. სამართალდამცავთა რაოდენობა სისტემატურად იზრდება, განსაკუთრებით ბაღდადის შემოგარენში. მაგრამ მათი საქმიანობის შედეგები უფერულია.**

ამერიკული სამხედრო კონტიგენტი ებრძვის ტერორისტებს, ადგილობრივი ხელისუფლება ოთხ კედელშია ჩაკეტილი და თვითიზოლირებული, ხალხზე არავინ ზრუნავს, ქრისტიანებს კი აშკარად ებრძვიან.

ასეთია „დემოკრატიული“ ერაყის შეუფერადებელი რეალობა.

ეპისკოპოს ანდრაოსის თქმით, **„მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიებში ძველებურად მოდიან მორწმუნენი, საკმარისია, ქუჩაში გახვიდეთ, რომ დარწმუნდებით — ერაყში ქრისტიანებს ბოლოს უღებენ“.**

ამრიგად, ასკვნიან მკვლევარები, სრული საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ **ერაყში ადგილი აქვს ქრისტიანი მოსახლეობის ნამდვილ გენოციდს.** საოკუპაციო ძალები არათუ გულგრილად ეკიდებიან ამ მოვლენას, არამედ ხელსაც კი უწყობენ მუსლიმან ექსტრემისტთა დანაშაულებრივ ქმედებას.

პოლიტოლოგების მტკიცებით, **იმის გამო, რომ აღნიშნული სიტუაცია აშშ-სა და მისი მოკავშირეების აგრესიის პირდაპირი შედეგია, ერაყის დექრისტიანიზაციაზე პასუხისმგებლობის ლომის წილი სწორედ ამ ქვეყნებს ეკისრება.**

## რვა ქრისტიანი ცოცხლად დაწვეს

ასეთი გაუგონარი ბოროტება პაკისტანში მოხდა, როცა 8 ქრისტიანი, როგორც ერეტიკოსები, კოცონზე დაწვეს ქალაქ გოჯას ცენტრში: მათ თავს დაესხა ექსტრემისტების ბრბო და ყურანის შერყვნის ბრალდებით მოუწყო ეს აუტოდაფე.

ქრისტიანებზე თავდასხმა პაკისტანში, კარგა ხანია, არავის უკვირს. სახლების დაწვა, ეკლესიების შერყვნა აქ ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც ერაყში. ახლახან იქ ერთი ჭაბუკი მოკლეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან გაბედა და ყავა იყიდა გზისპირა კაფეში, რომელიც ფუნდამენტალისტს ეკუთვნოდა.

თუ აქამდე ოფიციალური ხელისუფალნი გმობდნენ ძალადობის ასეთი გამოვლენის ფაქტებს, ამჟამად, როგორც Christian Post იუწყება, პირიქით ხდება. **ახლახან პაკისტანის პოლიციამ დააკავა ორი ქრისტიანი იმის გამო, რომ ისინი მუსლიმანთა მარხვის დროს, რამადანის ჟამს საჭმელს ჭამდნენ დღის საათებში.** მათ წაუყენეს ბრალდება წმინდა თვის შეურაცხყოფისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ქრისტიანები არ მარხულობენ. ინციდენტი პენჯაბის პროვინციაში ქალაქ სილანვალის რაიონში მოხდა.

**არანაკლებ საშიში ტენდენცია ვითარდება პალესტინაშიც, მიუხედავად იმისა, რომ პალესტინელები ოდითგანვე რჯულშემწყნარებელნი იყვნენ.** მათი ერთი ნაწილი მაჰმადიანია, მეორე — ქრისტიანი. მაგრამ XX საუკუნის მეორე ნახევარში, ისრაელის სპეცსამსახურების ხელშეწყობით, რაც მიმართული იყო პალესტინელი ხალხის გახლეჩისკენ, დაიწყო მუსლიმანური ნაწილის სწრაფი რადიკალიზაცია. ეს განსაკუთრებით ნეგატიური შედეგის მომტანია ღაზას სექტორში, სადაც ისრაელის თავდასხმის გამო, პრაქტიკულად, მთლიანად მოიშალა ანკლავის ინფრასტრუქტურა, დაიხოცა მშვიდობიანი მოსახლეობა.

**ღაზის სექტორში მოსწავლე ქრისტიან გოგონებს ჰიჯაბის ტარებას ავალდებულებენ. საამისოდ სპეციალური კანონიც კი გამოიცა. სახელმწიფო სკოლებში შემსვლელი გოგონები მიმღები კომისიის წინაშე თავდაბურულები და გრძელი კაბებით შემოსილები უნდა წარდგნენ. მხოლოდ ამგვარი პროცედურის შემდეგ ეხსნებათ მათ სკოლის კარი.**

ასეთი დისკრიმინაციის წინააღმდეგ გაილაშქრა Human Rights Watch-მა, მაგრამ მისმა პროტესტმა არ გაჭრა.

* * *

**გასულ კვირას აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელა ყოველწლიური ანგარიში მსოფლიოს ქვეყნებში რელიგიურ უმცირესობათა მდგომარეობის შესახებ.**

**ამ ანგარიშიდანაც კი ჩანს, რომ მდგომარეობა კატასტროფულს უახლოვდება.**

**ვირწმუნოთ, რომ ამ ანგარიშის გამოქვეყნებით გამოსწორდება მდგომარეობა?**

**„ნეტარ არიან მორწმუნენი“.**

**პოლიტიკური თავისუფლების ცენტრის**

მასალები მიმოიხილა
**არმაზ სანებლიძემ**

**P.S. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და თბილისში ვიზიტად მყოფი აზერბაიჯანის რელიგიურ საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელი ჰიდაიათ ორუჯევი შეთანხმდნენ, რომ ბაქოში მართლმადიდებლური ეკლესია აშენდება.**

**ა.ს.**



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პოლონურის გაკვეთილი, რომელიც პან მიშას ვეღარ გამოადგება

**ისეთ ვითარებაში, როცა აშშ ადმინისტრაციას მაინცდამაინც გულზე არ ეხატება ისეთი არაპოპულარული პრეზიდენტები, როგორებიც თავ-თავიანთ ქვეყნებში — პოლონეთში ლეხ კაჩინსკი და საქართველოში მიხეილ სააკაშვილი არიან, სავსებით ბუნებრივია ამ უკანასკნელთა თავის მოქაჩლება რუსეთზე დამსახურებული თუ დაუმსახურებელი იდეოლოგიური შეტევების განხორციელებით, ლანძღვითა და გინებით სიუზერენისათვის უსაზღვრო და უპირობო ვასალური მორჩილების დასადასტურებლად. ბუნებრივია, მაგრამ სამარცხვინო.**


გერმანელების დეპორტაცია


ლეხ კაჩინსკი

ამის სულ ახალი მაგალითია საქართველოს სამთავრობო ტელეარხით სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსი II-ის შესახებ „მამხილებელი“ გადაცემის ეთერში გაშვება და პოლონეთის რეზოლუციის პროექტი, რომელიც, მეორე მსოფლიო ომის 70-ე წლისთავთან დაკავშირებით, ძმები კაჩინსკების პარტიამ „სამართალი და სამართლიანობა“ მოამზადა.

ეს სამწუხარო თარიღი პოლონეთის ზოგიერთმა ლიდერმა მორიგი პოლიტიკური სპეკულაციისთვის გამოიყენა. ისინი შეეცადნენ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელების ჰიტლერთან გაიგივებას და ომის გაჩაღების დაბრალებას საბჭოთა კავშირისათვის, რომელსაც, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ჰიტლერელები თავს დაესხნენ.

პოლონეთს მაინცდამაინც სურს თავისი ისტორიის უმწიკვლოდ წარმოჩენა, გათეთრება თავისი შავი პერიოდების, მხოლოდ მსხვერპლის როლში ყოფნა, არადა, **ჩეხოსლოვაკიის დაყოფა-დანაწევრებისთვის პოლონეთ-ჰიტლერის 1934 წლის შეთანხმება პრაქტიკულად მოლოტოვ-რიბენტროპის ყბადაღებული „პაქტის“ იდენტური იყო.**

ზემოთ დასახელებულ რეზოლუციის პროექტში ნათქვამია, რომ: **„წითელმა არმიამ პოლონეთის მიწაზე დათესა სიკვდილი და ხანძარი. ჩვეულებრივი მოვლენა იყო, გენოციდი, მკვლელობა, ძალადობა, ძარცვა და სხვა შევიწროება“. დოკუმენტი ბრალს სდებს საბჭოთა კავშირს ხალხთა შორის სიძულვილის დანერგვაში, რასაც ტრაგიკული შედეგები მოჰყვა.**

ტრაგიკული შედეგი, მართლაც იყო, მაგრამ სწორედ პოლონეთის ხელისუფლების მოქმედებით გამოწვეული: იმ გერმანელების გენოციდი, რომლებიც 1945 წლის შემდეგ პოლონეთის გამგებლობაში გადასულ ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ. ზოგიერთი მონაცემით, **ამ გენოციდს 3 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ამას გარდა, 5 მილიონი გერმანელი პოლონელებმა განდევნეს მამა-პაპათა მიწებიდან.**

დრამატული აღმოჩნდა უკრაინელების ბედი, რომლებიც ცხოვრობდნენ პოლონეთისთვის მიკუთვნებულ ტერიტორიებზე. **მასშტაბური ოპერაციის შედეგად, კოდური სახელწოდებით „ვისლა“, ეთნიკური უკრაინული რეგიონებიდან 150 ათასზე მეტი უკრაინელი და რუსინი გადაასახლეს.**

ოპერაცია „ვისლის“ დაწყების ფორმალური საბაბი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილის, კაროლ სვერჩევსკის გაურკვეველ ვითარებაში მკვლელობა გახდა. მაშინდელი ოფიციალური ვერსიით, სვერჩევსკი უკრაინის მეამბოხეთა არმიის მოთარეშეებმა მოკლეს. არის სხვა, საკმაოდ დამაჯერებელი ვერსიაც, რომლის თანახმად გენერალი შიდა ინტრიგებს შეეწირა და უკრაინელი ტერორისტები არაფერ შუაში არიან.

„ვისლა“ განახორციელა ოპერაციულმა დაჯგუფებამ, რომელშიც შედიოდა 6 საბრძოლო დივიზია. ახალ საცხოვრებელ ადგილებში უკრაინელები ჩაასახლეს იმგვარად, რომ არც ერთ სოფელში ადგილობრივი პოლონური მოსახლეობის რაოდენობის 10 პროცენტზე მეტი არ ყოფილიყო. უკრაინელთა დეპორტაციასთან ერთად პოლონელებმა ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის ყველა სტრუქტურა გააუქმეს, რომელთა მრევლი, ძირითადად, რეპრესირებული ადამიანები იყვნენ. **ოპერაციის დროს 30 ათასზე მეტი უკრაინელი და რუსინი დაიღუპა. 2 ათასი კაცი, რომლებსაც ბრალი დასდეს უკრაინის ამბოხებულთა არმიის მებრძოლებთან კავშირში, იავოჟნოს საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდა.**

ნიშანდობლივია, რომ პოლონური საკონცენტრაციო ბანაკი განლაგებული იყო ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის ბარაკებში.

საერთო ჯამში პოლონეთის სპეცსამსახურებმა **4 ათასი ადამიანი საკონცენტრაციო ბანაკებში გამოამწყვდიეს**. უმეტესობა დაიღუპა. მათ შორის იყვნენ ლემკოვინელი რუსინები, რომლებიც ყოველთვის მტრულად იყვნენ განწყობილნი უკრაინელ მეამბოხეთა მიმართ. თვითმხილველნი ადასტურებენ, რომ იმას, რასაც ჰიტლერი დამონებული ხალხის წინააღმდეგ ჩადიოდა, ვერ შეედრება ის უბედურება, რომელიც პოლონელთა ბანდებმა ლემკებს თავს დაატეხეს.

პოლონელი ჯარისკაცების მხეცურ მოქმედებაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მაგრამ ის კი აღსანიშნავია, რომ პოლონეთის მთავრობის საიდუმლო ინსტრუქციაში პირდაპირ იყო მითითებული, რომ **დეპორტაციის მთავარი მიზანი გადასახლებულთა** სრული ასიმილაციაა, რაც სრულად ეთანხმება გერმანელი ნაცისტების პოლიტიკას, რომელიც მათ ბოჰემიასა და მორავიაში ჩეხი მოსახლეობის გერმანიზაციის მიზნით განახორციელეს.

უკრაინელებისა და რუსინების გადასახლება პირველად 1945-1946 წლებში ჩატარდა, შემდეგ — 1947 წელს.

რეპრესირებულებისთვის 50-იანი წლების დასაწყისამდე პირადობის მოწმობებიც კი არ მიუციათ.

ყველა დროის ყველა მიმართულების პოლონელი პოლიტიკოსებისთვის **მთავარი ამოცანა პოლონეთის მონოეროვნულ სახელმწიფოდ გადაქცევა იყო. სადღეისოდ პოლონეთის რესპუბლიკაში ეროვნულ უმცირესობათა ხვედრითი წილი 3 პროცენტს არ აღემატება. ეს ნიშნავს, რომ ამოცანა პრაქტიკულად გადაწყვეტილია.**

კარგია ეს თუ ცუდი, ზოგადსაკაცობრიო პრინციპებიდან გამომდინარე, პოლონელებმა თვითონ იფიქრონ.

მათი გადასაწყვეტია.

მაგრამ ისტორიის საკუთარ თარგზე მორგება, საეჭვოა, სიმართლეს ემსახურებოდეს.

საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია, რა უბედურებაც დაატეხეს ჰიტლერელებმა საბჭოთა ხალხს. მაგრამ საბჭოთა კავშირი, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა ნაციზმთან ბრძოლის მთელი სიმძიმე, გერმანელებზე შურს არ იძიებდა. **„ჰიტლერები მოდიან და მიდიან, გერმანელი ხალხი, გერმანული სახელმწიფო კი რჩება“, — სტალინის ამ დებულებამ განსაზღვრა სსრ კავშირის მთელი ომისშემდგომი პოლიტიკა გერმანიის მიმართ.**

სხვა საქმეა პოლონეთი. გერმანიას არ აქვს არავითარი ტერიტორიული პრეტენზია მათ მიმართ, მაგრამ გერმანელთა განდევნის თემა დღესაც უმწვავესი პრობლემაა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში.

პოლონეთის ხელმძღვანელობა ცეცხლს ეთამაშება — **გერმანელების 50 პროცენტზე მეტი სილეზიასა და პომერანიას ძირძველ გერმანულ ტერიტორიებად მიიჩნევს,** პოლონეთს ზურგს აღარ უმაგრებს მძლავრი საბჭოთა კავშირი, რომელიც გარანტი იყო ომისშემდგომი საზღვრების ხელუხლებლობისა. პოლონეთი ამ პრობლემასთან პირისპირ დარჩა.

საქართველოს უახლესი ისტორია იმის აშკარა და ნათელი მაგალითია, თუ როგორ შეიძლება გარემოებათა გამო თავშეკავებულმა ჯინმა გაიღვიძოს და საზღვრების გადახედვის მოთხოვნით ამოვარდეს შელოცვილი ჭურჭლიდან.

ჩვენთვის ამგვარი შეგონება დაგვიანებულია: პან მიშას ეს პოლონური გაკვეთილი, საეჭვოა, რამეში გამოადგეს!

პოლონელებს ჯერ კიდევ აქვთ დრო მეზობლებთან სახელმწიფოებრივი დაპირისპირების პოლიტიკის გადასახედად.

თუმცა — არა უსასრულოდ.

**არმაზ სანებლიძე**

---

ალექსი პუშკოვი:

## ჩვენ არ შეგვიძლია მსოფლიოს მოდელირება

**რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემიის აქტუალური საერთაშორისო პრობლემების ინსტიტუტის დირექტორმა ალექსი პუშკოვმა „Die Welt“-ისათვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ არ იზიარებს დასავლეთში გამეფებულ აზრს, თითქოს რუსეთი „სიცივიდან გამოსული ქვეყანა“ იყოს.**



იხსენებს რა საბჭოთა პერიოდს, პოლიტოლოგი ამბობს, რომ ადამიანები მაშინაც ნორმალური ცხოვრებით ცხოვრობდნენ, ბევრს კითხულობდნენ და ამით უფრო ახლოს იყვნენ ევროპასთან, ვიდრე ახლა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობა, პუშკოვის აზრით, არაჩვეულებრივი შესაძლებლობა იყო კარიერული წინსვლისთვის. გარდა ამისა, კომპარტიაში იყო როგორც ლიბერალური, ასევე კონსერვატიული ჯგუფები.

იდეები და რეფორმირების აუცილებლობა, — განაგრძობს პუშკოვი, — ზემოდან წამოვიდა. ასე რომ არ მომხდარიყო, სისტემა კიდევ 50 წელს გაძლებდა. ეგრეთ წოდებულ „ახლო საზღვარგარეთთან“ დღევანდელი ურთიერთობების შეფასებისას ექსპერტი მიუთითებს, რომ ამ სიტყვათშეთანხმებაში ნეგატიური ელფერის გაჩენა დასავლეთის დანაშაულია — რუსეთში საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებს ასე იმიტომ მოიხსენიებენ, რომ ისინი უახლოესი მეზობლები არიან და მათ ტერიტორიაზე ახლაც უამრავი რუსი ცხოვრობს.

„საუბარია რუსეთისათვის ყველაზე მნიშვნელოვანზე: უკრაინა არ უნდა გახდეს ნატოს წევრი და პოლონეთში არ უნდა განთავსდეს ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა და უცხოური ბაზები“, — თვლის პუშკოვი.

რაც შეეხება ირანს, მისი აზრით, ირანს ვერავინ აიძულებს, უარი თქვას ბირთვულ იარაღზე. „ჩვენ არ შეგვიძლია, ჩვენი შეხედულებების შესაბამისად მოვახდინოთ მსოფლიოს მოდელირება. როგორც ჩანს, უნდა ვისწავლოთ თანაცხოვრება ბირთვული ბომბის მფლობელ ირანთან“, — ამბობს პოლიტოლოგი.

---

## რუსეთის ფლოტს წყალქვეშა ჯაშუში უბრუნდება

**სტრატეგიული დანიშნულების პრაქტიკულად უხმაურო სარაკეტო წყალქვეშა კრეისერი K-18 „კარელია“ წინამორბედთაგან განსხვავდება. მას გაძლიერებული აქვს მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების აღმოჩენის შესაძლებლობები და ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.**

გარდა ამისა, სარაკეტო კომპლექსი მოდერნიზებულია. მოდერნიზების სამუშაოები არხანგელსკის ოლქის ხომალდების სარემონტო ცენტრ „ზვიოზდოჩკაში“ 2004 წლიდან მიმდინარეობდა. რემონტის პერიოდში ხომალდის ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები მნიშვნელოვნად გაიზარდა. სავარაუდოდ, ხომალდი, რომელიც სამხედრო საზღვაო ფლოტს 1989 წლიდან ეკუთვნოდა, ამ წლის ბოლოს ან მომავალი წლის დასაწყისში მასვე დაუბრუნდება.



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## გულიკო ამონიშვილი:

# ვეკითხები გიული ალასანიას — მიშა რომ მოეკლათ, რას იზამდა?!

**2008 წლის 11 ივნისს, მოსკოვის გამზირზე, №41 საცხოვრებელი სახლის ეზოში, მომხდარ შელაპარაკებას ოცდაათი წლის ვასილ ამონიშვილის სიცოცხლე ემსხვერპლა. ექსპერტიზის მტკიცებით, ვასიკო თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმის შედეგად გარდაიცვალა, თუმცა დასაწყისშივე თვითმხილველები და ჩხუბის მონაწილენი განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებდნენ. მომხდარს ისანი-სამგორის პოლიცია იძიებდა. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტს ბევრი მოწმე ჰყავდა, გამოძიება დღემდე ვერაფერს გახდა. დაზარალებულის დედის, გულიკო ამონიშვილის თქმით, მისი შვილის მკვლელობაში ბრალდებულს ვიღაც გავლენიანი პირი მფარველობს, რაც გამოძიებას დღემდე აფერხებს.**



**დაკრძალვის დღეს ვასიკოს შევფიცე, რომ მაინც ჩავხედავ თვალებში შენს მკვლელს და ამ ამბავს მწარედ დავამახსოვრებ-მეთქი**

ვასიკო ოჯახის ერთადერთი ვაჟი იყო. მამის გარდაცვალების შემდგომ მან საჯარო რეესტრში დაიწყო მუშაობა და დედასა და დებს თავად პატრონობდა. სიკეთითა და სითბოთი გამორჩეულმა ახალგაზრდამ თანამშრომელთა სიყვარული მალევე დაიმსახურა. მეგობრები თვლიან, რომ მომხდარი უბედურება მოუშუშებელი ტკივილია. საინტერესოა, რა მოხდა სინამდვილეში —

**რა გახდა შელაპარაკების მიზეზი და რატომ არ ამხელენ სიმართლეს როგორც დაშინებული მოწმეები, ისე სამართალდამცავები?**

გარდაცვლილის დედას საკუთარი არგუმენტები გააჩნია. გამომძიებლებთან და პროკურორებთან სიარულში ვერაფერს გახდა, თუმცა ფარ-ხმალს მაინც არ ყრის და დარწმუნებულია, რომ სიმართლე გაირკვევა. ,,საქართველო და მსოფლიო" ქალბატონ გულიკო ამონიშვილს დაუკავშირდა:

— სანამ ვასიკო სამსახურს იშოვიდა, მეუღლე გარდამეცვალა, — დეპრესია მომეძალა. არ ვიცოდი, სამი შვილი როგორ შემენახა და თავი რით გაგვეტანა. მოულოდნელად ჩემს ბიჭს სამსახური გამოუჩნდა. საჯარო რეესტრში დაცვის სამსახურში დაიწყო მუშაობა. მის თანამშრომელს, დათო დოგრაშვილს დაბადების დღე ჰქონდა და თანამშრომლები დაპატიჟა. ვასიკო თავის საცოლესთან ერთად წავიდა. დაახლოებით ღამის თორმეტ საათზე დოგრაშვილი მირეკავს, ვასიკომ ბევრი ღვინო (დაახლოებით რვა ლიტრი) დალია, სადარბაზოსთან წაიქცა, თავი დაარტყა და ახლა საავადმყოფოშიაო. ჩემი შვილი საერთოდ არ სვამდა, არც მოჩხუბარი იყო. სასწრაფოდ მივაშურე თბილისის მეხუთე საავადმყოფოს. იქ ყური მოვკარი, რომ ვასიკოს სუფრის ერთ-ერთმა წევრმა, ბერძენიშვილმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენაო.

— **თუ იცით, რა გახდა შელაპარაკების მიზეზი?**

— სუფრაზე ვასიკოს პირდაპირ მჯდარა ბიჭი, რომელსაც უთქვამს, შენ ის არა ხარ, საჯარო რეესტრში ურიგოდ რომ არ გამატარეო. ეს პიროვნება იყო ბერძენიშვილი, რომელიც ჩიტაძეზე დაცვაში მუშაობდა. საქმე რომ აღიძრა, პირველ ჩვენებაში სუფრის თამადამ, დათო დოგრაშვილის სიძემ (დის ქმარმა) აღნიშნა, რამდენჯერმე მოვკარი ყური, ვასიკო ბოდიშს რომ უხდიდა მის მოპირდაპირედ მჯდომსო; რაზე — არ ვიციო.

ამის შემდეგ გამახსენდა, ერთხელ სამსახურიდან შეწუხებული რომ მოვიდა,

**სააკაშვილის დაცვის წევრი მოვიდა რეესტრში, იმდენი ხალხი იყო, ურიგოდ ვერ გავატარე, რის გამოც შელაპარაკება მოგვივიდაო.**

— **აღნიშნულ ფაქტზე თუ ესაუბრეთ გამომძიებელს?**

— როგორ არ ვესაუბრე. ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე, ვთხოვე საჯარო რეესტრიდან ვიდეომასალა ამოეღო. ცხადია, ის ფაქტი ფირზე აღბეჭდილი იქნებოდა, ვიდეოთვალი დააფიქსირებდა მათ კამათს და ეს საბუთად გამოადგებოდა სასამართლოს. ამაოდ ვითხოვდი, ამით გამოძიება საერთოდ არ დაინტერესებულა. საავადმყოფოში იმ საღამოსვე დასაკითხად წაიყვანეს იმ ეზოში მყოფი ბიჭები.

**მათი ჩვენებები უკვალოდ გაქრა. საინტერესოა, რატომ?**

როდესაც დაკითხულთა ოქმებს გადავხედე, გავოგნდი. ყველა ხაზგასმით ამბობს, რომ ვაჟა ბერძენიშვილი და მისი ძმა ჩხუბისას იქ არ იყვნენ. რატომ ამბობს ყველა ერთხმად ამას? რომელმა გამომძიებელმა დაუსვა მათ შეკითხვა, ბერძენიშვილები იყვნენ თუ არა იმ კონფლიქტის დროს იქო? მე ხომ მათ ხელს არ ვადებდი?! რატომ არ დაისვა ეს შეკითხვა სუფრის დანარჩენ ოც წევრ ბიჭთან დაკავშირებით?

— **თქვენ ამბობთ, რომ ვასიკოს თან ახლდა საცოლე. როგორია მისი ჩვენება?**

— სუფრის წევრებიდან ერთადერთი სწორედ მეგია, რომელმაც თქვა, რომ სუფრაზე ჩხუბი მოხდა. მას ეს რომ არ განეცხადებინა, საქმეს სხვა მიმართულებას მისცემდნენ და ვასიკოს საქმეს თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენებდნენ. ჩემმა შვილმა საცოლესთან ერთად დატოვა იქაურობა. ძმებ ბერძენიშვილებთან კამათს გაერიდა და წამოვიდა.

**ბერძენიშვილი, რომელიც სამთავრობო დაცვის წევრია, გამოედევნა ჩემს ბიჭს და მანქანაში ჩაჯდომისას სიგარეტი მიაწვა.**

მეგიმ მოასწრო მანქანის მინის აწევა. თამადა ნარიმანიშვილი ჩვენებაში დასძენს, გარეთ რომ გამოვიდა, ბერძენიშვილი იგინებოდა. ფაქტია, რომ ბერძენიშვილმა ვასიკოსკენ გაიწია. ჩემმა ბიჭმა საცოლე სახლში მიიყვანა და უკან გაბრუნდა. მეგის უთხრა, მივალ და გავარკვევ, რა უნდოდა ბერძენიშვილსო. საავადმყოფოში ყოფნისას, როდესაც ჩემი შვილი მომაკვდავი იწვა, დათო დოგრაშვილმა დაურეკა მეგის და უთხრა, არ გაამხილო, ჩხუბი რომ იყოო. მან გამბედაობა გამოიჩინა და თქვა ის, რაც სინამდვილეში მოხდა. ასე რომ არ მომხდარიყო, დამალავდნენ იმ ფაქტს, რომ ჩხუბის მიზეზი დაბადების დღის სუფრა იყო, რადგან ყველა ორგანოს მუშაკები და გავლენიანი პირები არიან.

— **ეზოში მიმდინარე ჩხუბს, ცხადია, სხვა თვითმხილველიც ეყოლება. სუფრის წევრების გარდა, სხვა ვინმე თუ არის დაკითხული გამოძიების მიერ?**

— აბა, რა უნდა გითხრათ. არავინ მისმენდა. ჩემით ვაწარმოებდი გამოძიებას. მაინტერესებდა, ვინ გამოიძახა სასწრაფო დახმარება. საცოლის თანდასწრებით ვასიკოს დედა აგინეს და ხომ იკითხავდა — რატომ, რა დავაშავეო? სწორედ ამ კითხვას შეეწირა. ექსპერტიზის მტკიცებით, ის ნასვამიც კი არ იყო. დოგრაშვილი ბერძენიშვილის ერთ-ერთი ძმის მეჯვარეა. სუფრის წევრები ყველა ერთმანეთთან ახლობლობდა და ვასიკო განზე დარჩა. 18 მაისამდე გამომძიებელი მიმტკიცებდა, რომ ბერძენიშვილები იქ არ ცხოვრობდნენ. თანაც დასძენდა, რომ ჰყავდა მოწმეები, რომლებიც ამბობდნენ, რომ ჩხუბისას ისინი წასულები იყვნენ. მაშინ ვინ იყო შემთხვევის ადგილზე-მეთქი?

**ამდენ ხალხში ნუთუ ვერავინ ნახა დამნაშავე და, თუ ისინი არ იყვნენ, მაშინ ვისგან იცავდნენ ჩემს შვილს დოგრაშვილის დედა და და, როდესაც მას ურტყამდნენ?**

როგორც ამბობენ, სწორედ ისინი გადაეფარნენ ვასიკოს.

— **ვინ იძიებდა საქმეს და დაიკითხნენ თუ არა დოგრაშვილის დედა და და?**

— დოგრაშვილის დედა და და არ დაკითხულან გამომძიებლის მიერ. დროულად ადვოკატიც არ მყოლია.

**გამაბრიყვეს, როდესაც მოვითხოვე, მითხრეს, რაში გჭირდებათ ადვოკატი, ჩვენ აგერ ვართო.**

ამას მეუბნებოდნენ ისანი-სამგორის საგამოძიებო პოლიციის მუშაკები — ნინო ციხისელი და ვახო ჩოფლიანი.

**შვილი მომიკლეს; ვიცი, ვინ მომიკლა და არ მეგონა, თუ არ გამოიძიებდნენ. ეტყობა, დღემდე ამ ქვეყანაში არ მიცხოვრია.**

ადამიანი მოკვდა. ექსპერტიზა დაიდო, რომ თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმისგან გარდაიცვალა. ექიმიც იგივეს მიდასტურებდა — ვასიკოს თავში, ეტყობა, პროფესიონალმა ჩაარტყა და ფუძე ჩაუწყვიტაო. აბა, როგორ უნდა წაქცეულიყო ისე, რომ თავის თხემით დაცემულიყო?! ქვა რომ დაერტყათ, თავი გაუტყდებოდა და სისხლი წამოუვიდოდა. არაფერი ეტყობოდა. ამ ყველაფრის მერე მათ არ იციან, რა მოხდა?! ეს ხომ დაცინვაა, სხვა არაფერი.

საავადმყოფოშივე მოხდა მოწმეების დაკითხვა. მაშინ აზრადაც არ მომსვლია, რომ ასეთი უბედურება დატრიალდებოდა. სად წავიდნენ ის პირები, რა გააკეთეს? წაიყვანეს ყველა და იმ საღამოსვე გააყალბეს ყველაფერი. საავადმყოფოშივე იყო დოგრაშვილის ერთ-ერთი სიძე, ხელი ჩავავლე და ვკითხე, სასწრაფოდ მომიყევი, რა მოხდა-მეთქი. მან მიპასუხა, შენზე უფრო მიყვარდა ვასიკოო, სუფრაზე რა მოხდა, არ ვიცი, მაგრამ, რაც ეზოში მოხდა, ყველაფერი ვიცი და გეტყვიო. არ გამიჩერეს. გამომძიებელს დღემდე ვთხოვ მის დაკითხვას, თუმცა უშედეგოდ.

— **დღეს გყავთ თუ არა ადვოკატი. რამდენად ეყრდნობა გამოძიება ექსპერტიზის დასკვნას და რას ამბობენ ისინი, კონკრეტულად რა აფერხებს საქმის გახსნას?**

— ვასიკოს საქმეზე სასამართლო დღემდე არ ყოფილა. ადვოკატი უკვე ავიყვანე. მაგრამ საქმეებში არც მას ახედებენ. სხვა რა გზა აქვთ, გამოძიება ექსპერტიზის დასკვნას ეყრდნობა, მაგრამ საქმისათვის ეს ცოტა იყო. საქმის პროკურორმა, სასაცილო ახსნა მისცა ამ ფაქტს. მეუბნება, რა ვქნათ, ჩვენ არ გვაქვს უფლება, რომ დოგრაშვილი დავიჭიროთ ან ვცემოთო. დაველოდოთ, როდის გაეხსნება დოგრაშვილს ადამიანური გრძნობა და დამნაშავეებს დაასახელებსო. ერთ მშვენიერ დღეს ეს გრძნობა მართლაც გაეხსნა დოგრაშვილს და სამი პიროვნება დაასახელა. შემდეგ საბუთებში ჩასახედად ერთი დღით ადვოკატი ავიყვანე და მაშინ გავიგე, რომ დოგრაშვილი ასახელებდა სამ პიროვნებას, ვინც ჩემს შვილს ეკამათებოდა. პროკურორი კი ამ სამიდან ეძებს ერთს, რომელმაც ვასიკოს სასიკვდილოდ ჩაარტყა. ე.ი. ჯგუფურიდან გადაჰყავთ ერთ პირზე. საინტერესოა, ერთს რატომ ეძებთ-მეთქი და მიპასუხა: იცით, რა ძნელია იმის დამტკიცება, ამ სამიდან სასიკვდილოდ რომელმა დაარტყაო. ნუთუ იმას ელოდებიან (თუ არ დაიჭერენ სამივეს), ერთ-ერთი თვითონ როდის გეტყვით — ბატონო, მე ჩავარტყი სასიკვდილოდ ვასიკოსო. ეს რომ ვუთხარი,

**პროკურორი თვალს ვერ მისწორებდა. თუ თვითონ არ აყალბებენ, მაშინ თქვას, ვისი ზეწოლით აკეთებს ამას. ამ სამი დამნაშავიდან (ჩაჩანიძე, იზორია და ხარატიშვილი) დღეს არც ერთი არაა დაკავებული.**

ყველაფერი იფარცხება იმიტომ, რომ ბერძენიშვილები გავლენით სარგებლობენ. ამდენი სამხილი მაქვს და ვერაფერს ვაკეთებ. ერთხელ გამომძიებელ ნინო ციხისელს ვუთხარი, დედა ხარ, შენი შვილი რომ ყოფილიყო რას იზამდი, თუ ბერძენიშვილები დამნაშავეები არ არიან, დასახელებულებს რატომ არ იჭერთ-მეთქი, — და პროკურორის ნება არააო, მიპასუხა.

— **რა იცით ბერძენიშვილების შესახებ, რატომ გგონიათ, რომ ისინი გავლენით სარგებლობენ?**

— მათთან დაკავშირებული ყველა კითხვა უპასუხოდ რჩებოდა. ყველა ხელს აფარებდა და ეს თვალში საცემი იყო. თავდაპირველად პროკურორი მიმტკიცებდა, რომ ძმები ბერძენიშვილები მოსკოვის პროსპექტზე, სადაც ტრაგედია დატრიალდა, არ ცხოვრობდნენ. როდესაც საქმე ქალაქის პოლიციას გადაეცა, ეტყობა, პროკურორი ნამუსმა შეაწუხა და მითხრა, გულიკო დეიდა, ძმები ბერძენიშვილები დოგრაშვილის გვერდით სადარბაზოში ცხოვრობენო, ე.ი. იქ, სადაც ჩემს შვილს კონფლიქტი მოუვიდა. ვასიკოს მოსვლა რომ გაიგო, ის თურმე კიბეზე ჩამორბოდა. ამის შემდგომ რა გამაჩერებს. ორივე ძმა ძალოვან სტრუქტურებში მუშაობს.

**ვაჟა თბილისის ისანი-სამგორის პირველ განყოფილებაში უბნის რწმუნებულია. ხოლო მისი ძმა მერაბ ბერძენიშვილი სამთავრობო დაცვის პოლიციის დეპარტამენტში ჩიტაძის №2-ში მუშაობს. ამის გამოა, რომ ისინი დღემდე არავის აუყვანია.**

პროკურორიც მისი კურსელი და თანამშრომელი იყო. მოკლედ, ამ საქმეში ყველა ერთადაა შეკრული და მე ვარ ცალკე.

— **თქვენ ახსენეთ, რომ საქმე ქალაქის სამმართველოში გადაიტანეთ. რა შეიცვალა მას შემდეგ და როგორ მიმდინარეობს გამოძიება?**

— დავილუპე, ქალაქის სასამართლოში რომ გადავიტანე საქმე. კაციშვილი არაფერს მეუბნება. წერილობით მომივიდა ცნობა, რომ საქმის გამომძიებელია ჟამიერაშვილი, ხოლო თამრიკო პაპავა — პროკურორი.

იქვე იყო მითითებული ქალაქის ნომერი, სადაც დღემდე ვრეკავ და არავინ მპასუხობს. ერთხელ ძლივს მოვახერხე ვიღაცას გავსაუბრებოდი და მოვითხოვე ჟამიერაშვილი და პაპავა, მაგრამ მიპასუხეს — ასეთი ვინმე არ გვყავსო. ვასიკოს საქმე 18 მაისიდან იქ არის და ჟამიერაშვილს და პაპავას დღემდე არ უნახავთ. სანამ ეს ხელისუფლება არ შეიცვლება, არც არაფერს ველოდები.

არ ვიცი, რა ვქნა, ვის არ მივმართე, თუმცა უშედე-

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

გოდ. ოჯახში მე და ჩემი ორი ქალიშვილი დავრჩით.

**საშინელ უსუსურობას განვიცდი, ზედაც რომ არ მიყურებენ. შვილი მომიკლეს, მოწმეებიც არიან და არავინ არაფერს ამბობს. უკვე ისეთი განცდა მეუფლება, რომ ამ ხელისუფლებამ შეიძლება ისიც კი მითხრას, რატომ გააჩინე, რატომ გაზარდე 30 წლამდეო და დამიჭირონ კიდევაც.**

თავდაპირველად ოპოზიციურ ძალებს მივმართე დასახმარებლად. რესპუბლიკელებმა მომისმინეს და ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ ვერ დაგეხმარებითო მითხრეს. იმიტომ ვერ მეხმარებიან, რომ ამ ბერძენიშვილებს საკამოდ გავლენიანი პირი ლობირებს.

დღეს მეუბნებიან, რომ მოსკოვის №41-ში სასტიკი ხალხი ცხოვრობს. თუ აგიშარდნენ, აუცილებლად მკვდარი უნდა გამოგიტანონ იქიდანო. ჩემი შვილის ორმოცზე, მანდ ბიჭი მოკლეს. პროკურორს ვუთხარი, ჩემი შვილის მკვლელი რომ დაგეჭირათ, ის ხომ გადარჩებოდა-მეთქი. პასუხი ვერ გამცა.

**— და ბოლოს, როცა ამდენ წინააღმდეგობას აწყდებით, რამდენად გაქვთ იმის იმედი, რომ თქვენი შვილის საქმე გაიხსნება და დამნაშავე დაისჯება?**

— ჩემს შვილს, საქმის გამოძიებით ვიცი, არაფერი ეშველება, მაგრამ

**დაკრძალვის დღეს ვასიკოს შევფიცე, რომ მაინც ჩავხედავ თვალებში შენს მკვლელს და ამ ამბავს მწარედ დავამახსოვრებ-მეთქი.**

დღეს სწორედ ამ მიზნით ვცხოვრობ. მინდა, ვკითხო ქალბატონ გიული ალასანიას — მიშა რომ მოეკლათ, რას იზამდა? იმავეს ვეკითხები პროკურორსაც და გამომძიებელსაც, მათი შვილები რომ დაეხოცათ, საქმეში ჩართულ ხალხს აიყვანდნენ თუ არა? ბერძენიშვილის დედას ვეუბნები — ჩემს შვილს იგივე რომ ჩაედინა, ჩემი ხელით მივიყვანდი სასამართლოში. მე არ დავაფარებდი ხელს მკვლელ შვილს. დოგრაშვილის დედასა და დას ვეკითხები, ვისგან იფარავდნენ ჩემს შვილს, რატომ არ ამბობენ სიმართლეს ბოლომდე? ვიცი, რომ ვიდრე ეს ხელისუფლება იქნება, ვერაფერს მივაღწევ. თუმცა, სანამ ცოცხალი ვარ, არ გავჩერდები.

**ირმა ჩიტაია**

**P.S. ვასიკოს ადვოკატი ნინო ანდრიაშვილია. მას საქმის მასალებზე დღემდე ხელი არ მიუწვდება. „საქმე თბილისის პოლიციაში დეტექტივების სამმართველოს ნომერ პირველ გამომძიებელ ზაზა ჟამიერაშვილს გადაეცა. საპროცესო ზედამხედველობა კი — პროკურორ თამარ პაპავას. დაზარალებულს ასე აცნობეს, თუმცა პროკურორმა პაპავამ მიპასუხა, რომ ამ საქმის შესახებ არაფერი იცის. კანონმდებლობით, დაზარალებულ მხარეს საქმის გაცნობის უფლება აქვს და მხოლოდ საქმის მასალების ასლების გადაღება ეკრძალებაო. დაზარალებულის არათუ საქმის მასალებს არ მაძლევენ, არამედ, საერთოდ არ მაკარებენ“, — განაცხადა ანდრიაშვილმა.**

**ი.ჩ.**

# 12 წლის გოგონას გაუპატიურებისთვის მის მეზობელს 10 წელი მიუსაჯეს

**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ერთ-ერთი მძიმე დანაშაული გაუპატიურებაა. მით უმეტეს, თუ საქმე არასრულწლოვანს ეხება. ასეთ დროს დაკავებულის ადვოკატები უკან არაფერზე იხევენ, ოღონდაც დამნაშავე გაამართლონ. ასე მოხდა ივა ბერიძის შემთხვევაშიც (ეთიკური მოსაზრების გამო მოქმედ პირთა გვარსახელები შეცვლილია), რომელიც მეზობლის, 12 წლის ნინა ჯიჯავაძის გაუპატიურების ბრალდებით დააკავეს და საკმაოდ მკაცრი სასჯელიც გამოუტანეს.**



ეს ამბავი ბათუმში მოხდა. 12 წლის გოგონა დიდხანს მალავდა მის თავზე მომხდარ თავზარდამცემ ამბავს. ხალისიანი გოგონას უეცარი ცვლილება პირველად მისმა უახლოესმა მეგობარმა შენიშნა და მიზეზიც ჰკითხა. თუმცა ნინა დიდხანს არ ამხელდა მიზეზს, ბოლოს მეგობარს იმ პირობით გაენდო, თუ საიდუმლოს შეუნახავდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

ყველაფერი ასე დაიწყო: ნოემბრის მიწურული იყო. ივა ბერიძე დედასთან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ იმ დღეს სახლში მარტო იმყოფებოდა, როცა კარზე კაკუნის ხმა გაისმა. სტუმარი კარის მეზობელი, 12 წლის ნინა აღმოჩნდა. გოგონა ამჯერადაც ტელეფონზე დასარეკად შემოვიდა და მოხდა ის, რასაც, ალბათ, ყველაზე კოშმარულ ფიქრშიაც ვერ წარმოიდგენდა.

საქმის მასალებში ვკითხულობთ, რომ ზღურბლზე მდგარ გოგონას ივა ბერიძე ყელში სწვდა და საწოლი ოთახისკენ წაათრია. **„ძალის გამოყენებით საწოლზე დააწვინა, ერთი ხელით ხელები დაუჭირა, მეორე ხელით საცვალი გახადა და მასთან სქესობრივი კავშირი დაამყარა.“** ამის შემდეგ მეზობელი მამაკაცი გოგონას დაემუქრა, თუ მომხდარის შესახებ ვინმეს მოუყვებოდა, ისევ მისთვის იქნებოდა ცუდი. თავზარდაცემული ბავშვიც უთქმელად გავიდა მეზობლის ბინიდან და მომხდარი დედას დაუმალა.

მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. ივა ბერიძემ ბავშვი კიდევ ორჯერ გააუპატიურა. ამჯერად უკვე ნინას სახლში. მომხდარიდან დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, როცა გოგონა სახლში მარტო იმყოფებოდა, კარზე ზარის ხმა გაისმა. ბინის კარი გააღო და, როგორც კი მოძალადე მეზობელს თვალი მოჰკრა, მაშინვე კარის მიხურვას შეეცადა, მაგრამ მასზე ბევრად ძლიერთან უმწეო არსება რას გააწყობდა?! ჰოდა, ბერიძემაც თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა — მან გოგო იქვე ლოგინზე დააგდო და გააუპატიურა. შემდეგ კი ბინა დატოვა.

მესამედ ეს ისევ ნინა ჯიჯავაძის სახლში მოხდა. ბავშვმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა, რა დროსაც ტახტის კუთხეს თავი მიარტყა და გონება დაკარგა. გონს როცა მოვიდა, ტახტზე შიშველი იწვა, მოძალადე კი გამქრალიყო.

ოჯახისთვის სიმართლე კიდევ დიდხანს დარჩებოდა ბურუსით მოცული, რომ არა ნინა ჯიჯავაძის მეგობარი, რომელმაც მომხდარის შესახებ დედას უამბო, რომელმაც, თავის მხრივ, ნინას დედას შეატყობინა. თავიდან გაოგნებული ქალი არ იჯერებდა გაგონილს, ვიდრე ეს ნინამ არ დაადასტურა.

წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ნინა ჯიჯავაძემ მომხდარი დეტალურად აღწერა. მისი ნაამბობის მიხედვით, პირველად მეზობელმა იგი ნოემბრის ბოლოს გააუპატიურა, როდესაც მასთან ტელეფონზე დასარეკად შევიდა.

**„მან ყელში წამავლო ხელი და ლოგინზე დამაგდო, თან მითხრა, „თუ ხმას ამოიღებ, დაგახრჩობ,“** – იხსენებს დაზარალებული, რომელსაც ბინიდან გასვლისას ბერიძემ მიაძახა: **„თუ ვინმეს ეტყვი, შენთვის იქნება ცუდიო.“**

გოგონა შეშინდა. ამბობს, რომ სახლში მისულმა სისხლიანი საცვალი გარეცხა, რომ მომხდარის თაობაზე დედას არ გაეგო.

**„დაახლოებით ორ კვირაში კი, როცა სახლში მარტო ვიყავი, კარზე კაკუნის ხმა გავიგონე. კარები გავაღე. როცა ივა დავინახე, კარების დაკეტვა ვცადე, მაგრამ ის ძალით შემოვიდა და გამაუპატიურა. მესამედ როცა მოვიდა, ისევ მარტო ვიყავი სახლში. „ახლა ნამდვილად მოგეწონებაო“, — მითხრა და ტახტზე ძალით დამაგდო. ამ დროს ტახტის კუთხეს თავის მივარტყი და გავითიშე. რა ხდებოდა, ვერ გავიგე. როცა გონს მოვედი, გახდილი ტახტზე ვიწექი,“** — ვკითხულობთ ნინა ჯიჯავაძის ჩვენებაში.

ნინას მეგობრის დედამ სასამართლოზე განაცხადა, რომ მან მომხდარის შესახებ თავისი შვილისგან შეიტყო. შემდეგ კი ნინა ჯიჯავაძის დედასაც გაუმხილა. ამის შემდეგ მათ ნინა ჯიჯავაძეს ათქმევინეს სიმართლე.

სამართალდამცავებმა ივა ბერიძე დააკავეს. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 137-ე მუხლის პირველი ნაწილით, მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მეოთხე ნაწილით (გაუპატიურება ე.ი. სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით არაერთგზის, იმისა ვისაც არ შესრულებია 14 წელი) აღძრეს. მან ყველაფერი უარყო.

მიუხედავად ამისა, ხელთ არსებული მტკიცებულებებით, რომელიც ბერიძეს დანაშაულს ადასტურებდა, სასამართლომ მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბერიძის ადვოკატებმა პირველი ინსტანციის განაჩენი გაასაჩივრეს. დამცველები მსჯავრდებულის განაჩენის გაუქმებასა და მის გამართლებას ითხოვდნენ. ადვოკატების მტკიცებით, განაჩენი არასამართლიანია, რადგან გამოძიებაც და სასამართლოც მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებას დაეყრდნო. მეტიც, ადვოკატებს თითქოს ეჭვიც შეჰქონდათ დაზარალებული გოგონას ნაამბობში.

თუმცა, სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპეტიზის დასკვნით, **ნინა ჯიჯავაძეს ფსიქიკური დაავადების ნიშნები არ აღენიშნებოდა; იგი სწორად აღიქვამდა სქესობრივი აქტის მნიშვნელობას**.

პროკურორმა და დაზარალებულის ადვოკატმა განაჩენის უცვლელად დატოვება მოითხოვეს.

რაც შეეხება ნინა ჯიჯავაძეს, იგი საქართველოში აღარ ცხოვრობს, ოჯახთან ერთად საზღვარგარეთ გაემგზავრა. სხვათა შორის, მისი საქართველოში არყოფნა დაკავებულის ადვოკატებმა ერთგვარად გამოიყენეს — რადგან ბოლო პროცესს ჯიჯავაძე არ დასწრებია. თუმცა, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პროცესზე ჯიჯავაძის მიერ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება წაიკითხეს, რომელიც სასამართლო გამოძიებას მტკიცებულების სახით დაერთო.

საბოლოო ჯამში, უზენაესმა სასამართლომ განაჩენი ძალაში დატოვა.

დაკავებული ივა ბერიძე მეექვსე წელია, რაც სასჯელს იხდის, მას კიდევ 4 წელი დარჩა მოსახდელი.

# საზარელი მკვლელობის მოტივები უცნობია

## 82 წლის მოხუცმა საკუთარი და ნაჯახით მოკლა და გვამი დაწვა



**გორში მომხდარ შემზარავ მკვლელობაში ეჭვმიტანილი მოხუცი ცოლ-ქმარი — 78 წლის ოლინკა ბუკულოვა და 82 წლის ანზორ ბუკულოვი პოლიციამ დააკავა. მოკლული — 76 წლის თამარ ბუკულოვა ამ უკანასკნელის დაა. მკვლელობაში ეჭვმიტანილებმა დანაშაული დაკავებისთანავე აღიარეს. დანაშაულის ჩადენის მოტივი კი გამოძიებისთვის ჯერჯერობით დაუდგენელია.**

აღძრულია სს საქმე 109-ე მუხლით, დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობისთვის. ოლინკა და ანზორ ბუკულოვები გორის რაიონის სოფელ წითელუბნის მცხოვრებნი არიან.

იმავე სოფელში ცხოვრობდა მოკლული თამარ ბუკულოვაც.

როგორც გამოძიების მასალებიდან ირკვევა, მკვლელობა 1 ივნისს მოხდა.

შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ანზორ ბუკულოვმა საკუთარი და ნაჯახის რამდენიმე დარტყმით მოკლა:

**„შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ 1 ივნისს გორის რაიონის სოფელ წითელუბანში მცხოვრებმა 82 წლის ანზორ ბუკულოვმა ნაჯახის რამდენიმე დარტყმით მოკლა საკუთარი და — 76 წლის თამარ ბუკულოვი; ხოლო შემდეგ მეუღლის — 76 წლის ოლინკა ბუკულოვას დახმარებით გვამი ეზოში დაწვა, ხოლო დამწვარი ნეშტის ნარჩენები ტომრით სოფლის განაპირა ტერიტორიაზე გადამალეს.“**

ცოლ-ქმარი ბუკულოვები ამჟამად დაკავებულნი არიან. მათ იმთავითვე აღიარეს დანაშაული. ოლინკა ბუკულოვამ პოლიციას შემთხვევის ადგილი დაათვალიერებინა და დეტალურად აღუწერა, თუ როგორ მოკლეს თამარ ბუკულოვა და გადამალეს მისი ცხედარი.

**„სახლში ვიყავით. არ მახსოვს, რაზე შელაპარაკდნენ. ჩემმა ქმარმა ნაჯახი აიღო და ჩაარტყა. ჩემი მული უკვე აღარ სუნთქავდა. გვამი ეზოში გავიტანეთ და დავწვით. მერე ფერფლი ტომარში ჩავყარეთ და სოფლის პატარა წყაროში გადავაგდეთ“,** — აცხადებს ოლინკა ბუკულოვა.

როგორც ირკვევა, გვამის დაწვის პროცესს ბუკულოვების შვილიშვილი შეესწრო.

**„სახლში მოვდიოდი და კვამლი დავინახე, დავინტერესდი, რა იწვოდა და, რომ მივუახლოვდი, დავინახე, ცეცხლთან ბაბუაჩემი იდგა ბოთლით ხელში. მეგონა, ცეცხლის ჩაქრობა უნდოდა, დავინახე, რომ ადამიანი იწვოდა — თავიც უჩანდა, ხელებიც და ფეხებიც,“** — ამბობს ბუკულოვების შვილიშვილი.

აღნიშნული საქმე ჯერჯერობით ძიების პროცესშია.

დაკავებულ ცოლ-ქმარ ბუკულოვებს დანაშაულის აღიარება და მომხდარი მკვლელობის მიზეზებისა და მოტივის მოყოლა სასამართლოს წინაშე მოუწევთ.

გვერდები მოამზადეს
**სალომე გოგოხიამ და მაკა ქობალიამ**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# წერაქვი

## შულავრის ხეობა

**სოფელ სიონიდან ისტორიული წერაქვისაკენ უნდა გავწიოთ მკითხველთან ერთად. ამ ორ პუნქტს შორის ათი კილომეტრია. წერაქვი სიონიდან დასავლეთით, ერთ მყუდრო და პატარა ხეობაშია, რომელიც გორულის ხეობის პარალელურია. მას შემდეგ, რაც წერაქვში ქართველმა მწერლებმა საზაფხულო მამულები გაიჩინეს და პოეტმა იზა ორჯონიკიძემ ძალისხმევა არ დაიშურა, წერაქვში მოასფალტებული გზა შევიდა.**



სოფ. წერაქვის „წმ.გიორგი“

როსტომ მეფის მიერ შულავრის ხეობაში დაარსებული სავაჭრო-სატრანზიტო ქალაქი გორული რომ განადგურდა, მას მერე მთელ ბორჩალოში 100 წელზე მეტ ხანს არ ისმოდა ქართული სიტყვა. მდგომარეობა მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისიდან გამოსწორდა, როცა, რუსეთის ძალისხმევით, დამყარებული მშვიდობიანობით ქართულმა ინტელიგენციამ ისარგებლა და ამ ისტორიული კუთხისაკენ გამოიხედა. სწორედ მაშინ გამოჩნდნენ ძველი წერაქვის ტერიტორიაზე საქართველოს სხვადასხვა სოფლიდან მოსული მოახალშენეები: **ცხადიაშვილები და ბოსტოღანაშვილები, ბესტავაშვილები და ბურნაძეები, ადამაშვილები და მაისურაძეები, ანტონისძეები და ზაკალიშვილები, კიტაშვილები და ოქრუაშვილები.** დიდი ქართველი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის (ადამაშვილი) უახლოესი წინაპრები სწორედ იმ მოახალშენეთა შორის იყვნენ.

ერთი ცნობილი მწერალი დღესაც ცხოვრობს წერაქვში — ეს ნოდარ წულეისკირია, რომელიც თბილისს განერიდა და აქედან ფეხს არ იცვლის.

— ნეტავ, აქამდე რას ვწვალობდი თბილისში ან კალამს რატომ ვლიდი, — გვეუბნება ბატონი ნოდარი, — სოფელი და მიწა ყოფილა ჭეშმარიტება. მოდი და ბარე, თესე და თოხნე, შენი სარჩო მოიწიე და, თუ რამ გადაინახე, სხვებსაც უწილადე. გეფიცებით, მწერლობა, და მით უმეტეს პროზაიკოსობა, გაცილებით მსახვრალი შრომაა და ამასთანავე, უმადურიც, ვიდრე მიწის მუშაკობა.

ჩემი შემპარავი შეკითხვისაგან — ნუთუ კალამი ისევ არ გეწევათ თავისკენ-მეთქი — ბატონმა ნოდარმა თავი შორს დაიჭირა და საუბრის თემა შეცვალა:

— აი, თქვენ რასაც აკეთებთ, ეგ მართლაც საქმეა. აქ ბევრი საინტერესო ეკლესიაა და კარგი განგიზრახავთ, რომ მათ გადაღებას აპირებთ.

...წერაქვის შემოგარენში რამდენიმე ეკლესიაა 3-4 კილომეტრის რადიუსში, შიგ სოფელში კი ორი სალოცავია. ერთ-ერთისაგან — ღვთისმშობლის საყდრისგან მხოლოდ ქვის ყორეა შემორჩენილი, რის გამოც ვერც ასაკს დაუდგენთ და ვერც ზუსტ გეგმას.

კარგადაა შემონახული და აღდგენილი ძველ უბანში ბორცვზე შემომდგარი გვიანი შუასაუკუნეების წმ. გიორგის ეკლესია. ტაძრის ერთადერთი შესასვლელი სამხრეთ კედელშია დატანებული, სადაც რამდენიმე ქვაჯვარია მიყუდებული. ისინი სხვა ადგილიდან უნდა იყოს მოტანილი. ამგვარად ნაკვეთ ჯვარს სომხები ხაჩკარს უწოდებენ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქვემო ქართლის განედლებული ჯვარი, რომელიც ქართული ეკლესიის წიაღში იშვა და მისი მხატვრული ძიების ნაყოფია, მკლავთა კუთხეებში, დამატებით, 2 ან 4 მომცრო ჯვარიც აქვს. ქვემო ქართლელი ქანდაქარი, ქართველი იყო იგი თუ სომეხი, ერთნაირად აქანდაკებდა მას. ამიტომ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ზოგიერთ მათგანს სომხური წარწერაც დაუყვება.

სოფელ წერაქვის ტაძარი რაიმე გამორჩეული ნიშნით თავს ვერ მოგაწონებთ. მას შიგნით, ამ ეპოქის „ხალხური ხუროთმოძღვრების“ შესაფერისად, კოლოფა-ნალისებრი აფსიდი აქვს. საკურთხეველს ახალი, უბრალო, ხის კანკელი გამოყოფს.

სოფლიდან უკან ვბრუნდებით და 2 კილომეტრში ხელმარცხნივ, ტყეში ვუხვევთ, მაგრამ ამ კორომებს ტყე პირობითად ეთქმის, რადგან აქა-იქ კიდევ არის შემორჩენილი ხეხილი. წერაქვის ძველი დასახლება აქ ყოფილა. შემორჩენილია მისი უბნების სახელებიც: **„პანტიანი“, „ვაშლოვანი“, „ბაღების მიწა“.**

ნასოფლარის ჩრდილოეთით, კლდის ძირში თეთრი ტაძარი დაფრენილა...



წერაქვის მონასტერი. ღვთისმშობლის ტაძარი





კიდევ უფრო მიახლოებისას თავისდაუნებურად ჯავახეთი და წუნდა მახსენდება, იქაც და აქაც ტაძრები კლდითა და სუბსტრუქციებით შექმნილ ბაქანზეა შემდგარი. ამ ორ ტაძარს შორის ასაკობრივი განსხვავებაც არ უნდა იყოს, მაგრამ გეგმარება მკვეთრად აშორიშორებს. „წუნდა“ — ერთნავიანი, „წერაქვი“ კი ორნავიანი ბაზილიკაა. ამასთანავე, წერაქვის ეს ეკლესია საკმაოდ დიდი მონასტრის ცენტრალური ნაგებობაა. მონასტერს სქელი და მაღალი გალავანი შემოუყვება, ძირითადი შესასვლელი კი დასავლეთიდან ჰქონია, სადაც დღემდეა შემორჩენილი მძლავრი კარიბჭე. მთავარი ტაძრის სუბსტრუქციაში მოთავსებულია კრიპტა. აქვე ყოფილა სატრაპეზოც, რომლის დასავლეთის კედლები მთლიანად მორღვეულია.

დიდ ტაძარსა და კარიბჭეს შორის კიდევ ერთი ეკლესია დგას და თავდაპირველად მას ვუტრიალებთ. ეს ეკლესია, მგონი, შედარებით გვიანაა აგებული. სავარაუდოა, რომ ჩანს, მონასტრის XX საუკუნის რესტავრატორებსაც შემოაკლდათ სახსრები, რომ მთავარი ტაძრის პარალელურად ეს ეკლესიაც შეეკეთებინათ — იგი დანგრევის პირასაა.

წერაქვის მონასტრის მთავარი ტაძარი XII საუკუნის II ნახევრის ქმნილებაა და შესანიშნავად გამოხატავს ამ ეპოქის საქართველოს ლაღ სულიერ ცხოვრებას. პირველივე შეხედვით თვალში გეცემათ ერთგვარად ამაღლებული განწყობილება. არცთუ ისე დიდ ტაძარს ორი ერთნაირი, გახსნილი კარიბჭე აქვს დასავლეთიდან და სამხრეთიდან, რაც მას, ჰაეროვნებასთან ერთად, საზეიმო ელფერსაც აძლევს. მართალია, ეკლესია სამკაულების განსაკუთრებული სიუხვით არ გამოირჩევა, მაგრამ, პორტალები და სარკმლები მშვენივრადაა გაფორმებული. ყურადღებას იქცევს აღმოსავლეთ ფასადის შვერილი აფსიდების მონაცვლეობა. დიდი ნავის აფსიდი გარედან ხუთწახნაგაა, ჩრდილოეთის მცირე ნავის აფსიდი — სამწახნაგა, ქვათა ზომის მონაცვლეობა — სანიმუშო. საზეიმო ელფერს იძენს სწორედ ამ ფასადისაკენ ამავალი, კლდესა და სუბსტრუქციაში ნაკვეთი, კიბის საფეხურები. აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის სიახლოვეს არის მოზრდილი ასომთავრული წარწერა, რომლის ტექსტი ასეთია: **„სახელითა ღვთისაითა, შეწევნითა სულის წმიდისაითა, მეოხებით ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისაითა ვიწყე მე დიდმან ფანასკერტელმან მეორედ განახლებად ამის წმიდისა ღვთისმშობლის ეკლესიისა სულისა ჩვენისა სახსრად და სამლოცველოდ“.**

პალეოგრაფიული ანალიზით, ეს წარწერა XV საუკუნისაა და იმას გვეუბნება, რომ ტაძარი სწორედ ამ ხანებში განუახლებია ფანასკერტელს.

რა ხელი ჰქონდათ ერთ დროს „ბანასა“ და „ხახულის“ სამონასტრო ცხოვრების განახლების მსურველებს, აქ მოსვლისას, დიდი საყდარი იმდენად დანგრეული დახვედრიათ, რომ, იწროებაში მყოფებს, ძველის აღდგენას ახალი, შედარებით უბრალო სალოცავის აგება უმჯობინებიათ. იგი რიყისა და კლდის ფლეთილი ქვებითაა ნაშენი და სამხრეთიდან ეკვდერიც ჰქონია მიდგმული. თავის მხრივ,

მფლობელ ფანასკერტელებს — იგივე „ტაოელ მეფეებს“ ქვემო ქართლში? საქმე ისაა, რომ ჯაყელთა მძლავრობის გამო, ფანასკერტელები ქართლში გადმოდიან ნელ-ნელა. 1415-1419 წლების ერთი საბუთიდან ირკვევა, რომ ისინი თავდაპირველად ატენში მაგრდებიან, რის გამოც ჩიჯავაძეებთან და ჯავახიშვილებთან უწევთ ქიშპობა. **იოლი შესაძლებელია, რომ ტაძრის წარწერაში ნახსენები „დიდი ფანასკერტელი“ ალექსანდრე დიდის თანამედროვე თაყა II ფანასკერტელი იყოს.** 1431-1435 წლებში, როცა ალექსანდრე დიდმა ლორეს ციხესიმაგრეებიდან თურქმანი მომთაბარეები განდევნა, თაყას, როგორც მეფის ერთგულ კაცს, ამ რეგიონში, ალბათ, მართლაც უნდა ეთქვა თავისი სიტყვა. ამის ყველაზე ნათელი დასტური კი სწორედ ლანგ თემურისაგან დაქცეული ეკლესია-მონასტრების აღდგენა იქნებოდა.

როგორც ძველი წყაროებიდან ირკვევა, ამ თაყას შემდგომში დიდი უსიამოვნება ჰქონია ალექსანდრე დიდის ძესთან — ვახტანგ IV-სთან. აქედან გამომდინარე, თუ წერაქვის მონასტრის აღმდგენელი ეს დიდი ფანასკერტელია, მაშინ აღმშენებლობა 1431-1442 წლებში უნდა მომხდარიყო.

...მაგრამ იყო მეორე დიდი ფანასკერტელიც — **XV საუკუნის 60-იან წლებში შიდა ქართლში დამკვიდრებული და საციციანოს ფუძემდებელი — სახელგანთქმული ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი,** რომელსაც თავისუფლად შეეძლო, მამულები ქვემო ქართლშიც გაეჩინა. აღსანიშნავია, რომ იგი საეკლესიო აღმშენებლობითაც გამოირჩეოდა — განაახლა ყინწვისისა და სამწევრისის ტაძრები კუთვნილ ძამის ხეობაში (ერთი საინტერესო პარალელიც: სამწევრისი არსებობს ძამის ხეობაში — ფანასკერტელ-ციციშვილთა მკვიდრ მამულში და სამწევრისი არსებობს წერაქვის აღმოსავლეთით, ფოლადაურის ხეობაშიც).

სავარაუდოდ, არსებული გალავანიც, თავისი ტრიუმფალური კარიბჭით XV საუკუნეში, ტაძრის რეკონსტრუქციის პარალელურადაა აგებული. რჩება შთაბეჭდილება, რომ ასეთ ძლიერ გალავანში და დიდ ეზოში ფეოდალის ციხე-დარბაზიც შეიძლება მდგარიყო. მაინცა და მაინც არც ტაძრის აღმოსავლეთით არსებული ზეძირკვლის ნაშთების მოცულობა და გეგმარება არ წააგავს ბერ-მონაზონთა ნასახლარს. კელიები დიდი ტაძრის სამხრეთ მხარეს უფრო უნდა ყოფილიყო, სადაც მოზრდილი სატრაპეზო და საძვალეა.

თუ ყოველივე ზემოთ ნათქვამსა და ნანახს, ტაძრის ინტერიერისა და ფასადების სილამაზესა და ორიგინალობასაც დავუმატებთ, მაშინ უდაოდ გაგვიჩნდება ერთი შეკითხვა: როგორ მოხდა, რომ წერაქვის ეს დიდი ისტორიული კომპლექსი არც ამ და არც სხვა სახელწოდებით არც ერთ ცნობილ საისტორიო წყაროში არ არის მოხსენიებული და ვახუშტისაც გამორჩა თავის ცნობილ თხზულებაში?

საოცარია, რომ იგი XX საუკუნემ აღმოაჩინა, განაახლა და გააბრწყინა...

თუმცა ნამდვილი გაბრწყინება მაშინ იქნება, როცა თითქმის მზამზარეული კომპლექსი მონასტრის ფუნქციას დაიბრუნებს...

**ბელა ქოქიაშვილი**

ავტორის ფოტოები

მონასტრის შეუკეთებელი ეკლესია



მონასტრის სატრაპეზო



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რუსეთ-თურქეთის 1877–1878 წლების ომი და საქართველო



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №37

**მოსახლეობის ასეთი განწყობილების პირობებში მილიციონერთა ნაწილების ჩამოყალიბება დაუბრკოლებლად ხდებოდა. ომის დაწყებისას ამიერკავკასიაში უკვე შექმნილი იყო მილიციონერთა 8 ქვეითი და 3 ცხენოსანი პოლკი, 6 ქვეითი რაზმი, 4 ცხენოსანი დივიზიონი და 3 ქვეითი ასეული. აქედან ქართველი მოლაშქრეებით დაკომპლექტდა 6 ქვეითი რაზმი, 1 ცხენოსანი პოლკი, 2 დივიზიონი და 2 ასეული. ომის მსვლელობაში მილიციონერთა ნაწილები თანდათან მრავლდებოდა. ბრძოლის ველზე გავიდა დაახლოებით 30 ათასი ქართველი მოლაშქრე.**

ომის დაწყებისას რუსეთის იმ არმიაში, რომელიც კავკასიაში იმყოფებოდა, 180 ათასი კაცი და 400 ქვემეხი ითვლებოდა. კავკასია-მცირეაზიის ფრონტზე გაიგზავნა 43 ქვეითი ბატალიონი, რეგულარული კავალერიის 16 ესკადრონი, კაზაკთა 65 ასეული, 15 საარტილერიო ბატარეა (120 ქვემეხით) და სხვ. — სულ 60 ათასამდე კაცი. ომის მსვლელობაში მოქმედ კორპუსს ახალ-ახალი რეგულარული ნაწილები ემატებოდა. საომარ ოპერაციებში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მილიციონერებიც.

კავკასიის არმიის მოქმედი კორპუსი შეტევის გეგმით დასახული ოთხი მიმართულების შესაბამისად (ოზურგეთიდან ბათუმისაკენ, ახალციხიდან არტაანისაკენ, ალექსანდრეპოლიდან ყარსისაკენ და ერევნიდან ბაიაზეთისაკენ) ოთხ ნაწილად გაიყო. ოზურგეთის რაზმს სათავეში ჩაუყენეს გენ. ოკლობჟიო, ახალციხისას – გენ. დეველი, ალექსანდრეპოლისას – გენ. გეიმანი და ერევნისას – გენ. ტერ-გუკასოვი. მოქმედი კორპუსის სარდლად დაინიშნა გენერალი ლორის-მელიქოვი.

თურქეთი საკმაოდ კარგად იყო მომზადებული ომისათვის. თურქთა ჯარის მეოთხე კორპუსში, რომელიც ანატოლიის ძლიერ ციხესიმაგრეებში იდგა, 70 ათასი კაცი და მრავალი ასეული ქვემეხი ითვლებოდა. არმია აღჭურვილი იყო კრუპის ფირმების ქვემეხებით და უახლესი სისტემის თოფებით.

ომის დაწყებისთანავე რუსეთის ჯარმა და ამიერკავკასიის მილიციონერებმა გადალახეს საზღვარი და საომარი ოპერაციები თურქეთის ტერიტორიაზე გააჩაღეს. რუსთა ჯარის სარდლობა ყოველნაირად ცდილობდა თურქეთის საზღვრებში მცხოვრები ქართველებისა და სომხების კეთილგანწყობის მოპოვებას, მათ ამხედრებას საერთო მტრის წინააღმდეგ. სიძნელე თუ სიადვილე ჩვენი ოპერაციებისა, — სწერდა კომაროვი სვიტოპოლკ-მირსკის, — დიდადაა დამოკიდებული ჩვენ მიმართ აჭარის მოსახლეობის მიერ დაკავებულ პოზიციაზე. შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ, თუ რუსთა ჯარი ბათუმს დაიკავებს და სათანადო ღონისძიებებს ჩაატარებს, აჭარლები ჩვენს წინააღმდეგ არ იმოქმედებენო. აჭარაში შესულ მებრძოლებს გენ. ოკლობჟიო მოუწოდებდა, რომ მათ არ დაერღვიათ მოსახლეობის ტრადიციული ზნე-ჩვეულებანი და პატივისცემით მოპყრობოდნენ ხალხს. „დაე, გახსოვდეთ, რომ თქვენ წინ გადაშლილია მინდვრები და მთები ძველი ქრისტიანული საქართველოსი, რომლის ათასობით მილიციელი და მოლაშქრე ამჟამად ჩვენს რიგებში დგას და საერთო მტერს ებრძვის".

რუსთა ჯარის შეტევა მარცხენა ფრთაზე საკმაოდ წარმატებით დაიწყო. ომის გამოცხადებიდან 6 დღის შემდეგ 1877 წ. 30 აპრილს გენ. ტერ-გუკასოვის ნაწილებმა დაიკავეს ქ. ბაიაზეთი და მისი მთელი დაბლობი. 10 მაისს რუსთა ჯარის ორმა კოლონამ გენერლების გეიმანისა და დეველის მეთაურობის ალყა შემოარტყა ქ. არტაანს. მტკვრის ზემო წელში მდებარე ამ ციხე-ქალაქის გამაგრებას თურქებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ყირიმის ომის შემდეგ. ევროპელ ინჟინერთა ხელმძღვანელობით აიგო ახალი სიმაგრეები, სადაც დაიდგა უახლესი სისტემის მსხვილკალიბრიანი 95 ქვემეხი. არტაანს 8-ათასიანი გარნიზონი იცავდა. 16 მაისს პოდპოლკოვნიკ მუსხელიშვილის საარტილერიო დივიზიონის ზალპით რუსთა ჯარმა დაიწყო საერთო შეტევა. ელიზავეტპოლის პოლკმა, რომელსაც ამირეჯიბი მეთაურობდა, გმირული ბრძოლით გაანადგურა მტრის ბანაკი ჰელიავერდის მთაზე და გზა გაუხსნა შემტევ ჯარებს ქალაქისაკენ. 17 მაისს 2-საათიანი გააფთრებული იერიშის შემდეგ რუსთა ჯარმა აიღო არტაანი. თურქებმა ბრძოლის ველზე 2 000 გვამი დატოვეს. მტრის 1 000 ჯარისკაცი მდინარეში დაიხრჩო, 300 კი ტყვედ იქნა წამოყვანილი. არტაანის აღება იყო რუსთა ჯარის პირველი დიდი გამარჯვება რუსეთ-თურქეთის 1877–1878 წწ. ომში.

არტაანის აღების შემდეგ არტანუჯისა და ართვინის გავლით გზა გაიხსნა ბათუმისაკენ, მაგრამ რუსთა სარდლობამ სათანადოდ ვერ შეაფასა ამ მიმართულების ხელსაყრელობა და ბათუმის წინააღმდეგ შეტევა დაიწყო ოზურგეთიდან. არტაანის იერიშში მონაწილე რუსთა ჯარები კი ყარსისაკენ გაემართნენ.

ყარსის ციხე-სიმაგრე მიუვალად ითვლებოდა. იგი აგებული იყო შემაღლებაზე და ბუნებრივი თუ ხელოვნური სიმაგრეების კომპლექსს წარმოადგენდა. მოალყე ჯარი მოკლებული იყო ციხე-სიმაგრის მიდამოებში საარტილერიო ბატარეების დადგმის შესაძლებლობას და თვით იერიშიც უნდა ჩატარებულიყო ღია პოზიციაზე, რაც გარნიზონს თავდაცვას უადვილებდა. 13–14 ივნისს ღამით გენ. დეველის ნაწილები შეეცადნენ, ჩუმად მიახლოებოდნენ ყარსის ციხეს და განელაგებინათ იქ საარტილერიო ბატარეები. მეორე მხრივ, დაიძრნენ გენ. გეიმანის ნაწილებიც. იმის გამო, რომ ყარსს – თავისთავად ძლიერ ციხესიმაგრეს – თურქთა მრავალრიცხოვანი გარნიზონი იცავდა, რუსთა ჯარის შეტევას წარმატება არ მოჰყოლია.

ბოლოს და ბოლოს, რუსთა სარდლობა მიხვდა, რომ მიუვალ ყარსის ციხესთან დიდი ჯარების დაბანდება შეცდომა იყო, რადგან თვით მისი აღებაც კი არ წყვეტდა სტრატეგიულ ამოცანას. მიზანშეწონილად იქნა ცნობილი არზრუმის მიმართულებით გალაშქრება, მაგრამ რუსთა სარდლობამ დაიგვიანა.

იმ დროს, როცა რუსთა ჯარის ძირითადი ნაწილები ყარსის ალყით იყვნენ დაკავებული, ანატოლიის კორპუსის სარდალი მუსთარ ფაშა თანდათან იკრებდა ძალებს და ჯარის უმეტეს ნაწილს თავს უყრიდა ზივინის მიდამოებში, რომელიც სტრატეგიული პუნქტი იყო ყარსის, ოლთისის და ალაშკერტის დამაკავშირებელ გზაჯვარედინზე.

10 ივნისისათვის მუხთარ ფაშა დარწმუნდა თავისი არმიის ბრძოლისუნარიანობაში და კონტრშეტევა წამოიწყო. მარჯვენა ფლანგზე, ბაიაზეთის მიმართულებით გაგზავნა არმიის ერთი ნაწილი. ბრძოლა მოხდა დარიალის ხეობაში და იგი რუსთა ჯარის გამარჯვებით დამთავრდა. თურქებმა უწესრიგოდ დაიხიეს არზრუმისაკენ. მაგრამ ამ მარცხს მუხთარ ფაშას ენერგია არ მოუდუნებია. ანატოლიის კორპუსის სარდალი თვით დაიძრა რუსების წინააღმდეგ. გენ. ტერ-გუკასოვი კარგად გრძნობდა დარიალის ხეობის დიდ მნიშვნელობას და ამიტომ 21 ივნისს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა თურქებს და დიდი ზიანიც მიაყენა მათ. მიუხედავად ამისა, ერევნის რაზმის მდგომარეობა კრიტიკული გახდა. მის წინააღმდეგ სამჯერ მეტი მტერი იყო განლაგებული.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**





## გამოვიდა ჟურნალ «ისტორიული მემკვიდრეობის» პირველი ნომერი

ჟურნალის სახელწოდება უკვე ნათელყოფს მის პროფილს.

პირველივე ნომრიდან ჩანს, რომ ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის" ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა" საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს. ჟურნალის მთავარი რედაქტორია თემურ ქორიძე.



## უნივერსალური წყალი „ისიდა"

## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა



**სუფრის წყალი „ისიდა" აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო") მოთხოვნებს და შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს დღიური ნორმის ოდენობით:**

**იოდი** — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

**ფტორი** — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

**მანგანუმი** — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

**კალციუმი** — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

**კალიუმი** — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

**მაგნიუმი** — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

**ნატრიუმი** — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

**თუთია** — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

„ისიდა" გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკონ თბილისში: 899-16-30-219 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**

**არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა" — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ქართული უნიკალური პრეპარატი H1N1 გრიპს განკურნავს

**გრიპი წარმოადგენს A და B გრიპის ვირუსებით გამოწვეულ სერიოზულ დაავადებას, რომელიც, როგორც წესი, სეზონურად ვითარდება შემოდგომასა და ზამთრის თვეებში. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად სეზონური გრიპის 3-5 მილიონი მძიმე შემთხვევა ვითარდება. დაახლოებით 250000-500000 ადამიანი იღუპება ამ დაავადებისაგან.**

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, გრიპის პანდემია მაშინ ვითარდება, როდესაც ჩნდება გრიპის A ვირუსის ახალი შტამი, რომლის მიმართ მოსახლეობას არ გააჩნია იმუნიტეტი. შედეგად, მსოფლიოს რამდენიმე რეგიონში ერთდროულად იფეთქებს ეპიდემია, რასაც მოჰყვება დაავადებულთა და გარდაცვლილთა გარკვეული რაოდენობა.**



გრიპის ეპიდემია თითო საუკუნეში დაახლოებით სამჯერ განვითარდა, როდესაც გრიპის ვირუსის ახალი შტამი მილიონობით ადამიანის სიკვდილის მიზეზი გახდა მთელ მსოფლიოში.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, აშშ-ის, ევროპის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები ადასტურებენ, რომ ანტივირუსული საშუალებები — **ტამიფლუ** და **რელენცა** აქტიურები არიან A გრიპის ახალი შტამის H1N1 მიმართ.

ეპიდემია ეწოდება ისეთ სიტუაციას, როცა რომელიმე დაავადება გადააჭარბებს ამ რეგიონისთვის დამახასიათებელ რიცხვს, ხოლო პანდემიაა, როცა იგი ვრცელდება მთელ მსოფლიოში.

გრიპის ვირუსი მუდმივად განიცდის მოდიფიკაციას, მისი გენომი იცვლება მუდმივად!

ყოველწლიურად 3,5 მილიონ ადამიანს ემართება გრიპი რთული ფორმით, ხოლო მსოფლიოს მოსახლეობის 0,1 პროცენტი კვდება ამ დაავადებით!

ღორის გრიპი H1N1 2009 წლის ინფექციაა. გრიპი შეიძლება იყოს A, B, C ტიპის. ყველაზე საშიშია A ტიპის (ამ შემთხვევაში H1N1 სწორედ ამ ტიპისაა) ხოლო C ტიპი — ყველაზე მსუბუქი ფორმისაა.

როგორია გრიპის სიმპტომები: იგი ვირუსული ინფექციაა, რომელიც ყველაზე ხშირად აზიანებს ცხვირის ღრუს, ხახას, ზოგადად, ზედა სასუნთქ გზებსა და ზოგჯერ ფილტვებსაც. დაავადება, ჩვეულებრივ, ერთ კვირას გრძელდება; ხასიათდება უეცარი დასაწყისით, მაღალი ტემპერატურით. დამახასიათებელია: კუნთებისა და თავის ტკივილი, გამოხატული დაღლილობის შეგრძნება, მშრალი ხველა, ყელის ტკივილი და რინიტი.

ვირუსი ადვილად გადადის ერთი ადამიანიდან მეორეზე ხველისა და ცემინების დროს გამოყოფილი პატარა წვეთებისა და ნაწილაკების მეშვეობით. ხშირად ადამიანები ვაქცინაციას მიმართავენ, რათა თავი დაიცვან ვირუსით დაინფიცირებისაგან. ვაქცინა ორგანიზმში იწვევს იმუნური სისტემის მობილიზებას ინფექციასთან საბრძოლველად.

ერთი სახეობის ვაქცინა ორგანიზმს იცავს გრიპის კონკრეტული ტიპის ვირუსებისაგან. ამჟამად ჯერ არ არსებობს კომერციულად ხელმისაწვდომი ვაქცინა გრიპის ახალი შტამის H1N1-ის მიმართ.

ანტივირუსული პრეპარატები ბლოკავს გრიპის ვირუსის ორგანიზმში გავრცელებას. ისინი გამოიყენება როგორც სამკურნალოდ, ისე პროფილაქტიკისათვისაც, თუკი ის გამოყენებული იქნება ვირუსთან კონტაქტამდე ან კონტაქტიდან მოკლე ვადაში.

განკურნავს თუ არა ქართული, უნიკალური ბუნებრივი კომპონენტებისაგან დამზადებული პრეპარატი — **„ოთომალი“ H1N1 გრიპს?** ამ კითხვით მივმართეთ მის ავტორს, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ოთარ წიწილაშვილს:**

ნებისმიერი დაავადების საწყისი, ბაქტერია იქნება ის, თუ ვირუსი, პირველ რიგში, იკავებს თავისი გავრცელებისათვის შესაფერის გარემოს, სუბსტრატს, სადაც შემდგომში მრავლდება. მაგალითად, გრიპის შემთხვევაში ისინი სუბსტრატად ირჩევენ სასუნთქ გზებს. ამ დაავადების გავრცელების მიზეზი უმრავლეს შემთხვევაში, არის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, რაც ორგანიზმში იმუნური სისტემის დაქვეითებაზეა ორიენტირებული.

იმისათვის, რომ პროფილაქტიკა ჩავატაროთ წინასწარ ღორის გრიპზე, ანუ, როგორც მას უწოდებენ A ტიპის გრიპ H1N1-ზე, აუცილებელია, მივიღოთ უნიკალური (მე მას უნიკალურს ვუწოდებ, რადგანაც ის სხვა დაავადებებზეც მოქმედებს) მალამო „ოთომალი“, რომელიც 20-წლიანი კვლევების შედეგად შევქმენი და ის რამდენიმე დაავადებაზე წარმატებით გამოვცადე კვლევებში როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში, სადაც 20 წლის განმავლობაში ვმუშაობდი და დავიცავი ჯერ საკანდიდატო და შემდეგ სადოქტორო დისერტაციები.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მალამო „ოთომალი“ ღორის გრიპს სრულიად განკურნავს!

წამლის მოქმედების მექანიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ის ეპითელური ქსოვილს ხდის სხვა შინაარსისას, მისი მიღებისას იმუნიტეტი ისე მაღლდება, რომ ვირუსი ორგანიზმში ველარ სახლდება. ის ანტისეპტიკია და რეაბილიტაციას უკეთებს ქსოვილს.

ასევე **„ოთომალი“** მოქმედებს სუბსტრატის მიუღებლობაზე საწყის ეტაპზე, ამიტომ არის ის საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალება.

**— ბატონო ოთარ, მიუხედავად იმისა, რომ ღორის გრიპის, ანუ H1N1 ვირუსით დაავადებულთა ვინაობა კონფიდენციალურია, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ თქვენ ამ პრეპარატით რამდენიმე ადამიანი ორ დღეში განკურნეთ, მათ შორის იყვნენ უკრაინელი პაციენტებიც, ეს ინფორმაცია სწორია?**

— დიახ, მე გიდასტურებთ, „ოთომალით“ განიკურნა უკვე რამდენიმე ადამიანი, მათ შორის ერთი იყო ტუბერკულოზით დაავადებულიც, რომელსაც H1N1 ვირუსი დაუმტკიცდა და მისთვის გრიპი შესაძლოა დამღუპველი გამხდარიყო. და ასევე მომმართეს უკრაინიდანაც მოქალაქეებმა, რომელთაც ამ გრიპის გარდა ბევრი მძიმე დაავადება ჰქონდათ და ეს ვირუსი მათ სიცოცხლეს უკვე საფრთხეს უქმნიდა.

დღეს ყველა მათგანი სრულიად განკურნებულია. სამწუხაროდ, მინდოდა სრულიად უსასყიდლოდ და უანგაროდ დავხმარებოდი ტელევიზიით გამოცხადებულ პატარა ბავშვს, რომელსაც მძიმე მდგომარეობა ჰქონდა. მხოლოდ იმიტომ ვერ დავეხმარე, რომ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ინფორმაცია პაციენტთა ვინაობის შესახებ კონფიდენციალურია.

**P.S. ბოლო დღეებში H1N1 გრიპის შემთხვევები საქართველოშიც გახშირდა. ეს ინფორმაცია კი, ცოტა არ იყოს, სიმშვიდის საფუძველს გვაძლევს, რადგანაც საქმე ეხება ქართულ, ბუნებრივი კომპონენტებისგან შემდგარ პრეპარატს და, რაც მთავარია, უვნებელს, როგორც ბავშვების, ასევე მოზრდილებისთვის.**





## მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და გამოჯანმრთელებულები ბრუნდებიან

**გაგნიძის პრეპარატი არჩენს**

**ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პარკინსონს, ასთმას, ჩიყვს, გულისა და თირკმელის დაავადებებს; სპობს აზოტს თირკმელში, კურნავს გაფანტულ სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ოსტეოქონდროზს, ჰაიმორიტს, ლეიკოზს, სეფსისს, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C ჰეპატიტს, ელენთის, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, ქლამიდიას, კლიმაქსს, წყლულს, ფსორიაზს, სახსრების დაავადებებს, ეპილეფსიას; ამყარებს იმუნიტეტს, ახდენს თავის ტვინის უჯრედების აღდგენა-შენარჩუნებას, დადებითად მოქმედებს სექსუალურ დარღვევებზე და ნარკოტიკებთან დამოკიდებულებაზე.**

### კოორდინატებია:

**თელავი,**
კავკასიონის ქუჩა №61-ბ,
გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი).
ტელ.: 893-22-66-51 8(250) 7-61-24

**თბილისი,**
აწყურის 31ა.

**ბათუმი**, ასათიანის 11,
(ორშაბათს, ოთხშაბათს
და პარასკევს,
10-დან 14 საათამდე).





## სამკურნალო ნაყინი ონკოლოგიური პაციენტებისთვის



ახალზელანდიურმა რძის პროდუქტების მწარმოებელმა კომპანია „ფონტერამ“ (Fonterra) დიარეის სამკურნალოდ გათვალისწინებული ნაყინის იმ სახეობის კლინიკური კვლევები აწარმოა, რომელიც განკუთვნილია იმ პაციენტებისთვის, ვისაც ავთვისებიანი სიმსივნე აქვთ და ქიმიოთერაპიის კურსს გადიან. ამ ნაყინის მთავარი კომპონენტია რძის ცხიმი და ლაქტოფერინი.

## საღეჭი რეზინი გახდომისათვის



**ამერიკელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ საღეჭი რეზინით შესაძლებელია გახდომა.**

კვლევებში მონაწილე მოხალისეები ღეჭავდნენ მას 20 წუთით ადრე საუზმემდე. შემდეგ კი ორჯერ, ამავე დროის განმავლობაში, სადილამდე 3 საათით ადრე. მეცნიერთა აზრით, ამ წესით ღეჭვის შემდეგ, ორგანიზმი 67 კალორიით ნაკლებ საკვებ პროდუქტს ითვისებს.

## მობილურ ტელეფონზე ხანგრძლივი საუბარი ტვინის სიმსივნეს იწვევს?

**მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ მობილური ტელეფონით ხანგრძლივი საუბარი ტვინის სიმსივნეს იწვევს.**

კვლევებში მონაწილეობდა 13 ქვეყნის 12800 მოხალისე, რომელთა შემდგომმა სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ მათ გარკვეული დარღვევები აღენიშნებოდათ ტვინის უჯრედებში.

ეს კვლევები საკმაოდ დამაფიქრებელია, მით უმეტეს, დღეს, როდესაც უკვე ფართოდ გავრცელდა ფიჭური კავშირგაბმულობის დანიშნულების მობილური ტელეფონის ახალი სახეობა საოჯახო, უკაბელო ტელეფონის სახით.



## განათლების მიღება ხანდაზმულ ასაკში სასარგებლოა

**დიდი ბრიტანეთის, ესპანეთისა და კოლუმბიის მეცნიერთა ერთობლივმა კვლევებმა აჩვენა, რომ რომელიმე მეცნიერების შესწავლა ხანდაზმულ ასაკში აჩერებს ტვინის დაბერების პროცესს.**

ეს კომპიუტერული ტომოგრაფიითაც დადასტურდა. მეცნიერებმა კვლევები ჩაატარეს წერა-კითხვის უცოდინარ მოხუცებზე. მათი აზრით, ამ მეთოდით შესაძლებელია ფიზიოლოგიური სიბერის შეჩერება.



# სანდო ბანკი

„პროკრედიტ ბანკი საქართველო“ არის ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც საზოგადოების ყველა წევრს სთავაზობს სრული სპექტრის საბანკო მომსახურებას. ბანკის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ძალიან მცირე, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსება. გვჯერა, რომ სწორედ ეს საწარმოები ქმნიან ყველაზე მეტ სამუშაო ადგილს და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

— ჩვენ ვქმნით ფინანსურ ინსტიტუტს, რომელიც ორიენტირებულია „ჩვეულებრივ ადამიანებზე“.
— „პროკრედიტ ბანკის“ პროდუქტები არის მარტივი და გამჭვირვალე;
— „პროკრედიტ ბანკი“ გამოირჩევა სოციალური პასუხისმგებლობით;
— ეს არის ბანკი ყველასათვის.

# რატომ უნდა დავაგროვოთ ბანკში?

**იმისათვის, რომ გარკვეული დანაზოგი გქონდეთ, დააგროვეთ მცირე თანხის რეგულარულად გადადებით.**




— ხართ მშვიდად, რადგან თქვენი დანაზოგი უსაფრთხოდაა შენახული;
— იღებთ გარანტირებულ დანაზოგს;
— ბანკში დაგროვება არ არის ხარჯებთან დაკავშირებული, ანაბრის გახსნა, მომსახურება, თანხის გატანა ბანკში უსაფრთხოა;
— მხოლოდ თქვენ გეცოდინებათ თქვენი დანაზოგის შესახებ, ინფორმაცია კლიენტის შესახებ კონფიდენციალურია;
— ბანკის მეანაბრეს შეუძლია, ისარგებლოს დამატებითი მომსახურებითა და შეღავათებით;
— არსებობს ორი სახის ანაბარი: ვადიანი და შემნახველი.

შემნახველი ანაბრით უმჯობესია, ისარგებლოთ, თუ გსურთ, ნებისმიერ დროს განკარგოთ თქვენი თანხა.

ვადიანი ანაბარი მოსახერხებელია, თუ გაქვთ გარკვეული დანაზოგი და იცით, რომ კონკრეტულ პერიოდში ის არ დაგჭირდებათ და გსურთ, მიიღოთ მეტი სარგებელი.

# რა არის აგროკრედიტი?

**შეიძლება გაგიჩნდეთ კითხვა, — ვის შეუძლია ისარგებლოს აგროკრედიტით? ყველას, ვისაც აქვს მოქმედი მეურნეობა ან გეგმავს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წამოწყებას.**



**აგროკრედიტის პირობები:**
**თანხა:** 100 ლარიდან — 150.000 ლარამდე.
50 აშშ დოლარიდან — 100.000 აშშ დოლარამდე;
**ვადა:** 60 თვემდე ლარში;
120 თვემდე აშშ დოლარში.
უზრუნველყოფა: უძრავი ქონება, სატრანსპორტო საშუალებები, ძირითადი და საბრუნავი საშუალებები;

**აგროკრედიტი შეგიძლიათ გამოიყენოთ:**
— იჯარით აღებული მიწის გამოსასყიდად;
— მოსავლის ასაღებად;
— სათბურის მოსაწყობად;
— ბაღის გასაშენებლად.
**ან ისარგებლოთ კრედიტით პირადი მოხმარების მიზნით:**
— სამომხმარებლო მიზნებისთვის;
— ბინის შესაძენად;
— არაკომერციული უძრავი ქონების შესაძენად.

**გადახდის პირობები:**
**— ყოველთვიური თანაბარი შენატანები;**
**— შეღავათიანი გრაფიკი;**
**— სეზონური გრაფიკი;**
**— ინდივიდუალური გრაფიკი;**
**— საკრედიტო ხაზი;**
**— ოვერდრაფტი.**

# სავაჭრო ექვაირინგი

**სავაჭრო ექვაირინგი არის სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში პოს ტერმინალის მონტაჟი, რომლის საშუალებითაც პლასტიკური ბარათების მფლობელები შეძლებენ უნაღდო ანგარიშსწორებას თქვენს ობიექტებში.**

**მისი უპირატესობებია:**
— კლიენტთა რაოდენობისა და გაყიდვების მოცულობის ზრდა;
— ორგანიზაციის იმიჯის ზრდა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
— რისკების შემცირება, რადგანაც შეხება აღარ გიწევთ დაზიანებულ ფულთან.

# იპოთეკური კრედიტი



იპოთეკური კრედიტით შეგიძლიათ, ააშენოთ სახლი, შეიძინოთ ბინა, მიწის ნაკვეთი, აგარაკი;

იპოთეკით სარგებლობაში შეუძლია ყველას, ვისაც აქვს სტაბილური შემოსავალი ხელფასის სახით.

**პირობები:** თანხა 100.000 აშშ დოლარი;
20.000 ლარი.
**ვადა:** 15 წლამდე აშშ დოლარი;
2 წლამდე ლარში.
**წლიური საპროცენტო განაკვეთი:** 17-22% აშშ დოლარში;
20-24% ლარი;
გადახდის პირობები: ყოველთვიური თანაბარი შენატანი. გირაოს გარეშე — მაქსიმუმ 7000 ლარამდე.
4000 აშშ დოლარამდე ან მისი ექვივალენტი ევროში;

საცხოვრებელი ფართის კეთილმოწყობის კრედიტი კლიენტებისათვის სახელფასო ანგარიშით „პროკრედიტ ბანკში“.

ეს კრედიტი შეიძლება დაგჭირდეთ ბინის გარემონტებისათვის, საყოფაცხოვრებო ნივთის, ავეჯის შესაძენად.

ამ კრედიტით სარგებლობა შეუძლია ყველას, ვისაც აქვს სტაბილური შემოსავალი ხელფასის სახით.

**თანხა:** 50-დან 7000 აშშ დოლარამდე;
100-დან 20.000 ლარამდე.
**ვადა:** 5 წლამდე აშშ დოლარში
2 წლამდე ლარში.
**წლიური საპროცენტო განაკვეთი:** 17-22% აშშ დოლარი;
20-24% ლარში;
**გადახდის პირობები:** ყოველთვიური თანაბარი შენატანი გირაოს გარეშე: მაქსიმუმ 7000 ლარამდე;
4000 დოლარამდე ან მისი ექვივალენტი ლარში.

# რა არის ბიზნესკრედიტი?



**ბიზნესკრედიტით შეგიძლიათ დააფინანსოთ:**
— საბრუნავი საშუალებები;
— ძირითადი საშუალებები;
— უძრავი ქონება.
**ან გამოიყენოთ პირადი მოხმარების მიზნით:**
— სამომხმარებლო;
— ბინის კეთილმოწყობა;
— უძრავი ქონება.

**ვის შეუძლია ისარგებლოს „პროკრედიტ ბანკის“ ბიზნესკრედიტით?**
**— ყველას, ვისაც აქვს მოქმედი ბიზნესი, მაგალითად;**
**— ვაჭრობა;**
**— ექსპორტ-იმპორტი;**
**— საქმიანობა მომსახურების სფეროში;**
**— წარმოება;**
**— უძრავი ქონების იჯარა.**

# ანაბრები იურიდიული პირებისთვის

**თუ იცით, რა პერიოდის განმავლობაში არ დაგჭირდებათ თქვენი კომპანიის თავისუფალი ფულადი სახსრები, შეგიძლიათ განათავსოთ თქვენი თანხა ვადიან ანაბარზე და მიიღოთ მაღალი საპროცენტო ანაბარი.**

**პირობები:** მინიმალური თანხა: 200 ლარი, 100 აშშ დოლარი ან 100 ევრო;
მინიმალური ვადა — 1 თვე;
მაქსიმალური ვადა — 24 თვე;
თანხის შემცირება ან გაზრდა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ ხდება.

ვადიანი ანაბარი იხსნება ფიქსირებული თანხით და წინასწარ განსაზღვრული ვადით. საპროცენტო სარგებელი შეგიძლიათ გაიტანოთ ანაბრის ვადის ბოლოს ან თვეში ერთხელ.

ვადიან ანაბარს ერიცხება ყველაზე მაღალი საპროცენტო სარგებელი.

ანაბრის უზრუნველყოფით შეგიძლიათ კრედიტის აღება შეღავათიანი პირობებით.

მოქნილი ანაბარი — იურიდიული პირებისთვის, ორგანიზაციებისთვის თავისუფალი ფულადი სახსრების განთავსების საშუალებაა, რომელიც იხსნება ფიქსირებული თანხით და წინასწარ განსაზღვრული ვადით.

მინიმალური თანხა — 200 ლარი, 100 აშშ დოლარი ან ევრო.
მინიმალური ვადა — 3 თვე, მაქსიმალური ვადა — 24 თვე.
საპროცენტო სარგებლის გატანა შესაძლებელია ანაბრის ვადის ბოლოს ან თვეში ერთხელ.

**ზრდადი ანაბარი** — ეს ფულის დაგროვების საუკეთესო საშუალებაა. თუ თქვენს ორგანიზაციას ყოველთვიურად აქვს თავისუფალი ფულადი სახსრები და რეგულარულად შეგიძლიათ გარკვეული თანხის გადადება.

ყოველთვიური მინიმალური შენატანი — 10 ლარი, 10 აშშ დოლარი ან ევრო.
მინიმალური ვადა 6 თვე, მაქსიმალური — 24 თვე;
ზრდადი ანაბრის შევსება შეგიძლიათ ბანკში მიუსვლელად ინტერნეტ ბანკინგის საშუალებით.

# რა სახის პლასტიკურ ბარათს გთავაზობთ «პროკრედიტ ბანკი»

**ბანკი გთავაზობთ შემდეგ ბარათებს:**
**— ვიზა ჩიპ ელექტრონი;**
**— ვიზა ჩიპ კლასიკი;**
**— მასტერქარდი;**
**— მასტერქარდ მაესტრო.**

**ვიზა ჩიპ ბარათი** წარმოადგენს საგადასახადო სისტემის ორი ტიპის ბარათს, ვიზა ელექტრონსა და ვიზა კლასიკს.

მიკროჩიპი არის ტექნოლოგიურად რთული მოწყობილობა და მისი გაყალბება პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ ის სრულიად უსაფრთხოა.

**ვიზა ელექტრონი** — ვიზა ელექტრონი ყველაზე ხელმისაწვდომი და გავრცელებული ბარათია მსოფლიოში. მისი გამოყენება შესაძლებელია ბანკომატებში, მაღაზიებსა და რესტორნებში როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.

**ვიზა კლასიკი** — განსაკუთრებით გამოსაყენებელია მათთვის, ვინც ხშირად მოგზაურობს. ის წარმოადგენს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში თანხის განაღდებისა და მომსახურების მიღების საშუალებას.

ასევე, ვიზა კლასიკით შეგიძლიათ შეიძინოთ ნივთები ინტერნეტით და ისარგებლოთ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში რესტორნებსა თუ მაღაზიებში ანგარიშსწორებისას, სადაც ვიზის ლოგოა გამოსახული.

VISA | VISA ELECTRON | MasterCard | Maestro

გვერდები მოამზადა **ეთერ კასრელიშვილმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# რა ღირს ათიანები?



**ჩრდილო კალიფორნიის საშუალო სკოლის ადმინისტრაციამ მოსწავლეებს შესთავაზა, თუ საჭირო ქულებს ცოდნით ვერ დააგროვებენ, შეუძლიათ ფულით იყიდონ.**

20 დოლარად ორ ნებისმიერ ტესტში 10-10 ქულა დაემატებათ. იდეის მიზანი სასკოლო ფონდის შევსებაა. ჯერჯერობით მოსწავლეებს ქულების ყიდვის სურვილი არ გამოუთქვამთ, მაგრამ ამის შესაძლებლობა მათ 20 ნოემბრამდე შეუნარჩუნდებათ.

# ვინ გაუწევს ლომებს დედობას?

**აგვისტოში ყაზახეთში, შიმკენტეს ზოოპარკში, ახალგაზრდა ლომებს — ნაფისა და მარსას ოთხი ბოკვერი ეყოლათ.**

ერთ-ერთი მალევე მოკვდა, დანარჩენ სამს კი შიმშილით სიკვდილი ელოდა იმის გამო, რომ დედამ მათი გამოკვება არ ისურვა. დამშეული ბოკვერები — რემბო, სიმბა და ელზა ზოოპარკის ვეტერინარმა საკუთარ კერძო სახლში დააბინავა. სამთვიანი თანაცხოვრების შემდეგ ლომები წამოიზარდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ თავად ვეტერინარი ირწმუნება, კარგად იქცევიანო, სახლი თავდაყირა დააყენეს.

ზოოპარკმა ბოკვერთა გამოსაკვებად სპეციალურად შეიძინა თხა და, სავარაუდოდ, იანვრიდან მათ ვოლიერებში გაამწესებენ.



# ვის მოხვდება მუშტი ცხვირში?

**ინდოეთის კომპანიამ „ჩრდილოეთ რკინიგზა“ უბილეთო მგზავრებთან გასამკლავებლად 36 მოკრივე და მებრძოლი დაიქირავა.**

ვისაც საკუთარი ცხვირპირი რამედ ულირს, „კონტროლიორებთან“ შეხვედრისას ბილეთის საფასურის გადახდაც მოუწევს და უბილეთოდ მგზავრობისათვის — ჯარიმაც.

მართალია, მოკრივეები და მოჩხუბრები მხოლოდ ეფექტის მოსახდენად დაიქირავეს და სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ისინი არავის მოუღერებენ მუშტებს, მაგრამ კომპანია იმედოვნებს, რომ მგზავრებზე მათი დანახვაც საკმარისად იმოქმედებს.



# ობამას მარცხი ყველა ფრონტზე

**ბარაკ ობამას გაპრეზიდენტებიდან ცხრა თვე გავიდა. ეს პერიოდი ასე თუ ისე იძლევა მისი საგარეო პოლიტიკის შედეგების წინასწარი დაჯამების შესაძლებლობას.ზოგადი შეგრძნება იმედგაცრუებაა; განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამ მნიშვნელოვან თანამდებობაზე მის არჩევას ლამის კაცობრიობის მხსნელის მოვლინებად აღიქვამდნენ. ყველამ კარგად იცის, ბარაკ ობამა ჯორჯ ბუში არაა და მსოფლიოს საერთო დამოკიდებულება ამერიკის შეერთებული შტატებისადმი მის მოსვლასთან ერთად უკეთესობისკენ შეიცვალა. მიუხედავად გაფაციცებული მოლოდინისა და კეთილგანწყობილი დამოკიდებულებისა, რომელიმე სფეროში სასიკეთო წინსვლა ჯერაც არსად ჩანს.**



ეს ყოველივე განსაკუთრებით თვალში საცემია იმ ბრწყინვალე რიტორიკის ფონზე, რომელიც ობამას სახალხო გამოსვლებისთვისაა დამახასიათებელი. ამერიკას, უკვე დიდი ხანია, არ ჰყოლია ლამის ყველა პარამეტრის (პიროვნულის, წარმომავლობის, ინტელექტის, ემოციურობის, მაღალი იდეალების შეთავსებისა და ნებისმიერი ტიპის აუდიტორიასთან თანასწორად საუბრის უნარის) მიხედვით ესოდენ არაორდინალური ლიდერი. მაგრამ, როგორც ყველაფრიდან ჩანს, დაუნდობელი რეალობა კიდევ ერთ მტკივნეულ დარტყმას აყენებს კეთილ განზრახვებს.

ახლა ობამას ადმინისტრაციაში მაღალ თანამდებობაზე მომუშავე ჰილარი კლინტონს, ალბათ, ძალიან არ უყვარს ამის გახსენება, მაგრამ თავის დროზე სწორედ მან ბრძანა, რომ მაღალი იდეალები და ლამაზი რიტორიკა ვერასოდეს ჩაენაცვლება პოლიტიკურ გამოცდილებასა და მსოფლიოში შექმნილი სიტუაციის ღრმად წვდომას.

შიდაპოლიტიკურ არენაზე ობამა ჯერჯერობით ახერხებს ჯანდაცვის რეფორმის განხორციელებას და ეს უდაოდ ისტორიული მიღწევაა. მაგრამ ამერიკის ნებისმიერი პრეზიდენტის მოღვაწეობა მის მიერ მართული ქვეყნის საგარეო პოლიტიკითა და მისი დატოვებული კვალით განისაზღვრება.

დასაწყისი შთამბეჭდავი იყო, ობამამ საერთაშორისო პოლიტიკის ინსტრუმენტად დიალოგი აირჩია. ეს მისი წინამორბედის, ჯორჯ ბუშის ძალისმიერი მეთოდებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული კურსი იყო. მაგრამ ობამასეული მეთოდის პრაქტიკაში განხორციელების მცდელობებმა ამ მიდგომის უუნარობა აჩვენა.

მაგალითად, ირანთან დიალოგმა დღემდე რაიმე შედეგი და სარგებელი აშკარად ვერ მოიტანა. უფრო მეტიც, ამერიკის თავშეკავება უკვე სისუსტედ აღიქმება — ირანი თავისი ქმედებებით ფაქტობრივად სახეში აფურთხებს ობამას. ამერიკელები მკაცრი სანქციების თაობაზე ალაპარაკდნენ, მაგრამ ამ მუქარით შეშინებული ჯერ არავინ ჩანს.

ავღანეთში მდგომარეობა დღითი დღე რთულდება. მიუხედავად წინასაარჩევნო დაპირებისა, ობამამ უარი განაცხადა იქ დამატებით 40 ათასი ჯარისკაცის გაგზავნაზე. აშშ-ის ნატოელი მოკავშირეები თალიბებთან მეომარი სამხედრო ძალების გამაგრების ამოცანას საკუთარ თავზე არ იღებენ და არც აიღებენ.

რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთს, ობამას პრეზიდენტობა იმ ხმამაღალი განცხადებით დაიწყო, რომლის მიხედვითაც აშშ-ის პრეზიდენტს ენერგიულად და მიზანმიმართულად უნდა ემოქმედა პალესტინასა და ისრაელს შორის მშვიდობიანი შეთანხმებების მისაღწევად. იმოქმედა კიდეც, თუმცა, რამდენად აქტიურად და შედეგიანად, ეს კიდევ საკითხავია. ობამამ ჯორჯ მიტჩელი ახლო აღმოსავლეთში თავის განსაკუთრებულ წარმომადგენლად გაამწესა, მაგრამ მიტჩელსაც იგივე დაემართა, რაც აღნიშნულ რეგიონში მივლინებულ სხვა დანარჩენს: პალესტინელებისა და ისრაელელების პოლიტიკური ნების არარსებობის პირობებში ის, უბრალოდ, უსუსურ და უძლურ მოხალისედ გამოიყურება. ვერ გაართვა რა თავი დაკისრებულ მისიას, მიტჩელმა უაზროდ გაფლანგა თავისი პოლიტიკური კაპიტალი. მაშ, რა დახმარებას უნდა ველოდოთ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციისგან მუდმივი დარეგულირების საქმეში?

# რუსეთი ახალ სტატუსს მიიღებს

**რუსეთმა მსოფლიო ზესახელმწიფოს სტატუსი პრინციპულად ახალ საფუძვლებზე უნდა მიიღოს. სწორედ ეს იყო რუსეთის პრეზიდენტის, დიმიტრი მედვედევის მიერ ფედერალური კრებისათვის მიმართვის მთავარი გზავნილი.**
**ამასთანავე, საგარეო პოლიტიკა უფრო პრაგმატული უნდა გახდეს და ხელი შეუწყოს ქვეყნის მოდერნიზების შიდა ამოცანების გადაწყვეტას.**

პრეზიდენტმა საერთო ჯამში ქვეყნის განვითარების ხუთი სტრატეგიული მიმართულება დაასახელა. ეს მიმართულებებია: მედიცინა და ფარმაცევტიკა (პრეზიდენტი ითხოვს, რომ ბაზარზე გაიზარდოს სამამულო წარმოების პრეპარატების წილი), ცხოვრების ჯანსაღი წესის მოტივაცია, ენერგეტიკის მოდერნიზება და ენერგოეფექტიანობის გაზრდა, ინფორმაციული განვითარება და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება.

პრეზიდენტმა წამოაყენა წინადადება, რუსეთში შეიქმნას კვლევებისა და ტექნოლოგიური დამუშავების ცენტრი. ქვეყნის მეთაური აუცილებლობად მიიჩნევს რუსეთში მონაცემთა გადაცემის მაღალსისწრაფიანი არხებით დაკავშირებული სუპერკომპიუტერული სისტემების განვითარებას. „მათი დახმარებით ხუთი წლის ვადაში შესაძლებელი გახდება უახლესი თვითმფრინავების, კოსმოსური აპარატების, ავტომანქანების, ბირთვული რეაქტორების პროექტირება“, — ბრძანა პრეზიდენტმა.

გარდა აღნიშნულისა, პრეზიდენტი მოითხოვს, ხუთი წლის განმავლობაში რუსეთის მთელი ტერიტორია უზრუნველყოფილ იქნას ინტერნეტთან ფართოზოლოვანი წვდომის, ამასთანავე, მეოთხე თაობის ციფრულ ტელევიზიასა და მობილურ კავშირგაბმულობაზე გადასვლის შესაძლებლობებით. მისი თქმით, რუსეთი გლობალურ ინფორმაციულ ინფრასტრუქტურაში მთავარი რგოლი უნდა იყოს. 2015 წლისათვის რუსეთში უკვე უნდა იყოს კავშირის ახალი თაობის თანამგზავრთა დაჯგუფება, არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ უცხოელი მწარმოებლების მხრიდანაც. მოთხოვნადი ბირთვული რეაქტორები და ახალი თაობის საწვავი რუსეთში 2014 წლამდე გაჩნდება.



ახალი პოლიტიკური სტრატეგიის უმთავრესი პრინციპები პრეზიდენტმა თავის სტატიაში „წინ, რუსეთო“ გამოაქვეყნა. ამ სტრატეგიას საფუძვლად უდევს „რუსეთის მიერ მსოფლიო ზესახელმწიფოს სტატუსის პრინციპულად ახალ საფუძველზე მოპოვების აუცილებლობისა და შესაძლებლობის ღრმა რწმენა“.

სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ ახლანდელი ნავთობსაგზაო კომპლექსი, ბირთვული იარაღი, სამრეწველო და კომუნალური ინფრასტრუქტურა, დიდწილად, საბჭოთა სპეციალისტების მიერაა შექმნილი. „სამამულო პრესტიჟი და ეროვნული კეთილდღეობა არ შეიძლება უსასრულობამდე წარსულის მიღწევებით განისაზღვრებოდეს. მართალია, ეს ჩვენს ქვეყანას ზედაპირზე ტივტივის საშუალებას აძლევს, მაგრამ მორალურად და ფიზიკურად აბერებს“, — დარწმუნებულია პრეზიდენტი.

„დადგა დრო, რომ ჩვენ, რუსეთის ხალხის დღევანდელმა თაობამ, ჩვენი სიტყვა ვთქვათ, ავიყვანოთ რუსეთი ცივილიზაციის განვითარების ახალ, გაცილებით მაღალ საფეხურზე“, — განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად რუსეთის საგარეო პოლიტიკა უკიდურესად პრაგმატული უნდა გახდეს. ამასთანავე, უნდა გაძლიერდეს მსოფლიოში რუსეთის ინტერესების გატარებისთვის მუშაობის კოორდინაცია. ქვეყნის მეთაურმა ხელისუფლებას დაავალა, წლის დასასრულამდე შეიმუშაოს ქვეყნის შიდა პრობლემების მოგვარებისთვის საგარეო პოლიტიკური საქმიანობის შედეგების შეფასების კრიტერიუმები. საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებზე საუბრისას პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მთავარი ძალისხმევა ევროპული უსაფრთხოების შეთანხმებისაკენ უნდა იქნას მიმართული. შეგახსენებთ, რომ მედვედევმა ევროპის უსაფრთხოების შეთანხმების შემუშავების ინიციატივა 2008 წლის 4 ივლისს ბერლინში წამოაყენა.

სინგაპურში, აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ფორუმზე გამოსვლისას კი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ფართომასშტაბიანი საერთაშორისო თანამშრომლობის გარეშე კრიზისის დაძლევა შეუძლებელი იქნება. „ჩვენ კრიზისს განვიხილავთ, როგორც სამამულო ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის აუცილებლობის მანიშნებელ კიდევ ერთ სიგნალს“, — განაცხადა. მისივე თქმით, კრიზისიდან თავის დაღწევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საერთაშორისო ვაჭრობის აღდგენაა.

# პუტინი მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ადამიანთა სამეულშია

**ამერიკულმა ჟურნალმა „Forbes“ მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ადამიანთა რეიტინგი გამოაქვეყნა. სხვადასხვა რეიტინგების შედგენით ცნობილმა გამოცემამ ამ სახის სია პირველად შეადგინა და ყველაზე გავლენიანთა შორის მესამე ადგილი ამ სიაში რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინს უკავია. სიის შემდგენლებმა პირველი ადგილი აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიაკუთვნეს, მეორე კი — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ხუ ძინტაოს.**



ზემოჩამოთვლილთა გარდა, ხუთეულში შევიდნენ აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელი ბენ ბერნანკე, რომელმაც მეოთხე ადგილი დაიკავა, და „Google“-ს დამფუძნებლები — სერგეი ბრინი და ლარი პეიჯი. მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი პერსონების ათეულს „Microsoft“-ის დამფუძნებელი ბილ გეიტსი ასრულებს.

მომდევნო ადგილები გადაინაწილეს მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს მმართველებმა და მაღალი თანამდებობების პირებმა, ასევე, სხვადასხვა სფეროებში ლიდერი კომპანიების დამფუძნებლებმა და სხვა ცნობილმა ადამიანებმა.

მაგალითად, იტალიის პრემიერი, სილვიო ბერლუსკონი XII ადგილზეა; გერმანიის კანცლერი, ანგელა მერკელი — XV-ზე; დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, გორდონ ბრაუნი — XXIX-ზე; საფრანგეთის პრეზიდენტი, ნიკოლა სარკოზი — 56-ზე; კორპორაცია „Apple“-ის ხელმძღვანელი, სტივ ჯობსი — 57-ზე; FIFA-ს პრეზიდენტი, იოზეფ ბლატერი — 53-ზე; მედიამაგნატი, რუპერტ მერდოკი — VII-ზე; მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი, უორენ ბაფეტი კი — XIV-ზე.

აღსანიშნავია, რომ ამერიკული ჟურნალის რეიტინგში, აგრეთვე, მოხვდნენ ტერორისტული ქსელის „ალ-ქაიდას“ მეთაური ოსამა ბინ ლადენი, რომელსაც სიის შემდგენებმა 37-ე ადგილი მიაკუთვნეს; ჩრდილოეთ კორეის ლიდერი, კიმ ჩენ ირი (24-ე ადგილი) და ცნობილი მექსიკელი ნარკობარონი, მექსიკაში ყველაზე მეტად ძებნილი დამნაშავე ხოაკინ „ელ ჩაპო“ გუსმანი (41-ე ადგილი).

„Forbes“-ში გამოქვეყნებულ რეიტინგს თან ახლდა სტატია, რომელიც სწორედ ამ რეიტინგის შედგენის დეტალებს განმარტავდა. მასში აღნიშნულია, რომ მსოფლიოს ყველაზე გავლენიან ადამიანთა რეიტინგში შესაყვანად კანდიდატებს რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით არჩევდნენ.

მაგალითად, ფასდებოდა იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებზეც ვრცელდება ამა თუ იმ ადამიანის გავლენა. ამასთანავე, ყურადღება ექცეოდა იმ ფინანსური სახსრების მოცულობას, რომელსაც რეიტინგის მონაწილე აკონტროლებდა.

გათვალისწინებულ იქნა კანდიდატების უნარიც — გავლენა მოახდინონ ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე.

ყურადღება ექცეოდა კიდევ ერთ საკითხს, კერძოდ კი იმას, თუ რამდენად ფართოდ იყენებს სიის მონაწილე საკუთარ გავლენას.

ამ „ნომინაციაში“ გამარჯვებულად, ანუ საკუთარი გავლენის ფართოდ გამოყენების მაგალითად „Forbes“-მა რუსეთის პრემიერი — ვლადიმერ პუტინი დაასახელა, რომელიც „ოლიგარქებს ციხეში სვამს, მეზობელ ქვეყნებში ჯარები შეჰყავს და დროდადრო გაზის მიწოდებას უწყვეტს ევროპას“.

# ვინაა ყველაზე სასურველი საქმრო?

**ბრიტანული „Tatler“-ის მიხედვით, ყველაზე სასურველი საცოლეებისა და საქმროების რეიტინგს სათავეში „ფორმულა-1“-ის მფლობელი 79 წლის ბერნი ეკლსტოუნი უდგას. რეიტინგის სრული ვერსია მხოლოდ დეკემბერში გამოქვეყნდება.**



2009 წლის მარტში ბერნი ეკლსტოუნი 25-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ ყოფილ მოდელთან — სლავიკა რადიჩთან განქორწინდა. სლავიკა მეუღლეზე 29 სანტიმეტრით მაღალი და 28 წლით უმცროსი გახლდათ. ახლა ყველაზე სასურველი საქმრო 4 მილიარდი დოლარის მფლობელია და ბრიტანეთის 30 უმდიდრესი ადამიანის სიაში საპატიო ადგილს იკავებს.

# ვინ გაუძლო თეთრ დათვებს?

**17 წლის კანადელი, რომლის სახელიც არ ხმაურდება, ბიძასთან ერთად სანადიროდ წავიდა, მაგრამ გზაში დაიკარგა და ყინულის დიდ ნაგლეჯზე აღმოჩნდა, რომელიც ნაპირს მოსწყდა და წყლით აღმოჩნდა გარშემორტყმული.**

ბიჭი ამ ყინულოვან კუნძულზე დედა დათვთან და მის ორ ბელთან ერთად აღმოჩნდა.

პოლარული დათვი საშიში მტაცებელია, რომელიც მუდმივად ესხმის თავს ადამიანებს. თავის გადასარჩენად ბიჭს დედა დათვის მოკვლა მოუხდა, ამის შემდეგ ბელებს მასზე თავდასხმის ეშინოდათ. ახალგაზრდა მონადირე მთელი დღე-ღამის განმავლობაში იძებნებოდა; პოვნის შემდეგ კი სხეულის გადაციების გამო საავადმყოფოში წაიყვანეს.



# აშშ წყალს მიაქვს, ჩინეთი — მეწყერს

**ფინანსური კრიზისი დღითიდღე უფრო მეტად აყენებს ეჭვქვეშ ამერიკის შეერთებული შტატების პრეტენზიას — დარჩეს ერთადერთ ზესახელმწიფოდ და ეკონომიკურ ლიდერად მთელს მსოფლიოში. ამ კვირაში პეკინში ბარაკ ობამას ვიზიტისას ვერაფერი დაფარავს იმ ფაქტს, რომ აშშ-ის პრეზიდენტი თავის ყველაზე მსხვილ კრედიტორ ქვეყანას ეახლა. თუმცა ამერიკის ეკონომიკის განუხრელი ვარდნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს საბოლოო კრახს.**



ისინი, ვისაც ამერიკის ჩაძირვა ეჩქარება და ახარებს, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გლობალური ეკონომიკის მედროშე პლანეტაზე უმსხვილესი საგარეო ვალის ყულფშია თავგაყოფილი და თავის განუხრელად დასუსტებად ვალუტასთან ერთად ფსკერისკენ მიექანება. ნეიტრალური აზრის თანახმად, ფინანსური კრიზისი ყველაზე მეტად ხელს აძლევს ჩინეთს, რომელიც მთელი სერიოზულობით ემუქრება აშშ-ის ჰეგემონიას. ეკონომიკური ძლევამოსილების ეს გადანაწილება კი აშშ-ის საერთო ვარდნის წინაპირობად ცხადდება.

ამერიკის ისტორიაში მსგავსი რამ პირველად არ ხდება. 1980-იანი წლების დასასრულამდე აშშ-ში ბიუჯეტი სერიოზულ დეფიციტს განიცდიდა და ყველაფერი ევროპული და იაპონური კაპიტალის შედინებაზე იყო დამოკიდებული. შესაბამისად, იზრდებოდა მათზე დამოკიდებულებაც. მაშინ მდგომარეობა შეიცვალა, მაგრამ ახლა ამერიკა გარდაუვალი ეკონომიკური ვარდნის წინაშე დადგას, რაც მსოფლიო საერთო შიდა პროდუქტში მისი წილის შემცირებით გამოიხატება. გლობალიზაციამ და ეკონომიკის შიდა ლიბერალიზაციამ ჩინეთსა და ინდოეთს საშუალება მისცა, მსოფლიოს საერთო შიდა პროდუქტში საკუთარი წილი თავიანთი სიდიდისა და ისტორიული მნიშვნელობის შესაბამისი გაეხადათ.

შესაძლოა, 80-იანი წლების უიმედო პროგნოზები სწორედ ახლა მართლდება. ვარდნის შიდა მიზეზები, მოხმარების ზრდა, დანაზოგების ამოწურვა, საწარმოო სექტორზე ფინანსურ-საბანკო სექტორის გაბატონება, უთანასწორობა, კორუფცია, გადასახადებისა და ვალების გადაუხდელობაა. ასე თვლიდა ეკონომიკის ისტორიის სპეციალისტი ჩარლზ კინდლბერგერი. ამერიკის გულშემატკივრები იტყვიან, რომ ამ ფაქტორებიდან მრავალი 1929 წელსაც სახეზე იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაშინ ჰეგემონია ბრიტანეთისგან მაინც ამერიკას გადაეცა.

ახლა ამერიკის ვარდნის უმთავრეს მიზეზად ჯანსაღი ფისკალური პოლიტიკის გატარების უუნარობა ითვლება. ოფიციალური პროგნოზების თანახმად, მოსალოდნელია ბიუჯეტის უპრეცედენტო მასშტაბების დეფიციტი. მიმდინარე წელს დეფიციტი 1,5 ტრილიონ დოლარს უახლოვდება და 2020 წლამდე წელიწადში თითქმის 1 ტრილიონი დოლარის ტოლი გახდება, — თვლიან ეკონომიკის ექსპერტები. შედეგად, მიმდინარე ბალანსის დეფიციტი ახლანდელი სარეკორდო დონიდან, საერთო შიდა პროდუქტის 6%-დან 2030 წლამდე 15%-ს მიაღწევს, იმავე პერიოდში საგარეო ვალი 3,5 ტრილიონი დოლარიდან 40 ტრილიონამდე გაიზრდება.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, გამორიცხული არაა, რომ ჩინეთის კონკურენტუნარიანობა გადაჭარბებულია. ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ჩინური სავალუტო რეზერვები იენის ზრდის საწინააღმდეგო კოლოსალური ინტერვენციების შედეგია. ჩინეთის საერთო შიდა პროდუქტის ორ მეხუთედს ექსპორტი შეადგენს, დოლარზე უარის თქმა კი მის რეზერვებს გააუფასურებს. „ჩინეთი არის ქვეყანა, სადაც მთელი დანარჩენი მსოფლიო ვალუტის გადაცვლის გამრუდებული კურსის პირობებში მუშახელსა და საამქროებს ხელოვნურად დაწეულ ფასად ქირაობს“, — აღნიშნავს თავის სტატიაში „Die Zeit“-ის თანარედაქტორი იოზეფ იოფფე. დემოგრაფიული მდგომარეობა ჩინეთს აიძულებს, „გამდიდრებამდე დაბერდეს“, — დასძენს იგი. „Goldman Sachs“-ის გათვლებით, 2050 წლისათვის ჩინეთში შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა 3%-ით შემცირდება, ეს კი უდიდეს პრობლემებს შეუქმნის პოლიტიკოსებს.



ვერ უარვყოფთ, რომ ჩინეთმა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სწრაფი სამრეწველო რევოლუცია მოახდინა, მსოფლიო კი მრავალპოლარულობისაკენ მიდის. რაც შეეხება ამერიკას, მსოფლიოში ყველაზე მოქნილად აღიარებული ეკონომიკის გადასარჩენად მის ხელისუფლებას — ფისკალურ სფეროში პრობლემების მოგვარება, მოსახლეობას კი შავი დღისთვის მეტის დაზოგვა მოუწევთ.

# რატომ ანგრევენ ჩინეთის კედელს?

**ქალაქ ხუხ-ხოტოს ოქროსმაძიებელი კომპანიის თანამშრომლებმა იმდენი თხარეს, რომ ჩინეთის კედელსაც გამოუთხარეს ძირი და დაახლოებით 100 მეტრის სიგრძის მონაკვეთზე მისი ნგრევა გამოიწვიეს.**

ადგილობრივი ექსპერტების მტკიცებით, ეს მონაკვეთი აღდგენას აღარ ექვემდებარება. საუბარია ძინის დინასტიის მმართველობისას (221-207 წლები ჩვენს ერამდე) აშენებულ კედლის მონაკვეთზე.

ქალაქის ხელისუფლებამ არაერთხელ მოთხოვა ოქროს მაძიებლებს, შეეწყვიტათ ძიება კედლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ საქმე მაინც ამგვარ შედეგამდე მივიდა.

ჩინეთის კანონმდებლობის თანახმად, დიდი კედლის დაზიანების გამო დამნაშავეები, შესაძლოა, ნახევარი მილიონი იუანით (დაახლოებით 73 ათასი დოლარი) დაჯარიმდნენ და ათწლიანი ვადით ციხეშიც მოხვდნენ.



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net


## ქრონოგრაფი

# რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 18-დან 25 ნოემბრამდე?

### 18 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**თუ ცნობისმოყვარეობა სერიოზულ პრობლემებს ეხება, ამას უკვე შეცნობის წყურვილი ეწოდება.**
**მარია ფონ ებნერ-ეშენბახი**

**1720 წელს** დაიბადა ქართლ-კახეთის მეფე, დიდი სარდალი ერეკლე II.
**1775 წელს** ეკატერინე II-მ რუსეთში გუბერნიები შექმნა.
**1901 წელს** ინგლისმა და აშშ-მა ხელი მოაწერეს შეთანხმებას წყნარ და ატლანტის ოკეანეებს შორის ერთობლივი არხის გაყვანის შესახებ.
**1917 წელს**, პირველად საპატრიარქოს გაუქმების შემდეგ, პეტრე I-მა აირჩია სრულიად რუსეთის პატრიარქი.
**1918 წელს** ლატვიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.
**1927 წელს** დაიბადა ცნობილი რეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი, პოეტი ელდარ რიაზანოვი.
**1956 წელს** ამერიკელ დიპლომატებთან შეხვედრისას ნიკიტა ხრუშჩოვმა მათ განუცხადა: „დაგმარხავთ!“
**1969 წელს** ამერიკელი ასტრონავტები ისტორიაში მეორედ გადასხდნენ მთვარეზე.

### 19 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**მეცნიერება ამშვიდებს, ხელოვნება კი იმისთვის არსებობს, რომ მოსვენება არ მოგვცეს.**
**ჟორჟ ბრაკი**

**1493 წელს** კოლუმბმა აღმოაჩინა პუერტო-რიკო.
**1703 წელს** ბასტილიაში გარდაიცვალა რკინის ნიღბიანი იდუმალი ტუსაღი.
**1711 წელს** დაიბადა მსოფლიო მნიშვნელობის პირველი რუსი მეცნიერი, მხატვარი, ისტორიკოსი მიხეილ ლომონოსოვი.
**1805 წელს** დაიბადა ფრანგი დიპლომატი და ინჟინერი, სუეცის არხის შემქმნელი ფერდინანდ ლესეპსი.
**1858 წელს** გამოცხადდა ჩრდილოეთ ამერიკაში ინგლისის უკანასკნელი კოლონიის — ბრიტანეთის კოლუმბიის შექმნა.
**1888 წელს** დაიბადა კუბელი მოჭადრაკე, მსოფლიოს მესამე ჩემპიონი ხოსე კაპაბლანკა.
**1969 წელს** ბრაზილიელმა ფეხბურთელმა პელემ ოფიციალურ მატჩებში თავისი მე-100 გოლი გაიტანა.
**1991 წელს** შევარდნაძე ხელახლა დაინიშნა სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრად.

### 20 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**ყველა ჩვენგანს აქვს ერთი ღუზა, რომელსაც, თუ თავადვე არ მოისურვებ, ვერ მოწყდები: პასუხისმგებლობის გრძნობა.**
**ივანე ტურგენევი**

**284 წელს** იმპერატორის დაცვის უფროსი დიოკლეტიანე მისმა ჯარისკაცებმა რომის იმპერიის იმპერატორად გამოაცხადეს.
**1602 წელს** დაიბადა გერმანელი მეცნიერი, მაგდებურგის ბურგომისტრი ოტო ფონ ჰერიკე, რომელმაც ვაკუუმის არსებობის შესაძლებლობა დაადასტურა.
**1710 წელს** თურქეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს.
**1818 წელს** სიმონ ბოლივარმა ვენესუელა ესპანეთისგან დამოუკიდებლად გამოაცხადა.
**1829 წელს** ებრაელებს აეკრძალათ ნიკოლაევსა და სევასტოპოლში დასახლება.
**1910 წელს** გარდაიცვალა დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი.
**1944 წელს** პიკადილზე, სტრენდსა და ფლიტ-სტრიტზე 1939 წლის შემდეგ პირველად ლონდონის ქუჩის ფანრები აინთო.
**1945 წელს** გერმანული ფაშიზმის ლიდერთა წინააღმდეგ ნიურნბერგის პროცესი დაიწყო.

### 21 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**ბავშვის დასჯის უფლება არ აქვს იმ პიროვნებას, ვინც ამ ბავშვს არ უყვარს.**
**ჯონ ლოკი**

**1644 წელს** დაიბადა ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი ფრანსუა ვოლტერი.
**1789 წელს** ჩრდილოეთი კაროლინა აშშ-ის მე-12 შტატი გახდა.
**1806 წელს** ნაპოლეონმა კონტინენტური ბლოკადა გამოუცხადა ინგლისს.
**1818 წელს** რუსეთის იმპერატორმა, ალექსანდრე I-მა პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შექმნის წინადადება შემოიტანა.
**1937 წელს** ჰიტლერმა გერმანიის პირველი ავტობანი გახსნა.
**1990 წელს** ლონდონში, კრისტის აუქციონზე სტრადივარიუსის ვიოლინო 947,500 გირვანქა სტერლინგად (1,572,850 დოლარი) გაიყიდა.
**1995 წელს** აშშ-ში, დეიტონში, სერბიას, ხორვატიასა და ბოსნიას შორის ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას.

# 7 შეშლილი გენიოსი

**ისტორიამ ბევრი შეშლილი გენიოსი იცის. მათ შორისაა შვიდი უბრწყინვალესი ტალანტი, რომლებსაც გენიალობის მიუხედავად, გვარიანად „აკლდათ.“**



**პითაგორა,**
**ბერძენი მათემატიკოსი**
**(ჩვ.წ.აღ.-მდე დაახლოებით 575-500 წ.წ.)**

მის თეორემას სკოლაში გვასწავლიდნენ, თუმცა, ამის გარდა, ის პირველი მეცნიერი იყო, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ბუნებრივი მოვლენების ახსნა მათემატიკურად შესაძლებელი იყო. ამასთან, სწორედ პითაგორას შთაგონებით დაწერა პლატონმა დემოკრატიის თეორია.

სამაგიეროდ, პითაგორამ საკუთარი რელიგია — პითაგორეიზმი გამოიგონა, რომელიც ორ ძირითად დოგმას ეყრდნობოდა: სულების გადასახლება და ბოროტი... მარცვლეული. მისი ძირითადი დირექტივები იყო: არავითარ შემთხვევაში არ იკვებოთ მარცვლეულით; კარგად გაასწორეთ ბალიშისპირი; არ დაიძინოთ საწოლის გარდიგარდმო; არ ისეირნოთ შარაგზაზე; არ მისცეთ ნება მერცხლებს, თქვენს ჭერქვეშ დაიბუდონ.



**მიქელანჯელო,**
**რენესანსის ეპოქის მხატვარი**
**(1475-1564 წ. წ.)**

მსოფლიოს მხატვრებიდან მხოლოდ ოთხს ერგო პატივი, მისი სახელით მოენათლათ ერთ-ერთი „კუ ნინძა.“ მიქელანჯელო ერთი მათგანი იყო. მისი ნახატები დღემდე მსოფლიოს ყველაზე ცნობილ ნამუშევრებს მიეკუთვნება.

სამაგიეროდ, ეს გენიოსი ძალიან იშვიათად ბანაობდა, პრაქტიკულად არ იცვლიდა ტანსაცმელს და ფეხსაცმლის გაუხდელად ეძინა. მხატვრის თანაშემწის თქმით, დაუბანელ გენიოსს კანი გველის ტყავივით ეფცქვნებოდა. ამასთან, ის აუტიზმით იტანჯებოდა და იშვიათად ურთიერთობდა ვინმესთან. მიქელანჯელომ ხელოვნებას შესწირა ყველაფერი.

**ემპედოკლე,**
**ბერძენი მეცნიერი და ფილოსოფოსი**
**(ჩვ.წ.აღ.-მდე 490-430 წ. წ.)**




ემპედოკლემ უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა მეცნიერების განვითარებაში. იესოს დაბადებამდე 450 წლით ადრე ემპედოკლემ აღმოაჩინა, რომ:

სინათლე გარკვეული სიჩქარით მოძრაობს;

დედამიწას ბურთის ფორმა აქვს;

ჰაერი სუბსტანციაა;

ევოლუციის თეორია;

მედიცინის იტალიური სკოლა.

სამაგიეროდ, ემპედოკლეს სჯეროდა, რომ ღმერთი იყო. თავის უკვდავებაში ყველა სკეპტიკოსის დასარწმუნებლად, ემპედოკლემ განაცხადა, რომ ეტნას ვულკანში ჩახტება და უკან საღსალამათი ამოხტება. პოეტ რიჩარდ ოსბორნის თქმით: „დიდი ემპედოკლე, ცოდვილი სული, ეტნაში ჩახტა და დაიფერფლა.“



**ლორდი ბაირონი,**
**ინგლისელი პოეტი**
**(1788-1824 წ. წ.)**

შექსპირის შემდეგ მას ინგლისის ყველაზე ნიჭიერ პოეტად მიიჩნევენ. 14 წლისამ გამოაქვეყნა პირველი ლექსები. მისი „დონ-ჟუანი“ დღესაც ინგლისური პოეზიის მარგალიტია.

სამაგიეროდ, ბაირონს ჰყავდა დათვი, რომელიც მის ოთახში ცხოვრობდა. პოეტი მას ხშირად ასეირნებდა. საერთოდაც, ბაირონს ცხოველები უყვარდა: ჰყავდა 10 ცხენი, 8 ძაღლი, 3 მაიმუნი, 5 კატა, არწივი, ყორანი, შევარდენი, რომლებიც პოეტის სახლში ბინადრობდნენ და თავისუფლად დასეირნობდნენ. პოეტს სხვა გატაცებაც ჰქონდა: სამხედრო ადმირალობანას თამაში. მან ორი მომცრო ქვის ციხე-კოშკი ააგო, ხოლო ტბაში სათამაშო ხომალდებისგან შემდგარი საკუთარი ფლოტი გაუშვა.



**ტიჰო ბრაგე,**
**დანიელი ასტრონომი**
**(1546-1601 წ. წ.)**

ტიჰო ცნობილია უზუსტესი ასტრონომიული გათვლებით. იმ დროს, როცა ოპტიკური ასტრონომია ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერება იყო, ბრაგემ რამდენიმე უმნიშვნელოვანი აღმოჩენა გააკეთა, მათ შორის, პლანეტარული მოძრაობის კანონებიც.

სამაგიეროდ, წვეულებების გამართვისას, სადაც საპატივცემულო სტუმრებს პატიჟებდა, სუფრის ქვეშ მუდმივად ეჯდა უტყვი ჯუჯა, კაცმა არ იცის, რისთვის.

**ნიკოლა ტესლა,**
**ფიზიკოსი და ინჟინერი**
**(1856-1943 წ. წ.)**



მისი სახელი მეცნიერებისთვის უაღრესად ბევრს ნიშნავს, თუმცა საყოველთაო აღიარება მან გარდაცვალების შემდეგ მოიპოვა. რობერტ ლომასმა მას უწოდა „კაცი, რომელმაც მე-20 საუკუნე შექმნა.“ ნიკოლა ტესლამ უმთავრესი როლი შეასრულა აღმოჩენებში: რადიო, ელექტრობა, კომპიუტერი, რობოტექნიკა, რადარი, ბალისტიკა, ბირთვული ფიზიკა.

სამაგიეროდ, ტესლას ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა ჰქონდა. ხელს არ აკარებდა ოდნავ მტვრიან საგანსაც კი. შენობაში შესვლის წინ მას აუცილებლად სამჯერ შემოუვლიდა გარს. ოტელში დაბინავებისას კი ითხოვდა ოთახს, რომლის ნომერი უთუოდ უნდა გაყოფილიყო სამზე. ტრაპეზისას ტესლა მუდამ 18 ხელსახოცს იყენებდა.

**იუკიო მიშიმა,**
**იაპონელი მწერალი**
**(1925-1970 წ. წ.)**



24 წლის იუკიომ გამოაქვეყნა წიგნი „ნიღბის აღსარება,“ რის წყალობითაც იგი იაპონიის ლიტერატურულ ელიტას მიაკუთვნეს. მომდევნო 20 წლის განმავლობაში მან კიდევ 20 სალიტერატურო ნაშრომი გამოსცა და სამჯერ იყო ნომინირებული ნობელის პრემიაზე.

სამაგიეროდ, მიშიმამ შექმნა ტაკენოკაის კულტი, ანუ „დამცავი საზოგადოება,“ რომელშიც თინეიჯერ ბიჭებთან ერთად გაერთიანდა. ისინი თაყვანს სცემდნენ არა მხოლოდ მიშიმას, არამედ იაპონიის იმპერატორსაც...

# საბედისწერო სახელები

**XVIII საუკუნის მეცნიერმა და ექიმმა ეიზენაჰ პაულინიმ გამოკვლევების შედეგად აღმოაჩინა, რომ არსებობს... საბედისწერო სახელები. ასეთი სახელების ჩამონათვალშია ჰენრიხი (საფრანგეთის ყველა მეფე, რომელსაც ეს სახელი ერქვა, ბუნებრივი სიკვდილით არ აღსრულებულა), ნიკიფორე (ბიზანტიის ყველა მმართველს ამ სახელმა უბედურება მოუტანა), ფილიპე (ესპანეთის ტახტზე მსხდომ ყველა ფილიპეს ცუდი ბედი ეწია), რიჩარდი (ინგლისელი მეფეები, ვისაც ეს სახელი ერქვა, ძალადობრივი სიკვდილით დაიღუპნენ).**

გენიალური მხატვარი-აბსტრაქციონისტი პიკასო მსოფლიოში სახელგანთქმული ფერმწერია, მაგრამ ცოტამ თუ იცის მისი სრული სახელი და გვარი: პაბლო დიეგო ხოსე ფრანსისკო დე პაულა ხუან ნეპომუკენო კრისპიან კრისპიანო დე ლა სანტოსიმო ტრინიდად რუიზ პიკასო!

სოსტრატი, რომელმაც სახელი გაითქვა ფაროსის (ალექსანდრიის) შუქურის აგებით, ერთობ ამაყობდა თავისი ქმნილებით და, რასაკვირველია, სურდა, რომ ამ შედევრის ავტორის სახელი ყველას სცოდნოდა. არადა, მეფე პტოლომეუსმა გადაწყვიტა, რომ შუქურაზე მხოლოდ მისი სახელი უნდა ყოფილიყო აღბეჭდილი. მაშინ საზრიანმა სოსტრატმა ხერხს მიმართა: შუქურის კედელზე თავისი სახელი აღბეჭდა, ზემოდან ბათქაში დაფარა, რომელზეც წააწერა „პტოლემეუსი.“ მეფე კმაყოფილი დარჩა, თუმცა განვლო წლებმა, პტოლემეუსი აღესრულა, ბათქაში ჩამოცვივდა და დარჩა მხოლოდ შემქმნელის სახელი — სოსტრატი.

პითაგორელებმა სახელებით მარჩიელობას ონომანტია უწოდეს. ონომანტიის გამოყენებით შესაძლებელია პასუხი გაეცეს კითხვებს: რატომ დაამარცხა ველინგტონმა ნაპოლეონი, კლინტონმა — ბუში, კაპაბლანკამ — ლასკერი და აქილევსმა — ჰექტორი! ონომანტიის პასუხი ასეთია: ჩვეულებრივ, იმარჯვებს ის, ვისი სახელიც უფრო გრძელია.

# ინდიგო ბავშვები

**უწინ მეცნიერება მიიჩნევდა, რომ მას შემდეგ, რაც დედამიწაზე ჰომო საპიენსი გაჩნდა, ევოლუცია შეჩერდა. მართლაც, მას შემდეგ არც ერთი ახალი ბიოლოგიური სახეობა არ წარმოქმნილა, თუმცა შესაძლოა, ჩვენ სწორედ ახლა ვართ ევოლუციური ნახტომის მომსწრე, თანაც ჩვენივე სახეობის განვითარებაში. ინდიგო ბავშვები უფრო შემოქმედებითი და დამოუკიდებელი არიან, ვიდრე ჩვეულებრივი ბავშვები და მოზარდები. ისინი აღტაცებას, შიშსა და ცნობისმოყვარეობას იწვევენ.**



გარეგნულად ინდიგო არაფრით განსხვავდება სხვა ადამიანებისგან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თვალებს — მათ უფრო ნათელი და ბრძნული მზერა აქვთ.

სამაგიეროდ, მათი აურა ყველასგან განსხვავდება — ხასხასა იისფერია. ამ ფერს სხვაგვარად, ინდიგოსაც უწოდებენ.

ინდიგო ბავშვები ისეთ უნარებსაც ფლობენ, რომლებიც ჩვეულებრივი ადამიანის ცოდნასა და შესაძლებლობებს აღემატება. გარდა ამისა, ისინი ერთმანეთს ნებისმიერ მანძილზე გრძნობენ. ზოგიერთ მათგანს თავისნაირებთან ან სხვა ადამიანებთან ტელეპატიური კონტაქტის დამყარება და ჩვენი პლანეტის საინფორმაციო ველიდან — ნოოსფეროდან ინფორმაციის მიღებაც შეუძლია; ასევე მათ შესწევთ უნარი, დაინახონ ადამიანის შინაგანი ორგანოები, წაიკითხონ წიგნი ხელისგულებით ან ტერფებით და დეტალურად გაიხსენონ თავიანთი წინა ცხოვრება. ამასთან, ზოგიერთი მათგანი განსაკუთრებული იმუნიტეტის მფლობელია. 90-იანი წლების ბოლოს აშშ-ში აივ-ინფიცირებულ მშობლებს ვაჟი შეეძინათ. ანალიზებმა უჩვენა, რომ ბავშვიც დაინფიცირებული იყო, თუმცა ექვსი წლის შემდეგ განმეორებით ანალიზებში აღმოჩნდა, რომ ინფექცია უკვალოდ გამქრალიყო. მაშინ მეცნიერებმა გადაწყვიტეს, დნმ-ის ანალიზი ჩაეტარებინათ. ადამიანის დნმ-ი, ჩვეულებრივ, 64 კოდონს — გენეტიკური ინფორმაციის მატარებელს შეიცავს, თუმცა მათგან გამუდმებით მხოლოდ 20 „მუშაობს." აღმოჩნდა, რომ ამ ბავშვს 24 კოდონი უმუშავებდა.

ამერიკელმა ფსიქოლოგმა ლი კეროლმა თავის წიგნში „ინდიგო ბავშვები" მათი ოთხი ტიპი და ცხოვრებისეული პროგრამები დაახასიათა:

**ჰუმანისტები**. ისინი მომავალში ექიმები, იურისტები, მასწავლებლები, ბიზნესმენები, პოლიტიკოსები, მეცნიერები იქნებიან. გადაჭარბებული კომუნიკაბელურობისა და ჰიპერაქტიურობის გამო ზოგჯერ მოუქნელნი არიან;

**კონცეპტუალისტები**. გავრცელებული ტიპია. ესენი მომავალი ინჟინრები, არქიტექტორები, დიზაინერები, კოსმონავტები, სამხედრო მფრინავები და მოგზაურები არიან. აქვთ კარგი აღნაგობა და ახასიათებთ მისწრაფება ლიდერობისკენ.

**მხატვრები**. ძალიან უჭირთ თანამედროვე პირობებთან შეგუება. ერთობ მგრძნობიარენი და ნატიფები არიან. ყველაფერს შემოქმედებითად უდგებიან. 5-6 სხვადასხვა ინსტრუმენტზე ერთნაირად კარგად უკრავენ.

**სხვადასხვა განზომილების პირმშონი**. ამ ბავშვებმა ყველაფერი იციან. ჯერ კიდევ მცირეწლოვანები მშობლებს ჭკუას არიგებენ, ყველაფერს დამოუკიდებლად აკეთებენ. გამოჩენილი პიროვნებები ხდებიან. ქმნიან ახალ ფილოსოფიასა და რელიგიას.

ჩვეულებრივი მოზარდებისგან ინდიგო ბავშვები საქციელითა და შინაგანი მისწრაფებებით გამოირჩევიან. ისინი არ ცნობენ ავტორიტეტებსა და საყოველთაოდ დადგენილ წესებს. სხვაგვარად აღიქვამენ რეალობას, პრობლემების გადაჭრის უცნაურ და უჩვეულო გზებს გამოძებნიან.

თანამედროვე ინდიგოთაგან ყველაზე ცნობილი მსახიობი ორლანდო ბლუმია. ბავშვობაში ის დისლექსიით იტანჯებოდა, სამაგიეროდ, უამრავ სხვა ტალანტს ფლობდა. ინდიგოთა შორის ასახელებენ მსახიობ ოქსანა აკინშინას, მსახიობსა და ტელეწამყვან ივან ურგანტს, პიანისტ პოლინა ოსეტინსკაიას, კომპოზიტორ იგორ ვდოვინსა და ჟურნალისტ ევგენი კისელიოვს.

# ბიბლიის საიდუმლო კოდი

**რა ინფორმაციის გადმოცემა სურდათ ჩვენთვის უძველესი ხნის ბრძენთ, წმინდა წიგნთა უცნობ ავტორებს? ახლახან ამ თემას კიდევ ერთი გამოკვლევა მიეძღვნა. ისრაელელი კარტოგრაფის ბორის გოლდინოვის აზრით, დიადი გონისთვის, რომელიც ბიბლიური ტექსტის მიღმა იმალება, სიტყვები საკმარისი არ აღმოჩნდა და მან გზავნილს გამოსახულებანიც დაურთო.**



კომპიუტერული კვლევის საგნად იქცა 1975 წელს ივრითზე გამოცემული თორა, რომელშიც გოლდინოვმა 25 ნახაზი აღმოაჩინა. ყოველი მათგანი გულდასმითაა შესრულებული, ასოების, გვერდებისა და აბზაცთა განლაგების შეფარდებათა გათვალისწინებით. თითოეულ ასოს წიგნში თავისი ადგილი უკავია, რათა ინფორმაცია მოგვაწოდოს მომავალში.

გოლდინოვი ბიბლიურ ნახაზებს სიტყვების მიხედვით აღადგენდა. მაგალითად, ერთ გვერდზე არის რამდენიმე სიტყვა, რომლის ფუძეს წარმოადგენს „ჰანიტ" — შუბი. მათი შეერთების შემთხვევაში შუბის გამოსახულებას მივიღებთ. ბევრი ნახატი სამგანზომილებიანია. სტრიქონებს შორის გამოსახულია, აგრეთვე, ისარი, მახვილი, ქვის დაფა, რომელზეც მცნებები იწერებოდა, აგური, მაგიდა, კარავი, სახლი, ციხე-კოშკი, საყურე, დოქი, თასი, ბორბალი, ორთვალა, დროშა, ქამარი, მენორა — ებრაელთა ნაციონალური შვიდსანთლიანი შანდალი და სხვა საგნები, ამასთან, ცოცხალი არსებებიც — მცენარეები და ცხოველები.



ავტორი ასეთ დამთხვევებს შემთხვევითობად არ მიიჩნევს და ვარაუდობს, რომ თორას უცნობი ავტორი ამ გზით შეეცადა მისი მკითხველებისთვის რომელიღაც საიდუმლო კოდი მიეწოდებინა.

გამოკვლევაში მონაწილეობდა მეცნიერი ვიქტორ გუსკოვიც, რომლის თქმითაც, თორას გეომეტრიული ალგორითმი შემთხვევით არ წარმოქმნილა.

ცნობა: თორა ტრადიციული ძველებრაული სახელწოდებაა ბიბლიური ხუთწიგნეულისა (დაბადება, წიგნი გამოსვლათა, წიგნი ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე სჯულისა). ივრითზე დაწერილი ეს წიგნები ძველ აღთქმას შეადგენს, რომელიც სამყაროს შექმნიდან მოსეს აღსასრულამდე მომხდარ მოვლენებზე მოგვითხრობს. უძველეს დროში, დიდი მოცულობის გამო, თორას 5 პერგამენტის გრაგნილზე წერდნენ. მეცნიერთა შეფასებით, წიგნი, სულ მცირე, 2 000 წლისაა.

დიადი გონი გვაფრთხილებს: ყველაფერი გეგმის მიხედვით, ანუ აპოკალიფსისკენ მიდის!

გოლდინოვის გამოკვლევები სულაც არ არის ბიბლიაში დაფარული საიდუმლოს ამოცნობის პირველი მცდელობა.

დიდ ინგლისელ მეცნიერ ისააკ ნიუტონს სჯეროდა, რომ ბიბლია ღვთის მიერ შექმნილი კრიპტოგრამაა, რომლის ამოხსნაც მომავლის კითხვებზე პასუხის გაცემის საშუალებას მოგვცემს. ცხოვრების ნახევარი ნიუტონმა სწორედ ძველი აღთქმის გაშიფვრასა და აპოკალიფსის თარიღის დადგენას შეალია. ნიუტონის ხელნაწერში, რომელიც რამდენიმე წლის წინათ იერუსალიმის ბიბლიოთეკაში აღმოაჩინეს, სამყაროს დასასრული 2060 წელსაა „დანიშნული." მანამდე კი კაცობრიობას დამანგრეველი ომები და გლობალური ეპიდემიები ემუქრება. ნიუტონმა ბიბლიაში ამოიკითხა, ასევე, რომ 2060 წელს დედამიწაზე ჩამოვა მესია, რომელიც ათასწლეულის განმავლობაში ერთპიროვნულად მართავს სამყაროს.

წიგნში „გამოსახულებები" 1997 წელსაც აღმოაჩინა მკვლევარმა დინ კუმბსმა, რომლის თქმითაც, გარკვეული თანმიმდევრობით აღებული სიტყვები და წინადადებები პიქტოგრამებს ქმნის.

## ქრონოგრაფი

# რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 18-დან 25 ნოემბრამდე?

### 22 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**უმაღლესი ძალაუფლება საკუთარ თავზე ბატონობაა, საკუთარი ვნებებისადმი დამორჩილება კი ყველაზე საზარელი მონობა.**
**სენეკა ლუციუს ანეუსი**

**1497 წელს** პორტუგალიელმა მეზღვაურმა ვასკო და გამამ კეთილი იმედის კონცხს შემოუარა.
**1515 წელს** დაიბადა საფრანგეთის პრინცესა, შოტლანდიის დედოფალი, მარიამ სტიუარტის დედა მარია დე გიზი.
**1718 წელს** ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული 25 ჭრილობის შედეგად ბრძოლაში დაიღუპა ცნობილი ინგლისელი მეკობრე ედვარდ ტიჩი, მეტსახელად „შავწვერა."
**1801 წელს** დაიბადა რუსი ქირურგი, მწერალი, ბოტანიკისა და ზოოლოგიის სახელმძღვანელოთა ავტორი, რუსული გეოგრაფიული საზოგადოების დამფუძნებელი, „რუსული განმარტებითი ლექსიკონის" შემდგენელი ვლადიმერ დალი.
**1808 წელს** დაიბადა ინგლისელი ბიზნესმენი, მსოფლიოში პირველი ტურისტული სააგენტოს დამფუძნებელი თომას კუკი.
**1890 წელს** დაიბადა საფრანგეთის პრეზიდენტი, გენერალი, წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერი შარლ დე გოლი.
**1916 წელს** თავი მოიკლა ინგლისელმა მწერალმა ჯეკ ლონდონმა.
**1918 წელს** პოლონეთი რესპუბლიკად გამოცხადდა.
**1946 წელს** ინგლისის სავაჭრო ქსელში პირველად გამოჩნდა ბურთულიანი კალმები.
**1975 წელს** ესპანეთში მონარქია აღდგა.
**1986 წელს** მაიკ ტაისონი მსოფლიოში ყველაზე ნორჩი ჩემპიონი გახდა კრივში.
**1990 წელს** გადადგა ინგლისის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი.

### 23 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**ცდუნება სუნამოა, რომლის სურნელსაც მანამ შეიყნოსავ, სანამ მთელი ფლაკონის დაუფლების სურვილი არ გაგიჩნდება.**
**ჟან პოლ ბელმონდო**

**1248 წელს** ქრისტიანულმა არმიამ დაიპყრო არაბთა მფლობელობაში არსებული სევილია.
**1492 წელს** ესპანეთის მეფე ფერდინანდმა განაცხადა, რომ ესპანელ ებრაელთა ქონება სამეფო ოჯახს ეკუთვნის.
**1877 წელს** აშშ-მა კანადას 5,5 მლნ დოლარი გადაუხადა წმინდა ლავრენტის მდინარეში მუდმივი თევზჭერისა და ნავიგაციის უფლებისთვის.
**1908 წელს** დაიბადა რუსი საბავშვო მწერალი, „არვიციას" ავტორი ნიკოლაი ნოსოვი.
**1910 წელს** ლონდონში ჩამოახრჩვეს მსოფლიოში რადიოს მეშვეობით დაკავებული პირველი ბოროტმოქმედი ჰ. კრიპენი.
**1923 წელს** იაკობ შიკმა დააპატენტა პირველი ელექტროსაპარსი.
**1936 წელს** გამოვიდა ჟურნალ „ლაიფის" პირველი ნომერი.
**1964 წელს** ინგლისის კათოლიკურმა ეკლესიამ უკანასკნელად გამოიყენა ლათინური ოფიციალური ლიტურგიისას.
**2003 წელს** ედუარდ შევარდნაძე საქართველოს პრეზიდენტის პოსტიდან გადადგა.

### 24 ნოემბერი

**დღის ციტატა:**
**ცხოვრება აუტანელად რომ არ მოგვეჩვენოს, უნდა შევეგუოთ დროის მიერ მოყენებულ ჭრილობებსა და ადამიანების მიერ ჩადენილ უსამართლობას.**
**შამფორ სებასტიან როში**

**1632 წელს** დაიბადა ჰოლანდიელი ფილოსოფოსი-რაციონალისტი ბენედიქტ სპინოზა.
**1729 წელს** დაიბადა დიდი რუსი მთავარსარდალი ალექსანდრე სუვოროვი.
**1826 წელს** დაიბადა იტალიელი ჟურნალისტი, „პინოქიოს" ავტორი კარლო კოლოდი.
**1864 წელს** დაიბადა ფრანგი მხატვარი იმპრესიონისტი ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი.
**1880 წელს** დაიბადა საუდის არაბეთის შემქმნელი და მეფე იბნ შაუდი.
**1615 წელს** საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIII-მ 15 წლის ასაკში იქორწინა ანა ავსტრიელზე.
**1642 წელს** ჰოლანდიელმა მეზღვაურმა ა. ტასმანმა კუნძული ტასმანია აღმოაჩინა.
**1659 წელს** დაიდო პირენეის ზავი, რომელმაც დაასრულა 24-წლიანი ომი საფრანგეთსა და ესპანეთს შორის.
**1963 წელს** მთელი ამერიკის თვალწინ ჩაცხრილეს პრეზიდენტ ჯ. კენედის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ლი ჰარვი ოსვალდი.
**1971 წელს** ვაშინგტონის შტატის თავზე პარაშუტით გადმოხტა ამერიკული ავიალაინერის გამტაცებელი ჯ. კუპერი, რომელმაც მანამდე გამოსასყიდის სახით მიიღო 200 000 დოლარი (მას ვერ მიაგნეს).

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

# აქტიურად მოძრაობდა უძრაობის პერიოდშიც!..



**გამომცემლობა „სახელგამი" თავისთავად ნიშნავდა სახელმწიფო გამომცემლობას, 1957 წლიდან კი ფუნქციონირებდა „საბჭოთა საქართველოს" გრიფით. ეს იყო ერთადერთი გამომცემლობა, სადაც თავს იყრიდა ძველი და ახალი თაობა. ცხრა რედაქციიდან ავტორების სიმრავლით, საავტორო-საგამომცემლო თაბახის მოცულობითა და ტირაჟით მხატვრული ლიტერატურის რედაქცია განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა. აქ ცოცხალი კლასიკოსები ახალბედა მწერლებს, პოეტებსა და მხატვრებს ეცნობოდნენ. მოწმე არ ვყოფილვარ ამ ფაქტისა, მაგრამ ლოგიკურია, რომ სწორედ აქ, ამ გამომცემლობის კედლებში უთხრა მურმან ლებანიძემ პოეტების მეფე გალაკტიონს: „ბატონო გალაკტიონ, თქვენ პირველი ხართ, დაგვისახელეთ მეორე პოეტი".**

სწორედ აქ 28 წლის გურამ ფანჯიკიძემ შემოაღო ჩემი კაბინეტის კარი და მაგიდაზე ქაღალდი დადო, რომელზეც ხელი უნდა მომეწერა. საგამომცემლო საქმიანობასთან დაკავშირებით ჩემთან უამრავი დოკუმენტი შემოდიოდა. შემომტანისთვის არც შემიხედავს, რაც საჭირო იყო, წავიკითხე და ხელიც მოვუწერე. ამ დროს ჩემთან საწარმოო განყოფილების გამგე ნანული მდივანი იყო, რომელსაც საოცარი მეხსიერება ჰქონდა, მისაყვედურა, გურამ ფანჯიკიძეს ასე უყურადღებოდ რატომ შეხვდიო. გურამთან ჩემი შემდგომი ურთიერთობა წიგნის გამოცემით შემოიფარგლა. ერთმანეთს დიდი ხნის ნაცნობებივით ვხვდებოდით. ამას დაემატა სპორტით გატაცება, კერძოდ, ფეხბურთის დიდი სიყვარული. ერთხელ ცენტრალურ მატჩზე დამპატიჟა. დაგვიანებით შევედით, სანამ დავსხდებოდით, დავინახეთ როგორ გავიდა კარში ბურთი; სიხარულით ავყვირდით. ამ დროს სტადიონზე სამარისებული სიჩუმე იყო. თურმე ბურთი თბილისის „დინამოს" კარში გაუტანიათ. შეგვრცხვა. ის თამაში მოვიგეთ, მაგრამ კარგა ხანს ვერ მოვინელეთ ჩვენი შეცდომა.

დრო გადიოდა და ჩვენი ურთიერთობა თანდათან ღრმავდებოდა. საერთო მეგობარიც ბევრი გვყავდა. მათ შორის, ზაურ ბოლქვაძე, ელგუჯა მაღრაძე, ნოდარ დუმბაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ლევან სანიკიძე. პირადად გურამს უამრავი მეგობარი და თაყვანისმცემელი ჰყავდა. მათ შორის ასაკით ჩვენზე ბევრად უმცროსი, მაგრამ სახელმოხვეჭილი, ერის წინაშე დამსახურებული, მისივე სეხნია, მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში და, რაც მთავარია, დაუწერელი კანონების, სამართლიანობისა და ნაღდი კაცობის ჩემპიონი, ჩემი ჯილა, გურამ საღარაძე.

ძვირფასო მკითხველო! გურამ ფანჯიკიძემ ქართულ მწერლობაში თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა. ამ პატარა პუბლიკაციაში, შეძლებისდაგვარად, ჩემი თვალით დანახული მისი ცხოვრების ზოგიერთი მხარე მინდა გაგაცნოთ.

რა თქმა უნდა, უნივერსიტეტში გავიცნობდით ერთმანეთს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტის სტუდენტი რომ არ ყოფილიყო. სამწუხაროდ, მშობლებს არ დაუჯერა, მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ მის ნიჭიერებას ხელი მაინც ვერ შეუშალა. პირიქით, ჰუმანიტარული და ტექნიკური განათლება ჰარმონიულად იყო მის ნათელ გონებაში ერთმანეთთან დაკავშირებული. არ არსებობდა კითხვა, რომელსაც დამაჯერებელ პასუხს ვერ გასცემდა. საინტერესო ცხოვრება ჰქონდა. მოგზაურობა მისი ჰობი იყო. მსოფლიო მნიშვნელობის თამაშებს ფეხბურთში თითქმის არ აცდენდა. მოსკოვიდან არგენტინაში მიფრინავდა. გასაცილებლად მივედი. აეროპორტში მიმავალი ავტობუსი სასტუმრო „კონტინენტალთან" იდგა. აჩიკო გოგელია, გიგლა ფირცხალავა და გურამი უკვე ავტობუსში ისხდნენ. ახალნაყიდი ტყავის ქუდი მეხურა. მოეწონა, ავტობუსიდან ჩამოვიდა, ქუდი მომხადა, მადლობა გადამიხადა და ავტობუსში ავიდა. ერთი სიტყვით, ქუდი წამართვა. აჩიკო გოგელია ამ ამბავს ხშირად ჰყვება. თურმე იქ ყოფნის პერიოდში ბრაზობდა, ჟანიმ ეს რა ქუდი მომცა, მიჭერსო!

მოსკოვში ჟურნალ „კროკოდილში" ვიყავი მივლინებით. როგორც ყოველთვის, კაკო მშვენიერაძე იყო ჩემი მასპინძელი. გურამს შემთხვევით სასტუმრო „უკრაინაში" შევხვდი. მითხრა, — გადმოდი ჩემთან, ოთხოთახიან ლუქსში მარტო ვარო. შვიდი დღე ერთად ვიყავით. მოსკოვში ქართველებს რა გამოლევს, ყოველდღე პურმარილი იშლებოდა რესტორანსა თუ სახლში. სუფრას მუდამ გურამი თამადობდა.

ერთხელ მოსკოველი ქართველის ოჯახში ვახშამზე დაგვპატიჟეს. საბჭოთა კავშირის მასშტაბით ცნობილი ადამიანები: ექიმები, მსახიობები, სპორტსმენები გურამის თამადობამ გააკვირვა. წვეულება ღამის 2 საათზე დამთავრდა. ფეხით გასეირნება გადავწყვიტეთ. გურამი სასტუმრო „მოსკოვის" დაკეტილ რესტორანთან შეჩერდა და მეუბნება: „შენ იქნები მართლა ჟანი სიხარულიძე, თუ ახლა ამ დაკეტილ რესტორანში შევალთ და თითო ბოთლ შამპანურს დავლევთ". რესტორანში შევიხედე, მაგიდაზე შემოწყობილი სკამები და ორი მოფუსფუსე კაცი დავინახე. დავაკაკუნე, ერთმა მათგანმა გამოიხედა და საჩვენებელი თითი საფეთქელთან დაიტრიალა. ხელმეორედ დავაკაკუნე და ვანიშნე, ჩემთან მოსულიყო. ხელი ჩაიქნია და გაუჩინარდა. გურამმა გაიცინა და დამარცხებულად გამომაცხადა. გაბრაზებულმა კარზე დავაბრახუნე. ვითარებამ სერიოზული სახე მიიღო. ორივე კარს მოაწყდა. მილიციელის დაძახება გადაწყვიტეს, მაგრამ დავასწარი და შუშაზე ხუთთუმნიანი მივაკარი. ორივეს უმალ შეეცვალა გამომეტყველება. კარიც გააღეს და ბოდიშიც მოგვიხადეს, — სამზარეულო არ მუშაობსო. ფული ჯიბეში ჩავუდე და ვუთხარი — ორი ბოთლი შამპანური და ორი ფილა შოკოლადი გვინდა-მეთქი.

„რადი ბოგა," — გვიპასუხა და ნაცვლად ორისა, სამი მოიტანა, ერთი ჭიქა ჩვენთან ერთად შესვა, გაიგო, რომ ქართველები ვიყავით და ჩვენი საქციელი არ გაჰკვირვებია. ორი ბოთლი გურამმა დალია, ნახევარი — მე, რესტორანში ერთი საათი დავყავით. გამოსვლისას ჩემი, როგორც გამარჯვებულის, სადღეგრძელო კიდევ ერთხელ დალია. სასტუმროში გარიჟრაჟზე მივედით. გურამმა მაცივრიდან კონიაკი „ვარციხე" გამოიღო, ორი ჭიქა შეავსო და ჩვენი ოჯახებისა და მეუღლეების სადღეგრძელო შემომთავაზა. გამომიტყდა, დალი ძალიან მიყვარსო და ჭიქა ბოლომდე დაცალა. მეც დავლიე და ვთხოვე, გათენდა, ცოტა მაინც წავიძინოთ-მეთქი.

ზაფხულია. ელგუჯა მაღრაძის სახლში შევიკრიბეთ ზაურ ბოლქვაძე, გურამი და მე. აქ უკვე თამადა მასპინძელი გახლდათ, მაგრამ გურამი, როგორც ყოველთვის, აქტიურობდა, განსხვავებული სასმისი მოითხოვა, ელგუჯამ ბროლის თასი მოუტანა.

სუფრაზე ღვინო შემოგველია. აივანზე რამდენიმე 20-ლიტრიანი შუშის ჭურჭელი იდგა. გურამმა ერთიდან ღვინო დოქში ჩამოასხა, შემდეგ განსხვავებული სასმისი შეავსო, სადღეგრძელო წარმოთქვა და თასი თითქმის დაცალა. ოდნავ შეიშმუშნა, ელგუჯას უსაყვედურა, — ჩემო ელგუჯა, ასეთი ღვინო შენ არ გეკადრებაო. ელგუჯა წამოხტა, აივანზე გავარდა და გურამს დაუძახა: „მაჩვენე, რომელი ჭურჭლიდან ჩამოასხიო". გაირკვა, რომ გურამს საავიაციო ნავთი ჩამოუსხია. დოქი და თასი გამოვცვალეთ, ნაღდი ღვინო ჩამოვასხით, ლხინი გავაგრძელეთ. ნავთმა გურამს ვერაფერი დააკლო.

„თვალი პატიოსანი" ყუმბარასავით გასკდა. ეს წიგნი უწიგნურებმაც კი წაიკითხეს. რესტორან „ივერიაში" შევედით გურამი, ზაური და მე. დარბაზში დავსხედით. იქვე დიდი სუფრა იყო გაშლილი. ბევრი ნაცნობი შევამჩნიე. ერთმა მათგანმა სუფრასთან მიმიპატიჟა. ნაცნობი იმდროინდელი საქმოსანი გახლდათ, ახლა რომ „ბიზნესმენი" ჰქვია. ყურში ჩამჩურჩულა: ის ფანჯიკიძეაო?! მივხვდი, რაშიც იყო საქმე და კვერი დავუკარი. „ეგ ახლა აქედან თუ არ წავიდა, გაილახებაო". გამეცინა და ვუთხარი: „შენ ადვილი გასალახავი თუ გგონია გურამ ფანჯიკიძე, ძალიან შემცდარხარ". რა თქმა უნდა, მსგავსი არაფერი მომხდარა. პირიქით, პატივისცემის ნიშნად ღვინო გამოგვიგზავნეს და სუფრების შეერთებაც შემოგვთავაზეს.

ელგუჯა მაღრაძის გამოსათხოვარი სიტყვიდან ამონარიდს მოვიშველიებ:

„...გულღია, პირდაპირი, დაურიდებელი, უშუალო, უანგარო შემოქმედი იყო, ლხინად ჩასხდომისა და ეშხიანი პურის ჭამის, ქართული ლხინის დიდი მეტრფე, ჭეშმარიტი მამულიშვილი და ღირსეული კაცი".

„ნიანგის" რედაქცია გურამ ფანჯიკიძის მეორე ოჯახი იყო. მისი სატირა და იუმორი ჟურნალის გვერდებს ამკობდა. ზაურ ბოლქვაძის ქალიშვილის, უნიჭიერესი პიანისტის ელისო ბოლქვაძის ნათლია გახლდათ. მახსოვს, როგორ იბრძოდა, რათა გერმანიიდან ჩამოტანილი როიალი ელისოსათვის შეეძინათ.

საიუბილეო თარიღები მუდამ ზაურ ბოლქვაძის სალაღობო სტრიქონებით აღინიშნებოდა:

**„ის პროფესიით,**
**გაგიმხელთ,**
**ინჟინერ-მეტალურგია**
**და აქვს ფოლადის**
**სიმტკიცე,**
**მარტენის ღუმლის**
**შუქი აქვს,**
**ინჟინერ-მეტალურგობას**
**თავი ანება საერთოდ**
**და მწერლობაში ზეახალ,**
**ზემყარ**
**ვარსკვლავად აენთო!..**

სურვილი ჰქონდა, ყინული აეყვავებინა, მთვარეზე შემხტარიყო, დედამიწის ბნელ ქვესკნელში ჩაეხედა.

**„გზას ყოველთვის უნათებდა**
**მზის ღვთაება —**
**ჰელიოსი!**
**აქტიურად მოძრაობდა**
**უძრაობის პერიოდშიც!..**
**დაჰქრის როგორც**
**მეტეორი, ებრძვის**
**ყველა ანტიქრისტეს!**
**დროს არ კარგვენ**
**მარტო ორნი: დრო და**
**გურამ ფანჯიკიძე".**

იგი ფურცელზე კიდეც ხნავდა და კიდეც თესავდა. მოსავალიც კარგი ჰქონდა, მაგრამ...

1997 წელი ჩემთვის გასაკვირი და ტრაგიკული წელი იყო. უეცარი სიკვდილით დაასრულა ცხოვრება ზაურ ბოლქვაძემ. მის ქელეხში გურამი თამადა გახლდათ, გვერდით ვეჯექი. შევამჩნიე, შესანდობარ სასმისში ჩაცურებული ცრემლი.

მტერთან მტერი იყო და მოყვარესთან მოყვარე, სიყვარული კი განსაკუთრებული იცოდა. ვინ წარმოიდგენდა, რომ ორი თვის შემდეგ მეუღლის თვალწინ ჯან-ღონით სავსე გურამ ფანჯიკიძე ზღვაში შეცურავდა და იქ დაამთავრებდა უამრავ წამოწყებულ საქმეს.

**ჟანი სიხარულიძე**


## მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი —
## ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი



### გთავაზობთ სამედიცინო დახმარებას

- უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევას და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
- ჰორმონული, გენეტიკური, იმუნოლოგიური, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური გამოკვლევები;
- სასქესო ინფექციების დადგენა, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
- სპერმის კომპიუტერული ანალიზი;
- ხელოვნური ინვიტრო განაყოფიერება; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვა;
- ქალებში და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენა და მკურნალობა, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
- ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
- სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკა, ქირურგიული კორექცია;
- კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობა და პროფილაქტიკა;
- ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენა; შობადობის რეგულაცია — მედიკამენტური კონტრაცეფცია;
- ულტრასონოგრაფიული, ბიოქიმიური, ჰორმონული, ციტოგენეტიკური გამოკვლევები.

**მისამართი: კოსტავას ქ. 43. ტელ. 93-11-45, 99-61-97, 99-54-77**



საქართველო
**ესტუმრეთ ჩვენს საიტს**
**http://www.geworld.net**



მთავარი რედაქტორი **ირაკლი თოდუა**
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
**არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი**
ტექნიკური რედაქტორი **ლევან ზანგურაშვილი**
ვებრედაქტორი **გოჩა ხავთასი**
რეალიზაციის მენეჯერი **დავით ბუაძე**, ოფისმენეჯერი **თათია ვაშაკიძე**,
რეკლამის მენეჯერი **ეთერ კასრელიშვილი** (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net